

თამაზ მეტრეველი

უსაზღვროება

თბილისი
2011

ქალთევზა (ნუცი ჭინჭარაულს)

წყნარად ვზივარ ზღვის ნაპირას,
ზღვას გავცქერი, თვალებს ვატკბობ,
ჩემ გვერდით კი გოგოს სძინავს
ანგელოზის სახის პატრონს...
და მგონია სიზმრად ხედავს,
ზღვა აფარებს ტალღის საბანს,
ეფერება, როგორც დედა,
როგორც სიო იასამანს...
ვფიქრობ, როგორ დაიძინა,
მარტომ ზღვასთან ასე ახლოს,
მას კი სძინავს, სძინავს ტკბილად,
და არაფერს არცა ნაღვლობს...
ზღვაზე ზოგჯერ რა არ ხდება,
რა არ ხდება უცნაური,
ტალღა ჯებირს ეჯახება,
ქარიშხლისგან მოწამლული...
ვხედავ ლამის თავთან უწევს,
მოქცევისას მლაშე წყალი,
ან ყელში რომ გადაუცდეს
ხომ გაგუდა ეს საწყალი...
გავალვძიე, და რას ვხედავ,
მოიქნია თევზის კუდი,
მე წამომცდა, ვაი დედა,
შიშით ლამის გადავბრუნდი...
მან კი მშვიდად გამილიმა,
გადაადლო უკან თავი,
ოქროსფერი თმების წვიმა,
იყო მართლაც სანახავი...
შიშველ მკერდზე უღვიოდა,
ორი ძუძუ ქარვისფერი,
თვალეები კი, მახსოვს ჰქონდა,
ლურჯზე–ლურჯი ტალღისფერი...

ეეჰ!!! (ნინო ვარდოსანიძეს)

მერჩია არა მცნობოდი,
ათასჯერ, ასიათასჯერ,
ბარემ მომკალი ჰო, მოდი,
ბარემ ხმლის წვერზე ამაგე...
მახსოვს ერთხელაც გამოჩნდი,
მაშინაც თავბრუ დამეხვა,
ვერ გამიგია რა მომდის,
ამდენ ქალებში ნამეხარს...

ნუთუ ნამდვილად შენა ხარ,
თუ ალი ხარ და დამცინი,
ასჯერ ვკითხულობ ხელახლა,
ვნებებისაგან დაცლილი...
შენ ალბათ ზეცის შვილი ხარ,
მზისა და მთვარის ნაშობი,
ზურმუხტის ასხლეტილი ხარ,
ძოწის და ლალის ნაპობი...
აჯობებ სიკამკამეთი,
ყველა წყაროს და ყველა ტბას,
არ ჯობდა სახე ასეთი,
ცხადში არასდროს მენახა!!!

ჩემს მუზას ყოველთვის ძონძმანძი აცვია...

მკაცრია, ცხოვრება, სასტიკად მკაცრია,
ახლა რომ დავფიქრდი, ჩაკვეტე წარსული,
ჩემს კარტში ჯოკერი არასდროს ამოვა,
მე მუდამ მაცილი მიტევს თავგასული...
სიცოცხლე? ობობას ნაქსოვი ძაფია,
რომელსაც ნიავიც ადვილად დაფლეთავს,
ჩემს მუზას ყოველთვის ძონძ-მანძი აცვია,
და ცდილობს ცხოვრების თავიდან დაწყებას...
ისიც ხომ ჩემსავით ამ ქვეყნის შვილია,
ამიტომ ყველაფერს, ყველაფერს ვპატიობ,
ვძვრები ნემსის ყუნწში, როგორც შემძლია,
ვიბრძვი, ვხობავ, ვდგები, ვლოთობ და ვმარტვილობ...
ვინ იცის, ვინა ვარ და რასა ვცოდვილობ,
რა მომწონს, რა მიყვარს, ან რა მიხარია,
ცხოვრებამ ტყავიც რომ მთლად გამაძრობინოს,
მაინც ველოდები ღამეებს მთვარიანს...
ღამეებს, რადგანაც დღეები სხვისია,
მეც ბნელში მოველი ღვთისაგან წყალობებს,
წმინდაო მარიამ, მომეცი ნისიად,
ეს მიწა და ხვალვე მთლად დავამწყალობებ...
ეს ხვალე, სულ ხვალე, რით ვეღარ გათენდა,
ცაში ვარ და სანთლებს ვუკიდებ ვარსკვლავებს,
ეს ჟამიც უჟამო რა დიდხანს გაგრძელდა,
წმინდაო მარიამ, ცხოვრება მასწავლე!!!

ქორწილი

ქორწილდებოდნენ ელვა და მეხი
მაყრებად ჰყავდათ სეტყვის ღრუბლები,
მაგიდას ეჯდა სულ ყველა ღმერთი

და ვარსკვლავებიც ყველა უკლებლივ...
მდინარეებად დიოდა ღვინო,
კოცონის ალი ზეცას სწვდებოდა,
შენი ჭირიმე, არ მოიწყინო,
მეხი ცოლს, ელვას ეუბნებოდა...
ზეცა მიჰქონდა ჭექას და გრგვინვას,
მეხი ჭექავდა პირგამეხილი,
მკლავებგაშლილი უჭერდა ყინვა
დაქროდა ქარი ლამის შეშლილი...
აღელდა ზღვები, ოკეანეებს
გადაუარეს ქარტეხილებმა,
ყველა ვარსკვლავნი ცას მიაღეწეს,
დილით კოცნისას ელვამ და მეხმა...
ქორწილდებოდნენ ელვა და მეხი
მაყრებად ჰყავდათ სეტყვის ღრუბლები,
მაგიდას ეჯდა სულ ყველა ღმერთი
და ვარსკვლავებიც ყველა უკლებლივ...

ნუ გეწყინება

ისევ, შენ, თორემ, ბოლო დროს, იცი,
ამ დღეებს უკვე ვერაფერს ვუგებ,
შენა ხარ ჩემი ოცნების სისხლი,
რომლითაც მოვრწყავ თბილისის ქუჩებს...
და თუმცა ჩემი აღმოჩენა ხარ,
რა მომიტანე ტკივილის მეტი,
მაგრამ, შენს ნაცვლად სხვა რომ მენატრა,
ვინ იცის, სად ვის შემყრიდა ბედი...
და ვფიქრობ, მართლაც, ასე სჯობს ისევ,
რომ მიფერადებ დღეებს უფეროს,
შენთან მოკითხვებს ვაბარებ სიზმრებს,
რომ გაორებულ ჩემს სულს ვუშველო...
მართლაც არ მინდა, ნაღდად არ მინდა,
რასაც დავარქვი ბედის ცვლილება,
და თუ გველივით ჩემი კანიდან
ვერ ამოვედი, ნუ გეწყინება!!!

ახლა ისე ვარ

ბედმა თონეში ჩამაკრა თითქოს,
და შენთებული მაქვს ნაღვერდლები,
მუდამ ასეა თუ შენზე ვფიქრობ,
მეც თონესავით, ვიწვი, ვენთები...
და უფრო მეტიც, ახლა ისე ვარ,

თითქოს მიმაბეს შენს ცას ჯაჭვებით,
ალბათ ვიცოცხლებ ზუსტად იმდენხანს,
სანამ გაუძლებს ჩემი მაჯები...
და ჩემი სისხლიც, სულ წვეთწვეთობით,
იღვრება მტკვარში, როგორც მირონი,
დასრულდა ჟამი ჩემი მეფობის,
დამწვარან ჩემი სანაპირონი...

ნუ მკითხავ

დაუშვით, დაუშვით, დაუშვით აფრები,
დამთავრდა, დასრულდა ვეშაპთან ჭიდილი,
ჩემებიც მყოფნიან ნამდვილი აფთრები,
ყველგან რომ დამდევენ საკუთარ ჩრდილივით...
ძნელია ბარჯას რომ სტყორცნი და გიტყდება,
ან ისვრი ათასჯერ და მიზანს აცილებ,
როგორც ვაცს უფსკრულში ფარები მიჰყვება,
ასე ხომ ვერავინ გაჰყვება არწივებს...
ამიტომ ისინი მარტონი რჩებიან,
მარტონი ზვერავენ საკუთარ სამკვიდროს,
ნუ მკითხავ, ვერ გეტყვი დღეს რა მირჩევია,
ჰო, თუნდაც სიკვდილმა, მომკლას თუ დამინდოს!!!

იმდენნი იყვნენ თვლას ვერ ვასწრებდი

მე არაერთი მინახავს ქალი,
რასაც ვგულისხმობ ალბათ მიხვდებით...
მათი სურვილით ვყოფილვარ მთვრალი,
ცხოვრებაც იყო უფრო ისეთი...
აი, როგორ ვთქვა, ბევრად ადვილი...
ვეძებდით რაღაც თავგადასავლებს,
ქალებს მოსწონდათ ჩემი წადილი
და მევლებოდნენ კიდევაც თავზე...
რამდენნი იყვნენ? როგორ აგისხნა,
ხომ იცით, ვითვლით ქალებს კაცები,
ქალები იყო ჩემთვის ნალდი ხსნა,
იმდენი იყვნენ თვლას ვერ ვასწრებდი...
იყვნენ, რომლებიც მართლაც მიყვარდნენ,
და ბევრნი იყვნენ ერთი ღამისაც,
რომ აღარ მეყო ხელზე თითები,
"ჩოთქზე" ვითვლიდი შესაბამისად...
და უკვე როცა სამოცსაც ავცდი,
თვლას მივანებე თავი რატომღაც,
თუ პუშკინს ჰყავდა ასოცდაათი,

რით ვარ ნაკლები, ვითომ, რა მოხდა?
იყო ნიძლავი, იყო ხუმრობაც,
ერთ დღეს ოთხს შევხვდი, თუ დამიჯერებთ,
თუმც იმ ოთხიდან ორი სტუმრობდა,
ჩემს საწოლს, მართლა, პაემნის მერე...
ასე, რომ ზუსტი ციფრი არ მახსოვს,
ბარი–ბარში ვარ მგონი პუშკინთან,
ჩემს ცოლს არ უთხრათ, თორემ დამახრჩობს,
აუ, რაც იმათ წყევლას უთვლიდა...

ალბათ მე შევცდი

ალბათ, მოგბეზრდა ჩემთან თამაში,
ან გულის კარი სხვებმა გაგიღეს,
ანდა, მე შევცდი შენს მისამართში
და შენც ამიტომ თვალებს მარიდებ...
თვალებს მარიდებ, მე კი ხსოვნაში,
ვუფრთხილდებოდი შენზე ოცნებებს,
მაგრამ, როგორც ჩანს, ამასობაში,
სხვებს მოეწონე, სხვებმა მოგძებნეს...
ახლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
უკან დავბრუნდე, თუ წინ ვიარო?
ვერ დავასრულე რაც წამოვიწყე,
შენთან რაც მქონდა რამ საზიარო...
და გამჩნევ, გამჩნევ ტუჩის კუთხეში
ლიმილს, რომელიც ჩემს აზრს უარყოფს,
ვდგავარ სარკმელთან ვარდებით ხელში,
ვდგავარ და გიმზერ, გიმზერ უაზროდ!!!

მერანი მყავს მტრედისფერი

იცი, ყველა დილა მიყვარს,
მერანი მყავს მტრედისფერი,
ცხრა მთას ციმციმ გადამიყვანს,
ლურჯა ჩემი ნატვრის ცხენი...
უკან კი შენ შემოგისვამ,
შემომხვით ორივე ხელი,
მწვერვალებზე შევხვდეთ ცისკარს,
მე, შენა და ჩვენი ცხენი...
ქვემოთ დარჩეს ეს სამყარო,
თავის მიეთ–მოეთებით,
რომ ვერავინ ვერ გაგვყაროს
ვერც ჭორებით, ვერც ეჭვებით...

მიყვარს ჩემი ლურჯა ცხენი
როცა თრთის და იწყებს ჭიხვინს,
იცი, ნაღდად ესმის ჩემი,
როდის მილხინს, ანდა მიჭირს...
შემომიჯექ, ვერცხლის მთები,
ერთხელ კიდევ დავიაროთ,
დაგვხაროდნენ ვარსკვლავები,
მზემ თვალები აბრიალოს...

ქორწილი (დაპირებული)

მსმენია როცა მეხი და ელვა
შესაუღლებლად მორთვას იწყებენ,
თურმე ზღვა ისე საშინლად დელავს,
რომ ვარსკვლავები პირჯვარს იწერენ...
და მერე როცა ქორწილის სუფრას
ცის ბინადარნი მიუსხდებიან,
შეეჯახება ვულკანი ვულკანს,
და კრატერებიც რისხვით სკდებიან...
სუფრაზე მსხდომნი თურმე ერთმანეთს,
ადღეგრძელებენ ვულკანის სისხლით,
და ცეცხლიც უწევს ლამის ზეცამდე,
და მეხთაჭექაჟ ცის იქით ისმის...
და როცა პირველ სადღეგრძელოზე,
ოკეანენი აიქოჩრება,
მეხი შესძახებს თავის მეგობრებს,
და მწვერვალიდან ზვავი მოწყდება...
მერე წამოვა მკლავებგაშლილი,
რომ ჩაიხუტოს მთები გზადაგზა,
ბოლოს კი ალბათ გრძნობადაცლილი,
სადმე ხეობის ფერდებს დალაშქრავს...
და საცეკვაოდ როცა გაიწვევს
მეხი ელვას და შეინავარდებს,
გარშემო მთები ზანზარს დაიწყებს
ზღვები ხომალდებს კლდეს შეანარცხებს...
მეხსა და ელვას ასე სჩვევიათ,
უნდა გრგვინავდეს მათი ქორწილი...
გრძნობები ტანზე შემოფლეთიათ,
დულს ოკეანე წამოფოფრილი...
როცა მოატანს უკვე რიჟრაჟი,
და ღამე დღესთან, რომ დამარცხდება,
მეხს ეგონება თავი სიზმარში
და ელვის შიშველ მკერდს დააცხრება...

ხათუნას

ხომ იცი, როგორ მიყვარხარ,
მინდა, ეს თავბრუსხვევები?
ან შენნაირი ვინა მყავს,
ქედნებს მიგიგავს მტევნები...
არ დაილია მიზეზი
და მეც ამიტომ ვერ გხვდები,
ჩემში ნაღდ გრძნობებს იწვევდი,
ადრე, რომ გნახე შემთხვევით...
ან ახლა შენმა სურვილმა
გგონია გადამიარა?
გავუძლებ, ალბათ, თუ სისხლმა,
არ ამომხეთქა მთლიანად...
მიყვარხარ, მართლაც, როგორ ვთქვა,
როგორც ბავშვს გეტიტინები,
მოგწყვეტდი ბოლო ფოთოლად,
თუკი მომეწყვეტინები...

არა, სარკის წინ... (ირმას, სამხარაძეს)

შენთან შეხვედრა არ გამოვიდა,
რატომ? რა ვიცი, ალბათ ბედია,
იქნებ სხვაც გყავდა და შენც ორიდან
გინდოდა ერთი ამოგერჩია...
მე ყველაფერში სიყვარულს ვარჩევ,
სხვა ყველაფერი ბლეფი მგონია,
არ სტყუის ქვეყნად არცერთი სარკე,
არ უნდა ბევრი ფილოსოფია...
წითელი ვარდი და შავი ღვინო,
და შინდისფერი ჩახსნილი კაბა,
ნურაფერს მეტყვი საპირისპიროს,
ნურაფერს მარტო იმ სიტყვის გარდა...
რადგან ჩემს სულში ისე დადიხარ,
როგორც ღელვის დროს მთვრალი ხომალდი,
თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილხარ,
როგორც კედლიდან ფრესკა და ხატი...
წითელი ღვინო და შავი ვარდი,
ტუჩები მწიფე ალუბლისფერი,
სული სპეტაკი, როგორც ბარხატი,
მკერდი ნაზი და ვნებაშიშველი...
დგება წამები, როცა ლოდინი,
ხდება ასმაგად გაუსაძლისი,
ძუძუ ძუძუზე გადაჭდობილი,
ფიქრში და არა, არა, სარკის წინ!!!

რალაც დავკარგე (კ-ს)

რალაც დავკარგე, რალაც ჯადო, რალაც თილისმა,
შენგან სინათლის წელიწადით რაც დამაშორეს,
ვიცი, გავუძლებ, რომ გავუძლებ მე ამ ტკივილსაც,
თუ კი ეს ჩემი ნასიზმრალი ავწონ-დავწონე...
მითხარ, ძვირფასო, რას ნიშნავდა შენი სურვილი,
ვინ მაიძულა, მიკარნახა, ან ვინ დამსაჯა?
ან როგორ გაჩნდი ჩემს წინ ასე სასწაულივით,
როგორც ზეციურ ვარსკვლავების ერთად თავდასხმა...
ვიცი, რომ ჯერაც გაუგებარ სიტყვებს ვბუტბუტებ,
მინდა, როგორმე ავიცდინო შენი ტყვიები,
გავცქერი ველებს შენი ცეცხლით გადაბუგულებს,
რატომ მეგონა თავხედობას მაპატიებდი...
მე ყველას ვუსმენ, ყველას ვუსმენ, ვინ რას მამბრალებს,
იცი, შენს მერე ღამეები აღარ თავდება,
ვუფრთხილდებოდი გულს, რომელიც ამომაცალეს,
რომელიც მსურდა მეძღვნა შენთვის ბრილიანტებად...
ვიცი, მთავრდება, ვერ გადმოვდგი შენსკენ ნაბიჯი,
ახლა კი უკვე ლაპარაკსაც აღარ მაცლიან,
გთხოვ, მაპატიო სიყვარული დღეს რომ განვიციდი,
შენთვის ოდესღაც ლექსებად რომ დამიმარცვლია...

ეეჰ!!!

იმდენი გრძნობა შემომალვარე,
რომ არც კი ვიცი, როგორ გავტოპავ,
დღეს მეც უშენოდ ვათენ-ვაღამებ,
შენთან ვწევარ და მაინც მარტო ვარ...
რომ უსასრულოდ გრძელდება ჩემი
ეს უთავბოლო გატაცებები,
რომ ამის გამო შენც მარტო რჩები,
რომ ვერ უძლებ და სულით ეცემი...
სულით დაცემა, რა სიტყვებია,
შიგ ჩაეტევა მთელი ცხოვრება,
რაც რამე მქონდა გამიცემია,
ბედიც მტაცებდა რასაც მომცემდა...
ნულარ დამწყველი, ეს ყველაფერი,
უმაგისოდაც გამძაღლებია,
ანდა, ამ სულში რალას ჩამცქერი,
ხომ იცი, შიგ რომ არაფერია...
ჰოდა, არ არის რადგან საშველი,
ან ვინმე იყოს, რომ გაგვაშველოს,

ისევ მუმიას დავემსგავსები,
კუბოში ცოცხლად რომ ჩამასვენო...

გამილიმე (ტ-ს)

მოდინარ და მოასხივებ,
მოასხივებ მთელი ტანით,
აშრილებ ყელზე მძივებს,
ელავ, როგორც ბეჭდის თვალი...
გამილიმე, რომ მიღირდეს,
ეს ცხოვრება თუნდაც რამედ,
ჰო, უბრალოდ გამილიმე,
რომ დღედ მექცეს ბნელი ღამე...
მე შენამდე ბედი მცდიდა,
მწეწდა ქარი, მწვავდა ელვა,
ქარიშხლები არ მაცლიდა,
შენს მხარეში გამოფრენას...
დაგინახე, დავტკბი, დავდნი,
გულზე ცეცხლი წამეკიდა,
მომეჩვენა თითქოს თაფლი
წვეთდა შენი თვალებიდან...

მე ანგელოზის ფრთები არა მაქვს

გხედავ, ძვირფასო, თვალს არ მარიდებ,
ვგრძნობ, რომ ჩემს გვერდით ყოფნა გწადია,
იქნებ მეძახდი და ვერ გავიგე,
ან იქნებ სულ არ დაგიძახია...
მე ანგელოზის ფრთები არა მაქვს,
მე ცოდვილი ვარ, არ ვარ წმინდანი,
ეს კარგად იცის მთელმა ქალაქმა,
მიკვირს, შენ რომ ვერ გამოიცანი...
იცი, რანდენჯერ შტორმში მოვყევი,
იცი, რამჯენჯერ მფლეთდა ღვარცოფი,
არ დამიკარგავს გრძნობა მოცელილს,
ვიცდენდი ყველა ტყვიას გასროლილს...
იქნებ, შენ მისწვდე ჩემს ბედის კარებს,
იქნებ, როგორმე, მართლაც, დახურო,
მეც შევეშვები დანარჩენ ქალებს,
რომ მხოლოდ შენ ერთს მოგემსახურო!!!

რექვიემი

იცგი, მეცა მყავს ჩემი ორკესტრი,
და ასრულებენ ჩემთვის რექვიემს,
და ერთსაც გეტყვი, ნუ გაოცდები,
ყორნებია და შემომეჩვივნენ...
მინდოდა, მაგრამ ვერ გავუქეცი,
გადამიკეტეს ყველა საზღვარი,
ყორნები ჩემი ნაღდი რეკეტი,
ყორნები ჩემი ლეშით დამძლარი...
რა საოცარი დროა, დაცლილი,
როგორ აგიხსნა თუ რას განვიცდი,
დაშვებული მაქვს ფრთები არწივის,
ან ავფრინდები? ისიც არ ვიცი...
ან სად ვეძებო ჩემი გედები,
მიტხარი, იქნებ შენ გეგულება,
არ დამიკარგავს ჯერ იმედები,
მიტხარ, შენ, გული რას გეუბნება?
თუ შენც გაქრები მალე თოვლივით,
თან გაიყოლებ ყველა იმედებს...
მე კი ამ ყორნებს დავფლეთ ორბივით,
სანამ ყველა გზა გადამიკეტეს...

წვიმა, ტყე და ოცნება

წამოხვალ ჩემთან? სადმე შორს, ტყეში,
სადაც მღერიან ნაკადულები,
გვაწვიმდეს წვიმა, გვასხამდეს თქეში,
რომ დაგვიხეთქოს თუნდაც გულები...
და მერე, როცა გამოიდარებს,
როცა ტკაპა-ტკუპს მორჩება წვიმა,
ყური მივუგდოთ წვირების ჩქამებს,
და შემოდგომის ფოთლების ფშვინვას...
და ვისხდეთ ასე გაყურებულნი,
გვერდიგვერდ, როგორც კატის კნუტები,
ჩვენ ხომ ერთმანეთს ისეც ვეკუთვნით,
მშრალელებიცა და გალუმპულებიც...
იქნებ ჩვენც ვიქცეთ ნაკადულებად,
შენ მოლივლივედ, მე მონავარდედ,
რომ შეგვაჯახოს ტყეში ბუნებამ
და ორივენი ველზე გავვარდეთ...
როგორ გგონია, მართლაც ვისია,
ეს ტყე, ეს მიწა, ნაკადულები,
ასე მგონია მათი სისხლია
მე რომ ამიწვა ხელისგულები...
წამოხვალ ჩემთან? ნუ გეზარება,

მოგასმენინებ ფოთლების შრიალს,
ჩავწვდეთ ბუნების იდუმალებას,
ზღაპარს, რომელსაც ოცნებაც ჰქვია...

ჩვენთვის ამოვა ყველა ვარსკვლავი

არ ვიცი, როგორ დავიწყო ლექსი,
და, მგონი, ალბათ, არც გამომივა,
შენ უხმაუროდ შემოხველ ჩემში,
და ერთის ნაცვლად ახლა ორნი ვართ...
მე მართლაც მიყვარს, როდესაც ვპარავ,
ცხოვრებას წამებს, წუთებს, საათებს,
მართლაც ყველაზე, ყველაზე მთავარს,
მხოლოდ სიყვარულს ვერ ვუღალატებ!
და მეყვარები, როგორც არავის,
როგორც ცას მიწა და ღმერთს სამყარო,
ჩვენთვის ამოვა ყველა ვარსკვლავი,
რადგან ვერ გავძლებთ ჩვენ უვარსკვლავოდ...
რომ სიამაყე შენში რაც არის,
ერთი ათად და ასად ვაქციო,
რომ თქვა, სიცოცხლე იყო ზღაპარი,
და გამიმართლა ამ ზღაპარშიო...

...

ჩვენს სიცოცხლეს უამრავი,
უამრავი რამ განსაზღვრავს,
თუ მაჩუქე შენი თავი,
უკითხავად არ წამართვა...
ჩემთვის ველის ყაყაჩო ხარ,
სხვისთვის იქნებ შავი ვარდი,
როცა ჩემთან ქარი ქროდა,
შენ სამეფოდ სხვასა რთავდი...
ზოგი დილა სევდას ბადებს,
სიხარული მოაქვს ზოგსაც,
ზოგი ტკივილს გაგიახლებს,
ზოგიც ღვთიურს გჩუქნის კოცნას...
ასე ებმის დღეს დღეები,
დარებს სცვლიან ქარიშხლები,
არ გამტაცო შენი მკერდი,
სანამ კოცნით დავიღლები...
ზოგჯერ ზღვა ხარ მოლივლივე,
უფრო ხშირად თოვლის ზვავე,
რა ადვილად მომიცილე,

ნუ მომკლავ–თქო, რა გითხარი...

დაჭრილი არწივი 2

მოგისმენია არწივზე ლექსი,
დაჭრილს რომ სჯიჯგნის ყვავთა კრებული,
რა ვქნა, არ მჯერა, ანდა, არ მესმის,
არწივი ყვავის დამარცხებული?
ვის გაუგია, ყვავს გაქცეოდეს,
არწივი, ვეფხვი, კლდეთა მზვერავი,
ეს იგივეა მზე ვერ მზეობდეს,
მიჩაკჩაკებდეს ველზე მერანი...
შენ, ალბათ, მეტყვი, რომ ეს ლექსია,
და რომ ლექსებში ბევრი რამ ხდება...
ყვავები დაჭრილს თუ დაესია,
ბუნებრივია, არწივი კვდება...
კვდება არწივი და მისი სისხლით
ყვავებს მუცლები ამოუყორავთ,
არა, ვერ მოკლავთ, მე გამოვიხსნი,
მივფანტ–მოვფანტავ ყვავსა და ყორანს...
განა ჩვენ ყველას მთელი ცხოვრება
არ გვესევინა სულ ყვავ–ყორნები?
მაგრამ არწივი როგორ მოკვდება,
რას დააკლებენ ეს მათხოვრები...

ვერ გავუგე ამ ჰარმონიას...

იცი, ბევრს ვფიქრობ სამყაროში ყველაფერი ორი რომ არის,
ზღვა და ხმელეთი, ცა და მიწა, ქალი და კაცი...
ასე რომ არა, შედგებოდა ჩვენი რომანი?
ამ სიძულვილის და სიავის ასეთ თავსხმაში...
მართლაც, ვერ ვხვდები, ვერ გავუგე ამ ჰარმონიას,
ან მიხვდა რამეს, რომელიმე ფილოსოფოსი?
ჭეშმარიტებას რას გაუგებ, ის ფანტომია,
ღმერთების მიერ გასროლილი სადღაც კოსმოსში...
ისე მოვდივართ და მივდივართ, ვერაფერს ვხვდებით,
რა ჩადო ღმერთმა ჩვენს ამ ქვეყნად მოვლინებაში...
ან რატომ ვჩნდებით, რატომ ვჩნდებით, მართლაც, შემთხვევით,
ან ეს სიამე რატომ ჩადეს ამ ჩვენს ვნებაში...
ანდა, ღმერთებიც არსებობენ? მართალს ვინ მეტყვის,
თუკი სამყარო უნდა გაქრეს, გაქრეს ოდესღაც...
მე მეეჭვება, მეეჭვება მათი სიკეთის,
ანდა, რა არის სიყვარული, რწმენა, ოცნება...

ვკვდებით და ქრება ეს სამყაროც, ეს ხომ ფაქტია...
რომ ჩვენთან ერთად კვდება იმ წამს მარადისობა,
ან გოლგოთაზე ქრისტემ ჯვარი რად აათრია,
რას აკეთებდა, ვისთვის, რატომ, ნეტა, იცოდა?

თილისმასავით გინახავ

იქნებ არც უნდა მენახე,
იქნებ არც უნდა გამეცან,
შენზე ოცნებას შევახევე
გულს სამომავლო აღერსად...
არ ვიცი უნდა მიყვარდე,
თუ მზის სხივს ვეპოტინები,
ვაითუ ამიყირავდე,
ვაითუ სხვას ვეცილები...
მყინვარ და მყინვარ მოგდევედი,
ვერ გაგაღიმე ვერაფრით,
ვერ ვნახე ანათრთოლები,
ეგ შენი ჩითის პერანგი...
არადა, როგორ მიყვარხარ,
არადა, როგორ მჭირდები,
თილისმასავით გინახავ,
შემოგხედავ და ვითვრები...
ერთი რა იყო, სულ ერთი,
ერთხელ მოჭვრეტა თვალების,
ასე თუ გამაბრუებდი,
ასე თუ ჩამაფლავებდი...
არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
ან მქონდეს რამის იმედი?
ვის უნახია ორი მზე,
ტყუილად გეკვლევინები...

გნებდები (კ-ს)

გნებდები, უარს ვამბობ ყველაზე,
გნებდები, იყავ ჩემი მსაჯული,
თუნდ ჩამომკიდე სახრჩობელაზე,
გულის ფსკერზე ხარ ამოკაწრული...
მე აღარ მახსოვს აღარაფერი,
შენი მშფოთვარე თვალების გარდა,
და ჩემს სიყვარულს გზებზე გაფენილს,
ვარსკვლავებივით ზეციდან ვფანტავ...
მართლაც, ყველაფერს გულში ჩავიკლავ,
ოღონდ არ იყო, შენ, გულნატკენი,

იცვი, ძვირფასო, წუხელ ბარდნიდა,
და შენს ყვავილებს ჰკბენდა ნამქერი...
მინდა იცოდე, მინდა გახსოვდეს,
რომ მეც მათსავით ვარ დაკბენილი,
და თუ მოვკვდები, სხვა გისახსოვრებს,
ვარდებს, გზად როა გადაპენტილი...

სანამ სიმღერა არ მომკლავს...

მომასმენინე ბოლომდე,
მე რომ სიმღერა მიყვარდა,
იქნებ როგორმე მოვგონდე,
სანამ მომისწრო რიჟრაჟმა...
მომასმენინე, რაც გსურდეს,
იმ ძველი სიმღერებიდან,
რომ აღარასდროს დასრულდეს,
ის, რაც ამოდის მკერდიდან...
მე ხომ ისედაც მსეტყვავდა,
სეტყვით გავსილი ღრუბელი,
ჭექდა, ღრინავდა, ელავდა,
ეს ჩემი წუთისოფელი...
ჰოდა, მიმღერე, რაც გსურდეს,
რასაც გულიდან ამოთქვამ,
ოღონდ არ მინდა დასრულდეს,
სანამ სიმღერა არ მომკლავს...

ერი ასე დაუნახავი

კი, ნათელია ყველაფერი ახლა ცასავით,
ვიდაც მდარაჯობს, რომ როგორმე მოკლას სიმართლე,
ღმერთო მაღალო, ერი, ასე დაუნახავი,
ნუთუ, ოდესმე, ნუთუ, მაინც რამეს მიაღწევს?
აღბათ, არცა ღირს ამათ გამო თავის განწირვა,
და, მითუმეტეს, მითუმეტეს, გაღება მსხვერპლის,
ამათ ილიაც, ილიაც კი მოკლეს ადვილად,
ჰოდა, რა არის თითო ტყვია, მითხარი, ჩვენთვის...
ახლა დაემხე და რამდენიც გინდა ილოცე,
თუნდაც მოუხმე ყველა ღმერთებს, ვერაფერს შეცვლი,
ვერაფერს შეცვლი, პოეტებზე თუ ნადირობენ,
და ბევრად უფრო იაფია იუდა ვერცხლი...
ამას, მართლაც, სჯობს, გადახვეწა სადმე ცის იქით,
რადგან სიყალბეს აქ ვერასდროს ვერ ახდი ფარდას,
თუ გაექცევი ხომ კაი და, თუ ვერა მიჯრით,
აგისრულდება, აღბათ, შუბლში ტყვიების დახლა!

ჰოდა, ამიტომ სანამ დროა, სანამ ჯერ კიდევ,
სანამ ჯერ მხოლოდ აპირებენ, სანამ გესვრიან,
გასწი აქედან, გასწი, რაღაც უნდა გიღირდეს,
ალიარება ამ მიწაზე ბრიყვთა ხვედრია!!!

ისევ წყვდიადი და აკრძალვები? (ესაა ნონსენსი, რადგან ქრისტე სიყვარულის
ღმერთია)

თუ ვერ ვიხილავ მე თვითონ ღმერთებს,
ნუ დამაშინებს ნურავინ მათით,
თუ კი სამყარო ღმერთებმა შექმნეს,
რატომ არ მოსპეს თავიდანვე, მაშინ, წყვდიადი...
რად გვიწევს ბნელში ხელის ცეცებით
და უკან მზერით გზების გაკვლევა,
და სწორედ მაშინ რატომ ვეცემით,
როცა არა გვსურს, მართლაც, წაქცევა...
და ვისმენ, ვისმენ ტყუილს და მართალს,
და ერთმანეთში ვერც ვარჩევ მგონი....
რომ ამ სამყაროს სატანა მართავს,
და უნდა ვძრწოდე თუ ქრისტე მოდის...
ისედაც ვიცი, რომ ცოდვილი ვარ,
რომ აკრძალული ხილიც ვიგემე,
რომ ჯოჯოხეთის კუპრში მიხილავთ,
აუცილებლად, სიკვდილის მერე...
თუკი ასეა, რად გავჩნდი მაშინ,
ჩემს აკვანს დედა რატომ არწევდა,
რატომ დავეძებ ბედს სადღაც ცაში,
და რატომ მინდა ასე გაქცევა...
ან იქნებ ღმერთი არსებობს კიდევ,
მაგრამ ჩვენსავით არის ლაჩარი...
ჩვენ კი მის გამო დღეს ისევ გვიწევს,
რადაც მისტიკას ვუგოთ ტაძარი...
ვაგოთ ტაძარი და ღვთის ლოცვაში
ამოვიღამოთ უნდა თვალები,
დღეს, მგონი, ღმერთიც არის მოდაში,
თავის წყვდიადით და აკრძალვებით!!!

მიიღე ჩემგან (ნინო ღამბაშიძეს)

მიიღე ჩემგან, მიიღე ჩემგან,
ულამაზესი ეს ცისქვეშეთი,
გჩუქნი ყველაფერს, ყველაფერს ერთად,
ჰო, სულ შენია ზღვაც და ხმელეთიც...
არ დაუჯერო, არ დაუჯერო,

არავის, ჩემზე რაც უნდა გითხრან,
უბრალოდ ვცდილობ, რომ თავს ვუშველო,
და სული ჩემი ცოდვისგან ვიხსნა...
და ყველაფერი თუ მივითვისე,
მთები, ზღვა, მიწა, ცა თუ ხმელეთი...
რა ვქნა, მიყვარდა და მიყვარს ისევ,
მთელი ეს ჩემი საკვირველეთი...
ახლა კი მინდა და შენა გჩუქნი,
მოწმეა ზღვების სანაპირონი;
ამ წუთას მთვარე მიჭირავს მუჭში
და ყვავილებით სავსე მინდორი...
ჰო, გეფიცები, მართლაც შენია,
ჰკითხე ფრინველებს, ჰკითხე ვარსკვლავებს,
მიწა თბილია, ცა ნათელია,
შენ კი ტირი და თან მალავ თვალებს...

გამიტაცებენ ცისკენ ქარები

კარგა ხანია, რაც ზეცას ავცდი,
და შორს, ღრუბლებში დავიდე ბინა,
სულაც არ არის ბუნება მკაცრი,
ბუნება მუდამ შენსავით ბრწყინავს...
საოცარია, ფრთებს როგორც გავშლი,
გამიტაცებენ ცისკენ ქარები,
შენ კი ვით თოთო და ნაზი ბავშვი,
ჩემს ღრუბლებს ახლოს არ ეკარები...
საოცარია, ეს ლექსიც, იცი,
ისევ იმ ლამაზ დღეებს მაგონებს,
როცა ვტკბებოდი მე ჩემი სივრცით,
როცა დავქროდი მზის სიახლოვეს...
შენ ვერ მიხვდები, რად მიყვარს ასე,
ზეცა ზვავივით ნაგრიგალები,
როცა შენცა ხარ სიგიჟის ზღვარზე,
და ციდან მიწას ეტრფიალები...
იცი, რას ებრძვის მუდამ გრიგალი,
როცა შლეგივით ესხმის ქალაქებს,
და არწივივით თავისუფალი,
ზღვებს ქარიშხლებთან ალაპარაკებს...
თურმე მონობას, თურმე ლაჩრობას,
თურმე ვერ იტანს დუმბილს, სიმშვიდეს,
და ებრძვის ისიც ამ უაზრობას,
ჩვენ რომ ვერაფრით გამოვისყიდეთ...
წამოდი ჩემთან, ღრუბლებთან ახლოს,
ტანს ქარიშხლები გაგბანენ დილას,
მე არწივებთან და მზესთან ვსახლობ,

მზესთან, რომელიც შენსავით ბრწყინავს...

მე სიმამაცე ზღვებმა მაჩუქეს

ისევ მოველი ბიბლიურ თავსხმებს,
დარტყმას დარტყმაზე, ისარს ისარზე;
წელზე შევიბამ სხივების სარტყელს,
და ზეცას თავზე შემოვისარკებ...
რომ გაცოფებულ ზღვის ტალღებს ავყვე,
რომ მათთან ერთად ხმელეთს შევემსხვრა,
მძევლად ეს მთელი სამყარო მყავდეს,
და ერთი-ერთზე ვიყო ღმერთებთან...
და თუკი ბედმა მართლაც მაჩუქა
ეს სილამაზე და საოცრება,
მეც შევიყვარებ, რაც ღმერთებს უყვართ,
კლდეებს მივამსხვრევ, ლოდებს მოვსხლეტავ...
მე სიმამაცე ზღვებმა მაჩუქეს,
და გრიგალებმა მომნათლეს მთებში;
თუნდ მთელ სამყაროს წამოვაჩოქებ,
ელვა და მეხი მიჭირავს ხელში...
მე განრისხებულ ტიტანებს ვგავარ,
და რაც არ უნდა ბედმა ჩამწიხლოს,
მე ჩემს მწვერვალზე ყოველთვის ავალ,
უსასრულოა ჩემი სამკვიდრო...

გაზაფხული კვლავ შორს არის

გაზაფხული კვლავ შორს არის,
შემოდგომა მოწყენილა,
სულ ახლოა სუსხი ზამთრის,
მომაბეზრა თავი წვიმამ...
რატომ ერთს არ შემომივლი,
რა გითხარი, რა გეწყინა,
ვუმზერ გზაზე წვიმის ლივლივს,
ზეცას რომ სდის თვალებიდან...
შემოხველ და ტიტებს მიწვდი
მე კი მწარედ გამელიმა...

აუ, როგორ მენატრები...

გაქრები ჩემი თვალთახედვიდან,
და უცხად ისევ გამობრწყინდები,
შენ, ნებიერი ალბათ ბედისგან,
მე, დათარსული შენზე ფიქრებით...

ასე ყველაფერს ქალი იხდენდეს,
ზამთარს, გაზაფხულს, ფერისცვალებას;
რატომ მინდა, რომ სულ შენ გიმზერდე,
ლამის წლებიც კი არ მენანება...
ასე ლამაზი მაინც არ იყო,
ასე შველივით ყელმოდერილი;
მთვარემ თავისი სევდა გამიყო,
მე ლექსი ღამით გადაწერილი...
ნუ მიმატოვებ, ეგებ ჩემსკენაც,
გამოიხედოს ბედმა როგორმე,
კი, მართალია, ახლა ფსკერზე ვარ,
მაგრამ, ძვირფასო, რომ ამოვბობლდე?

ქალი ხარ

როგორ გავიგო, როგორ მიგიხვდე,
რა ბოროტებას იმარხავ გულში;
როგორ გავიგო, ვინ ხარ, პირიმზე,
თუ უკეთური, ბილწი და მრუში...
რაზე ვიფიქრო, ვერ გამიგია,
ბოროტებაზე თუ სიკეთეზე;
მხოლოდ ნერვების მოშლის ნიჭი გაქვს,
თუ კეთილი ხარ და იმიზეზებ...
იქნებ შური გკლავს, იქნებ ბოდმა ხარ,
იქნებ გველი ხარ, ანდა, კრაზანა,
ვინ იცის, იქნებ, ცისკრის ლოცვა ხარ,
მზე ამოსული ჩვენს გასახარად...
ქალი ხარ, მარტო ეს ვიცი მხოლოდ,
მე კი ანგელოზს ვეძებდი შენში,
ახლა რომ ბედმა გამომიქროლოს,
იცი, რა ელვის სისწრაფით შეგვცვლი?

რატომ ვაშრობდი ზღვის ტალღებს ცეცხლით!!!

ქალი ვარ მარტო, ეს ვიცი მხოლოდ,
მითხარ და ფრთხილად შემომაცქერდი;
მე კი მინდა, რომ მაგრად მოთოვოს
და ვზზრიალებდეთ თოვლში ალერსით...
მე კი მინდა, რომ შენს ლურჯ თვალებში,
აუძღვრეველი ცა ჩანდეს მხოლოდ,
და როგორც გემმა ოკეანეში,
ჩემს ნატკენ სულში სიმშვიდე ჰპოვო...
ჰო, მინდა, მინდა, მე შენთან ყოფნა,
და ვერ წამართმევს შენს თავს ვერავინ,

ზამთარიც გავა და მაინც მოვა
აპრილი თავის ჭრელი პერანგით...
ვიცი, რომ მუდამ მოგენატრები,
როცა მაისი თავს გაიგიჟებს,
როცა თავისი თეთრი ვარდებით,
გაიმეორებს ისევ იგივეს...
ძვირფასო, დრო კი არ მენანება,
რაც გავიარე, შერჩა წარსულებს,
უბრალოდ, ვფიქრობ, როგორ გამეზნა,
რომ ჩემი როლი ვერ შევასრულე!
რატომ ვკოცნიდი ცრემლიან თვალებს,
რატომ ვაშრობდი ზღვის ტალღებს ცეცხლით,
ან ასე მძაფრად რად შეგიყვარე,
თუ გიხილავდი ამდენად შეცვლილს?!

გაჩუქებული წითელ ვარდებს

წლები გადის, წლები გადის,
ვარდს ვარდები სცვლიან ბაღში,
ჩემს სულში კი ისე ბარდნის,
როგორც მთებში თებერვალში...
ჩემი იყო, ჩემთვის თრთოდე,
გაჩუქებული წითელ ვარდებს,
შენ კი კოცნით დამათრობდე,
როგორც თასი ღვინით სავსე...
შემიყვარე, შემიყვარე,
იცი, როგორ? ისე მწვავედ,
ვით კოცონზე ცოდვის ღამეს,
ერეტიკოსთ ცეცხლზე სწვავდნენ...
შემიყვარე სანამ მინდა,
შემოგხვიო წელზე ხელი,
რომ მაგ ცხელი ბაგებიდან
მეჩურჩულო ვნების ენით...
შემიყვარე, შემიყვარე,
სანამ ჩემთვის წითლად ვარდობ,
გინდა, ჩემთან დარჩი ღამე,
მე ხომ შენზე მართლაც ვდარდობ...

ალბათ ყველა ვარდის ჯიბრზე

მეც ცოდო ვარ, შენც ცოდო ხარ,
ნეტა, სხვებსაც ვეცოდებით?
ეგებ შევხვდეთ, ჰო, როგორღაც,
როგორც ძველი მეგობრები...

არა გჯერა, მართალიც ხარ,
მეც არ მჯერა ჩემი თავის,
მაგრამ მაინც მინდა გითხრა,
რომ მაგონებ უცხო ყვავილს...
მარტოდმარტოს გაშლილს ბაღში,
ალბათ ყველა ვარდის ჯიბრზე,
მართლაც, ყველა ყვავილს წაშლის,
შენი მკერდის სიფაქიზე...
და რომც გითხრა, ვერ შევცოდავ,
სჯობს არაფრით დაიჯერო,
რა ხანია შენზე ვბოდავ,
ვით დამჭკნარი ვარდის ღერო...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
რომ შენს გვერდით ამოვიდე,
გადმორგული სხვა ბაღიდან,
ყვავილს შენსკენ გადმოვხრიდე...
მერე ჩუმად ჩაგეწვნიები,
თუნდაც ყველამ დაგვინახოს,
მაგ თეთრ მკერდზე ჩაგეჭკნები,
ჩაგაკვდები გულთან ახლოს!!!

მართლაც ვინ იცის

ჩვენ ხშირად ვცდებით, როცა მისამართს,
ვაწერთ და წერილს სადმე ვაგზავნით,
და ამის გამო ხშირად ბედს ვკარგავთ,
და გვეკარგება თვით მისამართიც...
შენ კი ასეთი ლამაზი რომ ხარ,
მართლაც, ვინ იცის, საიდან სადა,
ვისგან არ მოგდის კოცნა თუ ლოცვა,
ამ დამეწყრილი დღეების ნაცვლად...
იცი, ძვირფასო, მეც ხშირად ვცდები,
და მე ამასთან ვერაფერს ვაწყობ,
თუმცა, ვინ იცის, რას გვჩუქნის ბედი,
ან ღმერთს ჩვენთაგან რომელი ახსოვს...

თუ გინახავს ტბაზე ვალსი

რა ლამაზი იყავ მაინც,
გიხდებოდა გედის ყელი,
ყვავილების სუნთქვასავით,
ნატიფი და მიმზიდველი...
თუ გინახავს ტბაზე ვალსი,
გედები რომ ასრულებენ,

არის რაღაც ჯადოს მსგავსი,
ერთურთს ფრთხილად ფრთებს რომ ხვევენ...
ყელს ყელზე რომ გადაწნავენ,
და ტრიალებს თეთრი ტანი,
ლერწმის ჩრდილში წვება მთვარე,
ამ ცეკვების ნახვით მთვრალი...
ვარდობის თვე როცა მოვა,
ტბის ნაპირას მოდი მარტო,
ყელი ყელზე, რომ ჩვენც ორმა
გედებივით გადავხლართოთ...

რა ლამაზია!!!

მე შენი სახე მაგონებს აფრას,
ნავისას, ზღვაში ქარებს რომ მიაქვს,
სილამაზისთვის შენ გცემდნენ თაყვანს,
სიყვარულისთვის შენ ქალი გქვია...
სწორედ მაგიტომ მიყვარდი ალბათ,
რომ მეპასუხა შენი გრძნობისთვის,
რომ თავი გეგრძნო სრულყოფილ ქალად
მიწაზე, ცაზე, ხალხში, ლოგინში...
რომ დაგემლია სიმორცხვე შენი,
რომ სიხარულის გქონოდა განცდა,
რომ როგორც არწივს ცაში გაფრენილს,
დაგდევენებოდა წყურვილი კაცთა...
რომ დავფიქრდები, ო, როგორ, იცი?
მეცოდებიან ანგელოზები,
რადგან არ უჩქეფთ მარღვებში სისხლი,
არ განუცდიათ, ვნება, კოცნები...
ჰოდა, ვერ ვხვდები დღემდე ვერაფრით,
თქვენ ანგელოზებს რად გეძახიან,
გესმათ სახელი? ეს მე გეძახით,
მე ვყვირი თქვენზე: რა ლამაზია!!!

მოდი და მართლაც გამოიცანი (ნუცა შანშიაშვილს)

თქვენ მიდიოდით, რათა გემღერათ,
თქვენ აქ სიმღერის არ მოგცეს ნება,
თქვენ აქ სჭირდებით მხოლოდ მძევლებად,
ანდა, ისედაც რა გვემღერება...
რა გვემღერება, ან ვისთვის ვმღერით,
რამდენი რამე გვაქვს საკითხავი,
ვინ მოყვარეა და ვინ კი მტერი,

მოდი და მართლაც გამოიცანი...
და თქვენც გარბიხართ, იქ სადაც მოგცეს,
უფლება მღერის, უფლება ცეკვის,
და როგორც ხისგან გაცვენულ ფოთლებს,
მიგაფრიალებთ ბორბალი ბედის...
მიგაფრიალებთ, სადაც არავინ,
არავინ არის თქვენზე მლოცველი,
სადაც ფულია გულის წამალი,
სადაც ბედია ფულის მომცემი...
მაგრამ, ძვირფასნო, ვინ რა გაუგოს,
ბედისცვალებას, ფერისცვალებას,
ვისღა სცალია თქვენს სააუგოდ,
ან ვისღა ახსოვს თქვენი წვალება...
და თუკი, მართლაც, ასე შემთხვევით,
ზოგჯერ შემთხვევით გხვდებით და გისმენთ,
გადახვეწილნი ბედის მძევლები,
აღბათ, ჩვენთვისაც მღერიხართ ისევ!!!

მოვა, მოვა შემოდგომა

ჯერ ვერ ვიგრძენ შემოდგომა,
ვერც სიცივით, ვერც სინაღვლით,
მაგრამ, ვიცი, მალე მოვა,
მალე მოვა, მე ვინ მაცლის...
ადრე რაღაც მაწუხებდა,
თითქოს, მართლაც, რაღაც მღრღნიდა...
შემოდგომა ასრულებდა
წლებს დაწყებულს იანვრიდან...
რატომ ხდება, რატომ ხდება,
მუდამ ასე უცნაურად,
ის რაც გვიყვარს გვეკარგება,
და თავიდან პოვნა უნდა...
სად ვიპოვო სიყვარული
გაფრენილი წლების წინათ,
შენს ლოყებზე მზის აღმური
ჩემთვის ისევ ისე ბრწყინავს...
მოვა, მოვა შემოდგომა,
მოიყოლებს თავის სევდას,
ვიცი, მისი გულისწყრომა
მეც უცილოდ შემეხება...

ამოიღე მაგ გულიდან

ზოგჯერ როცა წარსულიდან
გვესმის თქვენი ხმები,

რა დრო არის გასული და
მაინც ასე ვტკბებით...
რა დრო არის გასული და
თანაც როგორ მწარე,
ამოიღე მაგ გულიდან,
ამოიღე მალე...
რაც კი რამე, რაც კი რამე,
დაივიწყო გინდა,
როცა მიწა მიაყარე,
ვინც სიხარულს გგვრიდა...
და იმდერე იმ წუხილზე
ოცნებებს რომ კლავდა,
შენს მიმწუხრზე, გრძელ მიმწუხრზე,
სასაფლაოს კართან...
და გრძელდება ეს სიმღერაც
უსასრულოდ ალბათ,
ბედი ისევ იბღვირება,
ბედს სხვა უყვარს ნაღდად...
ჩვენ კი ჩავკლათ სიმღერაში,
რამაც დაღრღნა გული,
კარგად მოჩანს შენს მზერაში,
მარტოობა სრული...
მარტოობა, მარტოობა,
განაჩენი მკაცრი,
ბედთან ომი, ბედთან ბრძოლა,
ჟინით, გრძნობით, განცდით...

იცეკვე ჩემთვის

იცეკვე ჩემთვის, იცეკვე ჩემთვის,
რომ ჩავიხედო შენს სულში ჩუმად,
ნუ შეშინდები, თავზე არ გესხმი,
და მაპატიე უხეში თუ ვარ...
საოცარია, შენს გულისცემას,
რომ შემიდლია წლობით ვუსმინო...
რომ ბოლოს, ალბათ, გავანდო ყველას,
რა სული გქონდა, წმინდა, უპირო...
რას არ ამბობენ, რას არ იტყვიან,
ქალზე და ის კი მაინც ქალია,
ან მე უშენოდ რა შემიდლია,
უშენოდ, იცი, რა საწყალი ვარ...
სტუმარს ვერ ვიღებ, ვერ გავაცილებ,
რას ვფართიფურთობ, თვითონ არ ვიცი,
ვინც დამინახავს ყველა დამცინებს,
ჭიქა გამიტყდა, ხელი დავიწვი...

იცეკვე ჩემთვის, თუ შეგიძლია,
იცეკვე ჩემთვის, როგორც პირველად,
სანამ ვენები გადამიხსნია,
ამ წყეულ დღეთა დასავიწყებლად...
იცეკვე ჩემთვის, ჩემთვის იცეკვე,
და ჩამახედე, შენს ნატიფ სულში,
მინდა მივაგნო იქ იმ სიკეთეს,
რომლითაც მშვიდად მკოცნიდი გუშინ...

რატომ მგონია

რატომ მგონია, ერთხელაც მოხვალ
და მერე აღარ გამეკარები,
ქვეყანა იქცა ყოფნა–არყოფნად...
შენ დახუჭული რად გაქვს თვალები...
სიგიჟე უკვე ნორმად ითვლება,
რა უსწრაფესი გახდა რიტმები,
მითხარ, საიდან ამდენი ვნება,
ეს აუხსნელი პარადიგმები...
მივყვები, მაგრამ ასე მგონია,
რომ ყველაფერი იქცა ერთ სცენად,
სად ყველა ყველას თანასწორია,
თუმც ჭალი სკდება და თავს გვემსხვრევა...
თვითონ სამყაროც იმსხვრევა თითქოს,
ყველა მცნებებმა დაკარგეს ფასი,
რომ სიყვარული ისევ მსხვერპლს ითხოვს,
და ისიც ჭალზე ჰკიდია თასმით...
სამყარო მხოლოდ ერთი დღით ცხოვრობს,
და არ არსებობს არცერთი ხვალე,
მითხარ, ძვირფასო, სიმართლე მხოლოდ...
დღეს თუ მე მომკლეს, ხვალ ვის მოკლავენ?

რა მელის შენგან (ირმა ხაჩიძეს)

ჯობს რომ დავბრმავდე, არა, ისედაც,
კიდევ თუ შემხვდი მე დავბრმავდები,
ეგ შენი კდემა ისე გიხდება,
მაგიჟებს, შენ კი მედაქალები...
ნეტა, გიხსნიდა ვინმე სიყვარულს,
ან გყვარებია ვინმე ოდესმე,
ჰო, იცი, ბევრნი გაგიხსნიან გულს,
თუმცა, სიყვარულს ბევრთან ვერ შესძლებ...
მე კი არ მინდა, მე კი არ მინდა,
თუკი ვინმე გყავს იმას გაგყარო,

მე მოსული ვარ სხვა ვარსკვლავიდან
და თუ მიყვარხარ, როგორ დავმალო...
მიყვარხარ, გეტყვი კიდევ ათასჯერ,
რა მელის შენგან, ტრფობა? სასჯელი?
ძვირფასო, წავალ მე ამ თამაშზე,
თუკი უშენოდ ცოტაც გავძელი...

განა რა მინდა (ნინოს, მესხორაძეს)

როგორ გავიგო, რა გიყვარს, რა გსურს,
თუ არა მნახავ, თუ არ მითხარი,
რატომ მაგონებ მზის და ცის ასულს,
რატომ ანათებ, როგორც ცისკარი...
რა ვიცი, იქნებ არც დაიჯერო,
რომ შენთან მინდა, რომ დაგეძებდი,
მე შველა მინდა, იქნებ მიშველო,
და ნუ დამძრახავ თუ შეგეჩვევი...
ნუ გელიმება, მე საღიმელოდ,
კარგა ხანია აღარ მცალია,
მინდა ტყვიები რომ ავიცილო,
ჩემი გული ხომ ნატყვიარია...
განა რა მინდა, განა რასა გთხოვ,
ჩემთან მოხვიდე როცა ქარია,
რომ შენი მკერდით ცოტა გამათბო,
რომ დამავიწყო რაც მინანია...
მითხარ, ძვირფასო, მოხვალ თუ არა,
მქონდეს, დღეიდან შენი იმედი?
ჩემს გულს გრიგალმა გადაუარა
და მხოლოდ შენ თუ გააღიმებდი!!!

მითხარ, ძვირფასო, ყოველი დღე რად მენანება...

როცა მზე ჩადის და სხივები იწყებენ თამაშს,
როცა აჩრდილნი დასალიერს მოადგებიან,
შორს ჰორიზონტი მოვარდისფროდ დაიწყებს ღაღღაღს,
და მთვარის სხივებს ვარსკვლავები მოაწყდებიან...
როცა მზე ჩავა და ზღვის პირი ალაპლაპდება,
როცა დაიწყებს ღამე დაკვრას სევდის ნოტებზე,
ნიჟარებიდან მარგალიტებს ამოჰყრის ზეცა,
და ჩამოჰკიდებს ქარვის მძივებს მთვარის ყლორტებზე...
მითხარ, ძვირფასო, ყოველი დღე რად მენანება,
რატომ მგონია, რომ ერთი დღით კიდევ გამძარცვეს,
რომ ძველებური სიყვარული და მხურვალეობა,
მოკვდა და ნულარ ელოდები ნულარც ამ ღამეს...

მალე ტალღები ჭინკებივით აცეკვდებიან,
მოდი, ჩამისხი ამ ჭიქაში სევდის წვეთები,
და სანამ ბოლო ნაპერწკლები წყალს აკვდებიან,
შენს მწუხარებას ჩემებურად დავეწვეთები...

ვფიქრობ ერთადერთი ვარ (გალაკტიონი)
ბეგლი ავიგე ხელთუქმნელი (პუშკინი)

ყველას არა აქვს ქვეყნად ღირსება,
და ვერ იქნება ვერც ყველა ბრძენი,
დაფნა ყოველთვის სხვისი იქნება,
მაგრამ სამყარო იქნება ჩემი...
სახელიც მუდამ სხვისი იქნება,
ალბათ სახრავიც, სხვა სიკეთენიც,
მე კი ვენდობი ჩემს მაჯისცემას
რომელიც მხოლოდ ჩემს რწმენას შველის...
გაუშვი მათი იყოს დიდება,
თუ ასპარეზი სიყალბეს ერგო,
თუმც სიყვარული ჩემი იქნება,
ერის და ვინმემ წამართვას ვეჭვობ...
ზარ-ზეიმები ბევრი იქნება,
მტკვარი წაიღებს დაფნის გვირგვინებს,
მაგრამ სადაც კი ლექსი ითქმება
იქ ჩემი რაშიც დაიჭიხვინებს...

რაც უნდა მოხდეს

მე კარგად ვიცი, რისთვისაც გავჩნდი,
მაგრამ არ ვიცი, თუ დამაცლიან...
მგონი, ოცნებაც გამხდარა მკაცრი,
ზღაპრებსაც მგონი სულ სხვა ფასი აქვს...
თუმცა, ძვირფასო, რაც უნდა მოხდეს,
შენს ზარებს მაინც დაველოდები,
რა ვქნა, ვერ ვიტან იუდას კოცნებს,
ანდა, ვის უყვარს მისი კოცნები..
იცი, რა მიყვარს? შენი ნათება,
შენი თვალების ლურჯი ცისკრები,
შენს გვერდით ყოფნა მეძვირფასება,
როცა ჩემს თვალწინ ჩუმად იწვები...
კიდევ მითხარი, კიდევ მითხარი,
რომ შენც უჩემოდ არ შეგიძლია,
შენა ხარ ჩემი დილის სიზმარი,
ჩემი ოცნებაც და იდილიაც...
და რაც არ უნდა გაცვდეს გრძნობები,

არავინ არ მსურს მე შენს სანაცვლოდ,
მხოლოდ იმიტომ, გემშვიდობები,
სხვის სიყვარულშიც რომ გითანაგრძნო...

ემმაკმა უწყის

ყველაზე მწარე რა არის, იცი?
ბედნიერებას ციდან რომ ველით,
ის კი ვინ იცის, გვერდითაც გვიზის,
უბრალოდ, უნდა მოჰკიდო ხელი...
ყველაზე ძნელი რა არის, იცი?
შეცდომის პოვნა საკუთარ თავში,
როცა ბრუნდები და არვინ გიცდის,
სიცოცხლე გინდა და არვინ გაცლის...
ყველაზე ცუდი რა არის იცი?
ემმაკმა უწყის, რაღაცას ვბლანდავ...
იქნებ, იმედის დაკარგვის შიში,
ან იქნებ მკვდრების სამარის ძარცვა...
როცა საფლაგზე დაგდებულ ყვავილს,
ლუკმაპურისთვის იპარავს ვიღაც,
ამ დროს ქვესკნელში სატანა ბღავის,
და სირცხვილისგან იწვევა მიწა...
როცა თითს აჭერს სასხლეტზე ვიღაც,
მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის,
და ცეცხლის ალში ეხვევა მიწა,
და ტყვია ხვდებათ ღმერთებს მიზანში!!!
როცა დიდი ხნის ცოლი და ქმარი,
ჩხუბობენ სახლში არაფრისათვის,
მოდის და აღარ ბუტბუტებს მტკვარი,
აღარც თავს იკლავს არაგვისათვის...

ბედი ყვავის ტუზს შემომაპარებს

რაც უნდა კარგი დღეები მექონდეს,
ბედი ყვავის ტუზს შემომაპარებს,
წლებს, როგორც ხეზე ჩამომჰკნარ ფოთლებს,
სულს ვუბერავ და მაინც ვფართხალებ...
თუმცა, ვერაფრით ვერა ვჭირი ამ ტუზს,
ვერ დავიჭირე ხელში ჯოკერი,
ტყუილად მიცდი, ძვირფასო, პასუხს,
მიიღებ, ალბათ, ღვთის ხელმოწერილს...
სადაც ჩამოთვლილ ცოდვათა შორის,
არა იმრუშოც, მუდამ წერია...
მე კი ყოველწამს შეცდომა მომდის,

რაც ღვთისთვის, ალბათ, ბევრზე-ბევრია...
ჰოდა, მითხარი, ვინ მომცემს ნუგემს,
შენი ტუჩები ალუბლისფერი?
თუ სულს დაცემულს და ასე უხეშს
უკვე დაცინვაც ველარას შველის...
და რადგან კარტში ისევ ამომდის,
გულის დამა და ყვავის ვალეტი,
მოდის, დავიცდი ამ საღამომდის,
დაველოდები ღმერთი რას მეტყვის...
ნუ გეცინება ჩემი ტამარი
მე თვითონ ვაგე ჩემი ხელებით,
და ყველაფერი შიგ რაც რამ არის,
სავსეა მართლაც საკვირველებით...
მაგრამ ამ დღიდან, მე ერთი ვიცი,
კვლავ ბედისწერა თუ გადამარჩენს,
რადგან, ძვირფასო, სიკვდილი მიცდის,
და ისევ შენგან ველი განაჩენს!!!

რა მექარება

მიყვარს, მიყვარს ქარი რომ ქრის,
და მზის დისკო წითლად ფეთქავს,
შემოჰყვება ქარებს თოვლი,
და, ნეტა, რა მექარება...
რად მეძახი, რად მეძახი,
ვიცი, სულ არ გენანები,
თუკი ვიყავ შენი განძი,
რად გავძარცვეთ ერთმანეთი...
გათენდა და ქარმა ქარი,
მომიგზავნა, მომისია,
მთვარის გულში გაჩნდა ბზარი,
მთვარე ღამის ლოდინშია...
ქარი ქრის და ალვა ტყდება,
ვიღაც ეძებს ქარში ტამარს,
ვიცი, ერთად დამატყდება,
ყველა ცოდვა, ყველა ჯვარცმა...
აღარ მოვალ, აღარ მოვალ,
რაც არ უნდა ბევრჯერ მთხოვო,
მეც ვიქცევი ალბათ თოვლად,
რომ ჩვენს სევდას დავათოვო...

მაშინ, რაღაა ჰარმონიული?

რატომ მგონია, დღემდე არ ვიცი,
რომ არც სახელი და არც დიდება,
ნიჭი, ღირსება, რწმენა, ხალისი,
არასდროს ვერცხლზე არ იყიდება...
დღეს თუ ღმერთი ღმერთს ვეღარ ენდობა,
მაშინ, რაღაა ჰარმონიული?
ვის გაუგია კატის ვეფხვობა,
რაც უნდა ბევრი იშოვოს ფული...
იცი, ძვირფასო, მეც მიმაჩნია,
ვჩნდებით და, ალბათ, ერთმანეთს ვეძებთ,
ბედნიერება დიდი განძია,
მას პოვნა უნდა, იპოვი? შეძლებ?

მაშ, ედემის ბაღს ეს არ სჯობს?

ან კაცმა რომ თქვას, იყო კი ვითომ?
ედემის ბაღი, როგორც ასეთი...
ან ღმერთმა ვითომ რატომ დაგვითმო,
ბაღი განთქმული სიხასხასეთი...
და სხვასაც გეტყვით, მე მირჩევია,
ეს მიწა ჩემი გვალვადაკრული,
სად გაუვალი ტევრიც ბევრია,
მაგრამ ბრიალებს ხომ გაზაფხულიც...
ამ წამს ღრუბლებმა საკუთარ მკერდზე,
ცისარტყელები შემოისარკეს,
გიჟდებიანო, ღრუბლები მზეზე,
უნდა ამბობდნენ, მგონი, სიმართლეს...
ელვა ზეცაზე გაკრთა და მეხმა
ცა დააბნია ჭექა-ქუხილით...
და მიდის, მიდის ბარათი მზესთან
ხან ტკიცინა და ხან დაჭმუჭნილი...
აი, რატოა, თურმე, ბუნებას
გამოდარება რომ უხარია...
ედემის ბაღში ვინ დაბრუნდება,
მართლაც, ყველანი აქ თუ არიან?!!

ელისო ყუშიტაშვილს... მე ის სკოლაში ქართულს მასწავლიდა...

მე უამრავი რამ დამავიწყდა,
ბევრი ტკივილი და სიხარულიც,
როგორ ჩნდებოდა სულ არაფრისგან,
ოცნება სადღაც გადამამული...
დიახ, ოცნებას ვინც მასწავლიდა,

ვინც ხელს მიწვდიდა და მაქეზებდა,
ვინც დასცქეროდა ჩემს მერხს მაღლიდან
და წიგნის ყდებზე ლექსებს ეძებდა...
ის არასოდეს დამავიწყდება,
მისი ღიმილი და ხელი შუბლზე,
მუდამ ქცეული თითქოს ფიქრებად,
განცვიფრებული შენს სულს რომ უმზერს...
ერთხელაც, როცა შემთხვევით შევხვდი,
სადღაც ქუჩაში, დიდი ხნის მერე,
ვკითხე: მას, ნეტა, რას მაქეზებდით,
მასე ხომ ყველა ბავშვებიც წერენ!
კი, მართლაც, იცი, საშინლად წერდი,
არ დამიმალა და მითხრა წყნარად,
მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ შენ შესძლებდი,
ოდესმე წერას ძალიან კარგად...
ის აღარაა, მაგრამ ის ჩემთვის
დღემდე ჟურნალში კითხულობს სიას,
დღემდე მისი ხმა ისევ ჩამესმის,
დღემდე ის ჩემი ანგელოზია...

ვისაც გინდა უყვარდე

როცა მარტო ვარ და სარკმელს გარეთ,
მემოჩვეული ქარი ხმაურობს...
ფოთლებს წამოყრის, დააბზრიალებს,
და გაირეკავს სამოგზაუროდ...
ან ასე მძაფრად რად მახსოვს, ნეტა,
ძველი ჩარჩო და ძველი დარაბა,
სარკმლის რაფაზე ვერცხლის მონეტა,
და ქარი სულში როგორ ატანდა...
ძვირფასო, ვისაც გინდა უყვარდე,
გიგოს ხავერდის ფიანდაზები,
ვარდებს გჩუქნიდეს თუნდაც მუდამდღე,
კოცნოს ეგ შენი თეთრი მკლავები...
ჩემს ხსოვნას მაინც ვერ შეეხება,
ის ჩემი სულის გახდა მკურნალი,
ჩვენი შეხვედრა იყო შემთხვევა,
გაყრა კი ალბათ გარდაუვალი...

პეპელა ხარ

პეპელა ხარ, სადაც გინდა გაფრინდები,
იფარფატე, ილივლივე ჩემო კარგო,

მრავლადაა ველზე ჭრელი ყვავილები,
შეუძლიათ სილამაზით რომ დაგატკბონ...
მოიცილე, მოიცილე გულის დარდი,
ტყუილია, რომ პეპელა ორ დღეს ცოცხლობს,
დღეს, ვინ იცის, რამდენ ყვავილს შეუყვარდი,
ხომ ვერ მეტყვი, შენ რომელი უფრო მოგწონს...
რამდენს შენთვის სიყვარული აუხსნია,
როცა ნექტარს მის გულიდან მშვიდად სწოვდი,
რამდენს იმ წამს ნექტარება განუცდია,
აღბათ რამდენს სამუდამოდ დაახსოვდი...
ახლა სად ხარ, ნეტა რომელ ყვავილს სტუმრობ,
ვინ გაგიხსნა, სამუდამოდ, გულის კარი?
მოდით, ჩემთან, მოდი წყნარად ვისაუბროთ,
მიყვარხარო, როცა შევხვდით, ხომ მითხარი?

ასეა მართლაც

რაც უნდა მოხდეს, მთებს რომ მთები გადაელეწოს,
გაიხსნას ზეცა, წამოვიდეს ზღვა და ღვარცოფი,
დაინგრას მიწა, ქალაქები კოცონად ენთოს,
დანავარდობდეს ქარიშხალი და ქარაშოტი...
უნდა მოგძებნო, უნდა გნახო, უნდა გიპოვო,
სულ რომ დღეები გადაებას არ სასურველი,
მინდა ჩემს გვერდით, სიკვდილის წინ, შენ იყო მხოლოდ,
რომ იქაც გამყვეს სამუდამოდ შენი სურნელი...
ქარი ჩადგება, დაწყნარდება ოკეანენი,
გამოიხედავს მზე ცის თაღზე გალაღებული,
შენს სხვას ჩემსავით არასოდეს მოენატრები,
ან ვინ იქნება სხვა ჩემსავით შენი ერთგული...
აქ გამეცინა, მივანგრე, მიწა, ზეცანი,
ავაბობოქრე ყველა ზღვა და ოკეანენი,
მარტო იმისთვის, ჰო, იმისთვის რომ გამეცანი,
რომ ძილქუშიდან გამომეხსენ ნასიზმარევი...
ასეა მართლაც, სილამაზე დიდი ძალაა,
ბედი და ღმერთი უმიზეზოდ არვის ანიჭებს,
ზოგი ამ ქვეყნად ლელვის ფოთლის ანაბარაა,
მაგრამ თუ შეხვდი, დაგამუნჯებს და გაგაგიჟებს!!!

აქ ყველაფერი გაუფასურდა

ჩვენ გავფრინდებით, ჰო, გავფრინდებით,
როცა შენ მეტყვი, როცა შენ გინდა..
შეკვეთილი მაქვს, ძვირფასო, ეტლი,
რომელიც ჩვენსკენ მოფრინავს ციდან...

ჯობს აქ დავტოვოთ, რაც კი მიწასთან,
ამ წუთებამდე გვაკავშირებდა;
რაც კი გვიყვარდა, ან არ გვიყვარდა,
რაც ჩვენი იყო და გვალეღვებდა...
აქ ყველაფერი გაუფასურდა,
ჩალის ფასი აქვს დაფნის გვირგვინსაც;
რა დრო გასულა, რა დრო გასულა,
როცა გვწამდა და მართლაც გვილხინდა...
მომეცი ხელი, ჩემს გვერდით იყავ,
ჩემს გვერდით იყავ და არ მომცილდე,
მე აქა ვტოვებ აქაურ ნიღაბს,
არ მსურს, რომ იქაც ნიღაბებს ვკოცნიდე!
ამათი იყოს, რაც მიპოვია,
რაც ცეცხლში ვაწრთე და კლდეში ვკვეთე;
აქ ჯალათებსაც ხელზე კოცნიან,
გადაივიწყეს ყველამ სიკეთე!
სულ ცოტა დარჩა, სულ ცოტაც კიდევ,
და სამუდამოდ ამ ცას გავცდებით...
ხელი მომკიდე, ხელი მომკიდე,
გინდა გაკოცო? არ გაბრაზდები?

იყავ ლამაზი

იყავ ლამაზი, იყავ მეტიც, ულამაზესი,
შედარებისთვის კაცი სიტყვებს ვერ პოულობდეს,
ცხოვრობდე თუნდაც სამოთხეში და სავანეში,
ყველა სიმდიდრეს, რაც არსებობს, ყველაფერს ფლობდე...
თუკი მართო ხარ, თუ არ დადის შენს გვერდით ვინმე,
შენს სილამაზეს, თუნდაც, ოქროს ძეგლი დაუდგან,
ისეთი, მართლაც, ამ ხმელეთის ფასიც რომ ღირდეს,
მოსწონდეს ყველას, ყველა სთვლიდეს, განძად, სანუკვრად...
თუ შენს ყვავილებს არავის არ მოაწყვეტინებ,
იყოს ლამაზი, რა ფასი აქვს მასეთ საუნჯეს?
როგორ მომწონდი, რომ იცოდე, ყველას მერჩივნე,
მაგრამ, რა, მერე, შენ ჩემს გრძნობებს ვერა გაუგე!!!

ასი გული რომ მქონდეს (მადონა თევზაძეს)

არაფერი ამ ქვეყნად არა ქრება უკვალოდ,
ვიღებ შენს გამოწვევას, ვიღებ დაუფიქრებლად...
ვიცი, ვიცი, ცხოვრება, რომ გსეტყვავდა უწყალოდ,
ეს ამბავი, ძვირფასო, მომიტანეს ჩიტებმა...
ვიცი, შენც გწყინს ცოტათი, ასე გვიან რომ შევხვდით,
თუმც, გვიან სჯობს, შენც იცი, ვიდრე სულ არასოდეს...

ასი გული რომ მქონდეს, ასივეს შენ მოგცემდი,
რომ ეს ჩვენი შეხვედრა ტკბილად დაგამახსოვრდეს...
მაგრამ ერთი გული მაქვს, როგორც შენც და ჩვენ ყველას,
და ყველაფერს შიგ რომ ვყრით, როგორ იტევს არ გიკვირს?
ჩემთვის იაც შენა ხარ, ვარდიც, ტიტაც, ენპელაც...
ჰოდა, მადლობელი ვარ, ისეც, ამ ყველაფრისთვის...

ფრთები (ირმა აგიბას)

იცი, რას ვფიქრობ, ამ ბოლო დროს, რა შემომიჩნდა,
ამბობენ, თითქოს, ადამიანს არ ჰქონდეს ფრთები...
მე კი, ძვირფასო, დაქანცული ამდენ ომისგან,
ეს მერამდენედ მწვერვალიდან დაბლა ვეშვები...
და ერთსაც გეტყვი, ჩემი ფრთები ჩემი ფიქრია,
ფრთები, რომლებიც ვარსკვლავებზე დამაქროლებენ,
აქ რას აკეთებ, ამ მიწაზე ვერ ამიხსნია,
რით ვერ მოგბეზრდა ეს ლაყბობა კატასტროფებზე...
წამოდი ჩემთან, ჩემი ფიქრის ფრთები შეისხი,
წამო, გავექცეთ ამ პრაგმატულ დარდთა სამეფოს,
აქ არ არსებობს, დამიჯერე, ჩვენთვის მერმისი,
არც სიხარული, არც ოცნება აქ არ არსებობს...
იქ კი, ძვირფასო, თოვლიანი მწვერვალებია,
და იმ თოვლივით სულიც ხდება თეთრი, სპეტაკი,
მე მათთან ყოფნა ბავშვობიდან შემეყვარებია,
და ამ სიყვარულს ვერაფერზე ქვეყნად ვერ გავცვლი.
მე იქ ორბნი და არწივები მითმობენ ბუდეს,
მათზე, როგორც კი გავიფიქრებ, ჩემთან ჩნდებიან...
და არ არსებობს ქვეყანაზე არცერთი ზღუდე,
რომლებსაც, ალბათ, ჩემი ფრთები ვერ შესწვდებიან!

ერთი ნახვით

ერთი ნახვით შემეყვარდი, მაგრამ,
იცი, მხარზე გედო სხვისი ხელი...
ამოფრქვეულ ცხელ ვულკანსა ჰგავხარ,
და ზღვას, ოდნავ გაბრაზებულს ღელვით...
მაპატიებ, დროს ჩამოვრჩი, ვიცი...
ვერას ვუგებ ჩემს მკრეხელურ აზრებს,
შენს სიყვარულს წყალში მშვიდად ვისვრი,
იქნებ თევზი მოვაყოლო ბადეს...
აი, მგონი, ასხმარტალდა კიდეც,
ფართხალებს და კვდება, სუნთქვა უჭირს...
იცი, ჩემში ემოციებს იწვევ,
რალაც ჩამწყდა, იცი, თითქოს გულში...

რადგან მხარზე გედო სხვისი ხელი,
რადგან ჩემი არ იყავი, ალბათ...
გრძნობებს ვთოკავ, თუმც, ვერაფერს ვშველი,
რას გაუგებ, სიყვარულის ანბანს...

იმ ულამაზეს დღეებს მაგონებ

იცი, მაგონებ ჩემ ძველ სიყვარულს,
იმ ულამაზეს დღეებს მაგონებ...
დღეებს, რომელთა დაკარგვაც არ გვსურს,
წუთებს, რომლებიც კენტად არ გვტოვებს...
მაგრამ არ ვიცი, ვისთვის რა იყავ,
ვისთან იწვოდი, ვისთან ფრთხებოდი,
ან ვინ მოგწყვიტა იმ ვარსკვლავიდან,
რომელსაც ასე უფრთხილდებოდი...
რატომ მაგონებ, რატომ მაგონებ,
იმ დღეებს, გულით რომ ვატარებდი,
ყვავილებს უცბად რომ მივატოვე
და აზვირთებულ ტალღებს დავნებდი...
რად შემოხვედი ასე უმანკოდ,
დარბაზში შენი თეთრი შროშანით,
ან ყველაფერი როგორ უარვეყო,
რითაც ავსებდა ამ გულს დრო-ჟამი...
მიყვარდა ჩემი თავისუფლება,
მის მეტი, აბა, სხვა რა გამაჩნდა,
მაგრამ შეგხვდი და ცხელმა ტუჩებმა,
კვლავ ყინულოვან მთებს მიმაჯაჭვა...
და არვინ, არსად ჩემი მშველელი
არც გამოჩნდება, ალბათ, შენს მეტი...
რა ვქნა, მიყვარხარ, ვერ შეგელევი,
გვლავ, რადგან სხვისთვის არ მემეტები!!!

მეც სინათლეს მიველტვი

სილამაზე ხარკია,
ხარკი აურაცხელი,
სახეზე გახატია,
რომ გადაგდის ნათელი...
მეც სინათლეს მიველტვი,
შენსკენ მისთვის მოვქრივარ,
არც ის ვიცი ვის ეტრფი,
არც ვის დაუკოცნიხარ...
დღეს შენ ჩემი ხატი ხარ,
ჩემი ბედის თილისმა,

თავი როგორ დავიხსნა
მიტხარ, ამ წყურვილისგან...
წავალ დავიკარგები,
უგზოდ გადავეგები,
რომ ეგ შენი თვალები
დავივიწყო ეგების...
წავალ კლდეებს, ქარაფებს,
ქედებს შევეხიზნები,
მაგრამ დამაღალატებს,
ვიცი, ჩემი სიზმრები...
სიზმრებს სადღა გავექცე,
როცა მომელანდები,
როცა გამიტაცებენ
შენი მკერდის ვარდები...
და თუ მოვკვდი, ძვირფასო,
თუკი დავთმე სიცოცხლე,
არ წამოგცდეს, მიყვარსო,
არავისზე, იცოდე!!!

ჩემ მზეს გაჩუქებთ

ხელში მიჭირავს მზე, ვანათებ წყვდიადს, უკუნეთს,
ვერვინ დამიშლის თუ ღმერთებსაც გავვეჯიბრები...
უნდა შევაბა ყელზე ჯაჭვი ამ საუკუნეს.
და გადავუმვა სადმე ზღვაში დაუფიქრებლივ...
რადგან დედაა სიძვის, შურის, გაუტანლობის,
სად ჩამოვთვალო, უვიცთა ბრბო შემედავება,
თქვენ, თქვენ, მიტხარით, ვინმეს რამეს, ბჭკარს კი ანდობდით?
მე კი ლექსები მივაყარე ბრილიანტებად...
და რა მივიღე, რა მივიღე ამის სანაცვლოდ,
თუ დამიჯერებთ, გეფიცებით, დღემდე არ ვიცი.
მე ნასუფრალზე არ დავმჯდარვარ ჯერ სათამადოდ...
არც დღეს ვაპირებ სადმე წასვლას ნასუფრალისთვის...
მე ჩემი მზე მწვავს, ჩემი გული მინათებს წყვდიადს,
და არც არაფერს საიდუმლოდ მე არ ვინახავ...
და თუ სამყარო ჭაობშია და მორევს მიაქვს,
ჩემს მზეს გაჩუქებთ, მე მას გულში ვერ დავიმარხავ!!!

ისევ დავბრუნდი

ისევ დავბრუნდი, დავბრუნდი, მაგრამ,
შენ მეტყვი, ვიცი, რომ არ ვარ ღირსი,
რომ ეს ყინულიც ვერაფრით გალღვა,
რომ მთებზე ჯერაც დაცოცავს ნისლი...

რომ ისევ ელი, ძვირფასო, ჯერაც,
მოზოდშიშებას და პატიებას,
რომ ჩემი მეტი აღარა გჯერა,
და მისთვის მოველ, რომ მეშიება...
მე კი გეტყობდი, მართლა, არ ვტყუი...
კი, შესაძლოა, მშიოდეს კიდევ,
ნულარ მამტყუნებ, რადგან დავბრუნდი,
ისედაც ვიწვი, ცეცხლს რას მიკიდებ...
ნუთუ, ძნელია, რომ ორი წუთი,
სულ ორი წუთი ამომასუნთქო,
მე ხომ ამ წუთებს ამდენხანს ვუცდი,
შენ, ალბათ, უნდა მომესათუთო...
კი, გავიქეცი, მაგრამ იცოდე,
შენთან ვიყავი, ფიქრით, სიზმრებით,
არად ვაგდებდი, იცი, სიცოცხლეს
თუკი სიკვდილით გაგაკვირვებდი...
აი, სიმართლე, მაგრამ არ მესმის,
რატომ გწყინს, რატომ, ჩემი სიმართლე?
რას როგორ მივხვდი, გიცქერ თვალებში,
შენი თვალები აღარ ბრწყინავენ...
ვერა, ვერ ვიტყვი, ახლა ბოდიშებს,
რაც გითხარ, ისიც, მგონი, მოვბოდე...
ვერაფერს იზამ, დაცდა მოგიწევს,
როგორ, როდემდე? ალბათ, ბოლომდე...

ანუ ხელდაუკარები

რამდენი რამ არის სუფთა და წმინდა,
ანუ ხელდაუკარები,
მე შენი თვალები ყოველთვის მჭრიდა,
უსუფთავესი თვალები...
და თუ ვიყავი ოდნავ უხეში,
და არ გინდობდი სიყვარულისთვის,
მე მიმართლებდა სიყვარულებში,
რატომ? რა გითხრა, აბა, რა ვიცი...
ჰოდა, მართლაც, რომ არ დავაკაროთ,
ხელი მათ ვისაც ფერება უნდათ,
დამახინჯდება მაშინ სამყარო,
გადაიქცევა ტალახის გუნდად...
ჰოდა, ამართლებს ჩემი დევიზი,
ნუ, ნუ დაინდობ, ნურსად ლამაზებს...
ასე აჯობებს ლამაზებისთვის,
ან ვინღა უგებს მათ ფიანდაზებს...

სევდა

რა მოგახსენოთ, რით გაგახაროთ,
თქვენ, ჩემი სევდის ქალბატონებო...
რა მოვიფიქრო ასე სასწრაფოდ,
თქვენთვის ძვირფასი და საოცნებო...
ანუ ძნელია ჩაზიარება,
და ვფიქრობ, ალბათ, დამეთანხმებით,
რომ მონოტონურ უსაზღვრო სევდას
ატყვია თქვენი ნატერფალები...
ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს შეცვლი,
ღმერთებს სამყარო დავიწყებით,
ვერ გაექცევიტ ღამეებს შეშლილს,
ვერსად წაუხვალთ დღეებს სევდიანს...
მხოლოდ წუთები, მხოლოდ წამები,
გაგახსენებენ ბედნიერებას...
დგას შემოდგომა შეუბრალები,
ალბათ, ზამთრებს რომ შეეფერება...

ისევ გაქრა მერცხალი

ხეებიდან გულგრილად
ცვივა სევდის ფოთლები,
შემოდგომის მწუხრიდან
მიმზერ დანათოვლები...
სეტყვის ღრუბლებს ელიან
მდუმარებით კლდეები,
მალე დაიწყებიან
დიდი გადაფრენები...
ყანჩებსა და წეროებს
მიაქვთ სული თავისი,
ვუსმენ სადღეგრძელოებს
არც თუ ისე ხალისით...
ბუნებამ კი შენსავით
ისევ ფერი იცვალა;
ისევ გაქრა მერცხალი
ჩვენი სარკმლებიდანაც...
სულში დღესაც მარადი
შემოდგომის ქარია,
ქვევრში დატკბა ბადაგი
მე კი არ მიხარია...
გახსოვს როგორ გვიყვარდა,
რთვლის ამბების მოყოლა,
რა სწრაფად ჩაინაცრა,
ჩაქრა ჭიაკოკონა...

მე ისევ ვკარგავ

მომეცი ძალა, თუნდაც სურვილი,
რომ შემოდგომის დღეებსა ვძლიო...
შენ კი ჩემს მიმართ ასე გულგრილი
უაზრო ტირილს გადაგაჩვიო...
არადა, მართლაც, რა საჭიროა,
ისედაც მათრახს იქნევს ეს ბედი,
მე მომკლავს ჩემი გულუბრყვილობა,
მე ისევ ვცხოვრობ ძველ იმედებით...
შემოდგომა კი ისევ მახსენებს,
ჟამის სრბოლას და ცვალებადობას,
თითქოს გასული დროის ნარჩენებს,
ხელში მაჩეჩებს, როგორც წყალობას...
მართლაც ასეა, წლები გადიან,
წლები გადიან და ჩვენც ვიცვლებით,
რაც ჩემი იყო ან მაზადია,
მე ისევ ვკარგავ, ვერ ვუფრთხილდები...
და ასე მშვიდად, თანდათანობით
შემოეჩვია სულსაც სიცივე,
არ შეგიძლია? ჩემთან გადმოდი,
კარს გამოვალე და გამილიმე!

მყინვარი ვარ

ისე მიკვირს რომ ვერ მამჩნევ,
ვიცი ეძებ, მას, რაც ბრწყინავს,
მაგრამ როცა თვალს შემეჩვევ,
დაინახავ ჩემში მყინვარს...
დაინახავ მდუმარებას,
როგორ ებრძვის ცეცხლის ალი,
რომ ჩამქრალმა ვულკანებმა
გაიღვიძონ თუნდაც წამით...
მაგრამ წამიც ვულკანების
ზოგჯერ ზეცას გადასერავს,
და საოცარ მწუხარების
გაიგონებ ციდან კვნესას...
ეს ზეცაა, ზეცა კვნესის,
როცა დგება ავი ჟამი,
და სამძიმარს ვარსკვლავები
უცხადებენ ყოველ ღამით...
შენ გაზაფხულს ელოდები,
აქ კი ცივი ზამთარია,

სდუმან, სდუმან ჩემი მთები,
ვულკანებიც ჩამქრალია...
მყინვარი ვარ, ქარიშხლებმა,
ჩემს კალთებზე დაივანეს,
მაგრამ ღმერთმა თუ ინება,
ასეთ ცივსაც შემიყვარებ!

მოდი, ავაგოთ ხომალდი სულის...

მე დავილაღე ამდენი თმენით,
უშენოდ ვსტუმრობ ყველა დარბაზებს,
ძვირფასო, მოდი, რაც დამრჩა დღენი,
ჩემს გვერდით ყოფნით გამილამაზე...
მოდი, ავაგოთ ხომალდი სულის,
ულამაზესი, უძვირფასესი,
და სიყვარულის ტალღებზე ცურვით,
შევტოპოთ ბედის ოკეანეში...
მე გიერთგულებ, შენც მიერთგულე,
და თუ გრიგალებს გადავეყრებით,
ვარსკლავებს, ჩვენი გზების მეგზურებს,
ავაგებინოთ ტრფობის კედლები...
რომ ვერა ძალა და ვერა მტრობა,
ვერასდროს შესწვდეს სიმაღლეს მისას...
თუ მომკლეს, მაშინ, ვარდებად მოვალ,
რომ ხელთ გეჭირო გასვენებისას...
ჯერ კი, ის ჩვენი ხომალდი გვიცდის,
და მეც დაგიცდი ნაპირზე მარტო...
მოდი, შენი ვარ, სხეულით, სისხლით,
მოდი, მეჯლისი რომ გაგიმართო!!!

თაიგული (ანუ ექსპრომტი ნინოს, მარის, თამუს და ა.შ)

თაიგული შევკარ ვარდთა,
რომ მომეკლა სევდა თქვენი,
ვით შეკრება ლამაზ ქალთა,
ვით ყირმიზი ყელი შველის...
ბავშვობიდან მაცვიოდა
თქვენი სევდის ყვავილები,
და თუ მსურდა არწივობა,
აქაც იყო ბრალი თქვენი...
მინდვრად გნახეთ, გულის ვარდებს,
ხელთ გეჭირათ ყვავილები,
აბა, როგორ არ მიყვარდეთ,

წუთითაც არ დავფიქრდები...
თქვენა გჩუქნით, რაც ბაღებში,
ქვეყანაზე ყვავილია,
შეგრჩენოდეთ ვარდთა ეშხი,
ჩემი გულის წადილია...

როგორ ხდება (ტ-ს)

როგორ ხდება, როგორ ხდება,
გვავიწყდება ერთმანეთი,
როგორც ბროლის ჭიქა ტყდება,
ან წკრიალი ქრება ვერცხლის...
მე შენ ღალატს არ გაბრალებ,
დავიწყების მსუსხავს თოვლი...
გამოვალე ღამით კარებს,
და შენს ნაცვლად მთვარე მკოცნის...
არად ვაგდებ მის დაცინვას,
მთვარეა და ვერას გავხდი...
თითქმის ყველა ვარსკვლავს სძინავს,
გახვეულებს ლურჯ პერანგში...
მე კი შენთან ყოფნა მინდა,
ვერ გივიწყებ გეფიცები,
ჰო, უშენოდ მომეწყინა,
ვერ მართობენ, ვერა, სხვები...
გულწრფელი ვარ, დამიჯერე,
ეს რიტმები ახალია,
მე კი მიყვარს ის სიძველე,
ღამე რითაც გამხვალა...
გელოდები, ერთი სიტყვა,
ასე როგორ გენანება...
დამიჯერე, შენი მხრიდან,
რამის თქმა და გულიც თბება...

არავინ იცის ეს სამალავი

ისევ ავაგე თმენის კარავი,
მარტო ვარ, ნურვინ ნუ შემეხებით...
არა მჭირდება დღეს მე არავინ,
მტკივა ჩემს სულში, რომ იხედებით...
ეს მერამდენედ უკვე, ძვირფასო,
დაკეტილია ჩემი ტაძარი,
მე კი არ მინდა ღმერთებს მივბადო,
გარეთ გამოსვლაც ვერ მოვასწარი...
გულგატეხილი შემომცქერიან

ჩამორეცხილი ჩემი ფრესკები,
ბევრი მათგანი ისე ძველია,
როგორც პირველი პალიმთესტები...
ვინ იცის, რამდენ ტკივილს ინახავს,
ცრემლით ნაგები ტაძრის კედელი...
აღბათ, ჩემსავით იმ ჩემს წინაპარს,
სული გააჩნდა ხელუხლებელი!!!
და მეც დღეიდან აღარ მეძებოს,
აღარ მეძებოს ქვეყნად არავინ,
რადგან იღვაწებს ის უშედეგოდ,
არავინ იცის ეს სამალავი...
და თუ ღმერთებსაც გამოვექეცი,
როგორ მომაგნებს მე აქ მოკვდავი...
ვერც მე ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
შემრჩა იმედი შეუმოსავი...
და ბილიკებიც ჩემსკენ სავალი,
საფლავის ქვებით გადახერგილა,
ნუ მთხოვთ, ნურავინ, ვერ მოგასწავლით,
ჩამთვალეთ, მკვდრად და გადახვეწილად...

ანგელოზებსაც უყვართ ალერსი

წვიმს, წვიმის წვეთებს სარკმლებში ფრთხილად,
შემოაქვთ სევდა და სინანული...
ვიცი, რომ წვიმის შრიალი გიყვარს,
გიყვარს ფოთლებზე წვიმის ხმაური...
როცა წვიმს, თურმე, იქ მაღლა ცაში,
ანგელოზები ტირიან ჩუმად,
თურმე, ეს მათი ცრემლები გვაწვიმს,
გვეუბნებიან ამით სამდურავს...
თქვენ კი, აქ, ჩვენო ანგელოზებო,
ასე რომ გიყვართ წვიმის შრიალი...
როგორ ვიპოვო, როგორ მოვძებნო,
თქვენში ყველაზე კარგი ვინც არის?!
ვინც მაპატიებს ყველა შეცდომას,
სამდურავს გულში ვინც ჩაიმარხავს,
არ დამაფიცებს, ისეც მენდობა..
თან ვეყვარები და დამინახავს...
წვიმს, წვიმის წვეთებს, გარეთ, ბაღებში,
მწვანე ფოთლები დაუნამიათ...
ანგელოზებსაც უყვართ ალერსი,
თუმცა, არ ვიცი რა უხარიათ...

გეპატიება (მიყვარხარ–მეთქი და...)

მეპატიება? ალბათ, სჯობს კიდევ,
მე რა გავიგო ამ სიყვარულის,
ათასი ჭირი ერთად რომ გვჭირდეს,
დავარქვათ ჭირის დღესასწაული... ..
ალბათ, გაივლის ეს მწუხარებაც,
ჩვენს კედლებს ასე შემოჩვეული,
თუმც, ეს დღეებიც დაგვენანება,
ასე ერთფერი და უდღეური...
ერთს კი ვიტყოდი, რადგან ჩვენ შევხვდით,
წყალს გავატანოთ ყველა დარდები,
თუ ყველაფერი ხდება შემთხვევით,
მე დავიწყებ და, ალბათ, ამყვები...
ალბათ, ამყვები და გადამყვები,
როგორც, საერთოდ, ქალებს გჩვევიათ;
რად მენატრები, რად მენატრები,
ვინ იცის, იქნებ, სხვა გირჩევნია....
იქნებ წავიდა და დაიკარგა,
ბედი, რომელიც ჩვენ არას გვკითხავს,
მე იცი, ბევრჯერ, ბევრჯერ მიყვარდა,
აუ, რამდენმა უარიც მტკიცა...
მე მინდა ვიყოთ სიტყვის ერთგულნი,
თუმც, თუ ვერ შევრჩით, არ დამემდურო,
მოდის მდინარე ადიდებული,
შიგ ჯერ მე შევალ, რომ გიმეგზურო...
იქნებ წამილოს, იქნებ გამწიროს,
ბედმა, ვინ იცის, რა ჩაიფიქრა;
ჩემი სიცოცხლის, ტკბილო ნაწილო,
შენ მინდა დამხვდე ყველა ნაპირთან!.

ჩვენი არავის ესმის

ჩვენ ერთნაირად გვტკივა
და ერთნაირად გვილხინს...
ციდან ვარდები ცვივა,
მაგრამ რატომღაც სხვისთვის...
სხვისთვის ამოდის მთვარე,
სხვისთვის მიმოქრის სიო...
და თუ გავდივართ გარეთ,
უნდა სხვის ამბებს ვდიოთ...
კვლავ არაფერი ჩვენთვის,
კვლავ არაფერი, არა,
ჩვენი არავის ესმის,
არც ამ "ოცნების ქალაქს"...
აქ აღარ არის უკვე,

აღარაფერი ჩვენი,
ზღვას ქარიშხლები უტევს,
ფსკერისკენ მიდის გემი...
კი, გპირდებოდი, მაგრამ
მე რა შემეძლო, როცა,
გემს ყველაფერი ჩაჰყვა,
ჩვენი პირველი კოცნაც...
ჩვენი პირველი ღამეც,
გემმა წაიღო, ალბათ,
ვართ მინდობილი ქარებს,
გვწეწენ მადლობის ნაცვლად...
ეს ყვავილები დილის,
შენთვის მოვწყვიტე, ჩემო...
ერთად გავუძლოთ ტკივილს,
როგორც არ უნდა გვცემონ!!!

მოდის მესტუმრე

მოდის, მესტუმრე, გულის კარი გავხსენ ბოლომდე,
გამიჩირაღდნე ეს სამყარო ასე სასტიკი...
მოდის, მესტუმრე, თუნდაც იყოს წარღვნის ბოლო დღე,
და რომც სიკვდილმა მომაკითხოს, მაინც დაგიცდი...
და თუ ხატავენ ამ სამყაროს ვარდის ფერებში,
არა იმიტომ, რომ სამყარო ვარდისფერია...
მე ბევრი რამე დავინახე შენს სიმღერებში,
თუმცა, ჯერ ჩემთვის არასოდეს არ გიმღერია...
შენი თვალები გაბრწყინებულ დღეებს მაგონებს,
დღეებს, რომლებიც ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში,
და თუ გავუძელ დღევანდლამდე ამ სიმარტოვეს,
იყო სიკვდილზე გამარჯვება ჩემი რევანში...
და თუ სიცოცხლეს გამუდმებით არად ვაგდებდი,
ეს იყო სწორედ გამოწვევა ამ უკუნეთის,
შენ კი ამ წყვილიადს ცისკარივით მიჩირაღდნებდი,
რადგან სიყვარულს მიმტკიცებდი ზღვა ერთგულებით...
მოდის, მიმღერე, მეც მოგისმენ უკანასკნელად,
მიმღერე, თუნდაც გაძაღლებულ დღეთა სანაცვლოდ,
რომ ცის ნათელი დამადევნონ შენმა თვალებმა,
და სიყვარული ვარსკვლავებად შემომანათონ!!!

დღეები, როგორც ბარბაროსები...

მე მქონდა ფრთები, მე მქონდა ფრთები,
და ვაპირებდი შენს შეფარებას...
თუმცა, ძვირფასო, გულზე ბზარები,

მე დამიტოვეს სევდის ქარებმა...
და ფრთებიც, ერთ დროს ასე გაშლილი,
დავკეცი, ცოდვებს სად გაექცევი,
და თუკი ადრე ვიყავ არწივი,
დღეს მაბზრიალებს ბედის მეწყერი...
თუკი გარისკავ და გამომყვები,
თუ არ მიაქცევ ფრთებს ყურადღებას...
დღეები, როგორც ბარბაროსები,
კვლავ დასარბევად ჩამისაფრდება...
ბვირფასო, ახლა ღამის სამია,
ვუყურებ, როგორ გადის წამები...
რა მწუხარეა ეს ლიტანიაც,
როგორც სხეულზე სისხლის ბზარები...
მე კი მინდოდა მევლო შენს გვერდით,
როგორც დადიან პილიგრიმები...
შემომეძარცვა დრო და შევჩერდი,
და აღარც შენი შემრჩა იმედი...
თუმცა, დროც არის ახლა სხვაგვარი,
სხვისი სიკეთე არ გვიხარია...
დანგრეულია რწმენის ტამარი,
სულშიც ქარი ქრის დიდი ხანია...

სოფის

რა ფერისაა ია?
რა ფერისაა ვარდი?
იას, რომელსაც სცივა,
მკრთალი ფერი აქვს ნალვლის...
იას, რომელსაც უყვარს,
ვარდისფერები ათბობს,
ასე პატარა თუ ხარ,
ჩემთან რა გინდა ამ დროს?
კაცთან, რომელსაც უკვე,
იების დარდი არ აქვს...
ჩემთან სიმშვიდე სუფევს,
ცასაც ნალველი ფარავს...
გეტყვი, რომელიც მიყვარს,
ყვავილებიდან ჩემო...
ის ძლებს ყველაზე დიდხანს
და აქვს ბაგეთა გემო...

იცინე, იცინე...

ვენდობი, ქარს და ქარიშხალს, სეტყვას,

აბობოქრებულ ზღვასაც ვენდობი,
ვულკანს, რომელიც მეყრება ფერფლად,
ზვავთან ვბაასობ, მუდამ შენობით...
ვენდობი, მეწყერს, ვენდობი ღვარცოფს,
კლდიდან ლოდების ჩამოქცევასაც,
ვენდობი ელვას, მეხს თუ ქარაშოტს,
თვით განრისხებულ მტერს და მდევარსაც...
მაგრამ შენ, ვისაც ამდენი ხანი
ვამკობდი, როგორც ამკობენ ქალებს,
ვეცადე, მაგრამ ვერ გაგიცანი,
და ეს ცხოვრებაც შემომალამე...
შენ ერთს, ვერასდროს ველარ გენდობი,
ჩემი პასუხი მხოლოდ ეს არის,
რას ვიფიქრებდი გველს თუ ვეტროფი,
მკერდზე მატყვია შენი ნესტარი!!!

შენ არ მპასუხობ

შენ არ მპასუხობ, მე გელოდები,
იქნებ ამიხსნა შენი სიჩუმე?
ჩემთან მოფრინდნენ ანგელოზები,
მაგრამ ვერ მივხვდი, რა შემიგულეს..
იქნებ სიკეთე, შენ რომ მაფრქვევდი,
და მეც გადმომდე მათი ნაღველი...
ვერ გამიგია, რას მემართლები,
რად შეიძულე ჩემი სახელი...
ნუ მიპასუხებ, მაგრამ იცოდე,
თუ კი ოდესმე კიდევ შემხვდები,
შენი თითები გამომიწოდე,
ახლა, რომ უკან მიგაქვს ფეთებით...
იცო, ძვირფასო, მე არ გაშინებ,
არც დაბრუნებას მინდა დამპირდე;
ვინ დააბრუნებს უკან არწივებს,
თუკი წავიდნენ, თუკი გაფრინდნენ...

რად შემიყვარდი

რად შემიყვარდი? ვინ იცის, იქნებ,
რომ ამომივსო სიცარიელე...
თვითონ ვერ ვუგებ ჩემს წყეულ ფიქრებს,
ან, თავში როდის, რა გამიელვებს...
რად შემიყვარდი ასე ადვილად,
იქნებ არჩევანს აღარ ვეძებდი,
და თუ შენს მეტი სხვა აღარ მინდა,

მართლაც ყველანი გახდნენ ზედმეტნი...
ნეტა, ხომ არ გწყინს ჩემი სიტყვები,
ანდა, თავხედი ხომ არ გგონივარ?
იქნებ, გგონია ჩამოგიჯდები,
და აღარ გავალ შენი ზონიდან!
არა, ძვირფასო, უმტკივნეულოდ,
წავალ, არ მინდა, გული გატკინო,
ჩუმად, უენოდ და უსხეულოდ,
იცი, არა ღირს, არ გამაცილო!!!

ნუ დამივიწყებ

აღარ მპასუხობ, გადაგავიწყდი,
აღარც ლექსები, აღარც გრძნობები,
მე კი მაწუხებს, იცი, განვიცდი,
იქნებ, უბრალოდ, მემშვიდობები...
თუ ამ დღეებმა სხვაგან წაგიღეს,
სხვა მიწას რწყავენ შენი ღრუბლები...
მე კი უბრალოდ თვალებს მარიდებ,
და არც სიმართლეს არ მეუბნები...
ისიც არ ვიცი, კვლავ დაგელოდო,
თუ სადმე ველად უნდა გავიჭრა?
ინდოელები დავიმეგობრო?
იქნებ, გავუყვე მეც საჰარის გზას?
ეგებ, არც მოგწონს ჩემი ლექსები,
და იმედებთან ერთად მიფხრიწე,
იცი, ვერაფერს, მართლაც, ვერ ვხვდები,
ვერ ვხვდები, რატომ გადამივიწყე...
მე კი მეგონა, ვნახე ლამპარი,
ცა ვარსკვლავებით განათებული,
ბროწეულივით ლოყადამსკდარი
და პოეზიით გატაცებული...
რას არ იფიქრებს ჩემი გონება,
სად მიმომტყორცნის ცოდნის ძაფები,
და ნურც იოლი ნუ გეგონება,
სიყვარულს მძაფრად თუ ვეწაფები...
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ,
შენსკენ მეწევა ბედის გორგალი,
მთებში ჯერ ისევ ჰყვავის პირიმზე,
მე რომ დავრგე და შენი რომ არი...

შორს, როგორც ცაა...

შენ არ მოდიხარ, მე ვიცდი მაინც...

აღბათ შორსა ხარ, შორს, როგორც ცაა,
გეძებდი, მაგრამ დაკვარვე კვალიც,
ვერ ამიხსნია, რა გამოცდაა...
იცი, არ არის ახლა ამის დრო,
ისევ ვარჩიოთ ძველი ამბები,
რა სისხლიანი იყო აგვისტო,
რა დრაკონივით შეუბრალები...
და თუ ვერ გნახავ ველარასოდეს,
თუკი ვერაფრით ველარ მოგწვდები,
კვლავ მომაკითხავს ის სიმარტოვე,
რის გამოც ასე დიდხანს მოგდევი...
როგორც მდინარე გულზე გადამდის,
ხსოვნა, რომელიც შენ დამიტოვე...
და სინანულიც გროშად არა ღირს,
რადგან არა ხარ ჩემს სიახლოვეს...
ნეტა, სად ათევ ღამეს, ღრუბლებში?
თუ ყულფით მთვარის ქიმზე ჰკიდებარ?
ქარებმა მითხრეს თავის ნუგეში,
შემომჩიოდა ზღვა ნაპირიდან...
გავედი, მაგრამ ვერ მივაგენი,
წაშლილა შენი ნატერფალები;
რად ჩურჩულებდნენ შენი ბაგენი,
სულ მეყვარები, სულ მეყვარები!!!

რუსიკოსაც და დანარჩენ ლამაზმანებსაც

ნუთუ ასე ლამაზი ხარ,
ასე ნაზი ვარდისფერი,
რომელ ღმერთმა გაგაჩინა,
გნახე, გულში დავიჭერი...
ჯერ ისედაც ამდენ ვარდებს,
თავს ვერაფრით ვერ ვუყრიდი,
ახლა შენც რომ შემიყვარდე,
ან საიდან შემოფრინდი?
როგორც ვხედავ მე არავის,
აქ არცერთს არ ვებრალები,
მე კი გული რომ მაქვს კრავის,
ვტირი, ისე მენანებით...
რომ ხელთ უნდა ჩაუვარდეთ,
მე კი არა, სულ სხვა აფთრებს,
მირჩევია, მართლაც მკლავდეთ,
ეს რომ ვნახო, ხო გავაფრენ...
ჰოდა, ჩემო ლამაზებო,
მართალია, სამოთხე ხართ,
დღეის იქით არ გაზედოთ,

ჩემს გარეშე გათხოვება!!!

მვირფასო, იცი, მე თოვლში ჩავრჩი...

უკვე დაიდრნენ თეთრი ღრუბლები
და თოვლსაც ველი, როგორც მრავალ წელს,
და ვიცი, რადგან გესაუბრები,
ისევ შენ მოხვალ და გადამარჩენ...
რატომ მგონია, რომ ჩემთვის გაჩნდი,
თუ შენს თვალეში ვკითხულობ ამას...
მვირფასო, იცი, მე თოვლში ჩავრჩი,
და სული ჩემი კვლავ ხელით დამაქვს...
როგორ მინდოდა, ისევ მეხილე,
შენ კი სახეზე ხელებს იფარებ,
ვერ გავუძელი მე ქარტეხილებს,
მე სულით ხელში გარდავიცვალე...
თოვლი კი, ისევ და ისევ მოვა,
ისევ მოვა და გადაგვათოვებს,
შენთან მექნება მე ერთი თხოვნა,
პატივი ეცი ჩემს სიმარტოვეს...
შენ კარგად იცი, გელოდე დიდხანს,
არც ტკბილი სიტყვა არ დავიშურე,
ის სიყვარული იმ ქარებს მიაქვს,
კარს რომ გვიღებდნენ კართან მისულებს...
მე გამჭვირვალე თოვლს ველოდები,
რომ ნაძვნარივით მორთოს ქალაქი,
მაშინდელივით თოვლში ვშორდებით,
ისევ თოვლია ჩვენი ჯალათი...
მვირფასო, იცი, მე მაინც მიყვარს,
ჩუმად რომ დგახარ და თოვლი გათოვს,
და შენი სახეც თეთრი თოვლისგან,
რომ ემსგავსება ზეციურ მნათობს...
და როცა უნდა მაშინ მოვიდეს,
ან თუ არ უნდა, სულაც ნუ მოვა,
გეტყვი, რომ ისევ ვხედავ თოვლისფერს,
ბოლო დროს წლებმა რომ დაგვათოვა...

მივაგენი რაღაც ისეთს

მივაგენი რაღაც ისეთს,
მოგონებებს რძით რომ კვებავს,
პირველ კოცნის სიფაქიზე,
პირველ ღამის სიტკბობა...
შიში, თრთოლა, შემფოთება,

მუძუს კერტი გაკვნიტილი,
ექვიანი შემოხედვა,
შეკივლება და ტკივილი...
ჩაყუჩება, გაყუჩება,
მკერდში გულის ბაგაბუგი,
ცოტა კოცნა საჩუქრებად
სახე მშვიდად გაბადრული...
ჩვენ ამ ღამეს, პირველ ღამეს,
იმ ნაღვლიან დღეებს ვპარავთ,
რაც სულ მალე უნდა დადგეს,
რაც იმ სიტკბოს გადაფარავს...

მე და შენ რომ ვართ... ნუცას...

მე და შენ რომ ვართ, მე და შენ რომ ვართ,
თუნდაც გვისროლოს ბედმა მთვარეზე,
მაინც არ შევწყვეტთ არასდროს ბრძოლას,
სანამ სიკვდილი მოგვიალერსებს...
მე და შენ რომ ვართ, ჩვენისთანები,
ისე ცოტანი იბადებიან,
მე და შენც თუკი ამათ დავწვდით,
ცას ვინ შეხედოს ვარსკვლავებიანს!
მზეს ვინ ჩახედოს მაშინ თვალებში,
ვინ გადაუჭრას ჯაჭვი პრომეთეს,
ან ჩირაღდნები ამ ყიამეთში,
ვინ გამოსტყორცნოს ამ სიშორეზე...
იმღერე, სანამ გულის აორტა,
გასკდება თუკი გასასკდომია,
შადრევანივით თუკი ამოსკდა,
გრძნობა, რომელიც მკერდში გვდგომია...
გამოვირეკოთ შავი მერნები,
რომ ანათებდნენ მინდვრებს ნალები,
ვიქნებით, ვითომ ბედნიერები?
თუ მუდამ მხოლოდ სხვებს ვეყვარებით...

არ ენდო ქალებს

არ ენდო ქალებს, არ ენდო ქალებს,
რაც უნდ ნათელი გადასდიოდეთ...
აფახულებდნენ ყორნის წამწამებს,
და მკერდიც აუღ—ჩაუდიოდეთ...
არ ენდო ღიმილს, ეშმაკმა უწყის,
ტკბილი ღიმილით რა ღალატს მალავს...
მას ერთგულება ისევე უჭირს,

როგორც უხედნი ცხენი ღრღნის ლაგამს...
დიახ, ასეა, ერთი საუნჯე,
იქნებ აჩუქოს კიდეც ათასებს,
იცრუებს, თუკი რამე გაუგე,
საყვედურებით იქით აგავსებს...
მოიშველიებს, ცრემლებს რომლებიც
ჟაკან ტყვიაზე უარესია,
და იმ თავისი ცრემლის მორევში,
მანც ჩაგახრჩობს, როგორც წესია...
დიახ, ეს გახლავთ ნაზი ქმნილება,
რომელიც მოჰგავს დილის ლილიას
მე მჯერა, ქვეყნად შურისძიება,
მხოლოდ ქალების მოგონილია...

როგორც ზეციურ გასხივოსნებას

მე აღტაცება ვისწავლე შენით,
და სიხარულსაც შენით ვეძებდი,
ვერ გამოვხატავ, ძვირფასო, ენით,
რა ჯადოქრულად მაიმედებდი...
რად ვენდობოდი შენს სილამაზეს,
როგორც ზეციურ გასხივოსნებას,
რომ ერთი იყავ ამ ქვეყანაზე,
და არ მიხილავს სხვა საოცრება...
რომ ბურთი მქონდა ყელში გაჩრილი,
რადგან არ მქონდა არა უფლება,
რომ სიყვარული ჩემგან ახსნილი,
დღემდე არაფერს არ გეუბნება.
რომ ლამაზი ხარ და ვნებადაცლილს,
აღარ მაწუხებს ეჭვის ქარები,
ასე მგონია, რომ დროც არ მაცლის,
რომ ვერასოდეს მოგეკარები...
მე ისევ ისე ვენდობი ქალებს,
ბავშვობის წლებში, როგორც მიყვარდით,
დაგინახავ და შეიფართხალებს,
გრძნობები შენთვის რომ ვინახავდი...
ან ათას ქალში რად აგარჩიე,
მითხარი, შევცდი? იქნებ გეწყინა,
ჩემი ცხოვრება ხელით ვატრიე,
რომ შენთან ოდნავ გამომებრწყინა...
ჩემი ოცნების თეთრი ვარდი ხარ,
ჩემი სიზმრების ხარ მარგალიტი,
თუ ბავშვობაში დამიკარგიხარ,
მითხარი, ახლა რატომ განვიცდი...

თვალეზი, სევდის ამოცანები... (თამუნა ვარდიას)

ამ მწუხარებას, უნოს, უხმოს,
ეხამებიან მკვდარი ფოთლები,
მვირფასო, იქნებ გაწუხებ ცუდ დროს,
იქნებ ვინმე სხვას ესაუბრები...
სულ არ ვაპირებ შენი განწყობა,
შევცვალო რამე მხიარულ ნოტზე,
მე შენი სახე დამამახსოვრდა,
ამ შემოდგომის ფოთლების ფონზე...
ამბობენ თითქოს ჩვენს გაჩენაში,
ღმერთების ხელი არ ურევია,
მიფრიალებენ ფოთლები ქარში,
და ქარიც მგონი ქარვისფერია...
ვიცი, ვერავინ რომ ვერ ამიხსნის,
რაზე ფიქრობენ შენი თვალეზი,
რა საზღაური გელის დარდისთვის,
თვალეზი, სევდის ამოცანები...

რექვიემი

ღამეა, უკვე, ალბათ, ქარებმა,
გამოიძახეს მკვდარი სულები,
ხმა ამოიდგეს ქარში ზარებმა,
ცვივა ზეციდან სასწაულები.
ჯერაც არ მძინავს, ღმერთს ველოდები,
ღამე კი დაძრწის შავი ლაზადით,
ვინც ცოცხლები ხართ ყველა მოკვდებით,
ზოგი მშვიდად და ზოგიც ღალატით...
ღამეა, მაგრამ არ მეძინება,
ანგელოზი მყავს ქარიზმატული,
გადააშავეს შავმა ფიქრებმა,
მთელი აწმყო და მთელი წარსული...
წუხს რექვიემი ვით სასაფლაო,
ღამემ აჩუქა შესამოსელი,
შენი სახელი ცაში ქანაობს,
ვეცადე მაგრამ ვერ ჩამოვხსენი...

ვერ მოვალწიე შენამდე

მომბეზრდა პირველყოფილი
სილამაზე და სიმშვიდე,
თან შენგან უარყოფილი

სხვისკენ მივყვები ბილიკებს...
მაგრამ, რაც უნდა ეცადო,
რაც უნდა ურტყა ტამტამებს,
ღმერთად რომ გამომეცხადო,
თვალსაც არ დავახამხამებ...
არა ვარ მფთხალი ბუნებით,
სულ ცოტაც უნდა გეცლია,
თითქოს, ვართ გაკიცხულები,
თითქოს, რაღაცა შეგვშლია...
მიტხარი, როგორ ვერ ამჩნევ,
ვადგამ არეულ ნაბიჯებს,
ვერ მოვალწიე შენამდე,
ცხადია, ვერც შენ გამიგე!
ბევრი დამრჩება ნაწყენი,
ბევრიც მე გამანაწყენებს,
შენგან რომ დამრჩა ნატკენი
გულზე, დრო შლის და ამთელებს...

ვიცი, რომ აღარ გეპიტნავები...

წახვედი, უკან არ იხედები,
დაგედევნება ჩემი თვალები...
თითქოს მიწასაც კი არ ეხები,
ვიცი, რომ აღარ გეპიტნავები..
რაც რამ მაჩუქე უკან მიათრევ,
მიხვალ და თითქოს მიგეჩქარება,
მეკი ტკივილი რომ დამიამდეს,
რაც დამრჩა ისიც მიმეფლანგება...
მჭირდება უფრო დიდი ტკივილი,
რომ გადაფაროს შენი ჭრილობა,
შეცდომა რჩება გაკვეთილივით,
მართლაც გვინდოდა თუ არ გვინდოდა...
რა ადვილია, რა ადვილია,
ერთად შეკრიბო ყველა გრძნობები,
სანამ ზედ გულზე გადაგივლიან,
სანამ სიყვარულს ემშვიდობები...

სიყვარული... (თამუნა თაას)

სიყვარული? ხან მოდის და ხან კი არა,
ჩვენ კი გვინდა მოდიოდეს ყოველთვის,
თუ მოვიდა გვაჭანჭყარებს მადიანად,
ექვებით თუ თავის მიეთ–მოეთით...
ან რამდენჯერ გვყვარებია, ვიმახსოვრებთ?

ან ვითვლით კი, სად მიფრინავს, ვინ იცის?
ხელს გვტაცებს და ზეცისაკებ მიგვაქროლებს,
ხან ქვესკნელში ჩაგვიძახებს, პირიქით...
გაგვაბრუებს, ათას სიტყბოს დაგვპირდება,
და ყოველთვის მოლოდინი სჩვევია,
თუ გელირსა, მხოლოდ წამით გაბრწყინდება,
და მიფრინავს, მერე სხვისი ჯერია...
ჰო, ასეა, სხვა ყვავილებს ესტუმრება,
შენ ვერც ხვდები, მართლაც იყო თუ არა,
გამომყვები? ნაღდად, ერთგან მეგულება,
წელან ჩემს სახლს ფრენით გადაუარა...

ეს მერამდენედ

ეს შემოდგომაც ვერაფერს შეცვლის,
მეკი რამდენი რამე მინდოდა,
დაემსგავსება ბუნება შეშლილს,
ქარები, წვიმა, უამინდობა...
იყოს ქარები, იყოს წვიმები,
იყოს დელგმა და სხვა უარესი,
ოღონდ არ ჩაქრეს გულში იმედი,
ოღონდ შენ იწვე ამ ჩემს მკლავებში...
ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ,
ნოემბრის სევდამ მომინახულა,
არ ვიღებ, მაგრამ თავს არ მანებებს,
ნაღდად გამყიდა ჩემმა წარსულმა...
მე კი ამაზე მეტად მაშინებს,
რომ უნდა მალე დადგეს ზამთარი,
რადგან ოცნებაც არ შემარჩინეს,
რადგან გაქცევა ვერ მოვასწარი...
იქნებ შენ მითხრა, როგორ მოვიქცე,
თუ მივატოვო, რაც გამაჩნია,
ღამე წარსულის დარდებს მომიქსევს,
შორს, ჰორიზონტზე სთვლემს კავკასია...

იქნებ ეს სული დამამარხინო

ძვირფასო, მოდი, ამ ნახანძრალზე,
მესტუმრე, იქნებ სული გამილღვო,
მე გთხოვ, მოხვიდე, ნუ გამაბრაზებ,
თორემ ამ სევდამ გული წაიღო...
დღეები ისე განაცრისფერდა,
რომ დამეკარგა სულმთლად ხალისი,
ჭირი მოგჭამა ყველა მიზნებმა,

გადავუხადე მათ პარაკლისი...
მოდი, მესტუმრე, მომისამბიმრე,
იქნებ ეს სული დამამარხინო,
ვერ გავაღწიე უცხო ნაპირზე,
რადგან წავაგე კვლავ სამარცხვინოდ...
მესტუმრე სანამ გული გასკდება,
სანამ დაცლილა ვენა სისხლისგან,
თორემ დღეს ვინმე შემომაკვდება,
და ველარ მიხსნი მეც სიკვდილისგან...

მე გული ჩემი ჩაგიდე ხელში

მხოლოდ იმისთვის მიყვარხარ თუნდაც,
რომ ქვეყნად გაჩნდი და რომ არსებობ,
მე, იცი, ძილშიც შენს ლექსებს ვფურცლავ,
ნუუ, ნუ მეტყვი შეგიყვარებო.
მე გული ჩემი ჩაგიდე ხელში,
რომ შენი ცხელი სისხლით გამითბო,
მე შენი ნუშის თვალები შემშლის,
შემშლის ეგ მკერდიც, თუ არ დამითმობ...
სულ შენთანა ვარ, მაგრამ არ მყოფნის,
ვამრავლებ წამებს, წუთებს, საათებს,
ასე მგონია ზღვას მივაპობდი
და შენ გიპოვე ბოლო ტალღაზე...
რატომ მგონია, რომ შენ მაჩუქე,
მთვარე, მზე, დილით ჩიტთა გალობა,
მიყვარხარ, გისმენ და გიპასუხებ,
შენა ხარ ჩემი გარდუვალობა...
და იცი, როცა დგება დაისი,
და ვარსკვლავები ბზინვას იწყებენ,
ბაღში შევდივარ მე იმ ვარდისთვის,
შენ რომ გაჩუქებ დიდი ხნის მერე...
ორივეს ერთი ტკივილი გვტკივა,
და სიხარულიც ერთი გვაქვს დღემდე,
არ მელი, მაგრამ ჩამოვალ ციდან
და სიზმრად მაინც მოგიალერსებ!!!

მოვიდა თოვლი

მოვიდა თოვლი და დათბა სულში,
შენც მოფარფატებ ზეციდან ფიფქად...
არ გაგიმართლა დღეს სიყვარულში?
ხვალ გაგიმართლებს ცხადში ან სიზმრად...

არ მიყვარს, როცა არ მოდის თოვლი,
და ცივი ხელი ხელზე მეხება,
როცა ყინული, როგორც მთის ბროლი,
ნანემსრებივით მკერდზე მემსხვრევა...
თუ სურვილი გაქვს შემოდი ჩემში,
გულში კიდევ მაქვს სადღაც ადგილი,
იქვეა, ალბათ, ჭორებიც ქვეყნის,
რადგან ყველასთვის მაქვს გადახსნილი...
ხომ ხვდები, რატომ მჭირდება თოვლი,
მსურს სული ჩემი ბნელშიც ბრწყინავდეს,
მწამს, ეს სიწმინდე მომცველი ყოვლის,
ამ ჩვენს მიწაზეც დაიბინადრებს...

ან ჯოჯოხეთს რა ჰქვია

რაც გინდა თქვი, ამ ქვეყნად
ყველაფერი შარია..
რასაც ვხედავ მე თეთრად,
თურმე, შავზე-შავია...
მე თვალსა მჭრის სინათლე,
სხვა გაჰკვივის ბნელია,
აქ ვერც თავს გაიმართლებ,
ან რა საკვირველია...
წამოდგები? თვალს ახელ?
ნუ გექნება იმედი,
რადგან გაგამათრახებს,
დრო ლანძღვით და გინებით...
ელვამ ღამე გაჰკვეთა,
ჭირი-ჭირზე აება,
ვერ წაეთრა აქედან,
ტირილი და ვაება...
ხალხო, ვინმემ მითხარით,
ეს ქვეყანა ვისია...
აქ ხომ ყველა მისხალი
ჩემი წმინდა სისხლია.
მაშ, რა ხდება, ვინ მითხრას,
ამ ჯოჯოხეთს რა ჰქვია,
მალლა დაფხრეწილი ცა,
დაბლა მიწა ნისიად...
თავზე დამფარფატებენ
შავი ანგელოზები,
პირზე კლიტეს მადებენ,
მეფის კარის მგოსნები...
ან რით ველარ გათენდა,
ან რით ველარ გაცისკრდა,

ვის შერჩება ამ ქვეყნად,
სისხლის ღვრა და კაცის კვლა...
თავზე ყვავი დამჩხავის,
კლანჭებს აჩენს ყორანი,
სადღაც მოჩანს გზასავით,
ბნელში სხივი მომავლის...
ვიცი უკეთესია,
მე რომ ამ გზას დავადგე,
თუ ზურგიდან მესვრიან,
გულზე ვარდი დამაგდე!!!

დასანანია

გადამიყვარდა, ვინც მე მიყვარდა,
გადავუყვარდი, ვისაც ვუყვარდი...
მეგონა ასეც არ გამწირავდა,
ეგონა ასეც არ გავწირავდი...
ის ფიქრობს, რომ მე გული ვატკინე,
მე კი ვფიქრობ, რომ გული მატკინა,
მე შერიგებას აღარ ვაპირებ,
იმან არ ვიცი რა დააპირა...
ის, ალბათ, ისევ ვინმეს მონახავს,
მე სხვის მონახვას აღარ ვაპირებ,
თუ მკითხავს ვინმე, მივჩმახ–მოვჩმახავ,
ან ისე ვეტყვი, რომ ავატირებ...
ჰო, გააჩნია, ვისიანია,
იმისიანი თუ ჩემიანი,
ისე კი, მართლაც დასანანია,
იმასთან ისე კარგად ვიყავი...
არც შემეკითხა, ისე შემომწყრა,
ლამაზი იყო, ულამაზესი,
იქნებ მინდოდა გზა დამელოცა,
ის კი აორთქლდა რაღაც წამებში...
ახლა კი ჩემთვის, კვლავ, სულერთია,
ვის, სად და როდის გადავეყრები...
ვიცი, სამძიმარს ბევრნი მეტყვიან,
თითქოს საკუთარ სიკვდილს ვესწრები...
ან დღეის მერე როგორ ვიქნები,
გავძლებ კი, ნეტა, ასე ბოლომდის?
დავიწვი, როგორც კარტში ვიწვევით,
ცოტა გინდა და მეტი რომ მოდის...

მე რომეო ვარ, შენ ჯულიეტა...

რას ვიფიქრებდი თუ გულს გატკენდი,
მე რომეო ვარ, შენ ჯულიეტა...
რა საშინელი ქრიან ქარები,
ასე სასტიკად ვინ გაგვიმეტა...
იცი, უბრალოდ, მინდა გამიგო,
თუ შენ მოკვდები, მეც თავს მოვიკლავ,
ვიცი, არ არის ახლა ამის დრო,
თუმც არჩევანი არ მაქვს ორიდან...
არ გამომივა ან შენ და ან მე,
სულ არაფერი არ გამომივა,
შენი სხივები მე ისე მწვავენ,
მკვდარს მომიტანენ მე ამ ომიდან...
მართლაც, ომია, გესმის დაფდაფებს,
როგორ აყოლებს ჰანგებს საყვირი...
გზა ჩირაღდნებმა გააჩახჩახეს,
ღამემ მოუწყო თავს ხარაკირი...
აღარ დამტოვო, აღარ დამტოვო,
შენი თვალები მირისხდებიან...
ხელს ვერ გავიშვებ მე სამათხოვროდ,
ეს დარჩა, რაც მე არ მღირსებია...
ხომ იცი, მაინც ვერ გიღალატებ,
რომც შეეჯახოს ეს ორი ჯარი...
ეს სიყვარული მუსრავს ქალაქებს,
მოვრბოდი, მაგრამ ვერ მოგისწარი...

ომის ღმერთი ვარ...

ომის ღმერთი ვარ, კარი გამიღეთ!
მომაქვს სუდარა, მომაქვს ცრემლები...
მე ვაწყობ ქვეყნად აპოკალიფსებს,
სხვებსა ვხოცავ და თვითონ მეც ვკვდები...
მეც ვკვდები, როცა ბრძოლის ველები,
დამარცხებულთა სისხლით ირწყვება,
როცა მდუმარედ წვანან ცხედრები,
ვისაც გაუპეს მკერდი ისრებმა...
რადგან ესაა ჩემი ხელობა,
თუმცა, არ ვიცი რისთვის დამსაჯა,
განგებამ, თითქო, მე პირველობა,
მსურდა და მანაც ეს მომისაჯა...
საშინელია, მუდამ ხანძრები
ნგრევა, შიმშილი, სისხლი, წამება...
გახვეულია ცეცხლში ტაძრები
და კვამლი ჩემსკენ მოიზლანება...
როგორ ვერ ვიტან გამარჯვებულებს,

დამყრობლებს სისხლით რომ ვერ ძღებიან,
გაირეკავენ, მონებს ცივ ხუნდებს
დაადებენ და იღრიჯებიან...
ვერ ვიტან, ვერა, გამარჯვებულებს,
როცა გულმკერდზე მედლებს ჰკიდებენ,
მეფის ერთგულებს, ხალხის ერთგულებს,
ლექსებს უძღვნიან და ადიდებენ!
ომის ღმერთი ვარ, თვითონ არასდროს,
მე არცერთ მხარეს არ ჩავრეულვარ,
ხალხმა კი მინდა მეც მითანაგრძნოს,
თურმე ჯალათად გადავქცეულვარ...

ვნანობ, რომ თავი ვერ გაგაცანი...

ჰაერი სევდით გაჟთენთილია,
ჩამოუთრთვილავს შენთვის ბაგეზე,
ამბობენ თითქოს სული ტკბილია,
და ამიტომაც სულ სულს დავებებ...
როგორ არ მინდა ავყვე ამ რიტმებს,
დღეს რომ თავს მესხმის და მიმაქანებს...
როგორ მეყოფა ეს გოჯი სივრცე,
თუ ცაზე ვებებ ზედის ვარსკვლავებს...
უნდა დაგტოვო, უნდა წავიდე,
რა სიტყვებს მატან, იქნებ ამოთქვა,
ისე მომბეზრდა ამათ ნადიმზე,
ვით დანიის პრინცს, ყოფნა, არ ყოფნა...
რა კითხვები აქვთ, შენს მწვანე თვალებს,
თუ კი დამისვამ, გეტყვი რაც მოხდა;
ძვირფასო, სკამი გამომაცალეს,
თოკზე ვკიდევარ, სული ამომხდა...
გიგრძვნიან სევდა დაუსაბამო,
სევდა ზამთრების ყინვით დამზრალი,
იცი, იმდენად სიკვდილს არ ვნანობ,
ვნანობ, რომ თავი ვერ გაგაცანი...

მოდის დღეები, უხმო, უფერო...

მე თოვლად მოვალ და დაგათოვლებ,
მე წვიმად მოვალ და დაგაწვიმებ,
მაგრამ, ძვირფასო, თუკი დამტოვებ,
ნუთუ, მაშინვე გადამივიწყებ.
მე კი არ მინდა, რომ კვლავ უშენოდ
სული მიწეწოს ზამთრის ქარებმა,
მოდის დღეები უხმო, უფერო,

მე მსურდა მათი გაფერადება...
რაც წასულია, ვერ დაბრუნდება,
რა გულისაკლავად რეკავს ზარები,
მართლაც, რთულია ქალის ბუნება,
ნეტა, იყავ კი, შესაყვარები?!

მერე კი ძარღვებს ასკდები

ამ წლებმა ისე გამომწვრთნა,
მგონი ტყვიებსაც ვისხლეტავ,
იქნებ, ეშმაკმა დამლოცა,
ჰო, გეფიცები, ისე ვარ...
და მხოლოდ შენს დანახვაზე,
მგონი, სტრესებში ვვარდები,
ჯერ მაჭარივით ამავესებ,
მერე კი ძარღვებს ასკდები...
ან როგორ უნდა გამემლო,
უშენოდ, აბა, ამ დროში,
ვარ დანგრეული სამრეკლო,
სულს ვეღარ ვათბობ გათოშილს...
ვერ ამოვხსენი რა ხდება,
გპოულობ და მეკარგები,
წუთები მექცა აფთრებად,
მთლად ამერია დავთრები...
ან დაიჯერებ, რომ გითხრა,
მართლა, კი არა ვჭორაობ,
სიზმრებში ჩემი ცოლი ხარ
და ჩემ საწოლში გორაობ...

მე ოცნების მერნები მყავს

შევუძახებ წითელ მერნებს,
გამოვიწვევ დოღში რემას,
გავახელებ, გავაცეცხლებ,
და დავიწყებ მთებში ფრენას...
მივაჭენებ, მივაქროლებ,
არ ეხება ფლოქვი მიწას,
თითქოს მართლაც ფრთები მქონდეს,
ფრთები მქონდეს არწივისა!
ვიფრენ, სანამ ჩემი ხარ და,
სანამ ამ გულს ეტკბილები,
აუ, როგორ შემიყვარდა,
შენი თმა და შენი მხრები...
მიყვარს, მიყვარს, ისე მიყვარს,

შენი ბაგის თრობით თრთოლა,
მე ოცნების მერნები მყავს,
და მაგიჟებს მათი ქროლა...
მაგრამ, თუკი, მათთან ერთად,
შენი ცეცხლიც მომდებია,
წამო ცაში, ქვემოთ კლდე და
დამსხვრეული ლოდებია...
წამო, წამო, თუ გსურს ქარმა
და ღრუბლებმა გაგვიტაცოს,
განა არ სჯობს ყოფნას დაბლა,
ვარსკვლავებთან ვიყოთ ახლოს!!!

აყრილია ყველა გზები

გაზაფხულზე წვიმა მაწვიმს,
დაზამთრდება მათოვს თოვლი,
შემოდგომა იყო მკაცრი,
გადაღლილი შენზე ლოცვით...
დავიცდიდი, დავიცდიდი,
დავიცდიდი კიდევ დიდხანს,
რომ მჯეროდეს ჩემი ფიქრის,
ჩემი ძველი მიზნებისა.
აყრილია ყველა გზები
და ბილიკიც არსად მიდის,
ეს დღეებიც მონაზვნები,
არსებობენ არაფრისთვის...
ველარაფერს თავს ვერ ვართმევ,
აღარაფრის არა მჯერა,
გლობალურად არ მიმართლებს,
საკუთარი თავის ტყვე ვარ...
როდის მაწვიმს, როდის მათოვს,
ერთმანეთში ამერია,
ველი, ველი, ველი მნათობს,
აღარც მახსოვს რა ფერია...
შენც გზაში ხარ, კვლავ არ ჩანხარ,
და დუელში ვიწვევ ჩემს ბედს,
გამიჩმახა ამ ჩახმახმაც,
გადმოწევაც კი ვერ შევძელ...
ბედი ტყვიას თუ გიმიზნებს,
რომც ეცადო, არ აგცდება,
ახლა რასაც ჩაიფიქრებ,
გაზაფხულზე აგიხდება...

შემოვჰქენდები ბედუინივით

მიყვარს როდესაც დაისის ზეცა
ნელ–ნელა იძენს იასამნისფერს,
როცა საღამო ხის ჩრდილებს ძერწავს,
და ვარსკვლავებთან ჯდება ნადიმზე...
შენს გამჭვირვალე საღამოს კაზას,
მკრთალად ატყვია ძუმუს კერტები,
ჩემ დანახვაზე თვალებს მინაზავ
და სულ სხვა მხარეს გაიხედები...
მე მომედება შენი წყურვილი,
ვით უდაბნოში მავალ ქარავანს,
შემოვჭენდები ბედუინით,
და მაგ შენს კერტებს გემოს ჩავატან...
სარკმლიდან მთვარე ძვრება ოთახში,
და შენს ქერა თმებს ეალერსება,
მე კი დავმცხრალვარ ამასობაში,
შენ გიმზერ, მაგრამ სხვა მენატრება...
ვიცი, ცოდვია და მკრეხელობაც,
ამაზე ფიქრი ახლა, ამწუთას,
რომ ღმერთი გვიმზერს მუდამ ზემოდან,
რომ დავისჯები ამის პასუხად...
მაგრამ, ძვირფასო, რად გამაჩინა,
მაშინ, ამ ღმერთმა, მითხარ, ასეთი,
რომ ზოგჯერ სულ სხვა ბაღში დავძრწივარ,
და ხშირად ცეცხლსაც ვეთამაშები...

ტანგო

მომეკარი, მოგეკრობი,
თვალს დახუჭავ, მეც დავხუჭავ,
შენი ტანი გადამწონის,
მომეხმარე, ნუ დამლუპავ...
ნუ წამიღებ უფსკრულისკენ,
შეიკავე ცოტაც თავი,
მკერდში გული ისე გიბგერს,
შვლის ნუკრი ხარ მფრთხალზემფრთხალი...
ცოტა ნელა, ვერ მოგყვები,
ასე მართლაც გადამჩეხავ,
გაგიშლია მხრებზე თმები,
დაფრენ, დაქრი, კი არ ცეკვავ...
ასე სწრაფად, ასე უმაღლ,
ხელი როგორ შეგაშველო,
ვერ გავიგე, გედი თუ ხარ,
რალას ფრთხები, რალას შველობ...

ასე ზოგჯერ დამდამობით,
ქარიშხალი მიმტვრევს ჭიშკარს,
როცა ჟამი დგება თრობის,
და არავინ არას მკითხავს...
მოდი, მოდი, შემაწებე,
ეგ ტუჩები ტუჩმა იგრძნოს,
ჩემი ხელი შენს წელს ეძებს,
რომ მუხლებზე ჩამოგიყრდნოს.
უკვე ტანგო სულსა დაფავს,
ახლა ხუჭავ ვნებით თვალებს?
დაბზორიალდი ერთიც სწრაფად
და მერე კი გამეცალე!!!

მითხარ რომელ ბილიკს მოვყვე

აქეთ წახვალ, ტურა შეგჭამს,
იქით წახვალ, მგელი.
მეკი მოსვლა მინდა შენთან,
ვიცი, ალბათ, მელი...
მითხარ, რომელ ბილიკს მოვყვე,
ვიცდი, მეღრძო ტვინი,
მირჩევია, ისევ მოკლე,
თუნდ ეკლებზეც ვივლი...
გადამალა გრძელმა გზებმა,
ვეღარ ვუძლებ ამდენს...
ასე იცის მონატრებამ,
ყველგან სულ თან დაგდექს...
მაგრამ, ეგებ, აღარც მიცდი,
სხვას მიახდე ბედი,
არ გცალკია ზღაპრებისთვის,
მე რომ შენთვის ვწერდი...
ჩუმად ვდგავარ, გზაჯვარედინს
ნაღვლიანად დავცქერ,
დილიდანვე ქარი კვნესის,
ვეღარ ვუძლებ ამდენს...

ადვილია დამონება ხალხის?

რაიმეა სინანულის ღირსი?
სხვისთვის იქნებ, ჩემთვის, ალბათ, არა...
სიკვდილისგან ვერაფერი გვიხსნის,
მეც სხვებივით რიგში ჩუმად ვდგავარ...
თუმცა, იცი, სიჩუმეში ხშირად,
მრისხანება იმალება დიდი,

რადგან გულში იბადება ტყვია,
და სროლამდეც წამებს სწრაფად ვითვლით...
ადვილია დამონება ხალხის?
როგორ გითხრა, ადვილია, ალბათ;
მაგრამ როცა მრისხანება დადლის,
ის იქცევა ოკენის ტალღად...
ვერაფერი ვერ აჩერებს მერე,
ხალხის მკერდში დაგუბებულ სევდას,
და ზარებიც სხვანაირად ჟღერენ,
და გულებიც უფრო მძლავრად ფეთქავს...
ან მონობა ან სიკვდილი ერთი,
ამ ორიდან ხალხი სიკვდილს ირჩევს,
თუ მზადაა კუბოები ჩვენთვის,
გვიჯობს, მართლაც, ყველა ერთად მივწვეთ!
რომ ტყვიები გაჩენილი გულში,
მტრის გულებში დაეძებდნენ ბინას...
ჩვენ სიყვარულს დავეძებდით გუშინ,
დღეს კი სულში ზამთარივით ყინავს!!!

ასე მგონია

ასე მგონია ოცნებები მოგვტაცეს ძალით,
და საგანგებოდ გამზადებულ ყუთში ჩაყარეს,
რომ არა გვექონდეს იმედები არასდროს ხვალის,
რომ გადაკეტონ ბოლო წვეთიც თუ მოწანწკარებს...
რომ აამღვრიონ, თუ რამ დარჩა აუმღვრეველი,
რომ მონობაში ძაღლებივით ამოგვხდეს სული,
რომ ეს ტკივილი იყოს მუდამ მოურჩენელი,
როგორც სამყაროს ჩაბნელება და აღსასრული.
თითქოს დამტოვეს მარტოდ გემზე ოკეანეში,
და აღმოაჩნდა გემს ტრიუმი გამოფატრული,
წყალმა იხუვლა, გაივსო და ფსკერზე დავეშვი,
გაიტკინება ჩემი გვამი ასე ქართული...
მას ზვიგენები ყველა მხრიდან დაესევინ,
მძიმეგინან, მაგრამ რას ვეყოფი ამდენ ყაჩაღებს,
ვერაფერს შეცვლი, ამ სულიერთ ერთი წესი აქვთ,
ისე გაგაქრონ, შენი კვალიც რომ არსად ჩანდეს...

მაიკოს, ელოშვილს...

საოცარია, ნეტა, ვინ იცის,
როდის ჩნდებიან შენისთანები,
სიმღერებისთვის, სიყვარულისთვის,
სულ ანთებულ რომ აქვთ თვალები...

ან როცა გაჩნდი, მართლაც, ვინ იცის,
რა დაგანათლეს ანგელოზებმა,
ძალა რომელი წმინდა თილისმის,
რომელ ვარსკვლავთა გასხივოსნება...
განა სურვილი ჩვენი რა არის,
ნეტარებაში ტკბილი ცხოვრება?
მართლაც რა არის, ნეტა, მთავარი,
სული, ხორცი, თუ პატიოსნება?
იქნებ სამივე რაც ჩამოვთვალე,
და კიდევ სხვებიც ასი ათასი,
შენ ვარსკვლავები ციდან გლოცავენ,
თეთრი ფრთები და ლოყა დაჟღაჟი...

ვზივარ, ჩემთვის ვმკითხაობ...

ჩემს დარბაზში ნურავინ ნუ შემოხვალთ მცირე ხანს,
მინდა ჩემი ფიქრები კარგად ავწონ–დავწონო,
მართალია, არავინ არაფერს მეკითხება,
ეს სამყარო, როგორმე, უნდა გამოვასწორო...
რადგან მის მოწყობაში ყველას ჩვენი წილი გვაქვს,
ბევრმა სისხლი გაიღო, ბევრმაც თავი გადადო,
თუმცა, ვერავინ გეტყვის, მაინც საით მივქრევართ,
ისევ გველის თუ არა ომი სამოქალაქო...
ანუ მსურს ამოვიცნო, ვინ რას ებღაუჭება,
ვინ სავარძელს, ვინ კიდევ სხვისი ცოლის უკანაღს;
ვეღარ ამოისუნთქეს შვებით ჩვენმა ქუჩებმა,
ანდა, თვითონ ამ ქალაქს რატომ აღარ ვუყვარვართ...
ასე უცხო რად გახდა მისი მწვანე ბაღები,
ფანჯრებიდან მუსიკა რატომ აღარ გაისმის,
მგონი, თვითონ ღმერთებსაც კი აღარ ვებრალეებით,
სად წავიდა ის ძველი სიმღერა და ხალისი...
ვიცი, ვიცი, რომ იყო, საშინელი ავდრები,
იყო ნგრევა, შიმშილი, დიდი გაპარტახება;
ნუთუ ისე დავეცით, ფეხზე ვეღარ ავდგებით,
ნუთუ ყველა ვიქეცით პოლიტიკოს ახვრებად...
ნუ შემოხვალთ მცირე ხანს, ვზივარ, ჩემთვის ვმკითხაობ,
არაფერი არ მინდა, ცოტა უნდა მაცალოთ,
აღარა მსურს ამ ჯერზეც ძველებურად ვიჩქარო,
რომ თავზე არ დამამხონ ისევ მთელი სამყარო...

...

ცხოვრება ხომ ერთი ბეწოა,
სულ ერთი თვალების ახელა,

ასე რომ, ის საოცნებოა,
მინდოდა ამისი გამხელა.
თუ შევხვდით ამ ქვეყნად, ძვირფასო,
სიცოცხლით დატკობა მაცალე...
რა ცოდვა, ცოდვები ვის ახსოვს,
ასე რომ, ტყუილად მაწვალე...

ღია კალამახელიძეს

ჩანჩქერივით ვაფრქვევ გრძნობებს,
ლექსებს ვუძღვნი ყველა ქალებს,
თითქოს ასი გული მქონდეს,
თითქოს ყველას შევიყვარებ...
თუმცა იქნებ ყველაც მიყვარს,
მე რა ვიცი, როგორ მივხვდე,
სიყვარულზე ნურას მკითხავ,
მაინც სულ სხვას გავიფიქრებ...
მაგრამ თურმე მეგობრისთვის,
ბევრად ძნელი არის წერა,
რაც შენ გიცნობ, იმ წლებს ვითვლი,
და დათვლილის არა მჯერა...
ნახევარი საუკუნე
ჩატეულა თურმე წლებში,
დრო გასულა მართლაც თურმე,
ამდენ კოცნა მოკითხვებში...
გახსოვს, სანტა ლუჩიაზე,
რა სიცილით გვიცინია,
მეც ვმღეროდი შენს ტკბილ ხმაზე
და ვუწვდენდი სიცილიას...
არ ვაცდენდით პრემიერებს,
დავდიოდით ოპერაში,
და ეს წლებიც გადიოდა
ასე სიმღერ–სიმღერაში...
გარდასულან ყველა დრონი,
მოგვდგომია შემოდგომა,
წლები, წლები და ჩვენ ორნი,
ჩვენი ნაღდი მეგობრობა...

ვერ გამოვიცან (კ–ს)

ვერ გამოვიცან, რომელია ჩვენში მართალი,
სიამოვნებით დაგითმობდი ყველა ასპარეზს,
რა ვქნა, ძვირფასო, სამყაროა დღეს უმართავი,
მე კი რაც მქონდა, ყველაფერი შენში გავცვალე...

და დავრჩი ასე, არაფერიც არ გამაჩნია,
აღარც მზე, მთვარე, ვარსკვლავები, არც მწვერვალები,
მართლაც, შენს გამო, ყველაფერი შემომფანტვია,
შენ კი, რატომღაც, მაინც ახლოს არ მეკარები...
უკვე რამდენჯერ შენსკენ რემა გამოვირეკე,
მოვაჭენებდი, რომ შემეველო თვალი ერთხელაც,
შენ კი ვერაფრით დაინახე ჩემი სიკეთე,
შენს სიველურეს ჩემი ხელი ველარ ეხება...
თუ არ გამოხვალ, შენს გარშემო ისე გადავწვავ,
რაც კი რამეა, ტყე, ველები, ხოდაბუნები,
რომ ერთიანად, უნაპიროდ შთანთქოს ხანძარმა,
ვით ვნების ცეცხლში იწვებიან ჩვენი გულები...
შენს კართან ვდგავარ, ვიცი, გესმის მერნის ჭიხვინი,
ვიცი, არ გძინავს, იბღვირები გამეხებული,
და სანამ ჭიშკარს შემოვამტვრევ ვიღაც ბიჭივით,
გარეთ გამოდი, მინდა ნახო ცხენთა ფერხული...
გარეთ გამოდი, მინდა ნახო, როგორ ედება,
ნამიან ველებს ამოსული მზის მხურვალეა,
გამო, შეხედე, გადაქცეულს მიწას ედებდა,
რომ სიხარულით გაიბრწყინოს შენმა თვალებმა...
და თუ ვერ გნახავ, მე ვერაფრით დღეს ვერ დავცხრები,
ვერც ცხენის რემას დავაოკებ, ასე ჟინიანს,
განა რა მოხდა, ჩემს ვნებებთან თუ დამარცხდები,
კარს ვლეწავ უკვე, შენი რისხვის არ მეშინია!!!

მარის

აყვავებულხარ, როგორც ბალები,
შენს ყვავილობას მინდა გავუძლო,
დილის მზესავით ციდან ვარდები,
რომ გაზაფხულებს გაესაუბრო.
რა ლამაზი ხარ, რა სხივოსანი,
მოხვალ, მოაფრქვევ ირგვლივ სიცოცხლეს,
იცი, როგორც კი თვალი მოგკარი,
წამსვე საქალეთს დავემშვიდობე...
მართლაც ისეთი საოცრება ხარ,
ისეთი სიზმრის ნასიზმარევი,
რომ გაიგივებ ბედისწერასთან,
ხარ ჩემი სისხლის ამრევ-დამრევი...
რადგან, ლამაზო, როგორ აგიხსნა,
ისე ბრწყინავენ შენი ფერები,
რომ შევიშლები ვიცი დარდისგან,
სანამ გნახავ და მოგეფერები...

შემოდგომაა

შემოდგომაა და ხეებიდან

გაყვითლებული ფოთლები მოთოვს,
რასაც ბუნება აქამდე ქმნიდა,
ახლა ქარს მიაქვს და ქარი შფოთობს.
რაზე ფიქრობენ, ნეტა, ხეები,
რომ უყურებენ ქარების წრიალს,
ცაზე აღარ ჩანს ცისარტყელები,
ცაზე პეიზაჟს ღრუბლები ჰქმნიან...
დაეშვებიან მალე ღრუბლები,
დაუყვებიან პირქუშ ხეობებს,
ქედები მთებში გაქცეულები,
მხრებზე ხელს ჰხვევენ ერთიმეორეს...
დადუმდნენ მთები დასევდიანდნენ,
წარბაწეულნი უმზერენ ნისლებს,
ნაკადულებიც აღარ წკრიალებს,
ქარი დაძრწის და ხეებს აშიშვლებს...
რაზე ფიქრობენ, ვინ იცის, მთები,
როდინდელ დრო–ჟამს ითვლიან ნეტა,
ქარს მიაქვს მათი სამკაულები,
შიშველ ხეებზე ყვავები სხედან...
რას ყრანტალებენ, ნეტა, ყვავები,
კენწეროებზე შეყუჟულები,
შეციებულნი და შემკრთალები,
რაზე ფიქრობენ ეს ტიალები...
დროდადრო, ნეტა, ვის გასჩხავიან,
ვისა თარსავენ განგების ხმაზე,
კი, მართალია, ყვავი ყვავია,
თუმც ისიც ტირის შემოდგომაზე...

სიმშვიდე

რატომ ხდება, რომ ჩვენი სიმშვიდე,
ჩვენს ხელთ კი არა, სხვათა ხელშია...
და უარესიც, ალბათ, დღითი–დღე,
ველარა გვშველის ვერც ეკლესია...
რატომ გვინდა, რომ ყველას ვუშველოთ,
რომ ქვეყნად ყველა ამის ღირსია,
რომ უჭირთ, უჭირთ ყველას უჩვენოდ,
ახლა რატომღაც ამის შიში მაქვს...
სევდა რატოა ყველას თვალებში,
სტრესი, ნერვოზი, უხალისობა,
საყოველთაო სიმწუხარეში,
რატომ გადადის მარადისობა...

მე ხასიათი ვერ შევიცვალე,
მე ისევ ის ვარ, რაც ვიყავ გუშინ,
ჩავცქერ, ძვირფასო, შენს ლამაზ თვალებს,
და ვიხედები პირდაპირ გულში!!!

გარეთ თეთრი ღამეა

აქ ომია, ძვირფასო, ომის პარაკლისია,
ეჯახება ერთმანეთს: ფიქრი, განსჯა, დასკვნები...
ამ დროს ქვეყნად იმდენი მწვანე ოაზისია,
და იმდენი, იმდენი მთვარე თუ ვარსკვლავები...
რომ დაბნეულს ამ ომში, გული სხვაგან მეწევა,
სადაც თრობის ქარია, მწვანე ოაზისებით,
სადაც ომის ყაყანი ველარ წამომეწევა,
სადაც არ დამჭირდება: ძალა, ბრძოლა, მიზნები...
ცაზე მთვარე ანათებს, გარეთ თეთრი ღამეა,
ტბაზე გედი მიცურავს, როგორც ზღაპრის ქალწული;
ვიღაც ცარცით მიფხაჭნის საარსებო არეალს,
და თან მწუხარებაზე მღერის თავგადაკლული...
მინდა, მინდა გაქცევა, სადაც წყალი კამკამებს,
და წნორების ჩრდილები ზედაპირზე ეცემა;
მაგრამ რა გაათენებს ისევ თეთრად ამ ღამეს,
თუკი ყველა ოცნება ვერას შობს და ბერწდება...
განა რას ვთხოვ ღმერთს ისეთს, მოთმინება მასწავლოს,
თუ მიწიერ სამოთხეს მაინც ვერ ველირსები;
ან გამიძღვნენ ქარები, სადმე, შორს, შორს, სასწრაფოდ,
სადაც სამოთხესავით ჰყვავის ოაზისები...

ჩემი იყოს სინათლე

რა სისწრაფით ძარცვავენ,
ამ ჩემს ლექსებს ეს მგლები,
თითქოს ცოცხლად მმარხავენ,
მწვავენ და ვიფერფლები...
წინ, წინ, თავს ვერ ვიმართლებ,
არ ღირს ლექსზე კამათი,
ჩემი იყოს სინათლე,
მათი მხოლოდ ღალატი...
ჩემი მარგალიტები,
ჩემი საპოვნელია,
მე ჩემს ბილიკს მივყვები,
ბილიკს ვარსკვლავებიანს...
და თუ ვერ მივაგენი,

ვერსად ვპოვე სავანე,
მელის შენი ბაგენი,
და შენ მისამანე...
ჯერ ჩემ გზებზე არავის,
არასოდეს უვლია,
ყველა გულზე გადადის
და ჩემს წარსულს ფურცლიან...
და ვერც იზამ ვერაფერს,
მუდამ ასე ყოფილა,
მგლები ფლეთენ ყველაფერს,
შენ ხარ დედიშობილა...

სიყვარული არსებობს

როგორ გითხრა, არ ვიცი, აბა, როგორ აგიხსნა,
სიყვარული არსებობს, მაგრამ, ალბათ, დროებით,
შენ რომ გნახე პირველად, თითქოს ზეცა გაიხსნა,
და მოედო მთელ ველებს ირგვლივ ყაყაჩოები...
მე არ ვიცი რა იყო, ანდა, რას დავაბრალო,
ტალღასავით მოვარდი და ზედ გადამიარე,
მერე, იმწამს ჩვენს თვალწინ აყირავდა სამყარო,
რადგან რაც რამ არსებობს, შენს გარშემო ტრიალებს...
იცი, მაგრად არ მიყვარს ცრემლის ღვრა და კრუნჩხვები,
სიყვარული ეს შენი ატმისფერი კანია,
რომ იცოდე, ძვირფასო, როგორ მეჩურჩულები,
თუმც, კოცნაც კი არ იცი, ჰოო, არ გისწავლია...
ამის მერე როგორ ვთქვა, სიყვარული რა არი?
რატომ ჩნდება, ან რატომ ქრება უცბად, ვინ იცის?
ვინ დაახრჩო, ვის კიდევ წაუკიდა ხანძარი,
ვინ მწვერვალებს იპყრობდა მხოლოდ სიყვარულისთვის...
მე არ ვიცი, სად გაჩნდი, ვის კოცნასა ნატრობდი,
ვისთვის იყავ ნუგეში, ვისთვის ცისკრის ვარსკვლავი,
შორს დაფრინავ, ძვირფასო, მე კი გელი, ჩამოდი,
თორემ სევდა მომკლავს და გამომრიყავს ზღვასავით!!!

ნატვრა

მე მეგონა, მე გიპოვე,
შენ კი ბევრს უპოვნიხარ,
თითქოს ციდან ჩამოთოვე,
თითქოს ცივი თოვლი ხარ...
რად მეწყინა, რად მეწყინა,
სხვების ნახვა შენს ახლოს,
თითქოს სული გამეყინა,

ეშმამ ხელი შემახო!
ბედს არაფერს აღარ ვკითხავ,
იყავ ვისიც გინდოდეს,
უეჭველად მოგაკითხავ
და ეს მინდა იცოდე!!!
მოვიყოლებ ჩემს გრიგალებს,
ჩემს ზვავეებს და ღვარცოფებს,
და თუნდ ჰყავდე ხელთ ტიტანებს,
მათთან ყოფნას ნატრობდე!
ყველას, ყველას, ერთიანად,
ყველას ჩამოგაშორებ...
არ ასცდება მკერდში დანა,
ვინც დგას შენს სიახლოვეს!
ვერაფერი, ვერაფერი,
ჩემგან ვერ დაგიფარავს,
თუმც დაგიცავს ჩემი ხელი,
მერე ყველა მტრისაგან!
აირჩიე შენი ბედი,
მეტყვი? გაგერიდები,
სხვასთან თუ ხარ თეთრი მტრედი,
ჩემთან გედი იქნები...
შენ დაგითმობ ჩემს ყველა ზღვას,
და უთეთრეს ჩანჩქერებს,
თუკი ჩემი ნატვრა ახდა
ვერავინ შემაჩერებს...
შემოგხედე, სულს დაემჩნა
შენი ნათითურები,
მხოლოდ შენთან, ერთადერთთან,
ნატვრას დავასრულებდი...

მიყვარს შროშანი

იქნებ შენ მითხრა, რომელია უკანასკნელი,
უკანასკნელი სიყვარული თუ რომელია...
პირველი მახსოვს იყო ჩემი თანაკლასელი,
უკანასკნელნი კი, ვინ იცის, ვინ სად მელიან...
ანდა, რას მეტყვის მომღიმარე მათი თვალები,
როცა ანთებულ ჩემს მშვიდ თვალებს დაინახავენ,
მე ღერძს მიწისას მახსოვს უკან ვატრიალებდი,
და მიწაც ნაღდად ტრიალებდა მაშინ სხვა მხარეს...
დღეს მდინარე ვარ უკვე ზღვასთან ახლოს მისული,
მკლავებს გავშლი და გადავკოცნი უსაზღვროებას,
თუმცა, ძვირფასო, სულ არაა გამორიცხული,
რომ ერთხელ კიდევ ამისრულდეს, ალბათ, ოცნება...

რომ ველზე ვიწვე და ჩემს თავთან ნაზად დახრილი,
ეგ წამწამები კვლავ სიყვარულს მეფიცებოდნენ,
მერე, ჩემს ყურთან ტიკტიკებდე თოთო ბავშვივით,
და მეც კვლავ შენი გულისაკენ გზას მივყვებოდე...
მიყვარს შროშანი, ნუ მაჩუქებ შენც სხვა ყვავილებს,
და თუკი ჩემი ოცნებანი ამოიციანი,
შენგან მოტანილ თეთრ შროშანებს ჩამოვარიგებ,
და თვით კოცნასაც, სულ თავიდან შენგან ვისწავლი!!!

ზღვა

რა უხარიათ, ნეტა დელფინებს,
ზღვის ზედაპირზე ამოსხლეტილებს...
როცა ვუცქერი იმათ მაღაყებს,
არ შემიძლია რომ მეც არ ავყვე...
ვივიწყებ ტკივილს, ვივიწყებ დარდებს,
და დელფინით მივაპობ ტალღებს...
საოცარია სივრცის შეგრძნება,
როცა ზღვა თითქო ტანქვეშ გეცლება..
და არ არსებობს აღარაფერი,
თვალგახელილი ზეცას ასცქერი...
როგორც უხსოვარ მარადისობას,
რომელიც ვგრძნობდი რომ გამიცნობდა...
მაგრამ დღეიდან მზემდე აფრენილს,
კვლავ ზეციური მართობს ნატვრები...

ვის უღიმი სევდიანად

ვის უღიმი სევდიანად,
ან ვის უპობ, ნეტა, ბაგეს,
ვინ გიმღერის სულთათანად,
ამ მოსაწყენ წარსულ ჰანგებს...
ეგ ვარდი ვინ მოგიწყვიტა,
სიყვარული ვისი გკლავდა;
რატომა ხარ ასე წმინდა,
ვით ქალწული უცხო ხატთან...
მე შენამდე ბევრთან ვიყავ,
ბევრზე-ბევრი ხილი ვკრიფე,
მაგრამ ყველა დამავიწყდა,
შენი ეშხის გადამვიდეს...
რად მაგონებ ჩემ ძველ მუზას,
ნეტა, ასე რატომ ჰგავხარ...
გესმის ქნარზე ვიღაც უკრავს

სიყვარულის უცხო ამბავს...
გიმზერ, ვფიქრობ, ნუთუ ჩვენზეც,
ააგორეს უკვე ჭორი,
შენ ფიცულობ, ვიცი, ჩემ მზეს,
თუმცა შენამდე გზაა შორი.

რად არის სევდა ასე ლამაზი

რად არის სევდა ასე ლამაზი,
რად არის სული სავსე ცრემლებით?
ჰო, თუნდაც მოსვლა ამ ქვეყანაზე,
სასწაულია, ჩვენ კი ვერ ვხვდებით...
ვგრძნობ, როცა გსურს, რომ მკერდზე მომიყრდნო,
და მწუხარებას ხარკი უხადო...
მე შენს მაგიერ სუნთქვა რომ შევძლო,
შევასრულებდი ამას უხადოდ...
შენ ბუტბუტები რაღაც სურვილებს,
მე კი ვიდექ და ცას გავცქეროდი,
მტრედებმა გუმბათს გადაუფრინეს,
ვიდექ და თითქოს არც ვვარსებობდი...
შენი მტევანი ხელში მეჭირა,
ვაკვირდებოდი ხაზებს ბედისას,
ქრისტე ჩემს ცოდვებს თუ შეეწირა,
მე რა მეტყობა უცოდველისა...
მე შორს ვიყავი შენგან ფიქრებით,
შორს, და ვუსმენდი შენს გულისცემას,
ოდესმე ყველა გარდავიცვლებით,
თვითონ სამყაროც გარდაიცვლება...
მე კი ვუცქერ, რომ კვლავ ერთად წყდება,
შენი და ჩემი სიცოცხლის ხაზი,
აღარაფერი არ შეიცვლება,
ვეღარ იქნები ისე ლამაზი...

მე სული მიყვარს სხეულზე მეტად

არ დაიჯერებ, მაგრამ გეძებდი,
ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა...
შენს პოვნას თუკი მე ვერ შევძლებდი,
ვიცოდი, ჩემი სული შეძლებდა...
ისე კი, მინდა, შენც რომ იცოდე,
მე სული მიყვარს სხეულზე მეტად...
არც მიმაჩნია რამედ სიცოცხლე,
რომელიც გაჩნდა სიკვდილის მძევლად...
მონაც რომ ვიყო, თუნდ უარესიც,

სიკვდილმისჯილი, ტყვიების ღირსი,
მე შენი სული უფაქიზესი,
ამაოების სევდისგან მიხსნის...
სულმა არ იცის დრო და საზღვარი,
სული სამყაროს თანასწორია,
მე ახლა მივხვდი სული რაც არის,
და რანაირი სულიც მქონია...
მე ახლა მივხვდი, მინდა იცოდე,
მვირფასო, სულის უსასრულობას;
შენ მე მკლავები გამომიწოდე,
მე კი ეგ შენი სული მწყუროდა...

და ყოველივე ღმერთის ნებაა

როგორ იწყება სიცოცხლე, იცით?
პირველად, ალბათ, დედის ძუძუთი...
ჯერ სიხარულით, მერე ტკივილით,
მზით, ვარსკვლავებით, სეტყვით, ბურუსით...
როგორ გრძელდება სიცოცხლე იცით?
ავის შეცნობით, კარგის დანახვით...
და მიდის, მიდის, სიცოცხლე მიდის,
ხან სიყვარულით, ხანაც ღალატით...
როგორ მთავრდება სიცოცხლე, იცით?
პოეტებისთვის ის არ მთავრდება,
პოეტების გზა სიცოცხლის იქით,
უკვდავებისკენ მიემართება!
უკვდავებისკენ, უკვდავებისკენ,
მარადის ქროდნენ მათი მერნები;
იქ მაინც ბრწყინავს მათი ნატვრისხე,
იქ აწვიმთ, ალბათ, დედის ცრემლებიც!!!
მაგრამ ჯერ სანამ მოვა სიკვდილი,
წინ ალბათ გრძელი გოლგოთის გზაა...
ბრუნავს დოლაბი, სუნთქავს წისქვილი,
და ყოველივე ღმერთის ნებაა!

ჩემთან წამოდი

თუ მოგბეზრდება ყველაფერი, სულ ყველაფერი,
თუ მიგატოვებს სიხარულიც და მწუხარებაც...
თუ ცხოვრებისგან გარიყულს და მარტოდ დარჩენილს,
აღარ გეწვევა ძველებური აღფრთოვანება...
ჩემთან წამოდი, მეც დამღალა ამ მარტოობამ,
ერთად დავადგეთ გზას მიწიერ სამოთხისაკენ;

მეც ისე მიჭირს ამ ბოლო დროს თავის მოთოკვა,
სულ არაფერი, არაფერი აღარ მიტაცებს...
ვუთხრათ უარი განრისხებულ ბედის კარუსელს,
გაუშვი, ახლა წავიდეს და სხვა აზრი ალოს,
გამიხარდება თუ კვლავ დარტყმით არ მიპასუხებს,
თუ არ ჩამჩხვავს, როგორც იცის, კლდეებს ფრიალოს!!!
თუკი დარდია, გვიჯობს, ალბათ, ერთად ვიდარდოთ,
ერთად ვუმზიროთ ამ მწუხარე დღეთა დაისებს,
ეგებ ამ წლების ქარიშხლებმაც გადაიარონ,
თუმცა, ვინ იცის, ამათაც კი მოვინაკლისებთ...

რომ გვევარებოდი

რომ გვევარებოდი, არა მგონია,
ასეთი მალე დაგვიწყებოდი...
ცხოვრება მიწერს მუდამ ორიანს,
ისევე, როგორც შენ მიწყებოდი...
უბრალოდ, მქონდა რაღაც იმედი,
მე ამ იმედებს დღემდე არ ვიშლი...
შენს გამო იმდენ რამეს ვითმენდი,
ვით ჩავარდნილი თეთრი კლავიში...
რად შემეყვარდა შენი გულმკერდი,
თუკი თავის კარს სხვისთვის აღებენ,
თუკი ვნებების თხელი ფურცლები,
თავის ოცნებებს სხვებს შეახვევენ...
წადი და ნულარ მოიხედები,
ვისაც გინდოდეს იმას ეფერე,
წადი, იპოვე ვისაც ეძებდი,
ჩემსავით თუ არ გაიელვებენ...

დასრულდა ჩვენი ზღაპარი

ერთი ზეცა გვაქვს, ერთი მზე,
მე, შენ, მასაც და იმათაც...
რატომღაც მე მაზღვევინებს,
ღმერთი სხვის ცოდვებს წინასწარ!
ისე, სამოთხის გასაღებს,
მაინც არ ჩავიბარებდი...
რადგან მე შემომასაღეს,
სულ ყველას ცოდვა-ბრალეები...
ამიტომ აღარ მჭირდება,
შენ რომ მიწერდი ბარათებს,
ფიქრები გამომიზეზდა,
მას შემდეგ რაც მიღალატე...

მე კი რატომღაც მეგონა,
რომ დიდხანს გეყვარებოდი,
შენი ხმა რომ გამეგონა,
გარიჟრაჟისას ვდგებოდი.
ახლა რა, კუნძუზე თავი და
გილიოტინაც მზად არი;
მზე ბაღჩის იქით ჩავიდა,
დასრულდა ჩვენი ზღაპარი...

ჩემი ლამაზი მხარე

რატომ ჩურჩულებს მწარედ,
რატომ დაკარგა ძილი...
ჩემი ლამაზი მხარე,
ჩემი სამშობლო ტკბილი...
მეც, როგორც ბევრი ჩვენში,
მისი ერთგული ტყვე ვარ...
ლუკმა არ ჩამდის ყელში,
ცისკენ გამირბის მზერა...
ამდენი ცოდვის მნახველს,
ცრემლი გამიშრა თვალში,
დამდეგს, მპოულობს, მამხელს,
თემიდას ბრჭყალი ბასრი...
ამ ყველაფერში, მართლაც,
ყველას მიგვიძღვის ბრალი;
აღარც სინდისის განცდა,
აღარც ტამრების ზარი.
ზოგჯერ მგონია თითქოს,
ბუნებაც გახდა ყალბი,
აღარც ქართული სითბო,
აღარც ქართული თაფლი...
ხელში მიჭირავს რწმენა
და ძაღლებისკენ ვისვრი,
მესმის ყეფა და ღრენა
გადაჯიშებულ სისხლის!!!

შეგხვდები

ვიცი, ძვირფასო, რომ გენატრები,
რომ სევდას მიცვლი კვლავ სიხარულოზე;
აბა, რა გითხრა, ამ გულს ვასკდები,
როგორმე გული რომ არ გამისკდეს!
ისე ცივი ვარ, როგორც მყინვარი,
და ალბათ არც ღირს ჩვენი შეხვედრა,

მახსოვს წუთები დაუვიწყარი,
მსმენია ბოლო ამოკვნესებაც...
და თუკი ვხუმრობ ამ ცხოვრებაში,
და არ ვიცილებ ღიმილს სახიდან,
ეს ალბათ არის ჩემი რევანში,
სევდაზე, ზეცა რომ მიგზავნიდა...
შეგხვდები, მინდა შენთან შეხვედრა,
თავი გრიგალებს თუ დავაღწიე...
თუ ჩემი სულის ბოლო ფერფლებმა
შეყვარებულად ისევ მაქციეს...
მაგრამ, რა ვუთხრა, მითხარ, შენს მზერას,
როცა ჩემს შეშლილ სახეს შეხედავს,
ვუცქერ, სიკვდილი როგორ მეწევა,
გადაქცეული ლამის ცერბერად...
შენ კი მთვარიან ღამეებს ნატრობ,
და სურნელებას ჩვენი ვერხვების,
ამ ჯადოქრული ღიმილის პატრონს,
რა დაგრჩენია ჩემში ვერ ვხვდები...

სული თითქოს საზღვრებს გასცდა

შემოდგომაც გადის, გადის,
უკანასკნელს ითვლის წუთებს,
ხიდან ყვითელ ფოთლებს ბარდნის,
ამდენი ხნის ნასათუთებს...
რალაც სევდა, რალაც განცდა,
დასტყობია საღამოებს;
სული თითქოს საზღვრებს გასცდა,
და სამყაროს ჩუმად სტოვებს...
როცა ფოთლებს აწრიალებს,
რაზე ფიქრობს, ნეტა, ქარი,
ზამთრის ყინვებს ნაზიარებს
ისევ ვერსად გავასწარი...
რაც კი ჰქონდა ამ გულს სითბო,
თუკი ვინმე ჰყვარებია,
გაატანა ყველას თითქოს,
წვეთებივით გაელია...
მივალ, ქუჩებს მივუყვები,
ქუჩებს სევდის ფერით მოსილს,
და მაბზიებს თეთრი ფრთებით,
შემოდგომის ანგელოზი...

გამხსნია გულზე ჭრილობა

გამხსნია გულზე ჭრილობა,
შენ რომ ვერასდროს მამჩნევდი,
შენს მერე დამემშვიდობა,
შენი ფერმკრთალი ბაგები...
წახვედი, ნისლებს გაჰყევი,
თავი ბედ-იღბალს მიანდე,
მე კი მტორავდნენ დარჩენილს,
ლამის ღამიდან დილამდე.
ასე უიღბლოდ წაგებულს,
ან ვინღა მეთამაშება,
მოგიკლავ მაგ შეყვარებულს,
მოგიწევს თავის მართლება!!!

ყველაფერი დაემსგავსა მასკარადს,

ყველაფერი დაემსგავსა მასკარადს,
არაფერი დარჩა ხელუხლებელი;
ფსკერისაკენ მივზვავდებით აშკარად,
დაბზარულა ჩემი სულის კედელი...
ველოდები იქნებ ვინმე გამოჩნდეს,
იქნებ გასცრას ჩემი მღვრიე ფიქრები;
ვერ იპოვი ამ მიწაზე სამოთხეს,
და მეც თითქოს სისხლისაგან ვიცლები...
რალაც სტკივა, რალაც სტკივა სამყაროს,
რასაც ალბათ, ველარ აცნობიერებს;
მითხარ რამე, მითხარ, მინდა მასწავლო,
რომლებს ვენდო, სუსტებსა თუ ძლიერებს...
ამერია ერთმანეთში დღეები,
დრო კი თითქოს იმეორებს რაც იყო;
ვერ ვიგონებ თუ ვინ იყო შემდეგი
ჩემს მერე რომ სარეცელი გაგიყო!
მეეჭვება, რომ ოდესმე აღვსდგებით,
საფლავის ქვას გვერდზე გადავაგორებთ...
არ მოდიხარ, იქნებ, არც გენატრები,
ვერ შევხვდებით ნუთუ ველარასოდეს!?

მესროლე, ძვირფასო!

არ აჰყვე, ამ ენებს, არა ღირს, არ აჰყვე,
ყველანი თავისი სიკვდილით კვდებიან,
რა დათვლის ამ ქვეყნად ტყვიებს და ღალატებს,
ტყვიები ყოველთვის რჩეულთა ხვედრია...
უფრთხილდი, უფრთხილდი, ვინც შენთან ახლოა,

ვინც სულში გიძვრება და რჩევებს არ გაკლებს,
ვინც გულზე ნაკაწრებს გიტოვებს სახსოვრად,
და ღამით გპირდება დედოფლის სასახლეს...
არ გჯერა, მე შენთვის ცის ცრემლებს ვაგროვებ,
ვაგროვებ სევდებს და ვარსკვლავთა ნამსხვრევებს...
აღარ მიგატოვებ, აღარ მიგატოვებ,
თუკი ვიქნები და თუკი ვიარსებებ...
ვინ მეტყვის, ძვირფასო, რა არის ეს გრძნობა,
რომელიც ძილშიაც შენს სახელს მახსენებს,
მჭირდება, მჭირდება შენი თანაგრძნობა,
ხელი შემაშველე, ხელი შემაშველე!
უდაბნოს სტეპებში მივყვები ქარავანს,
აქ ცხელი ქარია და ქვიშის ღრუბლები,
იმედი არა მაქვს, იმედი არა მაქვს,
იმედი არა მაქვს, რომ კვლავ დავბრუნდები!
ბევრჯერ დავეწაფე მაგ სულის ოაზისს,
რომელიც მაისის ვარდების ფერია,
დრო არის, დრო არის, დრო არის, დრო არის,
მესროლე, ძვირფასო, დღეს შენი ჯერია!!!

რისთვის გინდა

მე ამ მიწას მიმაჯაჭვეს,
შენ ზეცაში გიწევს ფრენა,
ახლა ბედიც გამომტაცეს,
ვერაფერმა ვერ მიშველა...
შენ და შენი რომანტიკა,
გამჩხერიხართ უკვე ყელში,
რომც შემიშვან, იქ რა მინდა,
რა ვაკეთო სამოთხეში.
აქეთ ქარმა, იქით წყალმა,
მატრიალა, მაზურიალა,
ხვალე თუ არ დამეზარა,
დაგადგები ადრიანად.
დაგადგები, რომ გავიღო,
კიდევ ერთხელ ქვეყნად მსხვერპლი,
ჩემი გული ამოვიღო
და გაჩუქო თუკი მეტყვი...
ერთს კი ვფიქრობ, რისთვის გინდა,
გამოჭმული, გამოხრული,
მე, უბრალოდ, ჩემი მხრიდან,
ვერ დაგწყვიტე, მართლაც, გული...

გარეთ თოვს

გარეთ თოვს, თოვლი მოვიდა, იცი?
გადაათეთრა ჩემს წინ ფერდობი...
თითქოს ბუნება სამოსელს იცვლის,
ასე ნაცნობი უდარდებლობით...
ასე ნაცნობი და საყვარელი
რად არის ჩემთვის შენი სითეთრეც;
რა სპეტაკია ეს აკვარელი,
ფეხს ვერ დავადგამ, ვერ გავიმეტებ...
მაშინ, შენამდე როგორ მოვიდე,
შენ ხომ ჩემი ხარ და ვიცი მელი,
უნდა მაცალო ერთი-ორი დღე,
სანამ ეს სევდა ჩაივლის ძველი...
ორ დღეში თოვლიც გაიჭუჭყება,
თოვლი, რომელიც ახლა თეთრია,
თუმც მიყვარს, მიყვარს თავისუფლება,
დღეს მაინც შენთან ყოფნა მერჩია...
იქნებ შენ მითხრა, რად მოდის თოვლი,
სულშიც რატომ თოვს, იქნებ შენ მითხრა,
ასე პირველი თოვლივით მოვლილს,
თოვლივით რომ გხდი საოცრად მიყვარს...
ვიცი არაფრით თავხედობაში,
არ ჩამომართმევ ამ უხეშ სიტყვებს,
რას არ გავცვლიდი შენს ერთ კოცნაში,
და ამიტომაც სიტყვები მისწრებს...
ძვირფასო, მოდი, დამადე გულზე,
თოვლივით ცხელი, ეგ შენი ხელი,
მითხარი რამე იმ საყვარულზე,
სიზმრებს რომ გაჰყვა და მაინც ელი...

მე შენი მწარე ეკლებიც მიყვარს

ვიცი, შევხვდებით, ალბათ, სულ მალე,
და წინ ვარდივით გადამეშლები,
მე ბულბულივით იქვე სულს დავლევ,
მე მაგ შენს ეკლებს წამოვეგები...
რათა გაცოცხლო, ძვირფასო, დიდხანს,
რათა არ დაჰკნეს შენი ფურცლები,
მე შენი მწარე ეკლებიც მიყვარს,
ფოთლებიც, ფესვიც მიყვარს უკლებლივ...
და მიხარია, ძვირფასო, რადგან,
ეს ჩემი სისხლი შენში გადმოვა,
მე ხომ სიკვდილით არაფერს ვკარგავ,
მე ხომ შენს ნაცვლად ვარდად ამოვალ...

ვიცი, რომ ვგალობ უკანასკნელად,
რომ წვეთ–წვეთობით სისხლად ვიცლები,
ნუ შეწუხდები, არ მინდა შველა,
მეამაყება, რომ შენთვის ვკვდები...

ღირს ეს ცხოვრება

ღირს ეს ცხოვრება, ნამდვილად ღირს, ალბათ, იმ ხმებად,
ქალის ყელიდან რომ ამოდის ულამაზესი,
როცა სხეულში ჩანჩქერების წვიმად იღვრება,
ათასი წვეთი ძუძუსავით უმხურვალესი...
ღირს ეს ცხოვრება, სიყვარულით, მტრობით, ღალატით,
ცამდე აწვდილი მწვერვალებით, თეთრი ტაძრებით,
თავის ომებით, მკვლევლობებით, ფარ–მუზარადით,
თავის კახპებით, ბორდელებით, ციხით, ზღაპრებით...
ღირს ეს სიცოცხლე, რას ინატრებ სამაგიეროს,
ღირს ამ შხამიან, თუნდაც ჩვენი საუკუნეთი;
გაუშვი, კაცის ხელისგულზე დაშნამ იელვოს,
ოღონდაც ღირდეს იმ მკვლევლობად ქალის გულმკერდი!
გაუშვი, იყოს მიწისძვრები, დელგმა, ხანძრები,
გაუშვი, იყოს ყველაფერი რაც კი არსებობს,
ოღონდ არა თქვან, რომ გაქრება სულყველაფერი...
რომ წყვდიადილა გადარჩება უვარსკვლავებო!

მე ღრუბლებს მოვწყდი დიდი ხანია

ვიცი, რომ მსტუმრობ, დროდადრო ჩუმად,
და ჩემი სულის ღაღადისს უსმენ,
სხვებიც მოდიან, დგანან და სდუმან,
ვხედავ მთვარიდან არეკლილ შუქზე...
და ვფიქრობ, ღმერთო, საიდან ძალა,
როგორ შემომრჩა, როგორ დავზოგე!
ნუ ამიკრძალავ, ნუ ამიკრძალავ,
მე ყველაფერი მინდა მახსოვდეს.
იცი, არ ვიცი, რაზე ფიქრობენ,
დღემდე უცნობი ჩემი სტუმრები,
რას წამართმევენ, რას დამითმობენ,
ან რა ენაზე ვესაუბრები...
მე ღრუბლებს მოვწყდი, დიდი ხანია,
და ამ მიწაზე დავიდე ბინა,
ვერც იმას ვიტყვი, რა მიხარია,
ვერც როდის მღვიძავს, ამ როდის მძინავს.
იქნებ სულ სხვა ვარ და ის არცა ვარ,
ვინც ჩემს მაგიერ აქ უნდა იყოს,

იქნებ ვიყავი და აღარა ვარ,
ვინ მიპასუხებს, ვის შევეკითხო?!

გახდები ჩემი სულ ერთი ღამით

დაგპირდი, მაგრამ ვერ აგისრულებ,
ისე დამალა ლექსების წერამ,
მვირფასო, მოდი, წარღვნა მისურვე,
მე ახლა მხოლოდ წარღვნების მჯერა.
შენ კი მაგ შენი გაშლილი თმებით,
გსურს დამიბრუნო ილუზიები,
რომ ქმარსა სტოვებ და ჩემთან რჩები,
ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები...
მე თურმე შენი რძისფერი კანი,
ისე საოცრად შემყვარებია,
მე ახლა ჭკუას როგორ ვისწავლი,
მე შენი თმები მენატრებიან...
მვირფასო, მოდი, რაც იყოს, იყოს,
წარმოიდგინე, რომ შენც ხარ მთვრალი,
მე მოვალ შენთან, რომ ჩუმად გკითხო,
გახდები ჩემი, სულ ერთი ღამით?

მოჰიკანივით ლექსებს შემოვრჩი

რა მაქვს სახვეწნი, დადუმდა ყველა,
დამუნჯდა ყველა, ყველა დაბრმავდა...
რა ჰქვია ამას, ნახევრად წყევლა,
თუ მე მივიღე წყევლისმაგვარად...
მე კი მგონია, შეძვრნენ სოროში,
და ვირთხებივით მომენტს ელიან,
გამოდვრებიან სადღაც ბოლოში,
აუცილებლად გამოდვრებიან...
როცა ვიქნები სიკვდილის პირას,
ან იქნებ მკვდარიც, ფიცრის კუბოში.
მათი სიტყვები მექცევა ჭირად,
რაც ბევრჯერ ხდება ამ საწუთროში.
დიახ, მვირფასო, მე რომც მინდოდეს,
ვეღარ ვუშველი ჩემს თავს ვერაფრით,
შეჩვეული ვარ უამინდობებს,
ყოფნას დაფლეთილ გიჟის პერანგში!
ერთი კი ვიცი, რომ იმათ გვერდით,
იქ, შორს, ზეცაში, ვიდგები მუდამ,
ვინცა ცოცხლობდა მამულზე სევდით,
და გულიც ჰქონდა ცასავით სუფთა...

ვინც სიცოცხლეში ჩემსავით სცლიდა,
შხამით გავსებულ სევდის ფიალებს,
ვინც, ლამის, თავის მამულად ღირდა,
მადლობის თქმა კი დაუგვიანეს!
ვინც ჩაფლულია სადღაც აქა-იქ,
ბევრს, ვიცით, კუბოც არ ჰღირსებია,
ვისაც არ შეხვდა არსად საფლავი,
ვინც სამშობლოდან შორსა კვდებიან!
ასეა შურის მძაფრი ქარები,
დღესაც უბერავს საქართველოში,
თხოვნით არავის არ ვეკარები,
მოჰკიკანივით ლექსებს შემოვრჩი...

მთვარეს დასწვია წუხელ ტუჩები

მე კვლავ მწვერვალის ნაპრალთან ვდგავარ
და ასაფრენად ვარ შემართული,
მზეებო, თქვენი მომეცით ძალა!
კლდეებო, თქვენი მაჩუქეთ გული!
რომ განათებულს ცისკრის სხივებით,
ცისარტყელების მერტყას ქამარი...
მთიდან ნისლები წამოშლილები,
მესალმებოდნენ კრძალვით, თაყვანით...
რომ კერპი ვიყო სალი კლდეების,
ვეჯახებოდე მკერდით ქარიშხლებს,
ლოდები კლდიდან ანასხლეტები,
მიღებდნენ ზეცის წითელ კარიბჭეს!
შენ კი, ნათელი, ვით გაზაფხული,
ეჩქარებოდე ჩემთან შეხვედრას,
და როგორც სურო ყლორტზე გასული,
ეტმასნებოდე ჩემს ძლიერებას!
ტანთ ჩანჩქერების ქაფებს მოვისხამ,
მკლავებს მოგხვევ და გამიყურდები,
გაიგე, თურმე, მზის ნაკოცნისგან,
მთვარეს დასწვია წუხელ ტუჩები...

შეშლილსა ჰგავხარ

მიყვარს ეს ფოტო, ოდნავ შენც, ალბათ,
მიყვარხარ, რადგან შეშლილსა ჰგავხარ...
თუ ქარი ჩადგა, თუ ქარი ჩადგა,
აუცილებლად მოვალ და გნახავ...
რომ გავადიმო შენი თვალები,
სულ ოდნავ მაინც, სულ ოდნავ, ოდნავ...

რომ დაგავიწყო ზღვა მწუხარების,
რომ შენს თვალებში ეგ სევდა მოვკლა...
ვიცი, სიცოცხლე რომ სიზმარია,
რომ ცხელი სისხლი ერთხელ ცივდება,
თუ ყველაფერი ზამთრის ბრაღია,
შენ გაზაფხული რად გესიზმრება...
რად გესიზმრება ცაში ჰამაკი,
და ბუდუარი ასე მდიდრული,
როგორც მომხდური მტრების ბანაკი
შენს თვალებში ვარ შემოხიზნული.
არცერთი ქალი არ ჰგავს ერთმანეთს,
შენ მაინც სხვა ხარ, სხვა სიტკბოება,
მიყვარდი, მაგრამ ვერ გაგეკარე,
და შემრჩა ბოლოს შენზე ოცნება...
მაგრამ ოცნება ზოგჯერ მეტია,
ბევრად მეტია სინამდვილეზე,
შენი ტუჩები ერთადერთია
საკოცნელად რომ ვერ გავიმეტე.
აღბათ არ მსურდა რომ წამეშალა,
ძველი თრობის და ტკბობის კვანძები,
და თუ ოცნებამ მაინც შემშალა,
უნდა მომხვიო შენი მკლავები.

ჩემ ტანზე ჩურჩულს დაიწყებენ შენი მკლავები

შენ არ გეგონოს არ მესმოდეს შენი გულისთქმის,
უბრალოდ, ცაა მოღრუბლული და სევდა მიპყრობს...
რაც უნდა მოხდეს, გესტუმრები გაზაფხულისთვის,
ერთად ვუმზიროთ, როგორ აფრქვევს მზე მიწას სითბოს...
ერთად ვუმზიროთ, ზღვის ნაპირას მიქცევ-მოქცევას,
ერთად ვუმზიროთ, ტალღა-ტალღას რომ ეფერება,
და ნუ დამძრახავ, თუ ისეთი რამ წამომცდება,
რაც მერე უნდა ადასრულონ ჩემმა ხელებმა...
პრიალა კანზე გველებივით გაისრიალონ,
და როცა შემკრთალს მოგინდება წამოკვივლება,
ძუძუს კერტებთან ეს ხელები შენს აზრს მიასწრობს,
და ტუჩზე კოცნაც გააქარწყლებს შთაბეჭდილებას!
და შენც ბავშვური სიყვარულით ბედს მინდობილი,
სიძვის საჩუქარს ერთხელ კიდევ ეზიარები,
და როგორც ბაღი სულ ახალი გადაფოთილი,
ჩემს ტანზე ჩურჩულს დაიწყებენ შენი მკლავები...

გამომეგებე

რამდენჯერ უნდა დავბრუნდე შენთან,
რამდენჯერ უნდა ამიკრა ხელი,
შენ წინათ, ალბათ, ზღაპარი გერქვა,
ახლა რა გქვია, მე ვერ ავხსენი.
მაშ, რატომ ერთხელ არ გაგონდები,
მაშ, რატომ ერთხელ არ მეახლები;
ჯერ, თუკი ასე გამაოგნებდი,
და მერე ჩემ სულს ხელს შეახებდი...
სად ხარ, სად დასვი, მითხარ, წერტილი,
უნდა გეძებო თუ არ გეძებო?
მოვქრი მერანი თავაწყვეტილი,
და მინდა, მინდა, რომ შემეგებო!
თან სურნელება მომაქვს ველების,
განთიადების მომაქვს სინათლე,
მოვკალი ლამის ცხენი ჭენებით,
მაგრამ შენს ბუდეს ვერსად მივაგენ...
თუმც, ვიცი, ვიცი, არ მელოდები,
ჩემს მრისხანებას არ აქვს საზღვარი,
დავიმეგობრე ვეფხვნი, ლომები,
ჩვენს უკან რჩება გზად ნახანძრალი...
გამომეგებე, თუკი არ გინდა,
რომ შენც ხანძრების ალში გაგხვიო,
ჩემს წინ მყინვარი ცრემლებსა ღვრიდა,
შენ, შენ არ გინდა, რომ გაპატიო?!

სტვენით, ქროლვით, გაგიჟებით...

მიდი, მიდი, შენებურად გამაცოფე,
მომამსხვრიე ეგ ტალღები, მომალეწე,
რომ ეს ღამე სამუდამოდ დამახსოვდეს,
სანამ სიკვდილს, სანამ სიკვდილს მოვასწრებდე...
იბობოქრე, იბობოქრე, იამაყე,
რომ ზღვა ხარ და არ გაშინებს არაფერი...
რომ ღელვაში არის შენი სილამაზე,
და იმარჯვებს მუდამ შენი კამათელი...
რომ ქარიშხლებს შენს მკერდში აქვთ თავის ბინა,
რომ გრიგალებს დაუპყრია სივრცე შენი,
რომ ტალღებმა შებრალება არ იციან,
და გვამებით მოფენილა მთელი ფსკერი...
მიდი, მიდი, სტვენით, ქროლვით, გაგიჟებით,
მიამსხვრიე ხელოვნური ჯებირები,
აამღვრიე მთვლემიარე ნაპირები,
მიმოფანტე ქვეები ერთურთს შეზრდილები!!!

ჩამომიქროლე, როგორც მიმინომ...

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ,
მოვედი შენთან რომ გაგილიმო,
ნეტავი ერთხელ გამიმართლებდეს,
ჩამომიქროლო, როგორც მიმინომ...
შემომყარო შენი სიცილი,
ცისკენ გაყოლა ფრთებით მანიშნო,
და მეც გამოგყვე ვით დაგეშილი,
წამოგეწიო და გადაგისწრო...
შეიფრთხილო გაფითრებულმა,
და მიწისაკენ ვარდნა დაიწყო,
მე კი არწივმა განცვიფრებულმა,
გამოგეკიდო და კვლავ ჩაგისწრო...
გადაგიშალო ფრთები გულწასულს,
და სანამ ვინმე რამეს შენიშნავს,
შენს გულისწასვლებს კოცნით ვუწამლო,
და მოგარჩინო გაგიჟებისგან...
ან შენ რა დაგრჩა, ნეტა, ზეცაში?
ან მე რა მინდა, თან რომ მოგდევი?
მე ხომ ისეც ვარ ნეტარებაში,
როცა სულსა გხდი, მკერდზე კოცნებით...

იქნებ შენ დამეხმარო

იქნებ შენ დამეხმარო, გული მაქვს გაგლეჯილი,
გამიკურო, რა ვიცი, დამიწებო, დაშტოპკო...
უგემური ეს წელიც, გასრიალდა გველივით,
მიტხარ, ამ ჩემს ტკივილებს, როგორ უნდა ვაჯობო...
მღერის, მღერის აქ ერთი, გული ჩაწვა, ჩახია,
ნეტა, რა ემღერება, ვუსმენ და ვერ ვგებულობ,
მესმის, მესმის ველების, მკერდი რომ გადახსნიათ,
თუ შენც ვერას მიშველი, მაშინ, არ დამემდურო.
მაშინ არ დამემდურო, თუ მეც მიწად ვიქეცი,
რომ ჩემს მკერდზე წითელი ვარდნი ავაბდღვრილო;
ყველა გარბის აქედან, მე კი ვერ გავიქეცი,
ან ამ ცეცხლში, ძვირფასო, როგორ გინდა იარო...
და ვგრძნობ, იცი, ვინც მღერის, ცარიელი ნერვია,
და სიმღერა ჩემამდე, მოდის როგორც ბრალდება,
ვწევარ, ზეცას გავყურებ, ზეცა თეთრზე–თეთრია,
და ეს ხმებიც კვამლივით ცისკენ მიემართება...

რა საოცარი სული გქონია

ვერ ვწერ, არ ვიცი, რა დამემართა,
თითქოს ჩამიტყდა ტბაში ყინული,
წინ ჯვარცმასავით დაემვა ფარდა,
მთელ ჰორიზონტზე გადაჭიმული!
რა მოხდა, როგორ და რანაირად,
მართლაც ვერაფრით ამომიხსნია,
არავითარი ხსნა არსაიდან,
მხოლოდ ჯვარს ვხედავ,
წითელს, სისხლიანს!
რა საოცარი სული გქონია,
ასე თეთრი და სავსე ნალველით;
მეც მიტევს შენი მელანქოლია,
მთელი სიმძიმით და გააფთრებით.
მეც მიტევს მთელი შენი წარსული,
იცი, ვგრძნობ, რაა სულით დაცემა,
რალაც ღრეობა ზღვარგადასული,
წყევლა, ცხედრები და ანათემა...
მე დაღლილი ვარ და ჩემ ხელს გიწვდი,
როგორც მკვდარი—მკვდარს აეკიდება,
მაგრამ, ძვირფასო, იგრძენი სისხლი,
სისხლი, რომელიც შენს გულს სჭირდება...
მოდის, მოვეშვათ, რაც იყო, იყო,
ნალველი შერჩეს ყვითელ რვეულებს...
ეს სიცოცხლეა, ის კი მსხვერპლს ითხოვს,
მსხვერპლს და დაემებს ისიც რჩეულებს...
ჰო, დამელოდე, მართლაც, რა ხდება,
მსურს მოგიტანო თეთრი ვარდები,
და თუ მკერდისკენ ხელი წამცდება,
მითხარი, ხომ არ გამიჯავრდება?!

დაჰბერე, ქარო!!!

დაჰბერე ქარო, როცა შენ მიტევ,
აღარაფერი არ მენალვლება,
ასე მგონია დუელში მიწვევ,
და ჩემი სული ზეცას ასკდება...
დაჰბერე ისე, ისე ძლიერად,
რომ დაებეროს ღრუბლებს ფილტვები,
ბლავილი მორთოს მიწამ მშვიერმა,
რომ მთებმაც იგრძნოს მისი ბიძგები.
დაჰბერე, ვიცი, არაფრად არ მთვლი,
და ქარიშხლებთან ჭორებს მივრცელებ,
მაგრამ არა მაქვს მე ამის დარდი,
მაინც არავინ არ დაგიჯერებს...
რადგან მე თვითონ გრიგალში ვიშვი,

აისბერგია ჩემი ნათლია,
გაყინული მაქვს ძარღვებში სისხლი,
მკერდზეც მირონი მისი მაცხია...
და მიყვარს, მიყვარს როცა ცოფდები,
ასე უმწეოს რომ ვერ მამარცხებ,
რომ ვერ მაჩოქებ ასჯერ მოცელილს,
რომ მაინც დავალ ამ ქვეყანაზე...
მე ენას ვუყოფ შენს განრისხებას,
დაჰბერე მძლავრად რაც შეგიძლია,
ჩემი სიცოცხლე ახლა იწყება,
და ჩემი ზღვები ჯერაც მიცდიან...
შენ კი სულ მალე ისევ გაქრები,
ტყუილად უსტვენ და თავს იგიჟებ,
მე შენთან ომში ვერ დავმარცხდები,
თუნდა მოიცვა კიდითი–კიდე!!!

გაქცევა

გახველ და კარი გაიჯახუნე,
თითქოს არც ვიყო, არც ვარსებობდე,
მაგ როლებს მართლაც კარგად ასრულებ,
ასე მგონია ტყვია მესროლე!
ვინ ლაპარაკობს დამცხრალ ვნებებზე,
ჩადირულ მზეებს რად ეძებ ზღვაში,
შენ ათას მიზეზს მოიმიზეზებ
და უმიზეზოდ ყველაფერს წაშლი!
მკვდარია სახლი, მკვდარია ქუჩა,
სიცივე ატანს ძვალსა და რბილში,
მჭირდება რწმენა, სულ ერთი მუჭა,
და ერთი გრამი სიცოცხლე სისხლში...
ასე დამონძილ ნატვრისხეს რთავენ,
ჩამოძონძილი ქუჩის ბავშვები,
გაისმის ზარი უკვე მესამე,
მე კი მეასედ, ალბათ, ვმარცხდები...
იხსნება ფარდა, და ჩემს ცხოვრებას,
როგორც სცენაზე ისე გავცქერი,
ჰენება მთელი დღე და მოსწრება,
მხოლოდ ჰენება, სხვა არაფერი...
რა მოთმინება, რის მოთმინება,
აქ ყველაფერი მოსწრებაზეა,
აქ სადაც ფიქრიც კი ისმინება
და თვით სიკვდილიც ჩამოვლაზეა...
სადაც ათასი კარნავალები
ეწყობა ხალხის ცრემლების ხარჯზე,
მხოლოდ ვალები, ქვეყნის ვალები,

და მათხოვარი წამდაწამ კარზე...
ზოგი რვეულით, ზოგი ჩანთებით,
ზოგი მუჭით და ზოგი ვედრებით,
ზოგი მარტო და ზოგიც ბავშვებით,
ზოგი შურით და ზოგიც ყვედრებით...
გახველ და კარი გაიჯახუნე,
თითქოს დავლიე მწარე წამალი,
არის კი ვინმე, ვინც მიპასუხებს,
როდის მთავრდება ეს კარნავალი?

კოცნა

იცი, ისე იცხადებ, თითქოს არც გიკოცნია,
სად გაგექცა წარბები, რა გაცნობეს თვალებმა?
ვისაც ეძებ, როგორც ჩანს, ჯერაც არ გიპოვნია,
სიცოცხლე კი არისო ერთი დახამხამება.
ნუ იქნები ასეთი მკაცრი და შეუვალი,
არც სურვილი არა მაქვს აგირიო ცხოვრება,
მართლაც, კოცნა ასეთი საშინელი თუ არი,
მაშინ, რატომ არ მომკლეს მე ამდენმა კოცნებმა?
დრო გადის და დღეები თანდათან ფერმკრთალდება,
მალე ჭკნობას დაიწყებს გაზაფხულის ვარდები,
აუ, რანაირად მშურს, ვინც შენ შეგიყვარდება,
თუმცა, იცი, ჩემსავით სხვას ვერ შეუყვარდება...
ნუ მიყურებ დაცინვით, მე იმდენი რამ ვნახე,
რომ უფლებაც არა მაქვს ბედთან დამდურებისა,
ეს ქვეყანა, ძვირფასო, მოჰგავს ერთ დიდ საწნახელს,
სადაც იწურებიან მტევნები ვნებებისა...
დამორჩილდი შენს გრძნობებს, უარს ნუ ეუბნები,
ბედი კარს მოგდგომია, შენ კი მაინც ორჭოფობ,
ვნება ეს გვირგვინია, ამ სასწაულ ბუნების,
და ამიტომ გრძნობანი განა ღირს, რომ მოთოკო?

...

წვიმა სახეში გცემს,
მზე კი თვალებსა გჭრის,
მოუმწყვდევიხარ მგლებს,
და სანთელივით თრთი.
თვალებს აცეცებ, ღმერთს,
ღმერთს დაეძებ და გწამს,
ის რაც ასე გტკენს დღეს,
ჩამოგაცილებს ხვალ!!!
შენ რომ წერილებს მწერ,

ყველა ვაჩუქე სხვას;
ჰგავხარ დაბნეულ შველს
და გაყუჩებულ ზღვას...
დანას ავიღებ მჭრელს,
მოგაკვლევინებ თავს,
რადგან რატომღაც მეც,
აღარაფერი მწამს!!!

ჯერ სიმშვიდეა...

ჯერ სიმშვიდეა, ჩემი სული მიგორავს ველზე,
და ჭრელ ყვავილებს უალერსებს, როგორც ნიავი,
გთხოვ მაპატიო, შენთან მოსვლა თუკი ვერ შევძელ,
და ეს უარიც სულ არ არის თავაზიანი...
თუკი ფიქრები მომჯარვია ყოველი მხრიდან,
მეკი გრძნობათა ბარიერი ვერ გადავლახე,
თუ თავის მახვილს ველარ ხმარობს ჩვენში თემიდა,
და ბედიც ასე უშურველად გვაწნავს მათრახებს...
ეს სიმშვიდეა ქარიშხლის წინ რომ ისადგურებს,
გახედე ღრუბლებს ზევსი უკვე მიერეკება,
და ჩემი სულიც დაბნეული ზეცას გაჰყურებს,
დაკარგული აქვს ადრინდელი სულისკვეთება...
ჯერ სიმშვიდეა, ჯერ თვალღებებს სძინავთ ყვავილებს,
ვერ გადაეწნა ჯერ ერთმანეთს ჩვენი ბედები,
სთხოვე სიყვარულს, ჰო, რა იცი, იქნებ გაიღებს,
იქნებ გაიღებს ორიოდ გრამს ბედნიერების!!!

რაც კი რამ მქონდა, სულ შენ გაჩუქე!

შენც ისე უკვე ველარ აშუქებ,
მე კი დამღალა ამ უშუქობამ,
რაც კი რამ მქონდა სულ შენ გაჩუქე,
გეკუთვნოდა თუ არ გეკუთვნოდა.
მიმიხვდი, ალბათ, სულზე ვსაუბრობ,
ერთდროს რომ გვედგა ორივეს ერთი,
ახლა არ ვიცი, როგორ გავუგო,
ორად გადახსნილს შენთვის და ჩემთვის...
ერთმანეთს ალბათ ასე შორდება
გადახლეჩილი სევდით სამყარო,
როცა მეთანი ისე გროვდება,
რომ მერე მიწა შეაზანზაროს...
ბევრჯერ დუმილი არის მეტყველი,
ბევრად მეტყველი ვიდრე ბღავილი,
წახვალ და, ალბათ, სხვას ჩაეწვნები,

სხვას გააცოფებს შენი წადილი...
ამ დროში როცა არაფერია,
არც გასაკვირი, არც მისაღები,
აღბათ, უბრალოდ, გზა აგვერია,
ჩვენ ცეკვას თურმე ჰქვია ბალეტი...
ჰოდა, რად გიკვირს, რომ უშუქობამ
და უვიცობამ ასე დამღალოს...
თუ შენ მოგეცი რაც რამე მქონდა,
ახლა სხვას თავი რით შევაყვარო...

მე შენ უნაზეს ვარდებს მოგიტან! სალომე დოლაბერიძეს!

როდესაც სხვისთვის აანთებ სანთელს,
ჩემიც ააანთე, იქვე, შენს გვერდით,
და, იცი, მინდა, რომ მუდამ გვწამდეს,
რომ შიგადაშიგ, ჩვენც გვიმზერს ღმერთი...
რომ ის სანთლები, შენ რომ დაანთებ,
ისეთი ძალით აკაშკაშდება,
აღბათ, ორივეს, რომ გადაგვარჩენს
და არასოდეს აღარ ჩაქრება.
მე შენ უნაზეს ვარდებს მოგიტან,
ვარდებს მოგიტან, წითლებს, ხასხასას,
როცა ბალები ატმებს მოისხამს,
და დილა ზეცას მზეს მიახატავს!
მერე დავსხდეთ და ერთად ვუმზიროთ,
როგორ იწვება ზღვაზე აისი,
იცი, ცა თუმცა არის უძირო,
თუკი ჩვენ ვდარდობთ, ისიც განიცდის...

გემი ვარ, ტალღა კლდეს რომ ანარცხებს...

არ ვიცი, ვინ ვარ, ან რატომ გავჩნდი,
უამრავ რამის არ მაქვს უნარი;
ვინმეს ვჭირდები, თუნდ, როგორც კაცი,
ან როგორც, თუნდაც, ჩუმი სტუმარი.
რად მერგო ბედი, ვინც უნდა ენთოს,
სანამ სიკვდილი მიაკითხავდეს,
იმათგანი ვარ, ვინც ყველას ენდო
და მაინც მიდის ბოლო მიზნამდე!
იმათგანი ვარ, ვინც მაშინ ტირის,
როცა ტირილი გარდუვალია,
იმათგანი ვარ, ვინც მაშინ ყვირის,
როცა ყვირილი სხვების ბრალია!
იმათგანი ვარ, ვინც სხვების ტკივილს,

თავის ტკივილად მიიჩნევს მუდამ,
იმათგანი ვარ, ვინც მუდამ იბრძვის,
და გამარჯვება სხვებისთვის უნდა...
იმათგანი ვარ სხვათა ზეიმებს,
ვინც დასწრებია და არა შურდა,
არ უჩოქებდა ხონთქრებს, შეიხებს,
და მლიქვნელობა ჭირივით სძულდა...
მიმიხვდით, ალბათ, თქვენიანი ვარ,
გემი ვარ, ტალღა კლდეს რომ ანარცხებს,
ვინც იბრძვის მუდამ სხვების მაგივრად...
სხვამ რომ იცოცხლოს, სხვა რომ გადარჩეს...

განა ვერ ვხედავ, რომ კვლავ მარტო ხარ...

ეგ სიყვარული ისე მჭირდება,
შენი სხეულით თან რომ ატარებ,
არ დაუჯერო სხვა თუ გპირდება,
ჩემსავით ზეცას ვერ შეგაყვარებს...
ვერ შეგაყვარებს ორბებს, არწივებს,
ცისფერ მწვერვალებს შეფარებულებს,
დამშვიდებული ზღვების ნაპირებს,
ასე რომ უყვართ შეყვარებულებს...
ჩემს სურვილებზე თუკი გადმოხვალ,
დაგავიწყდება სხვა სურვილები,
განა ვერ ვხედავ, რომ კვლავ მარტო ხარ,
ვით მოწყვეტილი კლდიდან ირემი...
განა არ ვიცი, რომ ქარიშხლებმა,
შენს ბაღნარებშიც შემოაღწია,
და ეს ნისლებიც აქ რომ ირევა,
ხან გრიგალებზე ბევრად მკაცრია...
მე სამშვიდობოს ისე გაგიყვან,
რომ წყალზე ფეხიც არ დაისველო;
ისიც მითხარი, თუკი სხვა გიყვარს,
როგორ მოვიქცე, როგორ გიშველო?!

რაც რამ გამაჩნდა

ყველაფერს ვიტან, ყველაფერს ვიტან,
ღვინოს, სიგარეტს, ვიტან ქალებსაც,
რა მოხდა, მუდამ თუ ერთი მიყვარს,
თვალი რისაა თუ არ გაგექცა.
ქალისკენ თვალი თუკი გაექცა,
ამით ოჯახი ვინმეს დაექცა?
ამ წუთას ქალმა ჩამოიარა,

რაც რამ გამაჩნდა, ერთად გამექცა!!!

ნუ გეწყინება (ქეთი ბაციკამეს)

გახსოვს გზის იქით, მწვანე ბალები,
შენ რომ გიყვარდა და მეც მიყვარდა,
რა ხსნის ქალის სულს? რა გასაღები?
უცბად თავიდან ამომივარდა.
რა დროა, ზოგჯერ ისიც მაწუხებს,
როცა ვიცივით, რაზე ვიცივით?
იქნებ, უბრალოდ, როლებს ვასრულებთ,
ზოგი გზის აქეთ, ზოგიც გზის იქით!!!
რომ ველარ ვხედავთ იმ სილამაზეს,
რაც კი ბუნების ხელით შექმნილა,
რაც გვქონდა ისე გაგვიღატაკეს,
მიკვირს აქამდე რომ არ შევშლილვართ!
ბევრ რამეს დღემდე განვიცდი მძაფრად,
ბევრი რამ, ალბათ, კიდევ მაშინებს,
რომ ყველაფერი გზის იქით დარჩა,
რომ არაფერი არ შეგვარჩინეს!
რომ დამავიწყდა, რატომ მოვედით,
რომ უნაყოფო არის ეჭვები,
და ამ მიწაზე, როგორც მოგვები,
მკითხავებივით დავეხეტებით...
ჩემი მზე შენი სახის ფერია
და თუკი ცაზე ამობრწყინდება,
მე გზა მზისაკენ ამირჩევია,
და თუ დაგტოვებ, ნუ გეწყინება!!!

ჩემს სულში ყოველთვის წვიმა და ქარია

ჩემს სულში ყოველთვის წვიმა და ქარია,
და სეტყვის ღრუბლები წარღვნებსა მპირდება;
ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი, აღარ მიხარია,
არც ლექსი, არც ქება, არც ყალბი დიდება...
რად არის სიგიჟე პოეტის საზღვარი,
ამ კითხვას მეც ალბათ საფლავში ჩავიტან;
მითხარი, მითხარი, ეს ღამეც რად არის,
იმ დღეზე უმწეო, რომელიც გავიდა...
ახლა რომ ვფიქრდები, არც ისე დიდია,
სამყარო, რომელიც ჩვენს გვერდით არსებობს;
ვარსკლავნი ჩნდებიან დ სადღაც მიდიან,
ჩვენც ვჩნდებით, რომ ზეცამ გვირტყას და დაგვსეტყვოს...
ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა სულ ყველა ლეგენდა,

რის ღმერთი, რის ბუდა და რის მუჰამედი;
მისი მომავალი მე აღარ მეხება,
მას დარჩა სულ რაღაც, სულ რაღაც წამები...
ძვირფასო, არ გინდა, არ შემომედავო,
ნუ მეტყვი, არა მსურს, ნურაფერს მასწავლი!
აქ მხოლოდ, აქ მხოლოდ სიკვდილი მჭეექარობს,
სიცოცხლე? სიცოცხლე არის და არც არის...

არ დამითვლია

ძნელია, მართლაც ატარებდე გვირგვინს მეფისას,
ვინც უნდა იყო, თუნდ იყავი მაკედონელი;
უსასტიკესი არის მუდამ გზა დიდებისა,
არც მტერი იცის, არც მოყვარე, არც ახლობელი...
არ დამითვლია, რას დავთვლიდი, რამდენჯერ მომკლეს,
შხამიან ჭიქებს ისე ვცლიდი, როგორც შარბათებს,
ფანატურის მკვლევლობების ვიყავი მოწმე,
ვნახე ჯალათებს რომ უგებდნენ გზად ფიანდაზებს...
ვერ ვუღალატე, მე ჩემს რწმენას დღემდე შემოვრჩი,
და როცა სხვები ატარებდნენ დაფნის გვირგვინებს,
პილიგრიმით დავდიოდი საქართველოში,
და სული ჩემი ჰამლეტივით გადავირჩინე...
გაუშვი, დაფნაც და ტიტულიც სხვებმა ატარონ,
არ მენადვლება, ამბიციად ნურვინ ჩამითვლის,
ოღონდ სიყალბეს არასოდეს არ გამაკარო,
სანამ ვარსებობ, სანამ მიყვარს, სანამ განვიცდი...

მოდი, ძვირფასო, მებუღბუღე, მეიადონე...

მოდი, ძვირფასო, მებუღბუღე, მეიადონე,
თორემ ეს გული ნაღვერდლიან თონედ ქცეულა,
ველოდებოდი მე რატომღაც ციდან ფანტომებს,
მაგრამ ყველანი მუმიებად გადაქცეულან...
რად მაგონდება ამ ღამეში შენი მძივები,
ასე მეგონა იკიდებდი ყელზე ვარსკვლავებს,
მხოლოდ ერთსა გთხოვ, ჩემსკენ ცივად ნუ იმზირები,
რა გაათენებს ამ ყინვაში ისეც ამ ღამეს...
ახლა თრთვილს დაყრის, გარეთ ბაღი თეთრად ირთვება,
თეთრ სამოსელში ეხვევიან ჩემი ფიქრებიც,
გადის დღეები, მაგრამ მაინც არ მავიწყდება,
თმები ძუძუსთან დაფენილი, როგორც წიწვები...
მახსოვს, საყურეს ხელს ჰკიდებდი და აწვალეზი,
ფერმკრთალ სახეზე გეტყობოდა კვალი ღელვისა,
რამდენ რამეზე მეტყველებდნენ შენი თვალები,

თითქოს ტილოზე მიგახატეს გარინდებისას...
მოდის, ძვირფასო, მომეფერე, ამ ცივ ღამეში,
მსურს ძველებურად გამიღიმო, მე რომ მიყვარდა;
მოდის, არ ვტყუი, მენატრება შენი ალერსი,
სანამ თვალები საბოლოოდ ამოგვიღამდა...
ისე გარბიან წლები, როგორც ფილმის კადრები,
როგორ არ მსურდა, არ მინდოდა, მაგრამ გტოვებდი...
ვეღარ ხარობენ ჩემს ბალებში თეთრი ვარდები,
სადღაც უჩუმრად გაკრეფილან ყაყაჩოები...

მეც მიკრეფია ერთ დროს ვარდები

ნუ გამიწყრები, ნუ გამიწყრები,
თუ სხვასთან წავალ და მიგატოვებ,
მე ახლაც მუხამ მაჩუქა ფრთები,
და ისევ ცაში მივაფართხუნებ...
რადგან მიწაზე დაკეტილია,
ის გზა, რომელსაც შენთან მოვყავდი,
რადგან უშენოდ არ შემიძლია,
მეც გაგერიდე, სანამ მომკლავდი...
მაგრამ, იცოდე, რაც უნდა მოხდეს,
ბედმა სულაც რომ გამამათხოვროს,
მუდამ იქნები ჩემს სიახლოვეს,
და ეყვარები ჩემს საახლობლოს...
მეც მქონდა სული შენსავით თეთრი,
მეც მიკრეფია ერთდროს ვარდები
რატომ კვიანი შენ ხომ ვერ მეტყვი,
წინანდლის ბაღში ფარშევანგები...

გადავაქციე ღამე მტაცებლად

გამომიბრძანდა მთვარე საცქერლად,
მე კი ვისროლე უკანვე ცაზე,
გადავაქციე ღამე მტაცებლად,
დავგეშე მერე ნისლზე და ქარზე...
და მთელი ღამე, როგორც შეშლილი,
ღამე ქარებს და ნისლებს დასდევდა,
მთვარე კი სვამდა და გაღეშილი
თვალებს ბოროტად აკაშკაშებდა.
მე კი ეზოში ყოფნა ვარჩიე,
და ხეთა ჩრდილებს შეფარებული,
ვუმზერდი როგორ ამოათრიეს
ზღვიდან ვარსკვლავთა მთელი კრებული.

რას აკეთებდნენ ვარსკვლავნი ზღვაში,
ვიკითხე, მაგრამ არ მიპასუხეს,
ჩასაფრებული ლურჯი რიჟრაჟი,
მიშტერებოდა ვარსკვლავ ქალწულებს...
რომლებიც ზღვიდან ამოსულები,
თეთრი ღრუბლებით ტანს იმშრალეებდნენ,
შორს ჩანდნენ მთები ამორფულები
და ღამის შფოთვას იზიარებდნენ...
როგორ უნდოდა, როგორ უნდოდა,
რიჟრაჟს ქალწულთა ახლოს გაცნობა,
და ამიტომაც ვითომ ხუმრობდა,
ვარსკვლავებს მშვიდად მიუახლოვდა...
ჩაქრა უეცრად ყველა ვარსკვლავი
და ქალწულები იქცნენ ლანდებად,
რიჟრაჟს არ დახვდა ზღვასთან არავინ
მზე მოიწევდა ამოსასვლელად!!!

ლოცვა

ვინა თქვა თითქოს ფრთები არ მქონდეს,
მე ამ ტაძრებთან ერთად ვმალდები...
და თუკი გინდა მომიახლოვდე,
შენც ინახულე ჩემი ტაძრები!
სადაც სანთლებთან სულგანაბულნი,
საკუთარ ხატებს ევედრებიან,
ულამაზესი სულის ქალწულნი,
რომლებსაც ალბათ თეთრი ფრთები აქვთ...
შენ შეისმინე მათი ვედრება,
ღმერთო მაღალო და ზეციერო,
გაუშვი, მუდამ დაუყვედრებლად,
იხარონ შენდა საბედნიეროდ!!!

მე უშენოდ ისეც ვკვდები

მე არ ვიცი, სად იყავი,
ან რომელი გზები ჰქეცე,
დაგემებდი როგორც სვავი,
ბარტყებისთვის საზრდოს ეძებს.
იქნებ ვერა გამიგია,
არჩევანში არ მიმართლებს,
თუ შენთანაც წამიგია,
იქნებ შენიც რამე მმართვეს...
მაშ სად გაქრი, რომელ ველებს
სძოვდნენ შენი ბეკეკები,

ვისა ჰხვევდი შენს ნაზ ხელებს,
ვინ გკოცნიდა, ჟინით, გზნებით...
არც ის ვიცი სად იყავი,
არც ის ვიცი, სად გექმებო,
გული ორად გამიყავი,
როგორც ძმების ძველი ეზო...
ახლა ვზივარ, სივრცეს გავმზერ,
სად ჰკვეთს ჩვენი ბილიკები,
მე უშენოდ ველარ გავძლებ,
ვერც აქამდე გივიწყებდი.
ნუ გაქრები, ნუ გაქრები,
შენთან წუთიც წლებად მიღირს,
მე უშენოდ ისეც ვკვდები,
ისეც ვკვდები არაფრისთვის...

თითქოს სულს მიჭრის მინის ნამსხვრევი

მე მიჭირს, როცა მუზა მეყრება,
ის კი გარბის და დამცინის კიდეც,
რომ მისი ბედი მე არ მეხება,
რომ სულ ტყუილად გადავიკიდე...
რა უფლება მაქვს არ დავუჯერო,
თითქოს სულს მიჭრის მინის ნამსხვრევი,
და როგორც მთვარე, მკვდარი, უფერო,
ჩემს შიშველ სხეულს ციდან დასცქერის...
და იმ სინათლეს, მე რომ დავეძებ,
თითქოს ხელიდან ვიღაც მტაცებდეს,
გავრბივარ, მაგრამ თავს არ მანებებს
და მარილს მაყრის ზედ იარებზე...
და ველარ ვიგებ, მეც თუ ვინა ვარ,
ვის დავკარგვივარ, ან რას დავეძებ,
ველარ ვიგონებ ვერც ჩემ წინაპართ,
და ვაბრაახუნებ მძლავრად კარებზე.
ორივე მხარეს მე უნდა ვიყო,
ვიყო შიგნითაც, ვიყო გარეთაც...
რომ ყველაფერი გადავივიწყო,
რაც გულს დააჩნდა დღემდე ნანემსრად...
კი, შესაძლოა, არავის ვგავდე,
როგორც არასდროს არავინ მგავდა,
შენთან შეხვედრაც ისევე მკლავდეს,
ისევე, როგორც აქამდე მკლავდა...
მუზა ხარ, უკან ველარ გაბრუნებ,
შენ აგროვებდი, მე კი ვფანტავდი,
აღბათ, ყველაფერს გავანადგურებ,
რაც კი მოგწონდა და ინახავდი...

გაუშვი, სწორედ, თუნდაც დღეიდან,
ცალკე აჭენოს ჩემმა მერანმა,
მე ასე მოვალ დაბადებიდან,
ბრბოს საზრდოს ვაწვდი, ის კი მთელავდა...

სანამ ბოლომდე გადაგივიწყებ

მე კარგად ვხვდები, ეს ღამე სხვაა,
გუშინდელ ღამეს ეს ღამე არ ჰგავს,
ჩემი ცხოვრება მღელვარე ზღვაა,
ნაპირს რომ ახლის ტალღაზე ტალღას...
გუშინ შენ იყავ ჩემთან, დღეს სხვაა,
ეს იყო, ალბათ, დანაშაული,
შენს იქით, ვიცი, მხოლოდ ჯვარცმაა
და მგლოვიარე დღესასწაული...
წახვედი, აღარ დამიბრუნდები,
თავის მართლებას აზრი არა აქვს,
ასე მარცხდება დიდი გუნდები,
ბევრად სუსტებთან და პატარასთან...
იცი, ყველაფერს სწრაფად ვივიწყებ,
რადგან ცხოვრებამ ასე მასწავლა,
შენ თუ დედოფლად გამოიღვიძე,
მე რად მაქციე შენს მაწანწალად...
ასე, რომ ჯერაც ისევ მივყვები,
ზღვისკენ გატკეპნილ ვიწრო ბილიკებს,
და ვივლი სანამ გადავიწვები,
სანამ ბოლომდე გადაგივიწყებ!!!

გახსოვს, მომქონდა შენთან ვარდები...

რა მოსაწყენი გახდა ცხოვრება,
ხავსი მოედო ირგვლივ ყველაფერს,
სანამ სიკვდილის ცელი მომცელავს,
ერთსა გთხოვ მხოლოდ, ზურგს ნუ შემაქციევ...
შენ კარგად იცი, მთებიც ტირიან,
მთებიც ტირიან ხშირად უცრემლოდ,
და განა ჩემგან გასაკვირია,
რომ მოცელილი ვიყო უცელოდ...
გახსოვს, მომქონდა შენთან ვარდები,
რომ შენი სულის კიდე მომერთო,
დღეს კი, ძვირფასო, მე, ალბათ, ვკვდები,
არ ჩამომეყრდნო, არ ჩამომეყრდნო...
ყველა სურვილმა ჭირი წაიღო,
აღარაფერი მესურვილება,
აღარც ის მახსოვს გუშინ რა იყო,

არც ის მაწუხებს, ხვალ რა იქნება...
მხოლოდ რექვიემს ჰქონია ძალა,
და ვხედავ სიკვდილს, როგორ თარეშობს,
ეს წამიც მოკლა მომდევნო წამმა,
აღარც შენ მიწვდი ხელს საალერსოდ...
აღარ ახარებს გულს არაფერი,
თუ რამ უყვარდა გადააყვარეს,
და სულიც ჩემი, ერთ დროს ნათელი,
თავს, რომ გადარჩეს, ბნელს შეაფარებს...
რაა სიცოცხლე, ტყუილი, ალბათ,
ბედის ტყუილი დანაპირები...
ის ყველაფერი, მითხარ, სად გაქრა,
შეუღლებისას რომ ვაპირებდით...

რა მოხდა, მერე, თუ პატარა ხარ...

შენ სხვები გიყვარს, ჰო, სხვები გიყვარს,
მე კი ტყუილად ჩამრთე თამაშში...
მე ისე ვემებ ზოგჯერ ერთ სიტყვას,
ვვარდები ნამდვილ ხათაბალაში...
ახლა კი მესმის თითქოს ზეციდან,
რასაც ელი და რაც უნდა გითხრა,
მე შენი თავი ისევ მესიზმრა
და ისევ ჩუმად ვიდექით დიდხანს.
და ვფიქრობ ნეტა, რატომ მამადლის,
ჩემთან ყოფნას და თუნდაც ლაპარაკს,
იცი, ჩემამდე მაინც არ დადის,
რა მოხდა მერე, თუ პატარა ხარ?

რასაც ელი და რაც უნდა გითხრა

შენ სხვები გიყვარს, ჰო, სხვები გიყვარს,
მე კი ტყუილად ჩამრთე თამაშში...
მე ისე ვემებ ზოგჯერ ერთ სიტყვას,
ვვარდები ნამდვილ ხათაბალაში...
ახლა კი მესმის თითქოს ზეციდან,
რასაც ელი და რაც უნდა გითხრა,
მე შენი თავი ისევ მესიზმრა
და ისევ ჩუმად ვიდექით დიდხანს.
და ვფიქრობ ნეტა, რატომ მამადლის,
ჩემთან ყოფნას და თუნდაც ლაპარაკს,
იცი, ჩემამდე მაინც არ დადის,
რა მოხდა მერე, თუ პატარა ხარ?

მეც ქარი ვარ და მივყვები ქარებს

რა ადვილია ლექსების წერა,
ჯდები, ოცნებობ და და გჯერა თანაც...
მე, აი, ახლა ჰამაკში ვწევარ,
მზე კი ზეციდან მიმღერის ნანას...
ამ სავანეში დრო არ არსებობს,
წელან ნიავეთან მქონდა კამათი,
ვაჯობე, თვალი ცრემლით აევსო
და დამაბრალა ქარის ღალატი...
მართლაც, ქარზე ვარ შეყვარებული,
მართლაც, ძალიან დიდი ხანია,
მასაც ვუყვარვარ, ბედს არ ვემდური,
მომწონს ქარული ვაკხანალია...
ერთად დავქრივართ, ერთად ვედებით,
ველებს, ფერდობებს, ტყეებს, ხეობებს,
სულ დაჟინებით, სულ გახელებით,
ქარი უსტვენს და მეც ვიმეორებ!!!
მიყვარს, როდესაც დამშვიდებულ ზღვას,
ავახმაურებთ, ავაბობოქრებთ,
როგორ გაბედავს, როგორ შეგვზღუდავს,
უნდა გავიდეთ დღესაც ბოლომდე...
შორს, სადაც ახლა მზე ზღვაში ჩადის,
და მზის სხივები თრთის, წყალზე კვდება...
მაღე მთვრალივით წამოვა ჯანღი
და ზეცას შავად გადაეკვრება...
გესმის ხმა, ცივი და გამყინავი,
ჩემი ქარია, ქარი ხარხარებს,
მე უკან მივდევ, ის კი წინ არი,
მიქრის და გემებს მიაჯანჯღარებს!!!
დიახ, ეს ჩემი, ჩემი ქარია,
ღალატს ნიავე ვერ დამაბრალებს,
უქაროდ ყოფნა არ მიხარია,
მეც ქარი ვარ და მივყვები ქარებს!!!

ჩემი ლექსები გადამარჩენენ

არ ვიცი, ხშირად ასე მგონია,
სადღაც გარბიან ჩემი ლექსები,
მეც მივდევ, ვიწყებ გზებზე ბორიალს,
რომ მაპოვნინონ, სხვებს ვეხვეწები...
ნეტა, სად, რომელ კედლებს ეკვრიან,
თავშესაფარი სად ჰპოვეს წამის,

ვინ იცის, ოდნავ ჩქამზეც კრთებიან,
ვით ქალწულები პირველი ღამის...
ერთსა გთხოვთ ყველას, ხელი არ ახლოთ,
ხელი არ ახლოთ, თუ ნახავთ ვინმე,
ნუ მოხვალთ ჩემთან, რომ მითანაგრძნოთ,
რადგან ჯერ კიდევ არ ვკარგავ იმედს...
არ ვკარგავ იმედს, რომ სადმე ზღვებზე,
დაკარგულ ლექსებს გადავეყრები,
რომ შემისვამენ უთეთრეს ფრთებზე,
და გამაფრენენ, როგორც მერნები...
შორს, სადაც ვერცხლის მდინარეები,
უკიდევანო ზღვებში ჩადიან,
სად ქარიშხლები ქრიან ფეთებით,
და ანგელოზთა ნასახლარია...
იქ მათთან ერთად დავიდებ ბინას,
მე ხომ იმათგან ვერ გამარჩევენ,
და თუნდაც ვიყო სიკვდილის პირას,
ჩემი ლექსები გადამარჩენენ...

მოდის, ამ ღამეს, ვითომ მთვარე ხარ... (ირმა აგიბას)

აზრი არა აქვს ჩემს არსებობას,
რაც შენ გამოჩნდი, რაც შენ გიხილე,
ზამთარი თეთრად რომ იმოსება,
მეც შიგ ძვალ-რბილში მატანს სიცივე...
და ერთადერთი რაც დამრჩენია,
იქნებ გამათბოს შენმა ნათებამ,
ვით უდაბნოში ცივ წყალს ელიან,
ტყვიის წვიმებში კი გადარჩენას!!!
და ველი, ველი, როდის მომიხმობს,
დარისხებული შენგან ზარები,
როგორც უხმობენ ერთურთს ომის დროს,
ძუძუმოჭრილი ამორძალები...
მოდის, ამ ღამეს ვითომ მთვარე ხარ,
შემოანათე ჩემთან სარკმლიდან,
თორემ გამწეწეს ზამთრის ქარებმა,
ველარ ამოველ მათი ვალიდან.
მოდის, გიამბობ, როგორ გელოდი,
და ქარი კარებს როგორ აწყდება,
გეტყვი შენამდე ვის ვუმღეროდი,
ვინ მიყვარს, ვინ მძულს, ვინ მენატრება...
მოდის, მითხარი, თუ მყავს მეტოქე,
ვინ გკოცნიდა და ვინ მიგატოვა,
ვინ იყო შენი მკერდის მეკობრე,
რომელმა მგელმა დაგიმარტოვა...

ახლა ღამეა და ჩემს ეზოში,
გამწარებული ქარი თარეშობს,
გელი, ჩამოდი საქართველოში,
რომ ერთხელ მაინც მოგიალერსო...

რად ხდება ასე

იცი, ბევრს ვფიქრობ, ბევრს ვფიქრობ, მართლაც,
გარდავიცვალე თუ შევიცვალე;
თუ ყველგან შენი აჩრდილი მახლავს,
და არ მაშორებს არაფრით თვალებს...
ბევრჯერ მომსვლია, ვიცი, შეცდომა,
სულს ნაფეხურად რომ დასტყობია...
მეათასედაც ისე შევცოდავ,
სულ პირველად რომ შემიცოდი...
მე ვცოდავ, მაგრამ სულ სხვებს ვაბრალებ,
საკუთარ თავსაც კი ვერ ვუტყდები,
რა გაათენებს ახლაც ამ ღამეს,
ვის მივაკითხო, მართლაც, თუ ვკვდები...
ასე, ძვირფასო, ალბათ, ომის წინ,
მზეს და გარიჟრაჟს ელოდებიან,
სანამ მოსასხამს ღამე მოისვრის
და მეომრები წამოდგებიან!
რა შეაჩერებს სულს, თუკი სურს, რომ
დატოვოს ჩემი ფუჭი სხეული,
და ამ შხამიან ბედს და საწუთროს,
სთხოვოს უპოვოს სხვა ღირსეული..
რად ხდება ასე, რად ხდება ასე,
რად ჭკნება გრძნობა, რად ქრება ვნება...
რად იძარცვება ან სილამაზე,
ყველა იმედი რატომ ქარწყლდება...
მინდა, რომ ტალღა მოაწყდეს ჯებირს
და ჩემი ყველა ნატვრა წალეკოს,
შენც მოგკლას, სანამ მე ვინმე შემცვლის,
და მკერდს გაუღელ სხვას საალერსოდ!!!

არც იცი, როგორ დამდეგ ლანდივით...

ჩემს წინ ნაძვები თოვლმა დაფარა,
მთელ ღამეს, ალბათ, ასე ითოვებს,
შენი სურვილი ისევ აშკარად,
ისევ აშკარად მიტევს, იცოდე...
ნეტა, ზეციდან შენ მოდიოდე,
შენ მოდიოდე თოვლის მაგივრად,

სულშიც მის ნაცვლად შემოდიოდე,
თორემ თოვლივით სულშიც აცივდა...
არც იცი, როგორ დამდევ ლანდივით,
როგორ აბიჯებ ტვინის ხვეულებს,
რომ ცურავ სულში ზღვის ხომალდივით,
რომ მიმსხვრევ ფიქრებს გულს ჩახვეულებს...
იქნებ გარეთ ხარ, შენც დგახარ თოვლში,
თვალეებს ფიფქების ბზრიალს აყოლებ,
მე კი შენს გამო ასე გათოშილს,
კვლავ მარტო მტოვებ, სულ მარტო მტოვებ...
კი, ლამაზია თოვლში ნაძვები,
სულშიც თოვს, სულიც თოვლმა აავსო,
ვხედავ ფანტელებს რომ ენაზები,
მე კი უშენოდ მათოვს და მათოვს...

ვინა ვარ? ალბათ, ოკეანე ვარ...

კი, გიცნობ, გიცნობ, მშვენივრად გიცნობ,
წყალთან მიგყავარ, წვეთს კი არ მასმევ...
მე კი მჭირდება სულ გრამი სითბო,
და ორი გრამიც ეგ სილამაზე!
შენ, ალბათ, ფიქრობ, შენთან რა მინდა,
რისთვის მოვსულვარ, ან რას დავეძებ,
ამას ვერ ვიტყვი ასე ადვილად,
რა ვიცი, მგონი ვიღაც მაქეზებს!
ვინა ვარ? ალბათ, ოკეანე ვარ,
აქაფებული, ფაფარაშლილი,
უნდა ჩავძირო მთელი პლანეტა
და ავაბლავლო ყველა ბავშვივით...
ვუხმობ გრიგალებს, ვუხმობ ქარიშხლებს,
მათი ღმერთი ვარ, კერპი, ჯალათი...
თუკი დამჭირდა მსხვერპლსაც გავიღებ,
უკვე ჩავძირე ჩემი ქალაქი...
ვუყურებ, როგორ მიდის ფსკერისკენ,
როგორ ეწევა ქვევით მორევი,
გეტყობდი ასე რატომ შევრისხე,
მაგრამ ატყდება ვიცი ჭორები...
ალბათ ყველაფერს დამაბრალებენ,
რაც კაცთა მოდგმას უკეთებია,
ჭორები ახალ ჭორებს ბადებენ
და მთელ სამყაროს მოედებია...
დროა გავჩერდე, ალბათ, არა ღირს,
ვიგიჟო ასეთ სულისკვეთებით,,
სიმართლე გინდა? ახლა დანა პირს
არ მიხსნის და ნუ შემეფეთები!!!

რა ლამაზი ხარ

ისევ მოხვედი, ისევ საოცრად,
ისევ საოცრად მწყურთხარ თურმე,
და ვთვლი, რომ ისევ ჩემი წყარო ხარ,
და რომ ამ წყურვილს მე ვეღარ ვუძლებ!
იქნებ დამცინი, იქნებ არცა ღირს,
ყველაფერს ასე რომ გეუბნები,
რომ მატკობ, როგორც წვენი შარბათის,
ან გაპობილი მარწყვის ტუჩები...
ისე გელოდი, ისე მინდოდი,
როგორც გვალვიან მინდვრებს წვიმები,
შენ მიდიოდი და მილიმოდი,
მოხველ და ახლა მე ვილიმები...
ნუ გეწყინება, ქურდი მგონიხარ,
ჩემი ვნებების, ჩემი გრძნობების,
ვარ გამარცვული შენი ნდომისგან,
როგორც ალუბლის მწიფე ყლორტები...
სოცარია, სულ არ შეცვლილხარ,
ისევ ანათებ, ისევ ასხივებ,
ნეტა, ცხადია თუ დამესიზმრა,
რა ლამაზი ხარ, თვალს ვერ გაცილებ!

ზოგჯერ მიმართლებს

მინდა ვიცოცხლო მხოლოდ აწმყოთი,
და ქვეყნად მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყოთ...
შენ იყო მტერი ჩემი დამპყრობი,
მე კი მონობას ვითხოვდე თვითონ...
შენ გიხაროდეს ჩემი მონობა,
და ეტლში შებმულს დამაჭენებდე,
თან შოლტს მაწნავდე ისე ბოროტად,
რომ კბილებსაც კი ვაღრჭიალებდე...
დაგაქროლებდე, როგორც ხარები,
დააქროლებენ ტორეადორებს,
შემოხვეული გქონდეს მკლავები,
ვიცდენდე დაშნებს მიჯრით ნატყორცნებს...
მერე შენს მონას დადლილს, დაქანცულს,
უხმოდ მიხვევდე ჭრილობებს მკერდზე,
რომ ადრე დილით უკან დარახტულს
გამარჯვებული მიმაჭენებდე...
სულ იმას ვნატრობ, რაც არა ხდება,
რაც ხდება იმას რატომ ვინატრებ...

ეს სურვილებიც მიდის და ქრება,
თუმცა, ხდება, რომ ზოგჯერ მიმართლებს!!!

ვერ ამოვქოლე სული ქვიტკირით...

რად მიხარია შეხვედრა შენთან,
ან რად მგონიხარ სავსე სიკეთით...
დღეს შენ რომ არა, ამდენ აფთრებთან,
თავს, აბა, როგორ გადავირჩენდი...
ან ერთმანეთში როგორ შეირწყა,
ჩემში ოცნებაც და სინამდვილეს;
ჩემი ვერხვი ხარ, ჩემი ფესვი ხარ,
სიცოცხლეს ასე რომ მიადვილებს...
დღეს, როცა ასე ათქვეფილია,
ეს სინამდვილე ჯოჯოხეთური,
როცა სულყველგან წამებს გვითვლიან,
თან დროც მირეკავს ელვისებური...
ისე გვჭირდება შენისთანები,
როგორც წამალი მკერდის ჭრილობას,
მე მეფე ვიყავ და შენ დაგნებდი,
როცა სევდისგან სული მტკიოდა...
შენ გესმის, ვიცი, ჩემი ყვირილი,
როცა ძალღვივით მიყევს წყვილიადა,
ვერ ამოვქოლე სული ქვიტკირით,
რადგან კედლები ჰქონდა მინანქრის...
თან ვფიქრობ, ასე რამ გამაცოფა,
რატომ ვარ ასე გაუმამდარი,
მხოლოდ ტკივილი დამამახსოვრდა,
ჩამწვარი სახლი და ნახანძრალი...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ ყველაფერი უნდა დასრულდეს,
რომ უკვე ისმის სხვა სიმფონია,
რომელიც ძალით გააქართულეს...
რატომ მგონია, რომ აღარა ვარ,
და საფლავიდან გეხმიანები...
გადამიარა მკრდზე არაგვმა
და დამიხუჭა მტკვარმა თვალები...

ბრბო მუდამ იყო დაუნახველი

ვეღარ ვპასუხობ უბრალო კითხვებს,
რატომ ცივდება ჩვენი გრძნობები...
თუნდაც მეგობრებს რატომ ვივიწყებთ,
ისე, რომ არცკი ვემშვიდობებით...

იქნებ ვთამაშობთ, როგორც სცენაზე,
როლს ასრულებენ მსახიობები,
მას ვინც გვიყვარდა მეტად ყველაზე,
რატომ ვცილდებით, რატომ ვშორდებით...
მერე კი, როცა გადიან წლები,
და ჩვენც უიღბლო როლებს ვთამაშობთ,
როცა ერთმანეთს ვეღარ ვხვდებით,
ვერც საალერსოდ, ვერც საკამათოდ...
გამახსენდება მაღალი ყელი,
ტუჩები მკრთალი და საყვარელი,
თუმც მოგონება ვეღარას მშველის,
აღარა მშველის აღარაფერი...
არსებობს აწმყო ან მომავალი,
თუ წარსულია ის რაც არსებობს,
ცხოვრება იყო თუ კარნავალი,
იქნებ შენ მითხრა, შენ შემახსენო!
ასე მგონია ბედის ვალი მაქვს,
ბედის რომელსაც ვერ ვენდობოდი;
ცხოვრება ისე სწრაფად გავიდა,
ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ ბოროტი...
რომ თურმე კითხვებს არა აქვთ აზრი,
არა აქვს აზრი, ვინ ხარ რა გეკვია...
ენაჩლუნგი ხარ თუ ენაბასრი,
მშიერი ხარ თუ რამ გაბადია...
სიკვდილის მერე რაა სახელი,
ღირდა კი ხალხის აყაყანება...
ბრბო მუდამ იყო დაუნახველი
და უხაროდა ქრისტეს წამება!!!

პირველ თოვლს

იცო, ამბობენ, პირველ თოვლს თურმე,
თან მოჰყვებიან ანგელოზები,
ელოდებიან დიდხანს ამ წუთებს,
ეს უჩინარი თეთრი ფრთოსნები...
მოფარფატებენ, მოზზრიალებენ,
ფიფქებთან ერთად უცოდველები,
და ფანტელებიც მათ წამწამებზე,
სხდებიან როგორც ნაზი პეპლები...
ისევ არ უჩანს სითეთრეს ბოლო,
მინდვრები ბრწყინავს როგორც ბროლები,
არც კვალი არსად, რადგანაც მხოლოდ,
თოვლში დადიან ანგელოზები...
წამოეპარა ღამეს ცისკარი,
ველზე ბრწყინავდა თეთრი ოცნება.

და ვინც კი დილით გააღო კარი,
ყველანი იქცნენ ანგელოზებად!!!

ხვალ მაყვალას დაბადების დღე აქვს, ლექსს ვერ აჩუქებთ? (ი.ა.)

არ არსებობს სიცოცხლე, არ არსებობს უჩვენოდ,
ნაღდად ვიღაც განაგებს დაბადებას ამქვეყნად,
ვჩნდებით, წამოვიზრდებით და თავს უნდა ვუმველოთ,
თორემ ბედი მოვა და კალოსავით გაგვლეწავს...
ზოგჯერ ვფიქრობთ, ნეტავი მოსალოცი რა არის,
წლები მიდის, მიფრინავს, როგორც ველზე მერნები,
მერე, ჩუმად, ნელ–ნელა სულს ედება ხანძარი,
და ხელთ გვრჩება მცირედი ნატვრა და იმედები...
მაგრამ არის დღეები, როცა წარსულს ვივიწყებთ,
როცა უკეთესობა მწყურვალსავით გვწყურია,
როცა ვეღარა ვტირით ვერავითარ ტკივილზე,
რადგან ვერ დააბრუნებ, მას, რაც დაკარგულია...

ისევ შემოხვალ ჩემს ცხოვრებაში

შენ არ გამოჩნდი, მე კი კვლავ მჯერა,
როგორც ხის ყლორტზე კვირტები სკდება,
ან წვიმის მერე ცას ცისარტყელა,
სასიყვარულოდ შემოეწვნება...
ისევ შემოხვალ ჩემს ცხოვრებაში,
და ისევ შენს როლს გაითამაშებ,
და როგორც ხომალდს, შტორმში, ღელვაში,
აღბათ, ჩამძირავს ეგ სილამაზე...
ვისთვის ღმერთი ხარ, ვისთვის გედი ხარ,
ვისთვის ბედი და ვისთვის წამება...
ისე საოცრად შემყვარებიხარ,
რომ ბოლოს მიღებს ეს მონატრება!

ვინა თქვა თითქოს მქონდეს ასაკი

ვიცი, ყველა გზა სიკვდილზე გადის,
ვინც გინდა იყავ, ვინც გინდა გერქვას,
რომ უსიკვდილოდ სიცოცხლე არც ღირს,
რომ გავუყვებით ყველანი ზეცას...
რომ სიცოცხლეში მადლობის ნაცვლად,
ხშირად ტალახის გუნდას გვესვრიან,
ბევრის გზა, აღბათ, არც მიდის არსად,
და ამიტომაც თავზე გვესხმიან...

საზარელია ცოცხალი მკვდარი,
ის მკვდარზე ბევრად უარესია...
რამდენი რამე ვერ მოვასწარი,
თურმე რამდენი რამე შეშლია.
ცხოვრება ლამის გახდა ბაზარი,
სად ყველაფერი გაყიდულია...
და გადის გულზე ათასი ბზარი,
გული, რომელიც გაყინულია...
მე გაზრდილი ვარ ქართულ აკვანში,
მე სხვა საწოლი არ მინატრია,
გულში მესროდნენ, მაგრამ გადავრჩი,
გადარჩენაში თუკი რამ ყრია...
მტრის ჯიბრზე კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ,
უნდა გავკაფო ჩემი საკაფი,
სანამ ბოლომდე არ გამიცნობენ,
ვინა თქვა, თითქოს, მქონდეს ასაკი...

ისეთი წმინდა გათენდა დილა

ისეთი წმინდა გათენდა დილა,
ვით უკოცნელი ქალწულის ბაგე,
ცას ღრუბლის ფთილა ედო მანდილად,
და უქარვებდა ვარსკვლავებს დარდებს...
რადგანაც ღამე თეთრად ათენეს,
რომ მოეხადათ ღამის ვალები,
და მიწებს ასე დაუნახველებს,
გადასცქეროდნენ მათი თვალები!
მიწებს, რომლებსაც მუდამ ჩვევიათ,
ცეცხლი, ომები, რბევა, ძარცვანი,
და ვარსკვლავებსაც თვალზე ცრემლი აქვთ,
ტირიან ამდენ რამის მნახავნი...
მერე კი როცა ღამე წავა და
მშვიდდება ზეცა გადაწმენდილი,
მთვარე მიათრევს თავის კალათას,
ღამის ვნებებით ღამის შეშლილი...
და მზესაც ამ დროს მთვარის დამნახავს,
ღიმილი ტუჩზე შეაცივდება,
მზეს მთვარის გარდა არავინა ჰყავს
და ეს არასდროს არ ავიწყდება...
მთვარე კი უნდა გაქრეს ზეციდან,
დაღლილი, გულ-მკერდგადაღელილი,
მიტოვებული ვარსკვლავებისგან,
შეყვარებული და გულკეთილი...

მე სულ ზეციდან ველი განაჩენს

იქ სადაც ჩემი გაივლის კვალი,
არავინ მომყვეს, არავინ მინდა...
მასხამდეს წვიმა, მირტყამდეს ქარი,
და მივაფრენდე ველებზე გრიგალს...
დრო გადის, მე კი ყველაფერს ვკარგავ,
ვკარგავ ნელ–ნელა, ვკარგავ თანდათან,
სხვებისა იყოს ოქრო და დაფნა,
მშვენივრად გავძლებ დაუდაფნავად...
დრო, ეს ვერაგი ჩემი მსახური,
დემონი ჩემი დაცლილი სულის,
ასე სასტიკი და უმადური,
ვერ ვხვდები ასე რატომ მემდურის...
ო, როგორ მინდა გავექცე დროსაც,
მაგრამ დროს აბა სად გაექცევი,
არ ველოდები მე ქრისტეს მოსვლას,
მე მის გარემეც ხშირად ვეცემი...
ისეც ცოცხალთა სასაფლაოზე
დავბორიალობ დიდიხანია,
მე არაფერი აღარ მაოცებს,
აღარაფერი არ მიხარია...
ასე მგონია, აჩეხილი ვარ,
მაგრამ ჭრილობას ჯერ სხვებს უხვევენ,
ვერ დავიძარი ამ წერტილიდან,
ვერაფრით გავცდი ამ ნამუსრევებს...
რატომ დამაჭრეს, რისთვის დამაჭრეს,
ფრთები რომლებიც დღემდე დამქონდა,
მე სულ ზეციდან ველი განაჩენს,
მაგრამ მესვრიან მუდამ ახლოდან!!!

მითხარ, რა გიყვარს...

რატომ მგონია, რომ მაინც გვჯიჯგნის,
ბედი სიხარულს რადგან არ გვაცლის,
ჩვენ კი მისი და ბევრი სხვის ჯიბრით,
ისეც სიმღერით ვივსებთ დანაკლისს...
ეს ოპტიმიზმი ბევრ რამეს ნიშნავს,
ის მდინარეებს მირეკავს აღმა;
მითხარ, ძვირფასო, მითხარ, რაც გიყვარს,
და მოვთხოვ ღმერთებს, რომ მეფედ დამსვან!
რომ აგისრულო ყველა ნატვრები,
რაც კი ოდესმე რამ გინატრია,
მითხარ, ძვირფასო, ძილში ჩაგყვები,
სიზმრად მოგასხამ ბროლის მანტიას!

რომ სადედოფლო ოქროს ტახტრევანს,
უძვირფასესი თვლებით გაწყობილს,
მიაცილებდეს ბრბოს აღტაცება,
როგორც კლდის ქიმზე ვეფხვის ნახტომი...
მიტხარ, ძვირფასო, ნუ გერიდება,
დღეს მე შენს მეტი არავინ არ მყავს...
მიტხარ, რა გიყვარს, რა გესიზმრება,
გინდა, გულს მოგცემ, გულს მოგცემ მართლაც!
მაგრამ დღეს გული რომ აღარ ფასობს,
როგორ გავექცეთ, ამ რეალობას?!
და მაინც, მიტხარ, მიტხარ, ძვირფასო,
იქნებ გაიღოს ღმერთმა წყალობა...
რომ თუ რამ დამრჩა გაუძარცველი,
ამდენ ომსა და ფარ-ხმლის ჟღარუნში,
უკან წაიღოს ეს ყველაფერი,
და გამიცვალოს შენს სიყვარულში...

არ გიშლი ცქერას

არ გიშლი ცქერას, არ გიშლი, მაგრამ,
მაწუხებს სულში რომ მიმზერ მუდამ,
რატომ გგონია, რომ შენი ყმა ვარ,
რატომ გგონია, რომ ბრმა და ყრუ ვარ...
მესმის, მეც მიყვარს თვალებით კითხვა,
ეგ შენი მზერაც არ მიკვირს, მაგრამ,
რა საჭიროა ამდენი სიტყვა,
თუკი არ მკითხავ ყველაზე მთავარს...
რომ შენი მზერა იმ წამებს მტაცებს,
შენთვის აქამდე რომ ვინახავდი,
ასეთი მზერა არ უყვართ კაცებს,
როცა ზურგს უკან უდგათ ღალატი...
ასე მგონია, რაც მეონდა სულში,
ისეთი წრაფად მოასუფთავე,
რომ აღარ დამრჩა არცერთი წუთი,
თავის მართლების არცერთი ღამე...
ნუ მიმზერ ასე, ნუ მიმზერ ასე,
უსაზღვრო სევდით და მწუხარებით,
მე მეშინია ბილიკს არ ავცდე,
მე ისეც ქვევით მივექანები...
ჩემთვის ყველა დღე განკითხვის დღეა,
ჯაჭვზე ასხმული დამაქვს ცოდვები,
მსაჯული შენი სილამაზეა,
და შენ კი მაინც არ გეცოდები...
ჰოდა, მიმზირე, მიმზირე სულში,
იქ ველარავინ ვერაფერს ნახავს...

იქ ვინც კი მყავდა, მოვკალი გუშინ,
ახლა ვდგავარ და შენს თვალწინ ვმარხავ!!!

თამუნას (მისი ადრესატის პასუხის ნაცვლად)

მე უშენოდ, შენ უჩემოდ,
რა ძნელია, მართლაც,
ჩაატანო ღამეს გემო,
მღვიძავს ძილის ნაცვლად...
ღამე ჩემი ჯალათია
დაშნით მადგას თავზე,
ახლაც გულზე გამასია,
ჩემი ცოდვით სავსემ!
გაატანა დაშნამ მკერდში,
სულშიც გაატანა,
ვერ გავიგე რისთვის მერჩის,
ან რამ გაამწარა...
მე ვიცი, რომ არც შენ გძინავს,
გაკრთობს ღამის ხელი,
ცივი, როგორც ზამთრის ყინვა
და სიკვდილის ცელი...
ვიცი, ვიცი, სილამაზეს
ელიმება მორცხვად,
რომ ქალწულთა წმინდა ბაგეს,
აფრთხობს კაცის კოცნა...
ზოგჯერ იმ წამს, ჩვენ რომ გვინდა,
ველით ჩუმად წლობით,
და შენს ნაცვლად ისევ ცივად,
ღამის ბაგე მკოცნის...
ალბათ, ახლაც შენი მუზა,
ჩემთან ახლოს დაფრენს,
ჯალათი რომ იყოს სულაც
შენია და ვაფრენ!!!
გადაუტყდა იასამანს,
ჩემ სარკმლის წინ ტოტი,
გთხოვ, ამ ღამეს მუზის ნაცვლად,
მუზის ნაცვლად მოდი!!!

ნუ დამამშვიდე

არ გაგიკვირდეს, არ გაგიკვირდეს,
თუ უსწრაფესად დაგივიწყებენ,
მე ლექსის წერა გადავიფიქრე,
თუმცა, ლექსები სულ წინ მისწრებენ...

მინდა ვიარო, რომ არ ჩამოვრჩე,
მაგრამ გზებია გადახერგილი,
ასე მგონია ყელი გამომჭრეს
და სული ჩემი წვეთს დაღვრემილი...
და მინდა, მინდა რამე მოვასწრო,
სანამ დაცლილა, მართლაც, სისხლისგან,
ნუ დამამშვიდებ, თითქოს მოვა დრო,
და გაიხსნება გზაც მერმისისა...
არა აქვს აზრი, დიდი ხანია,
ბედნიერებას აღარ დავეძებ,
სიცოცხლე მხოლოდ ერთი წამია,
შენ კი გინდა რომ სიკვდილს გავექცე.
მე კი ვერ მივხდი თუ რომელი სჯობს,
ყოფნა არ ყოფნას, რომელი რომელს,
იქნებ მოვიდა, მართლაც, ჩვენი დრო,
თუკი დაცემას ადგომა მოსდევს.
შენ, ვიცი, ფიქრობ, წამი-წამია,
რომ არაფერი რჩება უცვლელი,
და დღემდე თუ არ გაგვიხარია,
მალე დადგება დრო წარუშლელი...
ერთ დროს მჯეროდა, თითქოს ზღაპრების,
იცი, მჯეროდა და არც მჯეროდა,
იწვის სანთლები და კელაპტრები,
ეს სული გარბის საქართველოდან!!!

ნეტა რამდენჯერ უნდა დამთოვოს

სხეული გარბის, სული აქ რჩება,
სული აქ რჩება და ქარში დაძრწის...
თუკი დავბრუნდი, ის აქ დამხვდება,
ის აქ დამხვდება სისხლისგან დაცლილს...
მე კი არ მინდა, მე კი არ მინდა,
მე წავიდე და სული დავტოვო,
გარეთ მზე იყო, სულში ბარდნიდა,
ნეტა, რამდენჯერ უნდა დამთოვოს!!!
სხეული ხარობს, სული ისჯება,
სული ისჯება დიდი ხანია,
სულ ვფიქრობ თავი სად შევაფარო,
ეს სიცოცხლეა თუ სიზმარია?
მე, იცი, დამეს სიზმრებს ვპარავდი,
და იმ სიზმრებში თავს ვაფარებდი,
რადგან არ დარჩა აქ აღარავინ,
ვისაც ნამდვილად შევიყვარებდი...
რაზე ვიდავო, ვის მოვედავო,
მითხარი, რა მაქვს შენთან სადაო,

თუ სხვა მიწაზე სხეული ხარობს,
სული კი რჩება აქ უსახლკაროდ...
მე ვდგავარ შენს წინ სანთლებით ხელში,
ცივა, თოვს, ქარი ქრის, რა ხანია...
შემოდი ჩემში, შემოდი ჩემში,
თუმც აქაც ყინვა და ზამთარია...

შენი თვალები სვავები

ვერაფრით მივხვდი რა ცეცხლი
ანთია მაგ შენს თვალებში,
ნუთუ, კვლავ ჩემზე გაცეცხლდი,
მოგბეზრდა ჩემი ალერსი...
ყველას აქებენ ჩემ გარდა,
წყეული გრაფომანები,
თუ გული შენზე შემვარდა,
შენ რატომ არ გენანები...
განა, რა ქარმა მოგისწრო,
განა, რა წვიმამ დაგალბო,
უკვე მოსულა თრობის დრო
და მინდა, მინდა დამათრო...
მაგრამ ეს თოვლის ზვავები,
შენი მხრიდან რომ მოქრიან,
შენი თვალები სვავები,
გულს უმოწყალოდ კორტნიან...
მე სამუდამოდ შენი ვარ,
თქმას ვერ ვახერხებ, უბრალოდ,
მე შენზეც გული შემტკივა,
რად მერჩი ასე უწყალოდ...
მგონია, თითქოს, დამცინი,
თითქოს არც ბრაზობ მგონია,
გავხდები შენი არწივი,
შენ იყავ ჩემი თოლია...
იქნებ არც არვინ გყოლია
და არც არავის დაეძებ,
იქნებ არც გაგიბრძოლია
არცერთი მამრის მკლავებზე...
იქნებ ამიტომ მიყურებ,
მაგ შენი ცეცხლის თვალებით,
სურვილი ვერ აისრულე,
ვერ მოკვდი ამ ნეტარებით...
მოდი, არაფერს დავტოვებ,
მაგ შენი ლერწმის ტანისგან,
მოდი, ზღვებს დაეპატრონე,
მოდი, ცას განდობ ხანდისხან...
მოდი, მაგ ცეცხლის თვალებმა,

რომ უფრო მეტად იალოს,
მოდი, რომ ვიქცე ზვავებად
და მკერდზე ჩაგესრიალო...

მოგილოცავდი (ეკატერინობას)

მოგილოცავდი, შორს რომ არ იყო,
ისე, უბრალოდ, მოგილოცავდი,
ზამთარი ისე ცივად დაიწყო,
როგორც ბერების ხედვა ლოცვამდი...
ჩემი ცხოვრება ისეც მკაცრია,
შენ ლალატივით რად გამიმეტე...
ბედმა ჩემამდე თუ მოაღწია,
სულ მიმიფხრეწავს ვიცი იმედებს...
მე შენ ასეთი მომწონდი მუდამ,
თაფლის თვალებით, მკთალი ფერებით,
ნუ, ნუ მიიტან ჩემ სიტყვებს გულთან,
მე დღეს ცოცხლებში არ ვიწერები...
ან, კაცმა რომ თქვას, მართლაც, რა დროა,
ოცდამეერთე გუგუნებს გარეთ,
ვიცი, ამ ღამეს თოვლი წამოვა
და მიწა თეთრად დახუჭავს თვალებს...
შენ კი შორსა ხარ და, ალბათ, მოგწონს,
ზამთრის ასეთი შემობრძანება...
არ გენაღვლება, რომ მალე მოთოვს,
რომ ყინვა ყინვებს ასე აება...
მე კი ვერ ვუძლებ ყინვებს და ქარებს,
არც ის არ მინდა მზეს ვემათხოვრო,
შენ, აბა, სხვა გყავს, ვერ შემიფარებ,
ან, ეგებ, მხოლოდ სითბო მათხოვო!!!

შენ კი ნათელი, როგორც ვენერა...

იცი, ეს ჩემი სული გეძახის,
როცა მზე ჩადის და ღამე დგება;
ხარ მსხმოიარე თითა ვენახი,
როცა სიმწიფით მარცვლები სკდება...
გაიკრიფება ჩუმიად სოფელი,
თავის ქოხებში შეიყუჩება;
ჩემთან არავინ, არც ახლობელი,
არც შორეული, არავინ რჩება...
ისეთ ნოტზე ვარ, ისეთ მინორზე,
რომ ვერ ვისტუმრებ ახლა ვერავის;
დღეს ვერ მივიღებ ვერც შენს პირობებს,

თითქოს, წამექცა ომში მერანი...
შენ კი ნათელი, როგორც ვენერა,
როგორც ირემი იალაღებზე,
სხვაგან გარბიხარ შეუჩერებლად,
სხვა სიმაღლეზე და მწვერვალებზე...
ვერ გავერკვიე, რა, როგორ ხდებდა,
მე ალბათ შენმა ძებნამ დამალა,
მზე ჩადის, ჩადის, გული კი კვდება,
გული გახსნილი და ფარღაღაღა...

მზის ამოსვლა

მზის ამოსვლამდე, მზის ამოსვლამდე,
მას ამზადებენ ანგელოზები,
ტანზე აცმევენ შესამოსავებს,
მორთულ–მოკაზმულს სხივთა კონებით...
უსვამენ ათას ფერ–უმარილებს,
ათას უმანკო ნამს აკურებენ,
მზე ანგელოზებს თვალს ვერ არიდებს,
ასე ნაზებს და ასე უთეთრებს...
უნდა როგორმე ხელით შეეხოს
და შესავლებად გაიწვდენს კიდევ,
ალბათ, სულყველას, მზეს რომ შეეძლოს,
თავის სხივებზე გადაიკიდებს.
მაგრამ, ანგელოზთ ხორცი ვინ მისცათ,
და მზეს ხელები ჰაერში რჩება,
კარს გამოაღებს და თავის ცისკარს,
განცვიფრებული შეეფეთება...
მივა, გაუშლის ცისკარი მკლავებს
და გამოიყვანს მზეს ცის კიდურზე,
ანგელოზები ცას მოსასხამებს
შემოაქსოვენ მზისფერს, მდიდრულებს...
და როცა კარში გამობრძანდება,
მზე ცისკროვანი და სხივოსანი,
მას მოკრძალებით მიესალმება,
ცა განწმენდილი, გასაოცარი...

როგორც ჩავლილი შთაბეჭდილება

დიდი ხანია, ამოვიწურე
და წვეთ–წვეთობით თანდათან დავშრი,
როგორც ხომალდმა ბევრი ვიცურე,
და მიმატოვეს სულყველამ ზღვაში...

და მიაქვს ჩემი ჩონჩხი დინებას,
როგორც შექმული მკვდარი ზვიგენი...
როგორც ჩავლილი შთაბეჭდილება,
ერთ დროს ლამაზი და მიმზიდველი...
მივცურავ ჩემთვის, ზღვა კი მთავაზობს,
ათას მუჯღუგუნს, სეტყვას, ქარიშხლებს,
დილასაც ზეცა თავზე დამამხო,
აღბათ, ჰგონია რამეს გავიგებ...
ხან კლდეს შემამსხვრევს, ხან კი მეჩხერებს,
მივტორტმანებ და ფეხში ვედები,
გზები, რომლებიც ჰგვანან მეწყერებს,
მხოლოდ ამათლა შევეფერები...
ვიცი, რომ დროა მარადიული,
სხვა ყველაფერი წარმავალია,
ჩემი სხეულიც ერთ დროს ღვთიური,
ახლა მკვდარი და შემზარავია...
უკვე არავინ არა მპირდება,
გამარჯვებებს და დღესასწაულებს,
ისე გამქრალა ჩემი დიდება,
რომ აღარ ახსოვთ თვით მეზღვაურებს...
და სავსე, ერთ დროს, ჩემი ტრიუმი,
ძვირფასი ქვებით, ვერცხლით, ოქროთი,
დღეს, როგორც ჟამი ემპირიული,
ვეღარ ამაცობს ამ სიმბოლოთი...
და მივჭანჭყარებ ძველი დილემა,
დალეწილი და ამოუხსნელი,
როგორც ჩავლილი შთაბეჭდილება,
და დაფხრეწილი წიგნის ფურცელი...

განა რა მსურდა

თითქოს მომკიდა ვიღაცამ ხელი
და უკითხავად შენს გულში ჩამფლა...
ვეძახი, მაგრამ აღარას მშველის,
და მეც ვეშვები დაბლა და დაბლა...
მე კი რატომღაც სულ სხვას ველოდი,
რადგანს ბევრად უფრო საზრიანს,
აღბათ, გეგონა წავიქცეოდი,
ტყვია, რომ მოხვდა ჩემს ფანტაზიას...
თუმცა, ვიხრჩვები, მე სისხლში ვცურავ,
მაგრამ ეს უკვე შენი სისხლია,
რა დრო გასულა, რა დრო გასულა,
ამ კუნაპეტში რაც გამიძლია...
ან კაცმა რომ თქვას, განა რა მსურდა,
ორიოდ წუთი ბედნიერების,

და რა მივიღე, მითხარ, პასუხად,
ჯვარზე გაკრული ცივი ხელები...
მოვა მაისი, აყვავდებიან,
ქართველის ველებზე ყაყაჩოები,
მე კი ოცნებად გადამქცევია,
სადმე, შორს ყოფნა, განმარტოებით...

სიყვარულის ბალი მქონდა

სიყვარულის ბალი მქონდა,
ბალი მქონდა საქებარი,
ლამლამობით შიგ დაჰქროდა
ამ ქალაქის ნახევარი...
ფრთხილად, ფრთხილად, ყვავილები,
შემთხვევით არ გამითელოთ,
ანგელოზი ქარვის თმებით,
სტუმრებს ტკბილად მასპინძელობს...
და მგონია მეც ამ ბაღში
დავიბადე ყვავილიდან,
რომ ფრთოსანი ჩემი რაშიც,
ამ ბალიდან ამიფრინდა...
ამ ბალიდან, ამ ბალიდან,
ყველას ვაწვდი მე ჩემს ყვავილს,
და მჯერა, რომ ათასიდან,
გაუმართლებს თითოს მაინც...

თითქოს ეშმაკი დამიმეგობრდა (რუსიკო ბოხუას)

მე ეს ზამთარი ისე მომბეზრდა,
ეს ყინვა ასე სისხლში გამჯდარი,
თითქოს ეშმაკი დამიმეგობრდა,
და ყველაფერზე ჭკუას მასწავლის...
ვერ მოგიტანე ისევ ვარდები,
ხელში შემაჭკნა შენი იები,
და მესმის, როგორც ძველი ჰანგები
ეს უცნაური მელოდიები...
იქნებ სიყვარულს სხვაგან დავეძებთ,
სულ სხვა კარებზე უნდა დავრეკოთ,
რომც მივაღწიოთ, ძვირფასო, მზემდე,
მზეს, როგორ უნდა მოვუაღერსოთ...
რამდენჯერ გითხარ, რომ ლამაზი ხარ,
რომ ღმერთქალი ხარ და ყველასა სჯობ,
გასაგებია, აღარ ამიხსნა,
რომ ამ ყველაფერს ცუდად ვთამაშობ...

დღეს ყველაც ეძებს ბედნიერებას,
თუნდაც პატარას, თუნდაც უბრალოს,
მაგრამ ვერ გეტყვი, რად მეჩვენება,
რომ ყოველივე გახდა უაზრო...
რომ სიყვარულმაც დაკარგა ფასი,
ის აღარ არის, რაც იყო წინათ,
როცა ჩვენს თვალწინ, ქალს ჰკოცნის კაცი,
მე მეჩვენება, რომ ვნებებს სძინავთ...
რომ მოპარული ხილი ტკბილია,
ჩვენ კი ჩვენს გარდა, სხვას ვეღარ ვამჩნევთ,
აღარც სასჯელის არ გვეშინია,
და ვჩქარობთ, თითქოს, დროსაც გავასწრებთ...
არ ვიცი, არა... იცი, ვრწმუნდები,
ბედნიერებას ჩალის ფასი აქვს,
მე ისევ ზამთარს დავუბრუნდები,
შენ თავს როგორ გრძნობ, ნუთუ არ გცივა...

მესტუმრე, სანამ გარიჟრაჟდება...

მე შენთან ხშირად მოვდივარ სტუმრად,
შენს სკამზე ვჯდები, და შენს თავს ვნატრობ...
შენა ხარ ჩემი ედემის ტურფა
და ნაღვლიანი ვარდების სატრფო.
ფიფქი, რომელიც მესტუმრა ციდან,
და ხელისგულზე თავისთვის დნება...
ქალი, რომელიც მინახავს სიზმრად,
ქალი, რომელიც მაჩუქეს ზღვებმა...
და მინდა, მინდა, შენს გვერდით ვიყო,
გავცუროთ ერთად, როგორც გედებმა,
თუ რამ გვექნება, ისე გავიყოთ,
როგორც ორივეს გაგვემეტება...
თუმცა, ვიცი, რომ ამ ჩვენს იმედებს,
დაუნანებლად ფლეთენ დღეები,
თუმც ეს დღეებიც დაგვივიწყებენ,
გედებიც, ღმერთიც და იმედებიც...
ვიცი, რომ ჩემში ბევრი რამეა,
ხან მკრეხელური, ხან თავხედური,
რადგან ეს ჩემთვის გრძელი ღამეა,
ღამე მხეცივით გააფთრებული...
და თუ შენც ვერ ძლებ ახლა უჩემოდ,
თუკი შენც ჩემთან ყოფნა გინდება,
მოდი, არავის არ დავუჯეროთ,
და ღამეც მხოლოდ ჩვენი იქნება.
ღამე რომელიც ყველაფერს შეცვლის,
რომელიც მხოლოდ ჩვენთვის ღამდება,

მე ყვავილები მოვწყვიტე შენთვის,
მესტუმრე სანამ გარიჟრაჟდება...

გათეთრდა მიწა

ზამთარმა მინდვრებს ფერი უცვალა,
გათეთრდა მიწა პირველი თოვლით,
და ჩემი სულიც ისე სუფთაა,
როგორც ფიფქების ეს მარათონი...
და თოვლში თითქოს შენს თვალებს ვხედავ,
მწუხარეს, როგორც დაისის მთვარეს,
აღარ მაკვირვებს ეგ შენი სევდა,
მშვენივრად ვიცნობ ჩვენს ლამაზ ქალებს...
და როგორც თოვლი შიშვლდება ჩემს წინ,
შენს გაშიშვლებულ სხეულსა ვხედავ,
და ვიცი, ვიცი, რომ ველარ შეგცვლი,
და ქრები, როგორც ეს თოვლი ქრება..
და ვიცი, ვიცი, რომ მაინც მოხვალ,
როცა ჩაივლის ზამთრის ქარები,
როგორც ფრესკის წინ პირველი ლოცვა,
კვლავ შემომხედავ ბავშვის თვალებით...
როგორ არ მინდა გავექცე ზამთარს,
იცი, ძვირფასო, მე თოვლი მიყვარს,
როცა მოდის და აივნებს ქარგავს,
როცა დნება და აცოცხლებს მიწას...
ჯერ კი წინ მთელი იანვარია,
თოვლის ფიფქით და სევდით მოსილი,
და მტკივა, მტკივა, მტკივა ძალიან,
თოვლში რომ ცხოვრობ ესკიმოსივით...

მარიამს, ლექსიო...

იცი კი, ლექსი რა არის ჩემთვის,
ან ოდნავ მაინც ჩემი ბუნება,
რად ვემსგავსები წერისას შეშლილს,
ამის ამხსნელი არ მეგულება...
ძალა, რომელიც მეწვეა ცისკენ,
თუ რა ძალაა, შენ ვერ მიხვდები...
მე თითქოს ღმერთის ლაპარაკს ვისმენ,
ემშაკისასაც, რომ ვუფიქრდები...
ეს პირველადი ორი საწყისი,
როცა ჩემს გულში დუღს და ბობოქრობს,
რა მემართება, როგორ აგიხსნი,
მე ხომ ორივე მსურს სამეგობროდ...

მე მუდამ ვცხოვრობ ორი ცხოვრებით,
ჰო, ორად ორი, ზესკნელ–ქვესკნელით,
მე ვიტანჯები ამ გაორებით,
ვით ნაღვერდალზე შიშველ ტერფებით...
მართალი გითხრა, ისიც არ ვიცი,
რას ვწერ, რა ჰქვია ჩემს შიშველ ლექსებს?
ასე მგონია თითქოს დავიწვი,
და გაცოცხლებას ვერაფრით შევძლებ...
დიახ, ასეა, ჩემი ლექსები,
მუდამ ჩემს სულში იქექებიან,
აქ არ არსებობს რამე წესები,
ხან ჩნდებიან და იქვე კვდებიან...
მართლა, იცი კი, რა არის სული?
ან პოეზია, ან შთაგონება?
ეს სიკვდილია, ძვირფასო, სრული,
ერთხელ მოდის და არ მეორდება!!!

აფრინდები?

აფრინდები? ფრთებს მოგჭრის და დაგანარცხებს ბედისწერა...
ზედ არავინ შემოგხედავს, ყველა გასწრებს, ყველა გარბის...
ფიქრობ, როგორ, ღმერთო, თურმე, დაფნის გვირგვინს ეძებს ყველა,
მე კი, როგორ ვერ ვისწავლე, ვერ ვისწავლე ეს თამაში...
რომ ყველაფერს ცოდნა უნდა, და ფრენას, ხომ, მითუმეტეს,
მაშ, არ იცი, არაფერი, ამათ რომ არ ესწავლებათ?
რადა მტრობენ, რადა მტრობენ, რა გგონია, სულ უკეთესს?
ჰოდა, ისიც, ჰოდა ისიც, ყველაზე წინ რატომ კვდება...
დავიხურე შავი ქუდი, შავი ფარი ავიფარე,
სისხლიც შავად შევიღებე, რომ ვერავინ ვეღარ მიცნოს,
წამოვდექი, მივადექი, სადღაც ცაში ღმერთის კარებს,
არც ის მიღებს, და მეც ვამტვრევ, რომ მის სახლში შევაბიჯო.
ღმერთი მხედება მომღიმარი, მოხვედითო მეკითხება,
მიკვირს ასე მშვიდად როა, მგონი, წყენას გულში მალავს,
შევაბიჯე სადაც, ალბათ, არაფერი მეკითხება,
ვუმზერ ეშმა შემომცქერის, დამცინავად, ღმერთის ნაცვლად...
დავიბენი, დამავიწყდა, რა მინდოდა, რისთვის ვიბრძვი?
ან ვინა ვარ, ან ეშმაკიც ასე რატომ იღიმება?
დაგავიწყდა? შემოგლიჯე კარი დაფნის გვირგვინისთვის,
მეუბნება ეშმა წყნარად, ალბათ, გულში იღრინება...
გადავხედე დარბაზს, გრძელი, პოეტების იდგა რიგი,
და ეშმაკმაც ხელი ცივად ბოლოსაკენ გამიშვირა,
რომ შემეძლოს ყველა სურვილს ამ ქაჯს თავზე მივაფშვნიდი,
ალბათ, მიხვდა და თავისი ღოჯით ტკბილად გამიღიმა...
და მეც მივხვდი, მაშინ მივხვდი, ამ ურთულეს გამოცანას,
თურმე ამათ, ყველას, ყველას, ქაჯი ადგამთ გვირგვინს თავზე,

შეჯიბრი აქვთ ერთმანეთში, ვინ რა სახით გამოსძლავს,
ვინ ვის დასცემს, ვინ ვის მოკლავს და გვირგვინთან ვინ მიასწრებს.
გამოვბრუნდი, მათი იყოს, ყველა ოქრო, ყველა დაფნა,
ჯერ მოკვდი და მერე მოდი, მომადახა ეშმამ უკან...
საწყენია, რომ საფლავში სამჯერ მაინც უნდა ჩამფლან,
და რომ ნამდვილ გვირგვინოსნებს ენატრებათ ხშირად ლუკმა...

რა მოხდებოდა...

შენ არც ისეთი ახლობელი ხარ,
რომ ასე ხშირად მენატრებოდე,
ასე მგონია მესმის შენი ხმა,
და სადაცაა უნდა შემომხვდე.
რა იქნებოდა, რა მოხდებოდა,
რომ ჩემთან იყო, რომ გვერდით მყავდე,
სადმე შორს ჩვენი საქართველოდან,
და, რა თქმა უნდა, მსურს შეგიყვარდე!!!
ოღონდ ერთსა გთხოვ, ამ ჩემს ნატვრაზე,
შენ, შენებურად არ გაგელიმოს,
პარადოქსებით არის დრო სავსე
და სხვებთან ყოფნას ჩემთან გერჩივნოს...
რადგან იმდენად გულუბრყვილო ვარ,
ისე ადვილად ამოსაცნობი,
შენთან რომ არა გამომდიოდა,
ალბათ, ამითაც დამამახსოვრდი...
ახლა კი, მგონი, ფრთები ამომდის,
ფრთები მესხმება, როცა შენ გხედავ;
მე დავარღვიე ყველა კანონი,
შენა ხარ ჩემი ტრფობაც და სევდაც...
და თუ არ მითმობს დღემდე რაიმეს,
ეს მილეწილი ბედის ხაზები,
დღეიდან სიკვდილს შენ განმარიდე,
დღეიდან მხოლოდ შენი გავხდები!!!

ეგ სურვილები აჩუქე ქარებს...

ისევ აჭრილი გავიდა ღამე,
ლარნაკი ხრჩოლავს სიგარის კვამლით,
ძვირფასო, ტკბილი მითხარი რამე,
თორემ სავსეა ეს გული შხამით...
არ მიყვარს ყალბი მიმიკა, მზარავს,
ყალბი სამყაროს ყალბი ღიმილი,
ნერვს ვერ მიტოკებს ეგ შენი დრამა,
მე ღამის გამო ვარ აჭრილივით...
კარგად შეხედე ვის აძლევ სიტყვას,

შენი არავის დღეს აღარ სჯერა,
სასმისის ძირში სძინავს განკითხვას,
და გვერდით უწევს მიმხრჩვალ რწმენა...
დაუფიქრებლად ნუ აღებ კარებს,
არავის ესმის დღეს შენი ენა,
ეგ სურვილები აჩუქე ქარებს,
თუკი ჯერ კიდევ ვინმესი გჯერა...
რა ადვილია სხვას დასდო ბრალი,
ძალაუფლება ერგოთ ჯალათებს,
ცა არის მშვიდი და წყნარზე-წყნარი,
მზე კი გახდილი და მოღალატე...

აი, მეც როგორი ლამაზი ვიყავი... (მარინა შილაკაძის ფოტოზე მინაწერი)

არა სცოდნია ამ დროს დანდობა,
გასულა ჩვენი ახალგაზრდობა...
გადაიქროლებს ცაზე მერანი,
როგორც დრო-ჟამის ბედისწერანი...
და აღარავინ ხელში ვარდებით,
მხოლოდ დამესლა თუ ვუყვარდებით...
და მოწოლილი მოგონებანი,
ძველი ტკობანი, ძველი ვნებანი...
შემოქნეული ხმალი ბედისა,
გადახსნის გულ-მკერდს ვარსკვლავებისას!!!
შენ კი ასეთი ნაზი, კეთილი,
ოდესღაც მკერდზე ამოკვეთილი...
სარკმელში ჩუმად გაიხედები,
ხომ არ მოფრინდნენ ღამით მტრედები...
ან გაზაფხული ხომ არ მოსულა,
გარეთ ალუბლებს ხომ არ მოსწყურდათ...
ხომ არ გაუშრათ ვაზებს ფესვები,
ხომ არ გადახმნენ ატმის ნერგები...
ნუ ელოდები ბედის ფერებას,
ბედმა დაკარგა მეხსიერება...
მცირე იმედი, თუნდაც მომავლის...
ხმა არსაიდან, მხოლოდ დრო გადის...

ტყუილია

ტყუილია, რასაც ვწერდი, ყველაფერი ტყუილია,
და არავინ დაიჯეროს გულწრფელობა ჩემი ლექსის...
არასოდეს, არასოდეს, არ მქონია გული ღია,
ან ვის სჯერა დღეს ამ რაღაც, გულის ტრფობის, გულის ფეთქვის...
ტყუილია, ტყუილია, ყველა სიტყვას ფეხით ვთელავ.

თქვენ კი ფიქრობთ, რომ მათ გამო, ცოცხლად ქვაბში ვიხრაკები...
ტყუილია, ტყუილია, ყველა ლექსი, ყველა, ყველა,
რის ვარდები, რის შროშნები, რის ია და მიხაკები...
ჰო, საფლავი გავუთხარე, ყველა ლექსებს, ყველა სიტყვებს,
ვიცი, ჩემი რომ არავის, დღეს არავის აღარ სჯერა...
მოვა, მოვა ქარიშხალი და სახლის კარს შემომიმტრევს,
როგორც მოდის აღსასრული, როგორც გვირტყამს ბედისწერა!!!
მართლაც დროა, ეს სიყალბე, უკვე მოვრჩე, მივატოვო,
არ სჭირდება დღეს არავის, არც პოეტი, არც მგოსანი...
ამ ქალებსაც მირჩევია ვინმე ლოთი საახლოვოდ,
რადგან ყველას დასაცინი გახდა ჩვენში კალმოსანი...
გადახედეთ ჩვენს გაზეთებს, რას წერენ და რას ბლანდავენ,
ნახეთ, როგორ დასცინიან, ვინც ერისთვის სისხლი ღვარა,
და გავასწრო მინდა, მართლაც, სანამ მკერდზე გამფატრავდნენ,
თქვენი იყოს, თქვენი იყოს, ეს ხალხი და ეს ქვეყანა!!!

რატომ მგონია

შენც კარგად იცი, თავს რად ვიკავებ,
თუ რასა ნიშნავს ჩემი დუმილი...
ავად გავხდები თუ კი მიწამლებ,
იქნებ მოვიკლა შენი წყურვილი...
უცნაურია, ვერც ბედს დავნებდი,
ვერც წარსულს თავი ვერ მივანებე,
შემომსევიან ზამთრის ქარები,
და ფოთლებივით მაზზორიალებენ...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ ვერასოდეს მოვალ შენამდე,
შენ უცხო ბადის ხარ მაგნოლია,
მე კი სავსე ვარ შენით ყელამდე...
მოდის გავაღოთ შენი ბალები,
და თუ გსურს შენთვის მიწად ვიქცევი,
შენს ფესვებს ისე ვუმკურნალებდი,
რომ ვერასოდეს დაივიწყებდი...

თავს რომ ვუშველო როგორმე

დილიდან ზარი მომესმის,
ვგრძნობ ჩემი ბედის ზარია,
თითქოს, ჩამახრჩეს მორევში,
მტერს გააქვს ვაკხანალია...
თავს, რომ ვუშველო როგორმე,
ზღვა უნდა გადავიარო,
სანამ მთლად გამაბოროტებ,

მსურს გული გავამთლიანო...
ვიცი ჩაივლის ეს წყენაც
თუმც ვარ ძალლივით ნაცემი,
და გზაზე წამომეწევა
შენგან დახლილი ფრაზები...
ვინ მეტყვის, ვინ დამაჯერებს,
ჩვენში ვინ იყო მართალი,
ან ღამეს რა გაათენებს,
წევს, როგორც ლევიათანი...
ან როგორ გინდა გაუგო,
ამ მოყაყანე ვამპირებს,
როცა შენ ღმერთთან საუბრობ,
სხვა კი შენს მოკვლას აპირებს...
ასეც და ისეც არ მინდა,
ამათი ბრილიანტები,
ცას ვარსკვლავები დასცვივდა,
უკან წავლენ და გავყვები!!!

ხვალ კი მჯერა რომ ამობრწყინდები

ბევრ კითხვას მისვამ, ამდენ შეკითხვას,
რომ ვუპასუხო, დრო მინდა მეტი;
ისე ვიბნევი შენი მზერისას,
როგორც მიწაზე მარცვლები ფეტვის...
ეგ მეც არ ვიცი, რად იხლიჩება,
რად იხლიჩება სული შუაზე,
როცა შენს თვალში ოცნება ჭკნება
და გადავდივარ წუთით ჭკუაზე...
ვიცი, ჩემამდე ბევრი გეტყოდა,
რომ ანგელოზებს გიგავს ნაკვთები,
რომ ათასობით მამრი გეტრფოდა,
და რომ ამწამსაც ბევრს ენატრები...
რომ, როგორც სხივი ზღვის ზედაპირზე,
ათას უცნაურ ფერებს ირეკლავს,
შენც ულამაზეს სხივებს ასხივებ,
სხვა მნათობების დასამცირებლად...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ შენს ნატიფ მკერდს ჭკნობა დაეტყოს,
რომ სულ მესმოდეს შენი ბაგიდან,
ჩემო ძვირფასო, ჩემო მაესტრო...
და თუ ვერაგი იყო წარსული,
ვით ცხვრის ფარაში მგელის კბილები,
დრო იყო მკაცრი და დათარსული,
ხვალ კი, მჯერა, რომ ამობრწყინდები...

მანანა ჯანელიძეს, უბრიყვეს და სიძულვილით სავსე დედაკაცს ავტორთა მიმართ, რომელიც "ლიტერატურულ პალიტრაში" სხვის ადგილს იკავებს...

დილაადრიან თოფ-ტყვიას ვფერავ,
როგორც ყოველთვის, მხრავენ ეჭვები,
უგუნურების ცოცხალი ტყვე ვარ,
ჩუმად ვზივარ და შხამს ვილეჩები...
ვიცი, არა ღირს ასე ანთება,
რომ ეს ნერვები მთლად გამაგიჟებს,
რა ვქნა, ლექსების გადასარჩენად,
ამ საზღვარს ყველაც გადააბიჯებს...
და თუ სასხლეტი დასხლეტილია,
ხელს ტყვიას უკვე ვერ ავაფარებ,
გაწყდეს იქ, სადაც მართლაც წვრილია,
ჩემშიც ეშმაკი ზის და ხარხარებს...
ის ჩემი სულის ორეულია,
გაჩენის დღიდან მუდამ თან დამდევის,
არ წამაქეზოს არ შეუძლია,
მუდამ დამცინის, მუდამ მაჩქარებს...
დე, იყოს ისე, როგორც მას უნდა,
მიზნისკენ მიდის ჩემი ტყვიები...
მისი ეპოქა უკვე დასრულდა...
ამას მე ველარ ვაპატიებდი...

მინდა გამომყვე

რა ადვილია, სხვების გაკვალულს,
ისე გაჰყვე, რომ სხვებსაც გაასწრო...
მე მინდა, ერთად შევხვდეთ გაზაფხულს,
სადმე შორს, მთებში, კლდეებთან ახლოს...
როცა ნისლეები გაფერმკრთალდება,
როცა ყინული დნობას დაიწყებს,
მზე ჭრელ მინდვრებზე აელვარდება,
და ხევ-ხუვები უბეს გაივსებს...
მინდა გამომყვე, მინდა წავიდეთ,
მწვერვალებისკენ, ცას რომ ეტრფიან,
ჩანჩქერებს თვალს რომ ვერ აარიდებ,
მყინვარს, რომელიც თეთრზე-თეთრია.
თუკი გსურს გავცდეთ თვით მყინვარწვერსაც,
ავუყვეთ კიბეს, ცისკენ რომ მიდის,
სამარადჟამოდ დავრჩებით ერთად,
მე, შენ და ჩვენი ლურჯი ბილიკი ...
ოღონდ, ძვირფასო, ფრთხილად ვიაროთ,
რომ ზეცამ ტრფობის კარი გაგვიღოს;

წავიდეთ, მთვარეს შევეხმიანოთ,
რომ პირველ ღამეს მან გვიმასპინძლოს...
სადაც მე და შენ მარტო ვიქნებით,
სადაც სულ დღეა და არ ღამდება,
გამოგვყვებიან სერაფიმები,
და კიდევ ვინც ჩვენ გაგვიხარდება...
წავიდეთ, სანამ სხვებმა დაგვასწრეს,
სანამ გახსნილა ცისკენ ცხრაკარი,
წავიდეთ, ვნახოთ ცის სილამაზე,
და მოვისმინოთ ღმერთის ზღაპარი...

ვნატრობ

ვნატრობ, ვნატრობ სიმშვიდეს,
რა ხანია ვნატრობ,
ვინმე ლოგინს მიშლიდეს,
სადმე მზესთან ახლოს...
რომ ზეციურ ნათელში,
ჩემთვის ვიყო მარტო,
თუნდაც მოუსავლეთში,
სიჩუმე რომ გათრობს...
მქონდეს ერთი პატარა
ყვავილების ბაღი,
იქვე წყარო წანწკარა,
მარწყულებდეს დაღლილს...
თავქვეშ მედოს თავთავის
გამომშრალი კონა,
ზედ მეფაროს ვარსკვლავი,
ჩემი საბნის ტოლა...
თან ქათქათა ღრუბლიდან
ფანტელები თოვდეს,
ტალღებივით მუსიკა,
ხმიანობდეს, თრთოდეს...
იდგეს თავბრუდამხვევი
სურნელება ვარდის,
იებს თვალებახელილს
მიკრეფავდნენ დაღლილს...
იქვე ჩუმად ეძინოს
ზეცის ყველა მნათობს,
ტანქვეშ სევდა მეფინოს,
ვნატრობ, ვნატრობ, ვნატრობ...

შენ მიყვარხარ, ის არა...

ნეტა, მართლაც გიყვარდი,
თუ ტყუილად მჯეროდა,
მე შენს სახელს ვიძახდი,
ქარში რომ დაგწოდა.
შენ კი პასუხს არ მცემდი,
ზღვაზე ნავს მინდობილი,
მე ძალღვივით ნაცემი
ვიყავ უარყოფილი.
მაგ თვალებსაც, ძვირფასო,
სულ ტყუილად აკვესებ,
სულ რომ გამომიცხადო,
მე მომკალ და სხვას ეძებ...
მაინც ვერ დაგიჯერებ,
ასე მითხრა სიზმარმა,
კვდები, მოდი, მიშველე,
შენ მიყვარხარ, ის არა!!!

მე და ღამე (მომიტევოს გალაკტიონმა)

გარეთ გაველ, შემომასკდა,
ღამე თავის შავი ფერით...
შემომხედა ისე მკაცრად,
თითქოს, ვიყავ მისი გერი...
მომყევით, მითხრა ჩუმად,
მკლავში ხელი გამიყარა,
ჩემი ხარო და საჩუქრად
თავის სახლში წამიყვანა...
მერე ტანზე გაიხადა
შავზე-შავი მოსასხამი
და ჩემ თვალწინ იქცა ქალად
ღამე, როგორც ჯადოქარი...
ეს არ იყო აღტაცება,
არც ვნება და არც სიძვანი,
ჩემს წინ მკრთალად ანათებდა
უთეტრესი კანის ქალი...
აი, თურმე ვინ ყოფილა,
დღემდე ღამე რომ მეგონა,
შემომხვია ხელი თბილად
და ბავშვივით ჩამეკონა...
და მას მერე, ყველა ღამეს,
მასთან ერთად ვათევ თეთრად,
ასე სხვა ვინ შემიყვარებს?
ვინ იქცევა ჩემთვის ფერფლად?
ჩემთან წვება ყოველ ღამე
და სიყვარულს მეფიცება...

ნადიმი (ტ-ს)

მინდა გამომყვე, ჩვენთვის ნადიმი,
გავაშლევინე უმწვანეს ველზე,
შენ ჩემი გნოლი, მე კი არწივი,
რომელიც შენში საკბილოს ეძებს...
იცოდე, შენთვის სიურპრიზი მაქვს,
ეს არ იქნება ჩვეული სუფრა,
შენი სხეული ისე მიზიდავს,
როგორც ვეფხვს ტყეში
ირმების სუნთქვა...
სუფრა, რომელსაც მე შენ გპირდები,
დახატულია ღმერთების ხელით,
დასტრიალებენ ქერუბიმები,
და შემკულია ყვავილთა მტვერით...
მაისს შემოაქვს ვარდების წვენი,
და ბროწეული კანზე დამსკდარი,
აპრილი დარბის იქ ფეხშიშველი,
და ღვინობისთვის მოაქვს მაჭარი...
მაგრამ რაცაა ყველაზე კარგი,
ჩვენ ერთმანეთის ცქერით დავთვრებით,
ციდან დაღვრილი ათასი ჰანგით
და მზის ბრჭყვიალა ბრილიანტებით.
მერე კი როცა პირველი ღამის
მთვარე გაგვიშლის ვერცხლის სარეცელს,
ჩემს გაშლილ ფრთებზე გაწვები მთვრალი
და ნიავევით მომიაღერებს!!!

თუმცა ვერაფრით ვერ გარქმევ სახელს

კი მინდა, მაგრამ სახელს ვერ ვარქმევ,
სახეს რომელიც ზეცამ გიბოძა,
ნეტა, როდემდე უნდა ელავდე,
ვინ დაგანათლა, რა შეგილოცა...
ან რა გამოლევს ლამაზებს ქვეყნად,
რა დალევს ქალებს ამ ჩვენს ქალაქში,
თუ ანგელოზი იყავი, გეთქვა,
რალას ჩამაბი ამ შენს თამაშში...
ქვეყნად ყველაფერს აქვს გამართლება,
ღმერთი თავისას ყველას მიაგებს...
მაგრამ, ძვირფასო, მითხარ, რა ხდება,
მთლად ცეცხლად როგორ აგაბრიალეს...
რა ლამაზი ხარ, რა საოცრება,

ნეტა, სად გაჩნდი, რომელ ვარსკვლავზე,
მე შენი სახე ყველგან მომყვება
და მანადგურებს ეგ სილამაზე.
და მჯერა, ნაღდად ღმერთმა დამსაჯა,
გამომიჩხრიკა, რაღაც ცოდვები,
ამ საოცრებას რომ დამაჯახა,
არც ვებრალევი, არც ვეცოდები...
ასე მგონია ულამაზესი
ტამრის ფრესკიდან გადმოგიხატეს,
ეს შენ ანათებ წყვილიადს ღამეში,
თუმცა, ვერაფრით ვერ გარქმევ სახელს!!!

როგორც მზეები იბადებიან

მინდა ეს დილა სხვა დილებს ჯობდეს,
რომ გათენება გაგვილამაზოს,
რომ სამუდამოდ დაგვამახსოვრდეს,
რომ წაეკიდოს ცეცხლი კაბადონს,...
რომ გადარეკოს ქარმა ღრუბლები,
რომ აფერადდეს მთებში აისი,
რომ ვიგრძნოთ ძალა დედა-ბუნების,
სულ სხვა სიცოცხლით, სულ სხვა ხალისით...
რომ მოვისროლოთ სევდა მხრებიდან,
და სიხარულის შარფი მოვისხათ,
როგორც მზეები იბადებიან,
როგორც თავს ესხმის ველზე ლომი ხარს...
და ვიყოთ ისე თავისუფალი,
როგორც არწივი სილაჟვარდემში,
რად უნდა იყოს ეს სანუკვარი,
როდემდე ვიყოთ ამ სიზმარეთში?

ვერ მოვიშორე ეს ეჭვის ჭია

ვერ მოვიშორე ეს ეჭვის ჭია,
სულში ყრუდ რომ მყავს შემოჩენილი,
ჩვენ ყველას ერთი სახელი გვქვია,
ერთი დედისგან ვართ გაჩენილი.
და ვეძებთ, ვეძებთ, დაუსრულებლად,
გვსურს ჩვენნაირი აღმოვაჩინოთ,
ის ვინც გაგვიგებს სიტყვის უთქმელად,
რომ ერთმანეთი გადავარჩინოთ...
ვერაფერს იზამ, ვერაფერს შეცვლი,
ყველა ვარდსა აქვს თავის ეკალი,
ისე შემოდის ცხოვრება ჩემში,

როგორც მძარცველი და გარეწარი...
და აღარა მსურს ისევ ვისმინო
ეს უსასრულო შეგონებანი,
პირიქით, მუდამ საპირისპიროდ,
მივდივარ, როგორ ვერ შემიცანი...
ეს საუკუნეც, ოცდამეერთე,
დაიწყო, როგორც ყველა მომდევნო,
მე აღარა მსურს ვინმეს ვეძებდე,
მე აღარა მსურს ვინმემ მომძებნოს...
თვით ორი წვეთიც თურმე ერთმანეთს,
თურმე ერთმანეთს სულაც არა ჰგავს...
თუ კი ერთიდან შხამი შეგვასვეს,
მეორე წვეთით გვაწვდიან წამალს...
ტყუილად ეძებ, ვერავის ნახავ,
ყველგან ფარდა და რკინის კედელი,
დავბრუნდეთ უკან, მოხსენი ალყა,
დარჩეს ეს ციხეც აუღებელი...

თქვენ მითანაგრძნეთ!!!

სულ ვჩქარობ, ვჩქარობ, მინდა მოვასწრო,
მაგრამ ყოველთვის ვიწვები დროში;
ზოგი პოეტობს, ზოგი მონაზვნობს...
რამ გამახსენა, ზოგიც წევს მორგში...
ის დრო, რომელშიც ჩვენ ყველა ვცხოვრობთ,
ყველა ჯალათზე უფრო მკაცრია,
იმედი კვდება ყველაზე ბოლოს,
და მასაც მკვლელის ტოგა აცვია...
ხედავთ, იმედიც შემომელანძლა,
ვისი ბრალია, დროა ასეთი...
ყველაფერს იტან, თუკი მონა ხარ,
თუკი რა ხდება, ირგვლივ, არ გესმის...
დღეს ხალხს სინათლე სჭირდება მხოლოდ,
მაგრამ ვიღაცა მაღავს ჩირაღდნებს,
გავყვირი ბნელში: სამშობლო მხოლოდ...
ის კი მოდის და მორგში მიმათრევს...
სიმართლე ჩემი რწმენის ჯალათი,
მუდამ თან დამდევს თავის მახვილით,
ის მიკარნახებს თუკი გადავრჩი,
როგორ მოვიქცე გულ-მკერდგახსნილი...
რადგან სიყალბე ასე თარეშობს,
სიმართლის ყველა კარი ჩარაზეთ!!!
გავალ სიკვდილთან საასპარეზოდ,
და თუ შევაკვდი, თქვენ მითანაგრძნეთ!!!

მე რომ ერთ დროს გოგო მყავდა

ღობეს აქეთ ჭინჭარია,
ღობეს იქით ვარდები...
შენთან ყოფნა მიხარია,
სხვასთან ჭაში ვვარდები...
ღობეს იქით დღე არის და
ღობეს აქეთ ღამეა,
ერთხელ ფეხი თუ დაგიცდა
განა დიდი რამეა...
ღობეს იქით შენა ხარ და
ღობეს აქეთ სხვებია,
მე რომ ერთ დროს გოგო მყავდა
ჯერ არ დამვიწყებია...
თეთრი ვარდით დადიოდა,
თვითონ ვარდის საფერი,
მე ათასი დარდი მქონდა,
იმას არც არაფერი...
ღობეს იქით გადავიდა,
თან წაიღო ვარდები,
მე მის მეტი სხვა არ მინდა,
შენ არ შემეყვარდები...

სილამაზე

სილამაზე, ვიცი, ათასნაირია,
ღვთაებრივი სილაზე კლავს...
ახლა ჩემთვის ყველაფერი აირია,
რადგან, ვიცი, ვიცი, კოცნი სხვას...
მე ხომ შენი შეყვარება არც მიცდია,
არც სიყვარულს დავემბდი უკანასკნელს,
როცა წლები, გარბიან და არ იცდიან,
ჩვენ კი სულ არ ვეცოდებით მუხანათებს...
კაბა გეცვა, კაბა გეცვა მელნისფერი,
ეგ შიშველი მხრებიც ისე გიხდებოდა,
და თვალები, და თვალები, ორი შველი,
მსაჯულივით, გამომცდელად მიცქეროდა...
გავიფიქრე, აი, ესეც ბედი ჩემი,
არ ეტყობა, რომ ღმერთების რჩეულია?
მორჩა უკვე, ვერაფერი ვერ მიშველის,
სილამაზეს მხოლოდ მოკვლა შეუძლია...
გული გასკდა, გული მიცემს შემფოთებით,
თავი ვარ და, მგონი, კატა გამოვთხარე.
შენ ჩემს სულში უსწრაფესად შემოხვედი,

და ვინც დაგვხდა, ყველა გარეთ გამოყარე...

ჩემი სიზმრების მელოდია ხარ...

როგორც ყვავილი მიიწევს მზისკენ,
ვიცი, რომ ჩემსკენ შენც ასე ილტვი...
ვეცადე, მაგრამ ვერ დაგივიწყე,
ახლა ვზივარ და შენს კოცნებს ვითვლი...
მიყვარს, როდესაც ნისლივით მსტუმრობ,
როცა რიჟრაჟი დაჰკრავს ალიონს,
და მინდა, მინდა დაგისაკუთრო,
და თუ რამ დამრჩა შენ შეგალიო...
ვიცი, მოხვალ და ჩემთან დარჩები,
და როგორც ვარ, ისეთს ამიტან,
დილის ნისლივით აღარ გაქრები,
ანდა, ნამივით ბალის მარწყვიდან...
ჩემი სიზმრების მელოდია ხარ,
ოცნება ციდან ჩამოფრენილი,
და რომ იცოდე, ისე მიყვარხარ,
როგორც შენ გქონდა წარმოდგენილი...
გაგიჟებამდე, გაცოფებამდე,
სული სხეულის კედლებს ეხლება,
და თუ ჩემი ხარ ფეხით–ტერფამდე,
რად მადამბლავებს შენი შეხება...
თუკი ვერ გითხარ, რაც, ალბათ, გასურდა,
ვერ მოგანიჭე ბედნიერება,
მე შენი ვიყავ, ძვირფასო, მუდამ,
უბრალოდ, გვიან მოხდა შეხვედრა..

თამარ გორგაძეს, რომელიც ათენშია.

შორსა ხარ, მაგრამ ასე მგონია,
რომ სხვებზე უფრო ახლოს ხარ ჩამთან...
ვიცი, აკლიათ ის ჰარმონია,
ამ წლებს, ეგ გული როგორცა ფეთქავს...
იქნებ დაბრუნდე, ჩემი გულისთვის,
ჩემი გულისთვის, იქნებ დაბრუნდე,
თუნდ იმ პატარა სიყვარულისთვის,
რომლითაც წელან მომესათუთე...
მომწონს ეგ შენი გედის პროფილი,
გრძნობა, რომელიც მაგ მკერდში ბუდობს,
თუმცა, ჯობს იყო მანდ კმაყოფილი,
ვიდრე აქ სევდამ დაგისაკუთროს...
აქ მოდაშია დღეს დეპრესია,

სულ იმედები, სულ მოლოდინი...
და ალბათ, მართლაც უკეთესია,
ისევ მანდ იყო ზედს მინდობილი...
და თუ დღეს ღმერთმა ასე ინება,
ალამაზებდუ უცხო ქალაქებს,
ერთხელ ეს მიწაც აღორძინდება
და მერე აქაც შემოანათებ!!!

ზღვა არის ლურჯი

ზღვა არის ლურჯი და მშვიდზე–მშვიდი,
შორს ჰორიზონტზე გემი ჩანს მკვეთრად,
დაცურავს წყალზე იხვების რიგი,
და ტალღა ქალის ნერვივით ფეთქავს...
მზეა ზარმაცი, ისე ზარმაცი,
უკვე ამ მზემაც დაკარგა ძალა,
მეთევზეების ნავი ბარბაცით,
მწვანე კონცხს გასცდა და მიეფარა...
ვწევარ, არა მაქვს არაფრის თავი,
ეს ზღვაც ჩემსავით მოთენთილია;
პორტთან მოთეთრო ხომალდი ბღავის,
და ის თუ არღვევს ამ იდილიას...

ზღვა არის ლურჯი

წინ ბრძოლისაკენ, უარი ჭაობს,
სადაც ბაყაყთა მოდგმა ყიყინებს...
უარი ყველას, ვინც ჩვენთან დაობს,
ვინც ფეხით თელავს დაფნის გვირგვინებს!!!
ჩვენი გზა მხოლოდ მწვერვალზე გადის,
ჩვენი დროშები ცეცხლის ფერია,
ჩვენ გრიგალები გვითმობენ ადგილს,
და გვწამს, რომ უკვე ჩვენი ჯერია...
ჩვენ მთელ სამყაროს ჩავიტევთ მუჭში,
რათა სიმართლე ვუთხრათ ტირანებს,
მოგვევით ყველა, ვინც კი ხართ ურჩი,
ჩვენ ყველა ჯალათს ავაწრიალებთ!
უარი ტყუილს, უარი ღალატს,
უარი ყველას, ვინც შიშსა თესავს,
მხოლოდ სიმართლე ამარცხებს ძალას,
და მხოლოდ ბრძოლა ბრმა ბედისწერას!
მაშ, წინ, ახალი მწვერვალებისკენ,

ჩვენი სიმაართლე ცად ავიტანოთ,
ყველა ტირანი რომ გადაგვიდგეს,
ზვავებად მოვწყდეთ და ჩავიტანოთ!!!

მართლაც, არსებობს მეტი დაცინვა...

დამშვიდნენ ზღვები, ჩადგნენ ქარები,
იქვე ნაპირზე სძინავთ გრიგალებს,
ღრუბლები, როგორც ნაზი ქალები,
ვეღარ ახელენ გადაღლილ თვალებს...
მხოლოდ მთვარეა განცვიფრებული,
ვერ გაუგია, მართლაც, რა ხდება,
ან ზღვა რატოა მიკნავეებული,
ანდა, ამ ქარებს რა ემართებათ.
ან გრიგალები რამ მიაძინა,
გაკვირვებული კითხულობს მთვარე;
მართლაც, არსებობს მეტი დაცინვა,
ნაპირზე ტკბილად სძინავთ გრიგალებს...
სულ ყველაფერმა ფერი იცვალა,
ცა გადაბრუნდა, მიწა გაირყვნა;
არ ღირს, სიცოცხლე, დედას ვფიცავარ,
ელვა სად გაქრა, მეხი რა იქნა...
საკვირველია, სძინავთ ვარსკვლავებს,
და უფრო მეტიც, თვითონ ცას სძინავს,
სულ მალე მთვარეც თავს შეაფარებს,
მთვლემარე ღრუბლებს, დილის ნაწვიმარს...
და ასე გავა კიდევ ერთი დღე,
ეს ღამეც ძილის გამო იწყება,
რით ვერ ველირსეთ, რით ვერ ველირსეთ,
ამ გრიგალების გამოღვიძებას!!!

რაა სამარე

რაა სამარე, მართლაც,
რომ დაფიქრდები კაცი...
ციხე, ცრემლები, ჯვარცმა,
და თან დუმილი მკაცრი...
მინდა მოვეშვა წუწუნს,
ზეცად ვმალდები მარტო,
ვუსმენ წყვილიადის დუდუნს,
ხელით ვეხები ტატნობს...
აღბათ, გინახავს როცა,
სხეულს ეყრება სული,
უკანასკნელი ლოცვა,

გაუცხოება სრული...
ბოლო გადასვლა სიზმრად,
შხამგარეული ბოდვა,
დიდხანს, ძალიან დიდხანს,
მკერდის შფოთვა და ბორგვა...
შემზარავია სული
როგორც ეყრება სხეულს,
მალე წყვილი კრული
შემოგეყრება სხეულს...
გელის სამარე ცივი,
სამარადისო გაცლა,
გულზე ცრემლების მძივი,
სისხლი, ცხედარი, ჯვარცმა...

მიყვარხარ როგორც...

ისეთი ძლიერ მიწდა მიყვარდე,
როგორც არავის, არსად, არასდროს,
არ გაგიკვირდეს ჩემი სიხარბე,
თუ მეშინია სხვამ არ დამასწროს...
ჰო, მეშინია სხვამ ჩემზე მეტად,
სხვამ ჩემზე მეტად არ შეგიყვაროს,
როცა აპრილი იფეთქებს თეთრად,
როცა მზე მზეობს და მიწა ხარობს...
როცა ღიმილით მაფრქვევ სიხარულს,
და აღტაცებას შენით ვერ ვმაღავ,
რაც უდიდესს, ადამიანურს,
წარმოუდგენელს მანიჭებ ძალას...
და როგორც მუდამ შეყვარებულს,
მეც ყოველივე ჩემი მგონია,
მინდა შეშურდეს, ყველას შეშურდეს,
ჩვენი გრძნობების ეს სიმფონია...
და იცი, ყველა ყვავილს მაგონებ,
რაც კი გაშლილა სადმე, ოდესმე,
ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ,
ნურცერთი წუთით ნუ მიმატოვებ...
თორემ, ვინ იცის, იმ ერთმა წუთმაც,
ამოუხსნელი სევდით შემშალოს,
მიყვარხარ, როგორც ქარს ქროლვა უყვარს,
მიყვარხარ, როგორც მწყურვალს კლდის წყარო...

რატომ მაგონებ

რატომ მაგონებ, რატომ მაგონებ,
ჩემი ბავშვობის დღეებს გაფრენილს,
ასჯერ გაკვალულ მწვანე მთაგორებს,
ველის ყვავილებს მზისფრად გაფენილს...
რატომ მაგონებ პირველ სიყვარულს,
პიველ კოცნას და ტუჩის მოკვნიტას,
ლოყაზე წითლად მოდებულ ალმურს,
და მიუწვდომელ ქალზე ოცნებას...
ჩემს დაგუბებულ და დამცხრალ სულში
ვარდის სურნელი შემოაქვთ ქარებს,
მეკი ბავშვობის დღეებსა ვფურცლი,
კარგა ხანია თავს მათ ვაფარებ...
რომ ავიცილო ბედის დარტყმები,
ახალ დროების ავი სტუმრობა,
ასე მგონია, რომ ვართ ბარტყები,
და ვერ ამჩნევენ ჩვენს გულჩვილობას...
ახლა ერთმანეთს ისე ვჭირდებით,
როგორც დაღლილ სულს მხარზე დაყრდნობა,
ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები,
შენგან არ ვიღებ მე თანაგრძნობას...

და როცა ჩემი სული ფეთქდება

მე ისევ ერთ დიდ ტკივილად ვიქეც,
მდინარე ვარ და ზღვას ვუერთდები;
ღმერთებო, ყველგან გახსენით სივრცე,
მე აღარ მყოფნის ახლა ეს ზღვებიც...
და მართლაც ჩემ სულს არა აქვს ფსკერი,
ის უძიროა და ცისკენ ილტვის;
ვით საწყაული აღუვსებელი,
მე დაპყრობა მსურს გაშლილი სივრცის.
მომდივარ, მომყავს ჩემი მხედრები,
სამყაროს მტვერი ჩვენს უკან რჩება,
ზეცამდე აღწევს ექო ჭენების
და ჭიმკარს აღებს მთლიანად ზეცა...
სად ისტორია, როგორც სამხილი,
გასჭვალულია შურისძიებით,
და დროდან დროზე გადაძახილი,
გაისმის, როგორც ღვთის რექვიემი...
დრო აღარ არის ფიქრის და რჩევის,
რაშებს დააცვდათ ფეხზე ნალები,
დამტოვეთ ყველამ, მე მარტო ვრჩები,
მარტომ ავუშვა მსურს იალქნები...
მე ეს ჭენება არა მბეზრდება,
მე თავი გამაქვს ჩემი ფრჩხილებით,

და როცა ჩემი სული ფეთქდება,
მიწას ედება ქარტახილები...

როდემდე უნდა ვიყო უშენოდ

როდემდე უნდა ვიყო უშენოდ,
ტანზე მეხვიოს სევდის გრიგალი,
და არაფერი ჩემს სანუგეშოდ,
არცერთი სიტყვა, არავითარი...
თითქოს ვიშუშებ სულზე ნაკბენებს,
ისევ უსაზღვროდ გულდასერილი,
ნეტა, უშენოდ სად მივაჭენებ,
ასე დაცლილი, ასე შეშლილი...
და თუ ღამეებს თეთრად ვათენებ,
განა იმიტომ, რომ მიხარია...
ნუ შემახსენებ, ნუ შემახსენებ,
წუთისოფელი რომ სიზმარია...
რომ სიკვდილი გვყავს ჩასაფრებული,
წამზომით ხელში და წამებს გვითვლის,
მე კი ტუტუცი და აღზნებული,
ისევ შენ გეძებ, ისევ შენ გიცდი...
მითხარი, დილა თუ გათენდება,
თუ ღამეს შევრჩით დაუსაბამოდ,
გადაიფრინეს ცაზე გედებმა,
და ნაღვლისფერი დგება საღამო...

მე ყველაფერი მომწონდა შენში... (თამუნას)

მე ყველაფერი მომწონდა შენში,
მომწონდა, რადგან ჰგავდი გაზაფხულს,
როცა ამოდის იები ტყეში,
როცა ერთს ჰკოცნი და სხვა აღარ გასურს...
ჰო, ყველაფერი მომწონდა მართლაც,
თმები, თვალები ასე ნათელი,
ყველაზე მეტად კი შენი განცდა,
რომ უნდა გაქრეს ეს ყველაფერი...
რომ გაზაფხულიც კვდება და გადის,
როგორც ყვავილი ჭკნება და კვდება,
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი,
ჰო, ასე უყვართ უკანასკნელად...
და თუკი მაინც, ჰო ოდნავ ისევ,
სულ ოდნავ მაინც მოგენატრები,
ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ,
მითხარ და იმწამს შენთან გავჩნდები...

გედი კვდება

ამბობენ, რომ გედი კვდება,
გედი კვდება სიმღერაში,
მგლოვიარედ, როგორც სევდა,
როგორც დარდი ქალის ხმაში...
ალბათ სატრფოს ეთხოვება,
ალბათ მინდვრებს ყვავილიანს,
გედი კვდება, გედი კვდება,
და მისი ხმა მიაქვს ნიავს ...
ტბის ნაპირას ვდგავარ მარტო,
შუაგულში ცურავს გედი,
ის, ვიცი, რომ აქ ბინადრობს,
აქ დაცურავს მისი ბედიც...
შენ კი, მითხარ, სად გეძებო,
რომელ ტბაში, რომელ ცაზე,
სად წავიდე, მთვარეს ვენდო,
თუ ვარსკვლავებს დამის ცაზე...
შენ რა იცი, როგორა მშურს,
როგორა მშურს გედის ბედი,
დავუკეტე კარი წარსულს
და ტბის პირას გელოდები...

ზამთარი მოვა

ცა ლამაზია, როგორც ნახატი,
თან დახვეწილი ფერები ჭარბობს,
ბედნიერებას სხვას უნახავდი,
სხვას უნახავდი და თვითონ ნატრობ...
და ელოდები, ვინ შემოაღებს,
ვინ შემოაღებს ახლა შენ კარებს,
ალუბლისფერი შეაკვდა ბაღებს,
მალე მზეც ალბათ დახუჭავს თვალებს...
ზამთარი მოვა თეთრი ფერებით,
და ველ-მინდვრებზე მიწას მოყინავს,
სდუმს ნაყანები, სდუმს ნაფეტვრები,
ტყეებიც თეთრში გამოწყობილან...
დასევდიანდა, ჩაქრა დაისი,
ცა ფერმკრთალია, როგორც დარდისას,
აღარც ოცნება, აღარც ხალისი,
ღამემ ვარსკვლავნი მოინაკლისა...
ეს ღამეც წავა, ეს დროც ჩაივლის,
დაბრუნდებიან გაზაფხულები,

შენ კი იმათი ფერუმარილით,
გაძლები ზამთარნამარხულები...

ლარნაკში წითელი ვარდები ჭკნებიან

იმ სევდას, რომელსაც წახვალ და მიტოვებ,
იქნება შენ მითხრა, შენ მითხრა, რა ჰქვია...
მე დიდი ხანია ვასრულებ იმ როლებს,
იმ როლებს, რომლებიც შენ არ გინახია...
არ მიყვარს, არ მიყვარს გრძნობებით თამაში,
არც იმათ არ ვგავარ, ვინც ვერა მოასწრო,
და თუკი სიკვდილი კვლავ ცოტას დამაცლის,
ეგებ ეს წყურვილიც როგორმე მოვახრჩო...
ვიცი, არ სრულდება ყველა დაპირება,
რომ იფუშებიან იმედის ბუმტები,
რომ ფასი დაკარგეს ლამაზმა სიტყვებმა,
რომ აზრი არა აქვს რასაც მეუბნები...
რომ დღემდე, ძვირფასო, შენ ჩემი არა ხარ,
რომ გული დახურე და შიგ არ მახედებ,
რომ ჩემი ნათქვამი არ გიღირს არაფრად,
და რომც ვეცემოდე ხელს არ შემაშველებ...
ლარნაკში წითელი ვარდები ჭკნებიან,
ღამეა უგრძესი და გარეთ ქარია,
სულ მუდამ, რატომღაც, სულ სხვების ჯერია,
არ გინდა, ნუ მეტყვი, რომ ჩემი ბრალია...

როგორ მინდა

სიყვარული როცა მოდის,
ვით მზის დარტყმა, ან ზღვის ტალღა...
გადაღლილი შენზე ლოცვით,
სული იწევს მაღლა–მაღლა...
ეჯიბრება ქარებს ქარი,
უწითლდება ზეცას ლოყა...
ააღდება და მწვერვალი
კოცნით ღრუბლებს გადალოკავს...
თუ მოგწყურდე, მოდი ჩემთან,
სიტყვებს გეტყვი სანუგეშოს...
ტყეში წყარო როგორ ჩნდება,
ვარდს ბულბული როგორ შევრთოთ...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
დაგიტოვო ჩემთან მძევლად...
თუნდა ცხადში, თუნდა სიზმრად,
ხელებს მხვევდე საკოცნელად...

მე კლდე ვიყო, შენ ჩანჩქერი,
მელვრებოდე მკერდზე შხეფად,
და მწყდებოდე, როგორც შველი,
თვალუწვდენელ კლდიდან წყდება...

მე ზეცა ციდან სურვილებს მათოვს

შენს ფერად თმებზე, როგორც ფოთლებზე,
თოვლის ფიფქებმა იპოვეს ბინა...
მეც ფიფქებივით შენს თვალებს ვემებ,
თვალებს, რომლებიც თოვლივით ბრწყინავს...
რა გულუბრყვილოდ მჯეროდა შენი,
როგორც მზეს მთვარის, ან მიწას ცისა,
ოკეანენო, გახსენით ბჭენი,
გახსენით ბჭენი, მე ისევ მიყვარს!!!
მე ჩემს შეცდომებს არაფრად ვაგდებ,
რადგან ღმერთებიც სცდებიან ხშირად...
მინდა გიყვარდე, მინდა გიყვარდე,
შენც გულუბრყვილოდ, როგორც მე მიყვარს...
მეც შევაგროვებ, თეთრი ღრუბლებით,
ფიფქებს, რომლებიც ციდან ცვივიან,
მეც ამ თოვლივით გეჩურჩულები,
მე ვიცი, ჩემი რომ გეშინია...
მეც მეშინია, ძვირფასო, შენი,
მე ზეცა ციდან სურვილებს მათოვს,
და ბრწყინავს თოვლში ფერადი თმები,
რომლებსაც ჩემი ტუჩები ახსოვთ...

ან რას ვითხოვდი ისეთ სასწაულს

მახსოვს, მეძინა მე შენს სიზმრებში,
და გულდაწყვეტილს გამომეღვიძა...
თითქოს ვიჯექი უძირო ქვევრში,
ცარიელ ქვევრში ვიღაც შეშლილთან...
ვერ ვხსნიდი მე ამ მეტამორფოზას,
არ იხსნებოდა გორდიას კვანძი...
რადგან მომწონდა თუ არ მომწონდა,
შენ მუდამ დალლილ ქიმერას ჰგავდი...
მე კი მთელი დღის ნაჯახირები,
ისევ ვემებდი ზღვაში ნიჟარებს,
იქ ფსკერზე დარჩა მარგალიტები,
და ნამსხვრევები მე მომიყარეს...
მე კი მინდოდა, მაინც მინდოდა,

რომ დამწიფებულ ვაზების ტევრში,
მომეხსნა ჩემი გადაღლილობა,
შენი ძუძუთი და ჭიქით ხელში...
რომ ქარვისფერი ღვინის წვეთები,
გარეულიყო ჩემს მღვრიე სისხლში,
რომ უთეთრესი შენი ფეხები,
შემომხვედროდა საწნახლის ძირში...
ან რას ვითხოვდი ისეთ სასწაულს,
ისეთს რაც მიწას ჯერ არ ენახა?
ვერ მივყიდიდი მე ეშმაკს ამ სულს,
ვერ გავჩნდებოდი ქვეყნად ხელახლა...
მხოლოდ ერთსღა გთხოვ, ნუ მეტყვი უარს,
გთხოვ, მისახსოვრო შენი სიზმრები,
რადგან ეს გრძნობა სასჯელი თუა,
ამას ამ ქვეყნად მე ვერ მივხვდები...

სხეული კვდება და რჩება სული

შენი არ იყოს, შენი არ იყოს,
რა არის მართლაც მარადიული?
სიკვდილი ჩვენგან სიცოცხლეს ითხოვს,
სხეული კვდება და რჩება სული...
სული რომელიც მხოლოდ ჩემია,
ან შენი, ანდა, სულაც ვინმესი...
ჰოდა, შენც მეტყვი, რა მირჩევია,
ან რას ვინახავ სულის სიღრმეში?
ანდა, ასე ვთქვათ, რა დაგვრჩენია,
რა დაგვრჩენია გრძნობების მეტი?
იქნებ სიცოცხლე განაჩენია,
ვით თარსი რიცხვი, თუნდაც, ცამეტი....
მარადიული სიყვარულია,
სულ ტყუილია სხვა დანარჩენი...
ის ხან სიძვაა, ხან ქალწულია,
შენ ამ ორიდან რომელს არჩევდი?

რად ხდება ასე (ირმას, აგიბას! სიყვარულით)

რად ხდება ასე, ასე რად ხდება!
ვისაც ღირა და ჩანგი ეკუთვნის,
მამულისაგან ტყვია რად ხვდება,
ტყვია რად ხვდება, მითხარი, გულში!!!
რად ამოდიან ყვავილნი ტყეში,
რად უარყოფენ ვარდნი ბულბულებს?

ან ვარსკვლავები რად ჩანან ბნელში,
რა ელით ველებს გადაბუგულებს?
რად მიაჯაჭვეს პრომეთე კლდეზე,
ღმერთებმა რატომ გასწირეს ასე?
ან რატომ გლეჯდა ხორცს სვაფი მკერდზე,
თუ ცეცხლი მისცა პრომეთემ ხალხებს...
ყვავილებს ვთეს და ყვავილთა ნაცვლად,
მეც რახანია ვიმკვი ქარიშხლებს...
მებრძვის, მამარცხებს, მახრჩობს და მძარცვავს,
მე კი მივიწიე კვლავ მწვერვალისკენ...
სადაც ყინულის პირქუმ ხეობებს,
ახმაურებენ ცივი ქარები...
სადაც მზეები ველარ მზეობენ,
და ჩანს პრომეთეს ნატერფალები...
მეც ჩანგი ვაწრთე პრომეთეს სისხლში,
და მეც სინათლე მივეცი ხალხებს...
მეც გადავრეკე მთებს იქით ნისლი,
სად თერგი ქედებს მოამქუხარებს!!!

ვიცი მკვლელი ხარ

შენი თვალები, როგორც მხედრები,
ისევ საომარ ველზე მიწვევენ,
მოვალ, მოვდივარ, მოვეხეთქები,
ალარ დავებებ უკვე მიზეზებს!!!
უნდა ვიბრძოლო, უნდა შევაკლა,
ამ ჩემს სურვილებს დღეიდან თავი...
რადგან ნამდვილად ისევ შენა ხარ
ჩემი ვნებების მზეთუნახავი...
ვიცი მკვლელი ხარ, შენს სილამაზეს,
ალბათ, გველებმა შხამი აწოვეს,
რომ ყოველივეს ეს შენ განაგებ,
რაც კი არსებობს შენს სიახლოვეს...
რომ ჯადოქრული შენი თვალები,
მამრების კოცნას არ იკარებენ,
და გამარჯვებებს ნაზიარებნი,
ჩემს შიშველ მკერდსაც შემოანგრევენ...
მოვდივარ, მომყავს ჩემი ჯარები,
აფრააშლილი მომდევს გემები,
მომყავს აფთრები ავზე ავები,
მტერი ხარ ჩემი? მეც გემტერები!!!

მე დავბრმავდები

მე დავბრმავდები, ძვირფასო, იმ წამს,
თუკი შენ მეტყვი, თუკი მიბრძანებ...
მე შენი ყველა სურვილი მიყვარს,
მე მიყვარს შენში ჩემი სიბრმავაც...
ან, მითხარ, ბედის გზაჯვარედინმა,
დღეს სწორედ შენთან რად შემახვედრა,
რად ამოხეთქა ჩემი მკერდიდან,
ამ საოცარმა თეთრმა მარცვლებმა...
მე გადავაბი ყველა მარცვალი,
და იცი, თვალებს არ ვუჯერებდი,
რომ ყოველივე იყო მართალი,
რომ შემიყვარდი და შენზე ვწერდი...
ვიცი, ჩემს ნათვამს არ დაუჯერებ,
ჰო, ვიცი, ვიცი, გაგეცინება,
მაგრამ სიყვარულს, ჩემს, დაუძლეველს,
არ დააკლდება ამით ღირსება...
ის იბრიალებს, როგორც კოცონი,
ის სიძულვილის მთებსაც გადასწვავს,
ვარ მოწყვეტილი ხიდან ფოთოლი,
შენსკენ მოვფრინავ ისევ ქარდაქარ!!!

შენ ჩემი ბოლო სასწაული ხარ

ვერ ამოგიღე ჩემი გულიდან,
ამ სიტყვებს ყველას არ ვეუბნები,
შენ ჩემი ბოლო სასწაული ხარ,
მართლაც ვერ ვძლები შენი ყურებით...
თუმცა ცივი ხარ, როგორც ყინული,
და არც ანათებს შენი თვალები,
ვიცი, რომ მაინც ვარ განწირული,
რომ უეჭველად შემიყვარდები...
რადგან, გაქვს რაღაც ისე ქალური,
ისე ლამაზი და მოხდენილი,
თითქოს განძი ხარ გადამალული
და მერე კარში გამოფენილი...
ისე, ვერც გეტყვი რამ მათქმევინა,
ეს უეცარი ჩემი ბოდვანი,
დღეს თითქოს მოვწყდი ქარაფებიდან,
რომ განვიბანო ყველა ცოდვანი...

ეკლესიასტე

როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,

ამ დღეებივით გავხდე უფერო,
კარგადა ვარო, თუ ვინმემ გითხრა,
გატყუებს, ჰოდა, არ დაუჯერო...
ისეც რა იყო ჩვენი ცხოვრება,
ათი მცნება და მისი დარღვევა...
დაქორწინება და განშორება...
შეცოდება და აღიარება...
სხვაგან კი, სხვაგან, სადაც არა ვართ,
და ჩვენს მაგიერ, სხვები არიან,
მზე მიაცილებს ოქროს ქარავანს,
მდინარეებში ვარდის წყალია...
არ მინდა, მაგრამ ისე ვეცემი,
ისე ვეცემი სულით ხანდახან,
დავალ ბრმასავით ხელის ცეცებით,
ვეძებ საკუთარ გვამის დამმარხავს...
და უფრო ხშირად ისიც მგონია,
რომ ბრძოლას ახლა აზრი არა აქვს...
ბედნიერება მხოლოდ ჭორია,
უბედურების გადასალახად...
რომ ჩვენც ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებთ,
რომ დედამიწას ღერძი ერყვეა,
რომ გვათანაბრებს ადამიანებს,
ღამის წყვდიადი და უმეცრება...
ამაოება ნუგეშის ნაცვლად,
და სუფთა, წმინდა აღარაფერი...
სული, რომელიც ჰორიზონტს გასცდა,
ხორცი, ბედისგან გადანათქერი...

მე ხელის გულზე დაგიდებ მაისს

დღეს შენთან ერთად, დღეს შენთან ერთად,
ყაყაჩოს ველებს შემოვივლიდი,
რომ ერთხელ კიდევ ხმამალა მეთქვა,
რომ შენსკენ მოდის ყველა ბილიკი...
რომ გაზაფხულზე როცა ტყე-ველი,
ნაკადულებით ახმიანდება,
შენი სურვილი დაუძლეველი,
კვლავ მწყურვალევით მომეძალეება...
ვიცი ფარვანაც არა ვარ შენთვის,
და რომ სულ სხვაა შენი რჩეული,
თუმც, შენი მესმის, ჰო, კარგად მესმის,
ვარ მოფერებას გადაჩვეული...
და თუკი მაინც, ჰო, თუკი მაინც
სულ ოდნავ მაინც მოგენატრები...
მე ხელის გულზე დაგიდებ მაისს,

შენი გახდება ჩემი ტახტები..
მე მოვიპარავ მფრინავ ხალიჩას,
და მოგიტაცებ როგორც პატარძალს,
როცა დახუნძლულ რტოებს ვაზისას,
დატკბილებული ქარვა გადაწვავს...
როცა შარბათით სავსე ქვევრებში,
აღულუნდება შავი მაჭარი,
და აჩქეფდება სისხლი ძარღვებში,
შენი სურვილით გაუმადლარი...

წამო, წავიდეთ!!!

არ ვიცი, რისთვის მიველტვი, რატომ,
მას რაც არასდროს ამისრულდება...
რომ შენთან ერთად ყოფნას ვნატრობ,
სანამ ეს მკერდი არ მიყუჩდება...
სანამ ზეცისკენ მიმაფრენს ქარი,
სანამ სიკვდილი მომენატრება...
სანამ კლდეების ძარღვების ბზარი,
მწვერვალებისკენ მიემართება...
შენს გვერდით ვდგავარ, მომეცი ხელი,
რომ არ წაგვიღოს დროის დინებამ,
მეც ხომ შენსავით დღეს შველას ველი,
ის რაც შენ გტკივა, მეც მეტკინება...
წამო, ვუმზიროთ ციურ ნათებას,
მწვერვალებს ალი როგორ ედება,
ანდა ვარსკვლავებს რა ემართებათ,
როცა ერთი სხვას ცუდად შეხედავს...
წამო, წავიდეთ სანამ მიყვარხარ,
და დრო სარკოფაგს სანამ გაგვიღებს,
სანამ გადარებ ლალს და მინანქარს,
სანამ მიყვარხარ, წამო, წავიდეთ!!!

რომ გახსნილია მუდამ ჩემი ცა...

იცი, მე არა, მართლაც მე არა,
ნაღდად, მე არა, სულ სხვა გეძახდა...
ვინ გითხრა სულიც რომ გამებზარა,
როცა მსეტყვავდა ცა და მმეხავდა...
არ ამისრულა არცერთი ნატვრა,
და არც ის მახსოვს, რასა ვნატრობდი;
მე ალბათ გავჩნდი კომედიანტად,
მე ხომ გარშემო ყველას ვართობდი...

ამიტომ, ვიცი, რაა დაცინვა,
რაა დაცინვა ახლობლებისა...
რატომ ჰგონიათ, რომ ზარმაცი ვარ,
ნებიერი ვარ თითქოს ბედისა...
რომ მხიარული ჩემი ნილაბი,
არავითარ ეჭვს მათში არ ბადებს;
არც ის იციან საით ვისწრაფი,
ან როგორ ვიცდენ ბედის მათრახებს...
ვერ მიხვდებიან, ვერ მიხვდებიან,
როგორ განვიცდი სამყაროს ტკივილს,
როცა ცხენები ყალყზე დგებიან,
მათი ფლოქვები კი მკერდზე მივლის!!!
რომ გახსნილია მუდამ ჩემი ცა,
და ზვირთი–ზვირთზე როგორ მემსხვრევა,
რომ ყოველივე ასე შევიცან,
რომ ვცეკვავ, თუმცა, არ მეცეკვება...
რომ ბედი ჩემი, როგორც აფთარი,
არცერთ შეცდომას არა მპატიობს,
რომ სიყვარული ჩემში რაც არის,
ფსკერიდან მინდა ამოვართიო...
რომ დაცლილი ვარ და მაინც ვათევ,
ღამეებს თეთრად, შავად, ვარდისფრად,
ვდგავარ ტაძარში და სანთელს ვანთებ,
სანთელს ჩამოქნილს შენი დარდისგან!!!

ერთს გაკოცებ და წავალ

მიყვარხარ, როგორც ზღვას თევზი,
როგორც კაცს ქალი უყვარს,
იცი, რა დიდხანს გეძებდი,
ტყეებს ვკაფავდი უღრანს...
შენს უბანს შემოვეჩვიე,
როგორც გუგული ბუდეს...
გამოდი, სანამ შემშლიდეს,
ეგ დეკოლტე თუ უბე...
გამოდი, ნუ იმალები,
დღეებს მომავალს ვპარავ,
ახლოს არ გაგეკარები,
ერთს გაკოცებ და წავალ...
ვის და სად აღარ შევბმივარ,
ზღვებს, ოკეანის ტალღებს...
ახლა კი შენი მსხვერპლი ვარ,
დავალ, ვაგროვებ ვარდებს...

რომ დილა გაგილამაზო,
როგორც ოცნების ბაღი,
მზით და სინათლით აგავსო,
გული გაგიტბო დაღლილს...
სხვებისგან გადარჩენილი,
ახლა შენს გამო ვკვდები,
ვისზე ხარ ჯვარდაწერილი,
ვის გადაუხსენ მკერდი...
ნუ მეტყვი, არა მჭირდება,
ჰო, ვინც არ უნდა იყოს;
ხვალ შენი აღარ იქნება...
რატომ? მე ასე ვფიქრობ!!!

უკანასკნელად მომიალერსე...

მინდა სინათლე, სინათლე მინდა,
მომბეზრდა ბნელში ხელის ფათური...
თუნდაც ისეთი ღამით რომ ღვრიდა,
მთვარე ცის თაღზე გამოსახული...
ღვთაებრივი ხარ, როგორც მადონა,
და ნამიანი ია დილისა,
შენი თვალები რამ მომანდომა,
რამ მომანდომა ამ სიკვდილისას...
ვიცი, ათასი კითხვა გიჩნდება,
რა გიპასუხო, რით გაგახარო?
გამატუტუცეს შენზე ფიქრებმა,
გავხდი დევნილი და უსახლკარო...
შენც კარგად იცი, რომ ქვეყანაზე,
არაფერია მარადიული,
რომ უნდა დაჰკნეს ეგ შენი სახეც,
დღეს ასე ნაზი, ასე ღვთიური...
მე კი არა მსურს, რომ ეს ვიხილო,
ბოლოს სულყველას სევდა რომ გვრჩება...
რაა ეგ სახეც სულ უღიმილო,
ან სევდიანი თუ შემომხვდება...
რაა ჩამქრალი შენი თვალები,
რაა სიტყვები ცეცხლის გარეშე...
სიკვდილს დავნებდი, სიკვდილს დავნებდი,
უკანასკნელად მომიალერსე...

4666–ეს... ანუ ქრისტიანე გოგობიას!!!

არ ვიცი, ვინ ხარ, რად მიმეგობრებ,
რა ბედს მომიტანს შენი ციფრები,
და თუკი მართლაც სატანა მოგდევეს,
ნუთუ კვლავ ისევ მე ჩავიჭრები...
როგორც ყოველთვის, როცა რაიმე,
უცნაურობას ხელით ვეხები,
მე ხომ, უბრალოდ, ვბაძავ რაინდებს,
არ გაიკვირვო, თუკი შევხვდებით...
არ გაიკვირვო, თუ ჩემს თვალებში,
ამოიკითხავ საუკუნეებს,
ნურც იმას მკითხავ, ამ გრიგალებში
რატომ ვიშავებ თვალის უპეებს...
რატომ ვწერ ლექსებს ასე სისწრაფით,
რას ვეშურები, სად მეჩქარება...
ამოღებული რად ვარ მიზანში,
რად მიღალატეს ჩემმა ქალებმა...
დიახ, ღალატი არის მოდაში,
და გულშიც ცივი ნემსის ჩხვლეტანი,
რადგან არავის სჯერა მომავლის,
და აღარც ღმერთის საოცრებანის...
შეხედე, ვინ დგას ახლა სცენაზე,
როგორ იცვლიან საცვლებს ჩვენ თვალწინ,
ან ამხედრებულს ეშმას მერანზე,
რატომ აცვია ქრისტეს პერანგი...
მართლაც, ვინ მართავს ახლა სამყაროს,
რომელი ძალა ორი საწყისის,
ან ეს გზა საით უნდა გავკვალოთ,
არც მე არ ვიცი, არც შენ არ იცი...
მხოლოდ ის ვიცი, თოვლი თეთრია,
თუმცა, სამყაროს ფარავს წყვდიადი...
ცაში რომ მიდის ჩემი ფერფლია...
რომ იქ იხილოს მან განთიადი!!!

იყავი ჩემთან

იყავი ჩემთან, იყავი ჩემთან,
სანამ თავზე არ დაგვათენდება,
შენ თავს მე მაინც არავინ შემრთავს,
არც ეს სამყარო არ აფეთქდება.
მე საიდუმლოს შენახვაც ვიცი,
თან, რა თქმა უნდა, კუბოს კარამდე,
გინდა ზეცაზე წავაწერ სისხლით,
რომ არასოდეს არ გიღალატებ!!!
მაგრამ ერთი რამ მალეღვებს მხოლოდ,
თვითონ არ გათქვა, რაც გემართება,

რომ ზოგჯერ ჩემთან მალულად ცხოვრობ,
რომ ეს, უბრალოდ, გეამაყება...
დაგელოდები ყოველ საღამოს,
გათენებამდე დაგელოდები,
როგორც ელიან ციურ მალამოს,
იმქვეყნიური ანგელოზები...
იყავი ჩემთან, იყავი ჩემთან,
სანამ თვით ბედი დამაყვედრებდეს,
რომ ზოგჯერ მაინც შენც ჩემი გერქვას,
და რომ ჩემს გარდა ვერსად ვერ ძლებდე...
მალე, სულ მალე მოვა მაისი,
თავისი მზით და თეთრი ვარდებით...
სიყვარულისთვის გიჟდება ისიც,
მაშ, ჩვენს გრძნობებთან ჩვენ რას გავხდებით...

რად მეგონა

რად მეგონა, რად მეგონა,
სამუდამოდ შევრჩებოდით,
შენ რომ ჩემი გაგეგონა,
მე რომ სხვას არ შევხვედროდი...
რატომ ხდება, რატომ ხდება,
რატომ ხდება, ნეტა, ასე,
სიყვარული რატომ კვდება,
რატომ ჭკნება სილამაზე...
რატომ ქრება ნაკადული,
რატომ შრება კლდის ძირს წყარო,
რატომ გახდა ასე რთული,
უყვარდე და შეიყვარო...
ყველა წამი, ყველა წუთი,
ახალ-ახალ კითხვებს ბადებს,
მე ვერც ღამეს გადავურჩი,
ვერ გავექვც ვერსად ქარებს...
ყველაფერი გახდა ფუჭი,
ჩამოვარდა ციდან მთვარე...

მაგრამ, სად გინდა წახვიდე...

შემჭამა უამინდობამ,
ვერაფრით ველარ გავერთე,
თუ არაფერი გინდოდა,
ხომ შეიძლება წავეთრე?
მაგრამ, სად გინდა წახვიდე,

ღამე სად გინდა ათიო,
კარებს არავინ გაგიღებს,
გულიც ხელით რომ ათრიო...
ვერსად მოძებნი ყვავილნარს,
ვერსად იპოვი ვარდის მთებს,
როცა არავინ არ გიყვარს,
როცა არავინ არ გისმენს...
ვერც სევდას ებრძვი, ვერც დარდებს,
ვეღარც კამათელს აგორებ,
გარედან მტერი შეგნატრებს,
შენ კი ზიხარ და აბოლებ...

რად მაგონდები

რად მაგონდები, რად მაგონდები,
როცა არავინ არ მაგონდება...
ან ნუთუ მართლაც ისე მოვკვდები,
არ ასრულდება ჩემი ოცნება...
რომ ერთხელ მაინც, სულ ერთხელ მაინც,
ათრთოლდეს შენი ლალის ტუჩები,
და ისე მაგრად მოგხვიო მკლავი,
რომ ძვლებს გაჰქონდეთ ტკაცატკუცები...
ისევ წამოგცდეს ერთხელ ვაიმე,
სიძვის ფიალით ვიწყობ დათრობა,
და ვნების თქეში რომ გადაიღებს,
გადამიხადო ჩუმად მადლობა...

სული კი, სული გახსოვდეს მუდამ...

შენს სახეს თითქოს ვუალი ფარავს,
ესაა შენი სულის ვუალი,
სულს ვერაფერი ვერასდროს მალავს,
ასეა, მართლაც, სული თუ არი...
ჩვენ ყველა ხშირად სულს ვამჩნევთ მეტად,
სხეულზე მეტად სულს ვამჩნევთ მაინც...
მეტყვი, რად იპყრობს მიდამოს სევდა,
როცა სხივებით მზე ხატავს დაისს?
გინახავს ზღვაში ქარიშხლის სვეტი,
როგორ მიაფრენს ყველაფერს მაღლა,
რომ თითქოს ამით მიწა ცას ერთვის,
და ქარიც ზეცის სულია ალბათ...
შენ დაიბადე ვარდობის თვეში,

მაგრამ ჩვენ ვარდებს ვერ ვამჩნევთ ხშირად,
მე სული მიყვარს ძვირფასო შენში,
რა ლამაზია სული თუ ბრწყინავს...
დაკარგე სახე, სხეულიც, თუნდაც,
რაც რამ გაგაჩნდეს, ისროლე წყალში,
სული კი, სული გახსოვდეს მუდამ,
რომ იყოს წმინდა, ვით თოთო ბავშვი...

აღარ გადადო

საოცარია, დღეს ჩემთან სტუმრად,
ყოფილხარ თურმე, მე კი არ დაგხვდი,
მართალი გითხრა, კი, მიგრძნო გულმა,
რას ვიფიქრებდი, თუ ვერ გნახავდი...
როგორ მჭირდები, როგორ მჭირდები,
რომ უმკურნალო ჩემს სხეულს დაღლილს,
შენი ჩურჩულით და შეკითხვებით,
შენი ღიმილით, ცრემლებით, განცდით...
სამწუხაროა, ვერაფერს იზამ,
ჩათავდა დღე და კვლავ დავრჩი მარტო,
თოვს, თოვლი მოდის დილიდან ციდან,
იცი, ძვირფასო, მე მართლა მათოვს...
მე მართლა მათოვს, სწორედ იმ დღიდან,
რაც შენ გაგიცან, რაც შენა გნახე,
შენ არა გყოფნის, ვიცი, სიცილადა,
მე კი იმ დღიდან ცოცხლად დამმარხე...
არა ვარ ყალბი, შენ კარგად იცი,
და რაც სულში მაქვს, სწორედ მას ვამბობ...
არ მაქვს იმედი და მაინც გიცდი,
არ მჯერა ბედის და მაინც გნატრობ...
გინახავს ციდან ვარსკვლავთა თოვა,
გინახავს ქარში ვარდების ტანგო,
რომ უკვე ჩვენი შეხვედრის დროა,
აღარ გადადო, აღარ გადადო!!!

სიცივე

ცივა, ზამთარმა თავისი თოვლი,
გაშალა, როგორც მარაო ფრთების,
მე კი ნერვები აღარა მყოფნის,
მაკაწკაწებს და სიცივით ვკვდები...
სულის სიცივით და არა თოვლის,
მას შენს გაყინულ თვალელებში ვხედავ...
სიცივე კოცნის, სიცივე მორგის,
და ირგვლივ, ყველგან თოვლი და სევდა...

მიტხარი, იქნებ, რამეში ვცდები,
თაკარა მზეა და მე კი მათოვს,
ნუ მიმზერ, როგორც უმზერენ შეშლილს,
გიჟი ვარ, ვიცი, და სიკვდილს ვნატრობ!
და ისიც ვიცი, მარტო არა ვარ,
რამდენი ნატრობს სიკვდილს ჩემსავით,
ის მოდის, მოდის და შემზარავად,
ჰო, შემზარავად მიხმობს, მეძახის...
თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს,
რალას დაგლალო ამდენ ლოდინით,
მე დამიხუჭეს თვალები თითქოს,
და სამარეში მიცდის ლოგინი...
მაგრამ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ დღეს ამ ზამთრის ყინვაში მოვკვდე,
ნუ, ნუ დამცქერი ასე მაღლიდან,
მე შენ მიყვარდი, ღმერთია მოწმე...

დღეს უკვე სხვა ხარ

შენ აქ ხარ, აქ ხარ, ჩემს სულში, გულში,
და ულამაზეს ინტრიგებს ხლართავ,
როგორ მინდოდა მენახე გუშინ,
ეს გუშინ, მაგრამ დღეს უკვე სხვა ხარ...
დღეს უკვე სხვა ხარ, მე ამას ვამჩნევ,
შენც ეჭვის ჭია შემოგჩენია,
რომ ყოველი დღე იმედებს ამსხვრევს,
თავს შველი, მაგრამ ვერ გიშველია...
იცვლება დრონი, იცვლება სახე,
იცვლება მოდა, გულიც იცვლება;
და ის, რაც ერთ დროს ბრწყინავდა ასე,
დღეს აღარაფრად აღარ ითვლება...
ვიცი, გიყვარვარ, ეს ვიცი, ვიცი,
არ შეიძლება, რომ არ გიყვარდე,
თუმცა, ხელს ბევრი, ბევრი რამ გიშლის,
რას იზამ, ზოგჯერ, არც შენ გიმართლებს...
მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, იცოდე,
რომც ველარ შევხვდეთ ველარასოდეს,
ბედი, რომ თუნდაც ცაში მისროდეს,
მხოლოდ, შენ, მსურს, რომ დამამახსოვრდე!!!

გავიდეს თუნდაც ათასი წელი

დათვივით ველი ახლა გაზაფხულს,

მძინავს და არ მსურს რომ გავიღვიძო...
ან ყინვა—თოვლით ასე დაზაფრულს,
მაჩუქე შენი თვალების სითბო...
მაჩუქე სიტყვა, რომელსაც ველი,
რომელიც შენგან არა მსმენია,
გავიდეს თუნდაც ათასი წელი,
დაგიცდი, მეტი რა დამრჩენია...
რა დიდებული ყოფილა ღმერთი,
რომ გაგაჩინა ამ ქვეყანაზე,
შენ ბრძანე მხოლოდ, მსოფლიოს შევცვლი,
გინდა, თარიღებს უკან გადავწევ...
რომ მარტო იყო და არვინ გყავდეს,
რომ იყო ჩემი და მხოლოდ ჩემი...
რომ შენც გიყვარდე, ისე გიყვარდე,
როგორც ქალწულებს უყვართ ოცნებით...
რეებსა ვბოდავ, არ გაგეცინოს,
შეყვარებული რას აღარ იტყვის,
რა ვქნა, მიყვარხარ, თუნდაც გეწყინოს,
სწორედ ამიტომ, ამდენხანს გიცდი...
თუმც, ისიც ვიცი, რომ მაინც მოხვალ,
როცა ეს თოვლი დნობას დაიწყებს,
როცა ეს ყინვაც, ვით მგლების ხროვაც,
შემინებული უკან დაიხვეს...
მძინავს და, ვიცი, გამომადვიძებს,
გაკვირვებული შენი თვალები,
როგორ აგიხსნა, მიყვარხარ, ისე,
რომ კოცნისთვისაც კი მენანები...

არ დაუჯერო ქალაქის ჭორებს

შენს მეტი ახლა არავინ მიყვარს,
არ დაუჯერო ქალაქის ჭორებს,
მე შენ გელოდი ძალიან დიდხანს,
და მაცოფებდა შენი სიშორე.
შენ რომ არ იყო, შენ რომ არ იყო,
მეც ხომ არ ყოფნა მენდომებოდა;
იცი, ეს წელიც ისე დაიწყო,
ვეღარ გნახავდი ასე მეგონა...
ჰო, მქონდა შენი დაკარგვის შიში,
თითქოს მზემაც კი დაკარგა ძალა...
და დავდიოდი ამ ზამთრის ნისლში,
როგორც ეული და მაწანწალა...
რას უტოვებენ, ან რას ამბობენ,
ასე უეცრად როცა მიდიან...
მე რამეს ზღვები თუ გამანდობენ,

სად წახველ, რომელ გზებით გივლია...
ან თუ ნანობდი ამ განშორებას,
ან რა დაარქვი, ისიც არ ვიცი;
იცი, ვიდექი, მღვრიე მორევთან,
და ვერ გადავდგი ბოლო ნაბიჯი...
ახლა კი, როცა იმედი გაჩნდა,
დაწყნარდა ზღვა და გაქრა მორევი,
ჩვენზე ჭორები, უბრალოდ, გაცვდა,
მნახე და, თუ გასურს, გეამბორები...

ჩემი ცხოვრება იყო სისხლსავსე

ჩემი ცხოვრება ჰგავს ირმის ნახტომს,
ირმის გაფრენას უფსკრულის თავზე,
რომელიც ისე გაეკრა ტატნობს,
როგორც მნათობი სხივებით სავსე.
ხან ზეცაზე ვარ, ხან კიდევ ფსკერზე,
ჯერ შუალედი არ მდირსებია,
და ყველაფერი თუ რამე შევძელ,
მხოლოდ სპეტაკი ნაბიჯებია...
და ვფიქრობ, მართლაც, ნუთუ არ მეყო,
ტვირთი, რომელიც დღემდე ვატარე,
ან ამ მხრებიდან რომ გადამელო,
ის ხომ მთელ მიწას შეაზანზარებს...
მე სივრცეს ვფლობდი უკიდევანოს,
ჩემი მეგონა ზღვა და ხმელეთი,
ჰო, შემძლია ერთად შევყარო,
სამყაროს მთელი საკვირველეთი...
ცაზე ვარსკვლავნი, ზღვები მიწაზე,
მთას მოწყვეტილი თოვლის ზვავები,
ჩემი ცხოვრება იყო სისხლსავსე,
როგორც ომები და გრიგალები...
არასდროს მტერი არ მომკლებია,
სულ სისხლიანი მეცვა პერანგი,
და გამუდმებით გვერდით მხლებია,
სიკვდილი თავის შავი მერანით...
თუკი გასურთ ახლაც გადავეშვები,
იმ უფსკრულებში სხვებს რომ აშინებს,
მე ბავშვობიდან მზრდიდნენ ვეფხვები,
და დავუკვეთე ფრთები არწივებს...

ნატვრა

ყველა ღამე შენ თავს მპარავს,
სად გეძებო არ ვიცი,
შენ ბატკანი შერჩი ფარას,
მგელი ვარ და განვიცდი...
ნეტა ძაღლებს გაეპარო,
ან წყაროზე ჩახვიდე,
დაგიწყვიტო მინდა წყარო,
მომხედო და განცვიფრდე!
რომ გაშეშდე უეცარი,
გრძნობით აღმოდებული,
ჩაიკეცო, როგორც მკვდარი
ვნებას დამონებული...
დამავიწყდეს ჩემი მგლობა,
მკერდზე წყალი გაპკურო,
და ნამდვილმა ანგელოზმა,
როგორც ქალმა მაცდუნო...
იქვე მოხდეს ყველაფერი,
იქვე წყაროს მახლობლად,
კანკალებდე, როგორც შველი,
დაგაბნიოს ნაკოცნმა...
და გაგრძელდეს მერე ღამე,
წყაროს ჩუმი ჩხრიალით,
დაგვცქეროდეს ციდან მთვარე,
შურით, თვალის ბრიალით...

ღიმილი

ნუ, ნუ მაჩუქებ, შენს ღიმილს რადგან,
შენი ღიმილი ზღვასავით მახრჩობს...
რომ სინამდვილეს ღიმილით ფარავ,
თუკი უღიმი უცნობს თუ ნაცნობს...
კი, ბრწყინავ, როგორც ალტარზე შუქი,
საყდრის სარკმელში მზე რომ იღვრება,
რომ შენც მაგ ღიმილს მზესავით გვჩუქნი,
რომ შენც იღვრები სულ ღიმილებად...
მე კი ეჭვიანს, როგორც ოტელოს,
ყელზე მეხვევა ეგ ღიმილები,
და იმ ბედნიერ დროზე ვოცნებობ,
როცა შენს გვერდით აღარ ვიქნები...
ჰო, რომ იცოდე, ღიმილი შენი,
რა გასაოცარ ფასად მიჯდება,
მოდო, გამომჭერ პირდაპირ ყელი,
და ვნახავ, ერთი, გაგეღიმება?

ღიმღილი 2 (ანუ მადონას თხოვნით)

ნუ, ნუ მაჩუქებ, შენს ღიმღილს რადგან,
შენი ღიმღილი ზღვასავით მახრჩობს...
რომ სინამდვილეს ღიმღილით ფარავ,
თუკი უღიმი უცნობს თუ ნაცნობს...
კი, ზრწყინავ, როგორც ალტარზე შუქი,
საყდრის სარკმელში მზე რომ იღვრება,
რომ შენც მაგ ღიმღილს მზესავით გვჩუქნი,
რომ შენც იღვრები სულ ღიმღილებად...
მე კი ეჭვიანს, როგორც ოტელოს,
ყელზე მეხვევა ეგ ღიმღილები,
და იმ ბედნიერ დროზე ვოცნებობ,
როცა შენს გვერდით აღარ ვიქნები...
ჰო, რომ იცოდე, ღიმღილი შენი,
რა გასაოცარ ფასად მიჯდება,
და ვეძებ ვინმეს, ვინც მე მიშველის,
ვისაც არასდროს გაეღიმება...
და როცა ვინმეს ჩემს სურვილს ვანდობ,
ყველა იცინის, ღიმღილს ვინ ჩივის,
ვიცი, არავინ არ არის სანდო,
ვისაც უნახავს შენი ღიმღილი...
აღბათ, ყველაფერს ავიტან ქვეყნად,
ყველაფერს შენი ღიმღილის გარდა,
თუნდ დამწვან, თუნდაც მაქციონ ფერფლად,
არ დავიკვნესებ სასჯელისაგან...
ვინ გამიფანტავს ამ წყეულ ეჭვებს,
რომ ეგ ღიმღილი, მუდამ სხვისია,
მე მასხარა ვარ, შენ ჩემი მეფე,
ვმასხრობდი, შენ კი ტყვია გისვრია!!!

სად იყავი

ყველა, ყველა ჩემთან იყო,
ყველა იყო შენს გარდა...
შენ მაგიერ, იცი, თითქოს,
სული გამომეცხადა...
სადღაც იქვე დაფრინავდა,
ხან შორსა და ხან ახლოს,
და მიმზერდა დამცინავად,
სიყვარულის სანაცვლოდ...
სად იყავი, სად იყავი,
ვის ოცნებებს აკრთობდი?
მე სიცოცხლე გაგიყავი,
შენ კი თურმე ვაჭრობდი...

ჩვენს ენაზე შენც ხომ იცი,
ამას ჰქვია ლალატი...
მორჩა წამსაც ვერ მოვიცდი,
ვერც ღმერთების კარნახით...
რადგან წამიც ძვირად მიღირს,
როგორც ცრემლის წვეთები,
მსურს შევღებო შენი სისხლით,
ვისაც შენ ეწებები...
წელზე ქამარს შემოვიტყამ,
სავსეს ცხელი ტყვიებით
აღბათ, დღეს რომ მოსულიყავ,
მაშინ, გაპატიებდი...

ბადაგივით მეტკბილე

დილა შენით იწყება,
და დღეც შენით მთავრდება,
მეც შენსავით მჭირდება
ზოგჯერ აღფრთოვანება...
როგორც ყურძნის მაჭარი,
ყელში ტკბილად გადადის,
სულის გარღვევასავით,
ცაში გაფრენასავით...
რალა ბადის ვარდები,
გზებზე გადმოფენილი,
ვიცი დამეთაფლები,
როგორც სატრფოს წერილი...
ვიცი, ვიცი, გიყვარვარ,
არ აკლდები ჩემ დილებს,
ჩემი სასმისისა ხარ,
ბადაგივით მეტკბილე...
იწყება და დაიწყოს,
შენით ყველა დილები,
შევხვდეთ ჩვენს ცხელ აგვისტოს
გულგადაღელილები...

ქალი ხარ თუ სიზმარი

შენთან ყველა შეხვედრა,
ელდასავით მაშინებს,
ყველა გადამემტერა
ვინც კი გადავარჩინე...
ამბობენ, რომ სიკეთე
დაუსჯელი არ რჩება,

შენ კი რა გამიკეთე,
ნეტა, ერთი, გაჩვენა...
რაც შენ შეგხვდი, იქიდან,
პირველად რომ გიხილე,
სულ ვბტებოდი ხიდიდან,
ან როგორ მოვითმინე...
ან რომ სხვაგან წახვიდე,
სხვა დაირქვა სახელი,
სხვას ბევრი რამ დაპირდე,
მე კი არც მენახვები...
დამიჯერებ, რომ გული,
სამუდამოდ გაჩერდა,
შენი მზერით მოკლული,
შენსკენ რომ მომათრევედა.
მე რა ვუთხრა ამ საწყალს,
ჯვარი ვისზე დავწერო,
ყველა მითი გაქარწყლდა,
ან რა დავუსახელო...
ან შენს მნახველს მითხარი,
ვინღა მოეწონება,
ქალი ხარ თუ სიზმარი,
ცხადი ხარ თუ ოცნება?!

მე ვფიქრობ შენზე

მე ვფიქრობ შენზე, იცი, ბევრს ვფიქრობ,
რადგან ამშვენებ ამ ჩემს არეალს,
უთვალავ ქალშიც ერთ წამში გიცნობ,
შენი სხეული გამჭვირვალეა...
გამჭვირვალეა ვით ანგელოზი,
ნამის წვეთებში დაბადებული,
როგორც ნიავი გრილი მდელოსი,
როგორც ცისკარი განათებული...
და მაპატიე, ჰო, მაპატიე,
თუკი ყველაფერს ვერ გეუბნები,
მე ყოველ დილას მივდევ არწივებს,
რომ ვინახულო ცაზე ღრუბლები...
რომ გავეჯიბრო ელვის ნათებას,
ყური მივუგდო მეხთა ბაასებს,
სადმე მწვერვალზე მივწვე არჩევებთან,
ან დავუარო ღმერთთა დარბაზებს...
შენ კი, ნუშივით მზით შემოსილი,
ჩაჩუტულ ლოყებს თითით მაჩვენებ,
მე ვდგავარ შენს წინ ესკიმოსივით,
და ღამის სიზმარს კოცნით გახსენებ...

მიყვარხარ

ზოგი ანათებს, მაგრამ არ ათბობს,
შენ ამ ორივეს შესწირე თავი...
და მეც გენდობი ულაპარაკოდ,
როგორც ენდობა ცხვარს თავის კრავი...
არა, შენ, ალბათ, ქალი არა ხარ,
შენ შედევერი ხარ და გყავს ავტორი;
და მიკვირს, მიკვირს, რომ ვარ თანახმა,
ვიყო თუნდ შენი გლადიატორი...
შევება ყველას, ვისაც კი მეტყვი,
იარაღით თუ უიარაღოდ...
ვიბრძოლებ ცეცხლით, მეხით და სეტყვით,
რომ შენ იცოცხლო, რომ შენ ანათო...
მე კი თუნდ მოვკდე, როგორც კლდის ვეფხვი,
ჩამოველეწო ქედებს, ქარაფებს,
მეცოდინება, რომ მოვკვდი შენთვის,
რომ ერთი წამით არ გიღალატე!!!
რომ შენ გეხარა, როგორც ყვაილი,
გადაშლილ ველზე ჰყვავის და ხარობს,
აფეთქებული, როგორც აპრილი,
უფერადესი, როგორც სამყარო...
მიყვარხარ, მათრობ და ცეცხლს მიკიდებ,
თითქოს ტამარში სანთლებად ვენთო...
მშვენიერი ხარ, როგორც ცის კიდე,
ულამაზესი, მართლაც, უღმერთოდ...

მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ დროს...

როგორც ნუკრმა მტაცებლისგან გაქცეულმა,
ჩემს ხმელ ფოთლებს შეაფარე ფრთხილად თავი,
მე კი მუხამ, სიბერისგან წაქცეულმა,
შეგიფარე, ვერაფერი ვერ გითხარი.
შემიყვარდი, ნუკრი იყავ და რა მექნა?
შემორჩენილ ფესვით ნაჟურს გაწოვებდი...
იმ წამს მივხვდი, რომ ცა თავზე ჩამომექცა,
რომ ცისკრისას უეჭველად დამტოვებდი...
ჩაგეძინა, ფესვით ჩუმად მოგეფერე,
შეშინებულს თვალი წამსვე გაგეხილა,
რალა დარჩა, სიკვდილია ამის მერე,
როგორ მსურდა, ეს, შენთვისაც გამემხილა...
მეც ვუყვარდი, მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ დროს,
ტყეში ხეებს ასკდებოდა მთვრალი ქარი...

და ვკვდებოდი, მე ვკვდებოდი უნუგემოდ,
შენ ბრმა ტყვია იყავი და ვერ გითხარი...

გამოდი, ნახე, რა თოვლი დადო...

მე თოვლის ფიფქებს ვაგროვებ შენთვის,
ჩემს ხელისგულზე ყოველ მოსვლაზე,
რატომ მგონია, რომ თოვლი შეგვცვლის,
როგორც ყველაზე ჯიუტ მოსწავლეს.
ვერც ის გავიგე თუ რატომ გინდა,
რომ შენ მიყვარდე მხოლოდდამხოლოდ,
როცა ფიფქები ცვივიან ციდან,
მე ხომ მგონია, თოვს საბოლოოდ...
ჰო, ჩემთვის, მართლაც, ახლა ასეა,
მე მუდამ ბოლო თოვას ვესწრები,
მთელი ცა მართლაც თოვლით სავსეა,
ყველგან მოფინა თეთრი ზეწრები...
ვიცი, თოვლივით თეთრი კანი გაქვს,
რომ მართლაც ავ თვალს არ ენახვები,
რომ ჩამოფრინდი იმ ვარსკვლავიდან,
სადაც ეკიდა თოვლის ხატები...
დღეს ჩემი სულიც თოვლმა დაფარა,
ფიფქებად იქცა ჩემი ფიქრები,
თოვს, თოვლი მოდის ისე აშკარად,
როგორც შენს ყელზე მარგალიტები...
მე ამ ფიფქებშიც შენს თვალებს ვხედავ,
შემომცქერიან ასნი, ათასნი,
თვალეებს აწუხებთ ფიფქების სევდა,
და მე კი მინდა თოვლში თამაში...
მე გელოდები, კარში გამოდი,
გამოდი, ნახე, რა თოვლი დადო,
მინდა მომისწრო ასე დათოვლილს,
შენი ნატვრები მინდა გამანდო...

უნდა გვიყვარდეს

სიგიჟე გინდა? იყოს სიგიჟე,
დაარტყას მეხმა, ელვამ იელვოს...
ვინც არ იგიჟა, ნეტა რა შერჩა,
თან რა წაიღო სამაგიერო...
გვიყვარს სიცოცხლე?
უნდა გვიყვარდეს,
თუნდაც გიჟურად,
თუნდაც უღმერთოდ,

როგორც სასმისი სავსე პირამდე,
რომ შენი ცეცხლი მეც გადმომედოს...
მეც დამწვას, როგორც დღეს შენ იწვები,
და ხანძარივით, როგორც ბრიალებ,
რომ მეც მიყვარდეს თავდავიწყებით,
თუ შენს სიხარულს მეც ვიზიარებ...
ისეთი დროა, ზღვებიც კი კვდება,
ქრება წყალი და რჩება სიმშრალე...
მოდით, მე და შენც მივიდეთ ზღვებთან,
მე, იცი, ბრძოლა მათგან ვისწავლე...
ან შენთან შევხვდეთ, სადმე ველებზე,
გამოგვიქროლებს სადაც მერნები,
უსიყვარულოდ სადაც ვერ ძლებენ,
ნაკადულები და ჩანჩქერები...
და როცა დაგვდღის მერნით ჯირითი,
რომ მოგვბეზრდება ქროლა ქარივით,
ვიპოვოთ ტყეში რამე ბილიკი
და მესაუბრე ნაზი ქალივით...

მკერდი გაქვს სავსე ბედნიერებით

რამ შეგაყვარა თოვლის სამოსი,
ან მაგ კაბაში, ნუთუ, არ გცივა?
მე მესმის სუნთქვა იმ სამყაროსი,
რომელმაც ჩემთან გამოგაცილა.
მაგრამ აქ ბოროტ ენებს რა დალევს,
ნუ მოხვალ ჩემთან, ნუ მენახვები,
თორემ, ხომ ვიცი, გადამსანსლავენ,
ემშვებიანი ჩვენი ტახები...
ხარ ანთებული თეთრი ფერებით,
და კონტურებიც გაქვს დახვეწილი,
მკერდი გაქვს სავსე ბედნიერებით,
ლოყები თბილი და ალეწილი...
აღბათ, ვიყავი მე შენი ღირსი,
იქნებ ვიყავი კიდევ ოდესღაც,
როცა მზისფერი იყო თბილისი,
მაგრამ, იმ დროებს შენ ვერ მოესწარ...
არ შეიძლება, არ შეიძლება,
რომ ყველაფერი ერთ ქვაბში ვხარშოთ,
არის ზნეობა, არის ღირსება,
არ იყიდება სული უაზროდ...
მე ისე მომწონს ეგ თოვლის კაბა,
თითქოს მოგისხამს ტანთ პოეზია...
მე მესმის თვალებს რატომ მინაბავ,

თუმცა, გავჩუმდე უმჯობესია...

არ მითხრა, თითქოს, ქვის სროლის დროა...

მე შენ გისვამდი უამრავ კითხვას,
მე მახსოვს შენი ხელისგულები,
შენ გიხარია ოდნავი წინსვლა,
მე არ მაწუხებს წინსვლა სრულებით...
იცი, სახელი თავისით მოვა,
თუკი ის მართლაც მოსასვლელია,
მაგრამ, ძვირფასო, ისეთი დროა,
რას რა მოჰყვება, ახსნა ძნელია...
ჯერ კიდევ რას არ დაგაბრალებენ,
ჯერ ყოველივე ისევე წინ არი,
აქ ხომ ოცნებებებს ასამარებენ,
და ხელმწიფეც გვყავს გაუცინარი...
შენ კარგად იცი, მოწმენდილ ცაზეც,
ხშირად გაისმის ჭექა-ქუხილი,
და გადახვიდე თუნდაც ყირაზე,
ვის ახსოვს შენი ჭმუნვა-წუხილი...
იცი, გვპარავენ ყველაზე ძვირფასს,
დროს, დროს გვპარავენ, ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ,
ხელისუფალი იკეთებს ნიღაბს,
და აცრილია, ალბათ, ენაზეც...
გინახავს ზოგჯერ თუთიყუშები,
ჩვენს ნათქვამს როგორ იმეორებენ,
როგორ ივსება ხალხით ქუჩები,
ან რისხვას როგორ მიაგორებენ...
არ მითხრა, თითქოს ქვის სროლის დროა,
ქვას ხშირად მოსდევს უკან ტალახი,
და დაძრწის გზებზე ათასი ხროვა,
ყფით, მუქარით და იარაღით!!!

პირველი სიყვარული?

ის არასოდეს არ მოდის ძალად,
პირველ სიყვარულს რასაც ვეძახით,
მოდის და, თითქოს, ბავშვობას გვპარავს,
ყვავილებიან წითელ პერანგში...
მაგრამ ის ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავს,
გვამახსოვრდება მთელი ცხოვრება,
ის ვინც პირველად მოგვწონს და გვიყვარს,
და მთლიანად სცვლის ჩვენს აზროვნებას...
მაგრამ ის ხშირად უპასუხოა,

და უმეტესად არის ცალმხრივი,
მას სიხარულიც ხშირად არ მოაქვს,
შედგეებითაც არის მარტივი...
ის გათვლასავით თავისით გვხვდება,
შენი ჯერია და შენც გადიხარ...
შენ გიყვარს, გიყვარს, ის კი ვერ ხვდება,
რა ლტოლვა–ვნებას აუტანიხარ...
მე, იცი, ხშირად დამისვამს კითხვა,
რად ვერ ამჩნევენ პირველ სიყვარულს,
ჩვენ, ალბათ, მუდამ პირველად გვიყვარს,
თუკი არ ვითხოვთ, არ ვითხოვთ პასუხს...

რატომ დაგარქვი, მაშინ, ცისკარი...

შენთან სიმშვიდეს ვეძებდი მუდამ,
შენ კი ქარიშხლებს შეჰფარებიხარ,
გამოვექეცი ხეობებს უღრანს,
ზვავებს, ქარაფებს, ხევებს ფეთიანს...
გნახე და გული გაჩერდა წამით,
მივხვდი, უჩემოდ რაღაც გადაგხდა,
მკერდზე გეხატა დილა სისხამი,
თუმცა, ეგ დილა სხვებს აღარ ჰგავდა...
იცი, რით მივხვდი, თვალს მარიდებდი,
და ფიქრებითაც სხვაგან გარბოდი,
სალოკ თითს ფრთხილად ტუჩთან იდებდი,
არ კანკალებდა ბაგე ნაპობი...
მივხვდი, რომ ჩემი აღარ იყავი,
იქვე ჩავჯექი გულდაწყვეტილი,
რატომ დაგარქვი, მაშინ, ცისკარი.
ჩემი ვარსკვლავი ცას მოწყვეტილი...
სხვისია, შურმა მკერდი გახია,
გაფრინდა, ქედებს გადაელეწა,
სად მიდიოდი, შენზე ახია,
ჩამომკიოდა მალლიდან ზეცა...
რა მექნა, თავი ჩავრგე მუხლებში,
და დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ასე...
რაზე ფიქრობდი შენ იმ წუთებში,
არ ამჟღავნებდა მას შენი სახე...
არ გიტოკავდა არცერთი ნაკვთი,
არც ალექილი გქონდა ლოყები,
წამოვდექ, როგორც დაჭრილი დათვი,
მას მერე ტყე–ტყე დავებლოტები...

წამოდი, ზვავებს ხელი შევახოთ!

ბედი ბედია, ვერაფერს შეცვლი,
გექარიშხლება, გეგრიგალემა,
თუ მოისურვა, მოვა და გესვრის,
არ იცის შიში და შებრალება...
არ აჰყვე ჭორებს, მე რომ მიყრიან,
მე სპეტაკი ვარ, როგორც მთის წყარო,
მე რომ მაგიჟებს, ჩემი სისხლია,
არც ეს სიგიჟე არ დამიშალო!
რად გიკვირს დღემდე თუ ჩემი სისხლი,
ელის გაზაფხულს და თოვლის დნობას,
მე ლოგინს ისეც ღრუბლებზე ვიშლი,
მე ზღვის ტალღებში მივიღე წრთობა...
უცხოა ჩემთვის ია და ვარდი,
ვერც გველის ქერქში ვერ გავეხვევი,
რექვიემს მიკრავს თვითონ მოცარტი,
შორს, ცაში, მართლაც, ვის არ შეხვდები...
და თუ გასურს მართო შენც შენი ბედი,
რომელიც დღემდე ვერ შეგიცვნია,
წამოდი ჩემთან, იყავ ჩემს გვერდით,
და ნახავ, მთები ქედს რომ მიხრიან...
იქ, ცადმეტყორცნილ მწვერვალთა ახლოს,
სულ სხვა სისწრაფით ქრიან ქარები,
წამოდი, ზვავებს ხელი შევახოთ,
წამო, ვიცოცხლოთ სხვა ნეტარებით...

ვინ ჩაერია, ნეტა, ჩემს ბედში...

ბედნიერების წიგნი მაქვს ხელში,
ვფურცლავ და ჩემსას ვერაფრით ვაგნებ,
ვინ ჩაერია, ნეტა, ჩემს ბედში,
რად არ მიმართლებს, რად არ მიმართლებს...
გავყურებ მინდვრებს, მე რომ მეკუთვნის,
თუ მეკუთვნოდა, ერთ დროს, ვერ გეტყვით;
სად ვნახო კვალი ჩემი მეგუთნის,
სად აბიჯებდნენ მისი ტერფები...
და მტკივა გული, უბრალოდ მტკივა,
ვინ ვიყავი და ახლა ვინა ვარ...
ზეციდან მოდის ცრემლების წვიმა,
და გადაუხნავ მიწას მინამავს...
ზეციდან მოდის დელგმა და თქეში,
ასეა, ბედიც მოდის ზეციდან,
ვერ წავიკითხე მე შენს თვალებში,
ის რაც მინდოდა ამომეკითხა...

გაუშვი, ზეცა თუნდ ჩამოიქცეს,
და ლაჟვარდებსაც ჯანლი მოედოს,
ოღონდ, შენ ხელი გამომიწოდე,
ან მხარი მომეც, რომ ჩამოგეყრდნო...
რა დამრჩენია, მაშინ, შენ მითხარ,
თუ ჩემს მინდვრებში მტერი თარეშობს,
სული, მგელივით ყმუის დარდისგან,
სადღა სცალია მას საალერსოდ...

რა დამრჩენია ამ ქვეყანაზე (კ-ს)

ნუ შემახსენებ, ნუ შემახსენებ,
შენ თავს, მე მეტი არ შემიძლია,
თითქოს, მკვდარი ვარ და გამასვენეს,
ან უნდა მომკლა და მეშინია...
როგორ შემშლია, როგორ შემშლია,
როცა შენ მუზად ამოგარჩიე,
შენ ამშვენებდი ჩემს პოეზიას,
მე ვალმერთებდი შენს სინატიფეს...
ახლა კი, როცა შენს გამო ვკვდები,
და ყველა მხრიდან ტყვიებს მესვრიან,
ხარ ჩემი სულის ამონასხლეტი,
და მართლაც მოვკვდე უკეთესია...
ვიდრე ვუმზირო, როგორ ანათებ,
რომ კვლავ სხვისი ხარ და არა ჩემი;
რა დამრჩენია ამ ქვეყანაზე,
აღარაფერი, აღარაფერი...

მეც შენსავით მათოვს

ჩემს მოლოდინს დარდი ჰქვია,
შენს მოლოდინს სევდა,
გულს რომ გიღრღნის შავი ჭია,
შენს თვალებში ვხედავ...
ვხედავ, მაგრამ უძლური ვარ,
მეც შენსავით მათოვს,
მე უფსკრულის პირას ვგდივარ...
შენ სადა ხარ ამ დროს...
მგონი, თვითონ ნერვიულობს,
ქარი ისე მიტევს,
მე საშველად შენს სულს ვუხმობ,

თუ ვახსოვარ ისევ...
თუ ვახსოვარ, თუ ვჭირდები,
თუ მიგონებს, ნეტა,
რატომ ჩაქრნენ ვარსკვლავები,
ცა რად იქცა ფერფლად...
ვეკითხები, ვეკითხები,
ყველას ვინც კი მხვდება,
მენატრება შენი თმები,
ბაგეც მენატრება...
შენს მაგიერ სევდა მათოვს,
სევდა მათოვს ციდან,
არ გიყვარდი? მაინც რატომ?
აღბათ, ღმერთი გვცდიდა...

მე კი გამოგიტყდები

როგორც გველის ნაკბენი,
ისე შემომეყრები,
რას დარდობენ ნაწყენი,
ეგ თვალები მეტყველი...
წუხელ ცუდი სიზმარი
ხომ არ დასიზმრებიათ,
რას ამბობენ მითხარი,
რა სიტყვებზე კრთებიან...
მე კი გამოგიტყდები,
ვმალე და ვერ დავმალე,
ხედავ, როგორ გიტკბები,
ჰო, ვკვდები და ვფართხალებ...
მითხარ, რა ღირს სიცოცხლე,
რა გრძნობებით ფასდება,
როგორ უნდა ვიბრძოდე,
როცა სხვა მიყვარდება...
როგორ უნდა გიპოვო,
გითხრა, რაც მაქვს სათქმელი,
თუ ავდგე და ვიგლოვო,
ვნება ამოსანთხევი...
რომელ მკითხავს მივადგე,
რომელ ხატზე გილოცო;
შენ მზესავით ბრწყინავდე,
მე დავჯდე და ვილოთო...

შენა ხარ ჩემი ბედის ნატვრისხე

დღეს შენთან მინდა, შენ გესტუმრები,

მიყვარს შენსავით აფერადება,
ჩემი გულისთვის ნუ შეწუხდები,
ან რა მომართვა ნუ გენაღვლება...
რადგანაც მიყვარს თავისუფლება,
შენთან თავს ვგრძნობ, ვით თევზი წყალში,
შენი ხმით მთვარე მესაუბრება,
შენი სხეულით თავხედი ბავშვი...
დღეს შენთან თეთრი ფერები სჭარბობს,
და დაჰკრავს შუქი იასამნების,
რა სიმშვიდეა, მსურს ჩავიკარგო,
შენი თვალების კულუარებში...
მომეცი ხელი, გთავაზობ ტანგოს,
მომეცი ხელი, მკერდზე ამეკარ,
გამათბე, სულში, თუნდ, თოვლმა ბარდნოს,
თუნდ, შემოვიდეს ფიფქი გარედან...
შემოჰყვეს ქარი, წვიმა, ღრუბლები,
და დატრიალდეს, თუნდ, ფეხქვეშ მიწა,
მე მიყვარს, როცა მეჩურჩულები,
მე შენი თეთრი მკლავები მიყვარს...
მოდი, მომხვიე, გადამავიწყე,
ამ ქვეყნად ყოფნის ამაოება,
შენა ხარ ჩემი ბედის ნატვრისხე,
მკოცნე თან, მკოცნე, თუ გეკოცნება...

ნუ შემომწყრები

ნუ შემომწყრები, ნუ შემომწყრები,
შენ სიყვარული იცი ქალური,
შენ მე ვერასდროს ვერ შემომწვდები,
მე ლამის გავხდე ეპოქალური...
შენ კი მაგ შენი შავი ეჭვებით,
უნდა ამღვრიო ჩემი ფიქრები...
მე მხოლოდ შურმა დამცა ბეჭებით,
მე მხოლოდ შურის გამო ვისჯები...
ცოტაც მაცალე, ამ წყეულ დროში,
როცა დაკარგა ფასი ღირსებამ,
როცა წმინდანის გაშლილი დროშით
მხოლოდ ეშმაკილა იფიცება...
ცოტაც მაცალე, ცოტაც და წავალ,
იქ, საიდანაც არ ბრუნდებიან,
ჰოდა, სულს მაინც ნუღარ მიწამლავ,
ვერ ხედავ, როგორ გამშიშვლებია...

მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა

წარწერა ერეკლე მეორის ხმალზე, რომელიც მის საფლავის ქვაზე ასვენია...

მე ძველი ხმები ჩამესმის ძილში,
და თითქოს მტერზე საომრად მიწვევს...
ვიღაც ტანსაცმელს ტოგაზე მიცვლის
და ლაპარაკობს ჩემს წმინდა სისხლზე...
აი, მე უკვე მერანზე ვზივარ,
ფარ-მუზარადით, მახვილით ხელში...
დაიდრა ჩემსკენ ისრების წვიმა,
მერანი იწყვეტს და მიქრის მტრებში!!!
თავს თუნდ ათასიც ერთად დამესხას,
არ მოაკლდება ჩემ ხმალს სიავე,
გაცოფებული ჰკუწავს და კვეთავს,
ის შუაზე სჭრის ადამიანებს...
არ გავახარებ არავის არსად,
ვისაც სწყურია დღეს ჩემი სისხლი,
ვისაც სწყურია ჩემი დამარხვა,
სამარისაკენ ის თვითონ მიქრის!!!
სამარისაკენ, სამარისაკენ,
მტერს მიუძღვება ჩემი მახვილი,
ჩემსკენ ისწრაფეთ, ჩემსკენ ისწრაფეთ,
ესმის მათ ყურებს ჩემი ძახილი!!!
როგორც არ უნდა იმძლავროს შურმა,
ხმალს არ ჩავაგებ, ხმალს არ ჩავაგებ,
დღეს ჩემი ხმალი ბევრს ესაუბრა,
ხვალ დაისვენებს ის ჩემს საფლავზე...

ასე რად მერიდები

უკვე კარგა ხანია,
რაც სიყვარულს მპირდები,
ვით მორეულს შხამიანს,
ასე რად მერიდები...
ასე რად მერიდები,
რად აკრიფე ლარები,
მე თუკი ჩავიჭრები,
სულ არ გაგეკარები...
რა ვქნა, ისე მაგიჟებს,
შენი სრულყოფილება,
თითქოს, ყოველ ნაბიჯზე,
შენ თავს სხვა მეცილებს...
მახსოვს, მახსოვს, თან დამდევს,

შენი მწვანე თვალები,
და რომ შემომანათებს,
ვკვდები ვით ნაწამები...
მხოლოდ ერთს გთხოვ, არასდროს,
სხვებში არსად გამრიო,
მე ჩემ თამაშს ვთამაშობ,
სხვა არა მსურს ჩავრიო...
მე ჩემ სიმებს ვაჟღერებ,
შენ რომ ვერ აგიყოლე,
მაგრამ, ვერ შემაჩერებ,
ვერა, ვერ მომიშორებ!!!

მართლაც არა ღირს

არა, არ მინდა შენი ნახვა, აღარ ვაპირებ,
რომ დაგარწმუნო, სიწრფელეში ჩემი გრძნობების...
მართლაც არა ღირს, შეგიყვარდე, ვერ გაგაწბილებ,
სადაც შენ წახვალ, ვერ წამოვალ, ვერ წამოგყვები...
და ისიც ვიცი, გეწყინება ჩემი სიტყვები,
მაგრამ ამასაც მოზრიალე ქარი წაიღებს,
იმ სილაზეს, შენ რომ დაგაქვს, მე ვერ მივწვდები,
მე გული მქონდა დაკეტილი და შენ გაგიღე...
და ვცდილობ, ვცდილობ, ვცდილობ საზღვარს არ გადავიდე,
ამიბრიალე სილამაზე ნარინჯისფერი,
სასწაულია, ყველა ტყვია თუ ამარიდე,
ახლა ამ შენი სილამაზით რად ვიჭინჭრები...
არა, მერჩია, არ მენახე ამ ცხელ კაბაში,
და შენი უბეც ასე ღია ჩემთვის შხამია;
მე შენ მიყვარდი, როგორც უყვართ ბავშვებს თამაში,
ვით ხელის გულზე გატრუნული ჭიამაია...

სოფი ფოფოს...

არ გითხრა, ალბათ, არ ვიქნები შენთან მართალი,
ციურ კანონებს ან მე და შენ როგორ გავუგებთ?
ასე ლამაზად რატომ ჰყვავის იასამანი,
რა მოსწონთ ღმერთებს, სადღაც ცაში გადამალულებს...
ან ჩვენ რა მოგვწონს, ან რა გვიყვარს, არ გიფიქრია?
რადაც ოცნება, სიყვარული, რადაც მირაჟი...
რაც არ არსებობს, ან არსებობს, როგორც ფიქცია,
არ აქვს სხეული, სუნი, გემო, არც ანტურაჟი...
ჩვენ კი ერთმანეთს, ზოგჯერ ისეთ ძალით მიველტვით,
მთებსაც გადავდგამთ, რომ მიგვიშვან ალბათ ერთბაშად;
და ერთმანეთსაც, ამ დროს, იმდენ რამეს ვპირდებით,

რომ ვერც კი შევძლებთ, თუნდ მოვკვდეთ და გავჩნდეთ ხელახლა...
იცი, ვერც გეტყვი, რომელი ხარ, მერამდენე ხარ,
რატომ მომწონხარ, ან სიყვარულს თავზე რად გახვევ:
სულ ოცნებებში რად ვეძებოთ ბედნიერება,
რა გირჩევია, აგისრულებ თუ მიკარნახებ!!!

ასე მგონია, სულ ჩემთან იყავ...

ასე მგონია, სულ ჩემთან იყავ,
სულ ჩემთან იყავ, რაც დავიბადე,
როგორც ძვირფასი ძოწი, ლალის ქვა,
ან კარნავალზე ვერცხლის პირბადე.
თითქოს მიცავდი ავი თვალისგან,
თითქოს აკვანშიც კი შენ მარწევდი,
შენ გამომიხსენ იმ სიზმარიდან,
რომელსაც დღემდე თავს ვერ ვაღწევდი...
რომ განსაცდელსაც შენ მარიდებდი,
რომ მომეღწია დღემდე უვნებლად,
და ის მარცვალის ჭემმარიტების
შენში ვიპოვე კარს რომ მიღებდა...
კარს სათნოების და სიყვარულის,
რაც ბევრს საერთოდ არც ღირსებია,
თრობა აწმყოთი, თრობა წარსულით,
ტანს რომ ალივით მომკიდებია...
რა მოხდა, თუკი სიყვარულს გიხსნი,
თუკი შენს სულში ბილიკს დავეძებ,
მაშ რისთვის მინდა, მითხარი, სისხლი,
ჩემს ძარღვებში რომ მოთქრიალებენ...
და თუკი, მართლაც, ისე მიყვარხარ,
როგორც ბუნება უყვართ ველურებს,
თუნდაც წახვიდე, ვიღაც სულ სხვასთან,
აღბათ, ვერასდროს გისაყვედურებ!!!

თოვს

თოვს, თოვლქვეშ ჰყვება ჩემი ფიქრები,
და მცირა, როგორც, ხეზე ბელურებს,
თოვლქვეშ ჰყვებიან შენი ტიტები
და თოვლი მპარავს შენს ნაფეხურებს...
რა მწუხარეა ეს მელოდიაც,
თეთრი ზეციდან თოვლს რომ მოჰყვება,
თითქოს ფიფქები ფიფქებს ჰკოცნიან,
ფიფქები იქცნენ ანგელოზებად...

როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ამ თოვლის გამო სულშიც აცივდეს...
ეს თოვლიც ზეცის სახსოვარია?
კარგი, არ მკითხო, არ ჩამაცივდე!
და ქალის ტორსიც მარმარილოსი,
ეზოში როა, თოვლმა დაფარა,
სახურავზე კი ისევ ხორხოცით,
დაიარება ჭრელი ჯაფარა...
შენ კი სეირნობ, ალბათ, ამ თოვლში,
შენთვის ეს თოვლი კარნავალია,
მე კი შენს თვალში ვარ ბარბაროსი,
რადგან მე თოვლი არ მიხარია...

მწუხარება

როცა მიცქერ, შენთვის, ჩუმად,
რად გევესება თვალი ცრემლით,
მე ეგ ცრემლი მსურს სასთუმლად,
შემიგროვე გეხვეწები...
მწუხარება შემოდგომა,
როგორც გედი მარტოდ ტბაზე,
როგორც თვალით სულში წვდომა,
როგორც ვერცხლი ქალის თმაზე...
მწუხარება, მწუხარება,
ეს საღამოც ნაღვლისფერი,
ჰორიზონტის მდუმარება,
და ჩემს მკერდზე მკრთალი ხელი...
შენი ხელი სევდით სავსე,
შენი ძველი საჩუქარი,
შემოდგომას მივამსგავსე,
ოგორც ქვებზე წვიმის კვალი...
ისე მომწონს, ისე მიყვარს,
შენი მკერდის სიფაქიზე,
რომ ჭკუიდან გადამიყვანს,
მისი მზერა თუ მაღირსე...
მწუხარება ჩემი ნატვრა,
მწუხარება სევდა შენი,
როგორც ნავზე ძველი აფრა,
ან ზღვის ფსკერზე მკვდარი გემი...

რომ ეს წყვილია უნდა გამეპო

როგორ არ მინდა დავუშვა მხრები,
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
შენს დანახვაზე კი ისე ვფრთხები,
როგორც ჯიხვების გუნდი ალპიდან...
მე მაშხალებით ხელში დავრწოდი,
ბნელში და თავი ვერ დამელწია,
მომიახლოვდი, მომიახლოვდი,
დღეის სიმძაფრე შენს ალერსშია...
შემაგრძნობინე, შემაგრძნობინე,
რაც დრომ წამტაცა და გამიძარცვა...
რაც ამ უჟამო ჟამს ვიბოგინე,
და ბედმა მკერდზე ამომიშანთა...
რას იზამ, მოესაც კი ემართება,
თურმე ბირთვული ამოფრქვევანი,
მე კი გადამწვა შენმა ხანძრებმა,
და ვერც მომარჩენს ალბათ ვერავინ...
გაჩენის დღიდან დამდევდა ბედი,
როგორც ეროტიკს ინკვიზიცია,
მაგრამ მშველოდა მე ჩემი ფრთები,
მართლაც მშველოდა ჩემი მისია...
რომ ეს წყვილია უნდა გამეპო,
და ჩირალდნებით ხელში მებრძოლა,
გადამერჩინა ჩემი სამეფო
და სინათლეში გადამესროლა...
რადგან არ მინდა ფრთადაშვებული
და დაჩოქილი ვინმემ მიხილოს...
მოდო, მაჩუქე ეგ შენი გული,
და ტრფობა ამით დავაგვირგვინოთ!!!

ერთი კოცნა მოვასწარი

სხვას ვეძებდი, სხვა შემომხვდი,
სხვის მაგიერ გაკოცე;
როგორ მინდა, ამ ერთ კოცნით
მაინც დაგამახსოვრდე...
ვერ ავიტან ირონიას,
შენს თვალებს რომ გაუჩნდა,
თუ ტუჩებზე მიპოვია
ორი მწიფე ალუჩა..
რის ია და რის ბაღნარი,

ვარსკვლავით ფეთქდები,
ერთი კოცნა მოვასწარი,
ისიც სულ მთლად შემთხვევით...
დამაფრქვიე, დამაფრქვიე,
ეგ ნამივით ცრემლები...
ლამის ზეცა გადარიე,
ქარვის მწიფე მტევნებით...
მეტყვი, მაინც ვერსად წავალ,
მზემ თუ არ გამაცილა;
ჩემი ცოდვით ზღვა დამშრალა,
შენით, თურმე ავსილა...

რად მეშინია, რომ დამივიწყებ...

სხვებთან სტუმრობამ ისე დამღალა,
მერჩია შენთან ვყოფილიყავი,
დაგვედგა ბოთლით ტკბილი ხვანჩკარა,
თუნდაც სულ ერთი, სულ ერთი ღამით...
სარკმლიდან ჩუმად ემზირა მთვარეს,
და ეჭორავათ ვარსკვლავებს თუნდაც...
რა სიყვარულით მოგხვევდი მკლავებს,
თავს დამადებდი შენც ფრთხილად გულთან...
გულთან, რომელიც აღარც კი მიცემს,
რადგან სიცივე ფსკერამდე ატანს...
რად მეშინია რომ დამივიწყებ,
ჩემს ნაცვლად სულ სხვას იპოვი ახალს...
ჩემს ნაცვლად სულ სხვას, სულ სხვას ეტყვიან,
შენი ბაგენი საყვარელ სიტყვებს,
თუმცა, მე, მგონი, ერთადერთი ვარ,
ვინც არასოდეს არ დაგივიწყებს...
ვისაც ყოველთვის ემახსოვრება,
უძანკოება შენი თვალების,
შენი ღიმილი და სათნოება,
ღაწვები ღამის ნამწუხარები...

რომ აკრძალული ხილი ტკბილია

ვერ მოვასწარი, ვერ მოვასწარი,
მეთქვა ის, რის თქმაც ასე მინდოდა,
რომ არაფერი მაქვს დასამალი,
რომ სული მაინც ამოგიცნობდა...
იცი, ერთი რამ ვერ გამიგია,

რად ეშინია ხალხს ქარიშხლების,
ჩემი სხეული ცაში ჰკიდია
და ზეცისაკენ კიბეს მივყვები...
შენ კი, რომელიც ასე ნატრობდი,
სიყვარულს, ვნებებს და გატაცებას,
ვერ მივხვდი ზღაპრებს რად მიაშობდი,
რა გაწყენინეს მამაკაცებმა...
რომ აკრძალული ხილი ტკბილია,
არა გსმენია ჯერ ეს აქამდე?
შენი ვარდები თუ გაშლილია,
ვილაცა მოწყვეტს და გადააგდებს...
მერე, ვინ იცის, რას რა მოჰყვება,
მერე, ვინ იცის, რა ააგორონ,
სადმე, ვინმესთან რა წამოგცდება,
რომ იქნებ ვეღარც გამოასწორო...
ის კი, რომ ვნებას აუტანიხარ,
და ვერც ამურებს ვერ გაექცევი,
ისე გადმოხეთს შენი ტანიდან,
როგორც დაძრული მთიდან მეწყერი...
და ამიტომაც შენს გვერდით ვდგავარ,
არ შემიძლია მე დღეს უშენოდ,
ასე რომ, სანამ ზეცაში ავალ,
მინდა შენს ვნებებს რამე ვუშველო...

მითხარი როგორ უნდა მოვიქცე

ისევ და ისევ ვალაგებ ფიქრებს
მაგრამ ვერაფრით ვერ დავალაგე,
მინდა შენს სულში რომ შემოვიდე,
ვერ მეტყვი, როგორ დავპატარავდე...
ვერ მეტყვი, როგორ უნდა დავეცე,
როგორც ეცემა ბევრი ჩვენგანი,
რომ მეც ყველაფერს სხვებსა ვტაცებდე,
გავხდე ორგული და გარეწარი...
როგორ ვიცხოვრო სხვების ცხოვრებით,
რომ მშურდეს, მშურდეს ირგვლივ ყველასი,
რომ თან ვტკბებოდე ამ გაორებით,
ცხვირს ვყოფდე სხვების ბედისწერაში...
ვერ მეტყვი, როგორ უნდა ვიცხოვრო,
რომ ყველაფერი ფეხზე მეკიდოს,
თუნდაც ზნეობა რომ მოვისროლო,
რომ სული ასე არ დამეფლითოს...
დაუკითხავად მივადგე ყველას,
დაუფიქრებლად ვახლიდე სიტყვებს,

ვცრუობდე, ვრყვნიდე, როგორც ტერტერა,
ვზრდიდე ჯალათებს, ტირანებს, ფლიდებს!!!
მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე,
რომ სული ჩემი ფეხქვეშ გავთელო,
ნეტა, არსებობს ქვეყნად, ორი მზე,
რომ თან ანათო და თან აბნელო...

გაჩუქებული

მოდის, ისევ შენთან მოვალ,
და შენს გვერდით გავყუჩდები,
ისე კარგი საღამოა,
რომ გინდოდეს, გაჩუქებული...
გაჩუქებული ყველა ღიმილს
აღუბლების ყვავილისას,
როცა დარდი გადამივლის,
გაჩუქებული სხივებს მზისას...
გაჩუქებული, გაჩუქებული,
შვლის ნუკრს ლამაზ წინწკლებიანს,
არწივს თავის გაშლილ ფრთებით,
და მწვერვალებს ნისლებიანს...
გამაგიჟე, გამაგიჟე,
ვზივარ, შენი მზერით ვტკბები,
გსურს, გაჩუქებ ჩემ თავს ისეთს,
დაგავიწყოს საჩუქრები...

მე სილამაზეს ვაბრალებ ამას

მეც მიხარია, შენ რომ სიხარულს
ვერ ფარავ და ხარ აღტკინებული...
და რომ ბევრისგან მოელი პასუხს,
რა ლამაზი ხარ, რა დიდებული...
მე ენა როგორ მომიბრუნდება,
შენში რაიმე ნაკლი ვეძებო;
თუმცა, ეს წელიც ჩაიფურცლება,
წელი ჩემსავით უიმედებო...
ვიცი, ვიცი, რომ გაგეცინება,
მე სილამაზეს ვაბრალებ ამას...
ფუჭია ჩემი გულმოდგინება,
რადგან ვთამაშობ წაგებულ თამაშს...
ფუჭია ჩემი ყველა სიტყვები,

რადგან ვერ აღწევს, ვიცი, შენამდე...
მე კი თუ გნახე, ისე ვიბნევი,
როგორც ბულბული, ვარდის ეკალზე...
ბევრს ვფიქრობ, ვფიქრობ, მინდა ვიცოდე,
ვისთვის გაიხსენ მკერდზე ღილები,
და ის ტყვიებიც დღეს რომ ვისროლე,
მე მხვდება შენგან ასხლეტილები...

გული და მუსიკა

ისმის ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია,
დღეს მე ამ ყველაფერს ერთად მოვისმენდი...
ჩემი დაკარგული გული მიპოვია,
ხომ ვერ შემინახავ, გთხოვე მორიდებით...
არც ვიცი, ვერ გეტყვი, რატომ მეკარგება,
როგორ მივარდება, მართლაც, საგულედან,
მაგრამ, შენ, შენახვა თუკი გეზარება,
წავიღებ, რად უნდა ამდენი ყურება...
და, მართლაც, ვის უნდა დღეს სხვისი გულები,
თუ გული საკუთარ გულზეც არ შესტკივათ;
არა, არ მწყენია, ნამდვილად, სრულებით,
რა მოხდა, რა უჭირს, ეს რა საწყენია...
ისე კი, სხვებისგან მე სხვას არც მოველი,
ჩემია, წავიღებ და სადმე მივაგდე,
მუსიკაც ჩამთავრდა, გაქრა ბეთჰოვენი,
დავხუჭავ თვალებს და ვიძინებ დილამდე...

სამყარო ნამდვილად გადაბრუნდა

კი არა ვცხოვრობ და ვიჭყლიტები
ამ უკიდევანო სამყაროში,
სულ არ გამაჩნია პრინციპები
და არც ფული მიდევს სალაროში...
თანაც საოცარი დამყოლი ვარ,
ბედი ციბრუტივით მაბზრიალებს,
ემშაკს არასოდეს ავყოლივარ,
არც ქაჯს ბოროტებას ნაზიარებს...
არ მიყვარს, არ მიყვარს აგრესია,
ღვთის და წმინდანების სახელებით...
ჩემი რწმენა ისედაც საფრთხეშია,
ქუჩა გადაივსო ბარდელებით...
ახლა, მართლაც, ქრისტეს დრო რომ იყოს,
ნეტა, რამდენ ვერცხლად ველირები,
ვინ იცის, იუდამ რა მოიგო,

ამრავლა ამ ქვეყნად შეშლილები...
ცოტა გაქვს? არ გყოფნის, რა თქმა უნდა,
ბევრი გაქვს? და მაინც, მაინც რომ არ გყოფნის?
სამყარო ნამდვილად გადაბრუნდა,
ჟამია "ყოფნის და არ ყოფნის"...

ჩემი ბოდვა ხარ სიზმარეული

ან კაცმა რომ თქვას, საიდან სად და,
მე და შენ რატომ შევხვდით ერთმანეთს;
შენ მანდ ივლისის ცხელი მზე გწვავდა,
მე აქ მაისის სეტყვით მსეტყვავდნენ...
როგორ მინდოდა, რომ შენთან ერთად,
თუნდაც შავი ზღვა გადამეცურა,
გადმომდებოდა ის შემართება,
შენ რომ მიმზერდი ზოგჯერ მეფურად...
შენ რომ მიმზერდი ასე ამაყი
და სიმართლეში დარწმუნებული,
შენ არ გჭირდება სხვა იარაღი,
სილამაზეა შენი ერთგული...
სილამაზეა შენ რომ გამშვენებს,
ორივე ერთად, სულის, სხეულის...
უშენოდ ღამეს რა გაათენებს,
ჩემი ბოდვა ხარ სიზმარეული...
კი, წყალნი ისევ წავლენ–წამოვლენ,
და დარჩებიან მხოლოდ ქვიშანი,
გარეთ ჩიტები ისე გალობენ,
თითქოს შენი ხმა ამოვიცანი...

ექვი

არ ვიცი, ეგებ გულდაწყვეტილი,
დარჩი ამ ჩვენი შეხვედრის შემდეგ,
და როგორც ღილი მკერდს აწყვეტილი
შენც დამეკარგო ამ ალალ ბედზე...
ვინ იცის, იქნებ მტრედად იქეცი,
და ვერ გაექეც არწივის კლანჭებს,
არ მოგეწონა ეს საგიჟეთი,
სადაც მე, ლამის, ყოველდღე მკლავდნენ...
არ მოგეწონა, სადაც მუზები,
თითქმის შიშვლები დათარეშობენ,
და შენც ბედისგან ნასათუთები,

ჩემთან არ მოხვალ აღარასოდეს...
მაინც სად წახველ, ნეტა, ვიცოდე,
აღბათ ყურს უგდებ ჩიტთა გალობას,
დღეიდან თვალებს სხვა გამისწორებს,
სხვა დააოკებს ჩემს უკმარობას!!!
მაგრამ ვინ იცის, იქნებ აქვე ხარ,
თუნდაც ვარსკვლავად გადაქცეული,
და ისევ ღამე დამეხმარება,
რომ სიზმრად ვნახო შენი სხეული...
და მაინც ზოგჯერ ისე მწყურდები,
ისე მეღება შენგან ხანძარი;
მშვიდად ვარ, თუკი, აქ მეგულები,
ვცოფდები, თუკი, ასე არ არი...

რამ დამზადა ასეთ დროში

ყველა ითხოვს, ყველა ითხოვს, ყველა ითხოვს თავის წილს,
მე რა უნდა მოვითხოვო, ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი...
მე რაცა მსურს, მე რაც მინდა, სხვას ვერ მოვთხოვ ვერასდროს,
ერთადერთი, ერთადერთი, ბედი შემომელანძღოს!!!
რომ დამზადა ასეთ დროში, თანაც ბედის პერანგში,
როცა ეშმა დაქრის დროშით და სიწმინდის კელაპტრით...
როცა ლაჩარს გმირი ჰქვია, გმირს კი ტყვიას ახლიან,
უკვდავება ჩალად ფასობს, სკამს კი ცეცხლის ფასი აქვს...
მე რა უნდა მოვითხოვო, ამ ჟამსა და ამ დროში,
გალაკტიონს თუკი ეცვა დახეული კალოში...

არ შემძლია ეს რომ არ გითხრა

არაფერი მსურს სიმღერის გარდა,
ისიც ნამდვილი ქართული ეშხით,
ვერ დამიბრუნებ? როგორც მიყვარდა,
როგორც მიყვარდა ოდესღაც შეშლილს...
როგორ გიხდება ბარხატის კაბა,
ლალისთვლიანი გრძელი საყურე,
შენ ბოტიჩელიც კი დაგხატავდა,
მე კი შენს ღიმბილს თუ ვიმსახურებ...
და, იცი, კიდევ, თუ რატომ გეტრფი?
არ შემძლია ეს რომ არ გითხრა:
სალამურს გიგავს აშლილი მკერდი,
მე რომლისთვისაც ღამით თავს ვიკლავ!

და მაგონდება ზღვის ნაპირები (ტ–ს)

შენც იმ ზღვას ჰგავხარ, მე რომ მომწონდა,
მე რომ მიყვარდა, ალბათ, ერთ დროში;
სანამ ნაპირზე გამომრიავდა,
და მომისროდა საქართველოში...
სადაც ცოტაა შენნაირები,
ან იქნებ სულაც აღარ არიან;
და მაგონდება ზღვის ნაპირები,
სადაც მზე არის და ბაღნარია.
და მაგონდება შენი სხეული,
თვალზე ფერადი მინის სათვალე,
ტალღების რიგი კლდეს მიმსხვრეული,
ნავი, დახრილი და მოტარტმანე...
წლები გადიან, წლები გადიან,
როგორც გემები თეთრი პორტიდან,
და წერს ზღვა ქვიშით ეპიტაფიას,
რომ სიყვარული არ გამოვიდა...

დღემდე ვინა ვარ, ვერ გამიგია...

იცი, ძნელია, მართლაც, ძნელია,
რომ სიამაყეს გადააბიჯო...
და თუ სიცოცხლეს კი სასჯელია,
მაშ, როგორ გინდა, რომ სხვა რამ ზიდო...
სულ ყოველივე ნეგატიური,
რა დავაშავე, რატომ ვეძებო,
რად უნდა ვეყმო სხვის ნება–სურვილს,
რატომ შევიდე ომს უმხედრებოდ...
დღემდე ვინა ვარ, ვერ გამიგია,
ვის მხარეს ვიბრძვი, ვისი მაქვს ვალი;
თუკი ცხოვრება დიდი ტვირთია,
ხომ განვლე გზანი წამებისანი?
მაშ, რად ეძებენ ჩემში შერისხულს,
თუ აღარ შემრჩა სისხლის ნასახი,
თუ უფსკრულისკენ ჩემი ერთთურთ,
მივჭრი და ზურგში მხვდება ნაჯახი...
ვდგავარ, გავყვირი, მე პოეტი ვარ,
არ შეიძლება ჩემი წამება,
თუ კი მე მომკლავთ, ეს იგივეა,
იხილოთ ერის გარდაცვალება!
საშინელია, თქვენი ცინიზნი,

ქირქილი უფრო საშინელია;
მე სიკვდილს ვხვდები მუდამ პირისპირ,
რადგან სიცოცხლე დღეს სასჯელია...

გამომესარჩლე

გამომესარჩლე, ჩემო სამშობლოვ,
თუნდაც ვცდებოდე, გამომესარჩლე,
სულ ყველამ, ყველამ რომ მიგვატოვონ,
ჩვენ ორს, ვერასდროს გადგვთელავენ!
ჩვენ ორს ერთი გვყავს, ღმერთიც, ეშმაკიც,
ერთი ოცნებით გვასულდგმულებენ,
და ორივენი ერთად ვესწრაფით,
ბოლო საფეხურს დაუსრულებელს...
ხომ მოჰქუხს მაინც ჯერაც არაგვი,
თერგი თავს ჯერაც იგიჟიანებს,
ჰოდა, მე და შენც, აბა, რა დაგვდლის,
მათ ჟინს და რბოლას თუ ვიზიარებთ!
მითხარ, რატომ ვარ სხვაზე ღარიბი,
ვისა აქვს მთები თუნდაც ამდენი,
მიწა გულივით ამონარიდი,
და ხალხიც ბრძენი, თუმცა ნაცემი...
რა მეჩქარება, სად მეჩქარება,
თუ შრომაშია ბედნიერება,
გადაიარონ ქარიშხალებმა,
და შევძლებთ ზეცის კარის შეღებას...
გამომესარჩლე, ჩემო სამშობლოვ,
თუნდაც ვცდებოდე, გამომესარჩლე,
სულ ყველამ, ყველამ რომ მიგვატოვონ,
ჩვენ ორს, ვერასდროს გადგვთელავენ!!!

რაში მანადვლებს მიწის წუხილი

როცა დადგება მზიანი დილა,
და მწვერვალებზე თოვლი დადნება,
და ზეცას, ხშირად ქალივით მტირალს,
წვიმის ღრუბლები შემოაცვდება...
მე კარს გავუღებ ჩუმიად ქარიშხლებს,
ბნელ ხეობებში გამომწყვდეულებს,
ავაწრიალებთ იქვე ხალიჩებს,
ველებზე ჭრელად მიმოხნეულებს...
ძირს დავუყვებით ქედებს ზვავებით,
და ბებერ ტყეებს ავაჭრაჭუნებთ,

მერე ხომალდებს დავემგზავრებით,
და ზღვის მლაშე წყლებს ავადგაფუნებთ...
მერე მოვხვეტავთ უდაბნოს ქვიშებს
და დავატყდებით თავს ოაზისებს,
მეძავებივით გადავატიტვლებთ,
და მათს სიმშვიდეს სამარეს მივცემთ...
და როცა მიწაც დაიწყებს ზრიალს,
ცაშიც ატყდება ჭექა-ქუხილი,
გადავეწვნები ჩემს ძვირფას ნიავს,
რაში მანაღვლებს მიწის წუხილი...

ჩემი ფრთების ქვეშ აგაფართხალო (რუსო ბ-ს)

რატომ მიყვარხარ, რატომ მიყვარხარ,
ასე სულელი, ასე მარტივი,
ასე მგონია, პაწაწინა ხარ
და პირს გამიღებ ჩიტის ბარტყივით...
თოვს და მინდა რომ შემოგიფარო,
ჩემი ფრთების ქვეშ აგაფართხალო,
ულამაზესო ჩემო ცისკარო,
ჩემო პატარა მზეთუნახავო...
ნუ შიშობ, მალე, მალე გვეწვევა,
აფეთქებული გაზაფხულები,
და როგორც მოლზე ია-ენძელა,
გადაეწვნება ჩვენი გულები...

ნუ მეაფთრები

ამ წელს ზამთარი ისე მზრძანებლობს,
რომ არ აგვცდება, ალბათ, მეწყრები,
ვის, სად მივადგე სააღსარებოდ,
ვის გავუმხილო ჩემი ეჭვები...
ვიცი, არც იცი, როგორ მიყვარხარ,
ყველა უჯრედი ჩემი შენია,
შეყვარებულის ხელისკვრისაგან,
ბევრს, ალბათ, ჟანგიც კი გასჩენია...
მეც მათ რიცხვში ვარ, იმათ რიგებში,
ზამთარმა გული გამომიჭამა,
ნუ მირისხდები, ნუ მირისხდები,
ისეც მკვდარი ვარ ყინვებისაგან...
არ ვიცი, რით ვერ შემოგიჩვიე,
რამდენ სიგიჟეს აღარ გპირდები,
არ დამიჯერო, ჩემს კონდიციებს,
სულ ტყუილია, შენ ვერ მიხვდები...

ჩემს სულში კივის სხვა მელოდია,
სხვა გემი ცურავს შავი აფრებით,
იცი, დამღალა შემნა ლოდინმა,
ნუ მეაფთრები, ნუ მეაფთრები!!!

რუსთაველს რომ ჩავივლი

რუსთაველს რომ ჩავივლი,
ვფიქრობ, ნუთუ, გადარჩა,
რადგან სულს მეძავივით
მოსდებია სარანჩა...
მე კი ისევ ზღაპრების
მიყვარს მზეთუნახავი,
და მძულს დედინაცვლების
სიხარბე და ლავლავი...
მივალ, ვადგამ ნაბიჯებს,
და ვგრძნობ რაღაც მაკლია,
ყველა თვალებს მარიდებს,
თვალებს ცივს და ნაღვლიანს...
აღარ ისმის ის ძველი,
გრძელი გადამახილი,
და პროსპექტიც შიშველი
მიმზერს კუბოს თალხივით...
იქნებ ვცდები, ან სულაც
მხოლოდ მე მეჩვენება,
რომ ეპოქა დასრულდა,
როგორც რაშთა ჭენება.
რომ წავიდა, გაფრინდა
და გადაიგრიალა,
გადმოაგდეს ტახტიდან
ის ძველი დრო მთლიანად...
იქნებ მეც აღარა ვარ,
მე ხომ ძველებს ვეკუთვნი,
სულ ტყუილად ჩავმდგარვარ,
ამ სევდიან ფერხულში...
სარანჩა კი კვლავ ვატყობ,
თავის წინსვლას აგრძელებს,
გარბის თავის მართონს,
ნთქავს, და გზებს მიაბტვერებს...

თოკი და ყულფი მინდოდა, ლიკა, მე ახლა?

თუ თოკს მიკიდებ, ყულფით კედელზე,
ისიც მითხარი, თუ რას მთავაზობ!

ხსნის გზას მთავაზობ? ან ამ გზას ეძებ?
არ ჩამოვიხრჩობ მე თავს არასდროს...
განა იმიტომ, რომ მეშინია,
ანდა, ქრისტიანს არ მაქვს უფლება;
ამ ქვეყნად ყოფნა ჩემი ჟინია,
იმ ქვეყნად გაძლებს ჩემი ბუნება?
ჩემს ცოდვილობას თუ მიაწიწნებ,
ისედაც ვიცი, რომ ცოდვილი ვარ...
და რომ სამოთხეს არვინ მადირსებს,
და ჯოჯობეთიც რომ მოსჯილი მაქვს...
ვიცი, ჰო, ვიცი, შენ კი წინასწარ,
გინდა, რომ თოკზე მაკონწიალო?
ნეტა, ვიცოდე, მართლაც ვინა ხარ,
რა ვუყო ამ თოკს, ამ სატიალოს?
მოდის, სხვას მიეც, ვისაც არ უყვარს,
სიცოცხლე, ანდა მობეზრებია,
ფული არა აქვს, თოკს თუ მიუტან,
იმწამსვე ფეხქვეშ გაგეგებიან...
მე რომ კუბოთი მოვიდე შენთან,
თან მოვიყოლო მკვდრების ლაშქარი,
გაგიხარდება ამ სიკეთისას?
ან ჯანდაბაში არ გამაგზავნი?
ვერა, ვერ ვიტან ამ შავ რომანტიზმს,
მეორედ მკვდრები არ მომიყვანო,
თორემ ათასჯერ მეტ მკვდრებს მოგაყრი,
რა დაგიშავე, შე კაი ქალო?

სიზმარი

მოდის, ასე საიდუმლოდ დარჩეს,
ყველაფერი ასე დარჩეს ზღაპრად;
თუ სიზმარში როგორ მოგიტაცე,
თუმცა გვერდით ათი მცველი გახლდა...
და მივქროდით, მივყვებოდით ნიავს,
ორი თეთრი ცეცხლოვანი რაშით,
შევცქეროდი კულულების ფრიალს,
ოქროსფერებს, გაწეწილებს ქარში...
გვიხაროდა, გვიხაროდა რაღაც,
სიყვარულზე ალბათ ბევრად მეტი...
ყვავილები ყველგან ტალღა–ტალღა,
მაყვლისფერი, ატმისფერი, თეთრი...
მთები თითქოს თავის კალთებს შლიდა,
და ხეებიც თავს გვიკრავდნენ მდაბლად,
ვარსკვლავები დაგვცქეროდნენ ციდან,

და გხედავდი, ისე, ისე ნათლად...
ასე, არც კი მინახიხარ ცხადში,
ცხადში, მგონი, მხოლოდ ორჯერ შევხვდით,
შენ პატარა ჯადოქარი ბავშვი,
მე კი, ალბათ, წამომდგარი მკვდრეთით...

ასე მგონია გყავს ორეული

შენ არ მიყვები არაფერს შენზე
და საიდუმლოდ ინახავ სათქმელს;
ნეტავი, ასე სადამდე შეძლებ,
ნეტავი, ასე როდემდე გაძლებ...
ასე მგონია გყავს ორეული,
და მოგზავნილი ხარ სწორედ მისი,
როგორც სხვადასხვა ორტომეული,
როგორც რაიმე გამონაკლისი...
ხედავ, ღია მაქვს სულის სარკმელი,
და არაფერი რამ დასამალი,
სულში მინთია სევდის სანთელი,
ის წარსულია, შენ მომავალი...
არ მიყვარს, როცა წავიბორძიკებ,
და გვერდით ვინც მყავს წამსვე მღალატობს,
მე ანგელოზზე ვერ ვიქორწინებ
რადგან საკუთარ ბედს ის არ მანდობს...
არც ომში წასვლას აღარ ვაპირებ,
ყველა ბრძოლაზე ხელი ავიღე;
გადავულოცე ხმალი ვამპირებს,
და თვითონ ვადგენ ბრძოლის თარიღებს...
და თუკი, მართლაც, ბრძოლაში მიწვევ,
და ერთი უნდა მოკვდეს ორიდან,
ახლა ისე ვარ, რომ დამკლა კიდეც,
წვეთი სისხლიც კი არ გადმომივა...

მე მახსოვს წამი იმ გაოცების

დამთავრდა, თურმე ვერასდროს გნახავ,
თუნდ სიყვარულზე მღეროდეს ყველა;
მე მომისროლა ახალმა ტალღამ,
მე ისევ ძველი დროების ტყვე ვარ...
ჰოდა, დამთავრდა, არცა ღირს ახლა,
ალბათ, გადაბრალ—გადმობრალეობა...
ამ სიყვარულმა არ გაგვიმართლა,
ასეთი იყო ზეცის ბრძანება...
კი, მენანება, მართლაც, უსაზღვროდ,

თითქოს ვუხდიდე ჩემ თავს პანაშვიდს,
მაგრამ, გაუშვი, სხვას გაუმართლოს,
სხვამ ჩადოს თავი მაგ შენს კალთაში...
კი, ვიცი, ვიცი, სხვასთან სხვა არის,
სხვა ტუჩები და სხვა სიტკბოება...
დავიმახსოვროთ, როგორც ზღაპარი,
ამ სიყვარულის ჩამოქროლება...
დავიმახსოვროთ, ჩვენი თვალები,
როგორ განათდა, როგორ გაბრწყინდა,
როცა, ერთბაშად, ვით ვარსკვლავები
ყველა ამური შემოგვაფრინდა...
როცა, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს,
მე მახსოვს წამი იმ გოცების...
ჩვენს სადღეგრძელოს ცაში შესვამენ,
შეყვარებული ანგელოზები...

და როგორც სული, ცივია თოვლიც...

დებს, მშვიდად, წყნარად, მოდის და მოდის,
ხან არეულად, ხან მოზღვავებით,
და როგორც სული, ცივია თოვლიც,
ცივია, როგორც ქრისტეს თვალები...
მოდის, ხელს ზეცას ვერ ააფარებ,
ან რომც გინდოდეს, არცა ჩანს ზეცა...
მოდის, ფანტელებს მოაფარფატებს,
აბრეშუმით მიწაზე კეცავს...
მინდა, რომ ავყვე თოვლის სიმშვიდეს,
მინდა ვუსმენდე ბეთჰოვენს, მოცარტს,
და რომ არავინ ხელს არ მიშლიდეს,
როგორც ხატის წინ ქალწულის ლოცვას...
შევცქერი სარკმელს, არ წყდება თოვა,
მალე მთელი ცა ჩამოვა დაბლა...
ჩემს წინ ნაძვნარი მიმოაქსოვა,
და ახლა სახლის კონტურებს ქარგავს...
თოვს, თოვლმა სულიც გადაათეთრა,
ის, ზოგჯერ, ვიცი, სულსაც უხდება;
მოდის, მესტუმრე და ვიყოთ ერთად,
მანამდე, სანამ გაზაფხულდება...

დე, სხვისი იყოს ყალბი დიდება!

ნუ ფიქრობ ამდენს, არა ღირს ფიქრად,
დღეს შენით ბევრი იკეთებს სახელს,
გაივლის დრო და იქცევა ჩირად,

რაც კი მათ ტვინის ჭყლეტითა ჩხლართეს...
და არც არსებობს გზა მოფენილი,
მხოლოდ ვარდებით, მხოლოდ იებით,
პირიქით, ხშირად მორიელივით,
გვენსტრავს ცხოვრება, გვხვდება იელით...
გაუშვი, ცოტა მათაც იხარონ,
ცოტაც, თუ უნდათ, იქურდბაცაცონ,
ჰოო, გაუშვი, მართლაც მიქარონ,
ინტრიგანონ, იმატრაბაზონ!
შენ არაფერი არ დაგაკლდება,
შენ ზევით დგახარ, ცალკე, სულ ცალკე,
სისხლისფერია შენი პლანეტა
და სიკვდილია მისი მესაჭე!
შენი სივრცეა, ზღვა, ოკეანე,
მწვერვალი, ჯერაც ფეხდაუდგმელი,
თვალი შეავლე, თვალი შეავლე,
შენი სამყარო დარჩა უცვლელი...
დე, სხვისი იყოს ყალბი დიდება,
ყალბი სახელი თუ ნეტარება,
ნიჭი გვირგვინზე არ იყიდება,
ნიჭი უნიჭოს არ ეკარება!!!

ვის გაუთვლია ბედნიერება

ასე მგონია მეძახდი თითქოს,
მთელი სხეულით, სულით, თვალებით.
უბრალოდ, ასე მინდა ვიფიქრო,
შენ კი, კვლავ ახლოს არ მეკარები...
ვინ იცის, ეგებ, ასეც კი სჯობდეს,
ვის გაუთვლია ბედნიერება,
და თუკი შენზე დღემდე მაბოდებს,
იქნებ არც ღირდეს ჩვენი შეხვედრა...
რომ დარჩეს გრძნობა ასე უცვლელი,
შთამომავლობით ის არ გადადის,
დარჩეს ნათელი და შეურყვნელი,
აწ და მარადის, აწ და მარადის...
თუმც ერთი ვიცი, როცა დრო გავა,
თანდათან უფრო მეტად ვინანებთ,
რომ ჩავუკეპტეთ ჩვენ გზა მომავალს,

სიყვარულს ვმარხავ

სულ განვიცდიდი, სულ განვიცდიდი,
როცა სიყვარულს ვუთხრიდი საფლავს,

ახლაც ასე ვარ, მაგრამ დავიცდი,
და საბოლოოდ ერთხელაც გნახავ...
და ვფიქრობ, ვფიქრობ, რატომ მიყვარდი,
რატომ ვეძებდი შენში სასწაულს,
როგორც სინათლის სხივებს გვირაბში,
როგორც ყინვების მერე გაზაფხულს...
არსებობს, ნეტა, სამოთხე მართლაც,
სადაც შედიან განწმენდილები,
სიყვარულს ვმარხავ, სიყვარულს ვმარხავ,
რომელსაც მსხვერპლად შენ ეწირები!!!
თუმც, მოდი, საფლავს დავტოვებ ღიას,
თუ სურვილი გაქვს მოგცემ ბოლო შანსს,
როგორც აძლევდა შანსს ოფელიას,
გახსოვს, ჰამლეტი მონოზენობისას...
თუმცა, ვინ იცის, დანიის პრინცი,
ჩემსავით კარგად იცნობდა ქალებს?
თუ დედოფლობის ხარ მართლაც ღირსი,
მეფე ვარ, მთხოვე და შეგიწყალებ!!!

რომ შენ არსებობ

არ თქვა, რომ ჩემზე ბედნიერი ხარ,
მე თუ მიყვარხარ და შენ კი არა;
ლოყები მწიფე ატმისფერი გაქვს,
ტანიც, მე მგონი, გიგავს გიტარას...
ჩასაყლაპი ხარ, მაგრამ სხვა გყლაპავს,
მე კი გიყურებ და მხოლოდ ვტკბები;
მართლაც ასეა, მაგრამ ჯანდაბას,
ავდგები და მეც დაგელოდები...
ან ვინმე იტყვის, რომ ახდენილი,
სიყვარულები სჯობს აუხდენელს?
ჰკითხე ვინცკია ჯვარდაწერილი,
ზეიმები აქვს თუ ნანობს შედეგს?
ამიტომ, რა ვქნა, თუ მიხარია,
რომ შენ არსებობ და მე ეს ვიცი...
ისე კარგი ხარ, ისე ძალიან,
არც მემეტები სიყვარულისთვის...

ან ვინაა შეუმცდარი

გადაივლის ეს ზამთარიც,
ამ ყინულსაც აიღებს,
ეს ცხოვრებაც შეგვასწავლის,
საქმეს ნაირ-ნაირებს...

ჰო, ჯანდაბას, შევსვით შხამიც,
თუნდაც სისხლში წავიდეს,
იმდენი გვაქვს სალოცავი,
ყველაფერს აგვარიდებს...
აქ რომ მოსწონთ, აქ რომ უყვართ,
ვინმეს სად გეგულებათ;
ერთ სიტყვას თუ გადაუკრავ,
აქ ცაც გადაბრუნდება...
მომე ხელი, მომე გული,
გული ბევრის მნახველი,
გული ხშირად დანისლული,
ხშირად სავსე ნაღველით...
ან ვინაა შეუმცდარი,
განა ქრისტე არ შეცდა?
გოლგოთაზე როცა ჯვარი,
აღმართა და ჯვარს ეცვა...
ვის რა ვუთხრა, რა შევჩვილო,
ჯერ ზამთარი წინ არის,
სხვაგან ყოფნას აქ გვერჩივნოს,
ვინმე მიწას მიგვაყრის...
დღეს დავკარგავთ, ხვალ ვიპოვით,
ბედი ასე ჩალიჩობს...
ცხრა ძმამ, ისევ ერთი თხილი,
არ სჯობს ძმურად გავიყოთ?

შტორმი

გინახავს, როგორ იწყება შტორმი,
წამოქოჩრილი ზღვა ფეხზე დგება...
მეც ასე მომდის, მეც ასე მომდის,
როცა ჩემს სულში პოეტი კვდება...
მეც გადავდივარ ყოველგვარ საზღვარს,
საკუთარ ფიქრებს თავზე ვატყდები,
ვეღარ ვანსხვავებ მამაცს და ლაჩარს,
ვბღავი, გავყვირი და ვილანძღები...
ამ დროს დამფრთხალი ჩემი მუზები,
თავშესაფრისკენ ჩორთით გარბიან;
ვერ გავჩუმდები, ვერ გავჩუმდები,
თუ ვერ ვიპოვი ჩემს ფანტაზიას...
წყლის სვეტი ლამის ადის ზეცაში,
შტორმი იზრდება და ძლიერდება,
მე ჩემს თავს ვხედავ მის მანერაში,
როცა კლდეს ურტყამს და ზედ ემსხვრევა...
მეც შეწირული ამ შტორმსა ვგავარ,
შევდივარ ზღვაში და კლდეს ვემსხვრევი,

თან ვიგერიებ ტალღაზე–ტალღას,
სხვა გაშმაგებით და გაცეცხლებით...
და მიკვირს, მიკვირს, რატომ მტოვებენ,
შეყვარებული ჩემზე მუზები,
თითქოს სიკვდილთან მახლოვებენ,
მეც ზღვა ვარ, ზღვა ვარ და ვიმუქრები...
თუმც ჩემი ლტოლვა, მართლაც გიჟური,
მალე იღლება ამდენ ბრძოლისგან,
თან მზეც ამოდის ცად გახიზნული,
და სევდიანად მიმზერს შორიდან!!!

იქ წავიდეთ

იქ წავიდეთ, სადაც ერთ დროს,
ერთმანეთი გვყვარებია,
სადაც იის წვიმები და
გვირილების ქარებია...
სადაც რბიან ვარდის წყლები,
და ციური მანანები,
ცად აწვდილი დგანან მთები,
თავის ღია ნაპრალებით...
იქ წავიდეთ სადაც მუდამ
ერთმანეთის ვიგრძნობთ სითბოს,
ძველებურად აბდაუბდათ,
და მოჩლექით ვისაუბროთ...
ვისაუბროთ, რასაც ჰყვება
ნაკადული წყაროს ხმაზე,
წერო წეროს რად მიჰყვება,
მოკრიალე ზურმუხტ ცაზე...
რას მდერიან ვარსკვლავები,
მაშინ როცა მიწას სძინავს,
ვის სჭორავენ ასე გზნებით,
ვის ელიან რიჟრაჟისას...
იქ წავიდეთ, სადაც ჩვენთვის,
ნუკრებს ზრდიან ხალებიანს,
სადაც ერთ დროს ერთმანეთი,
მტრედებივით გვყვარებია...

საქართველოში ქალებს რა დალევს

საქართველოში ქალებს რა დალევს,
ულამაზესებს, უბრწყინვალესებს,
ასე უსაზღვროდ ვინ შეგიყვარებს,
ან ასე ტკბილად ვინ გააღერებს...

ან ასე ჩუმად, სად, ვინ გაკოცებს,
ცრემლი მოსდის და შენ გეკონება,
სულ ერთი სიტყვით მკვდარს გაგაცოცხლებს,
და დაგიბრუნებს უდარდებლობას...
სად შეიძლება, მართლაც, უყვარდეთ,
როგორც, აქ, ჩვენთან საქართველოში,
ასე კაცებზე სადა ზრუნავენ,
ან სად იჯდები ასე ფეხმორთხმით...
კიდევ მინდოდა მეთქვა რაიმე,
მაგრამ აქ შევწყვეტ ამ ჩემს გალობას,
თქვენ ამარიდებთ და გამარიდებთ,
ალბათ, სიკვდილის გადუვალობას...

სად გაიტაცეს, ნეტა, ქარებმა,

მე შენ გაფრენილ დღეებს მაგონებ,
მაგონებ დღეებს ჩემი ბავშვობის,
როცა ვერავის ვერ გავაგონე,
ხმა და მეც სურვილს ქუჩებს ვანდობდი...
როცა ბუდიდან ამოფრენილი,
სულ ყველა ბარტყი ჩემი მეგონა,
ვიყავი მონა, ვიყავი გმირი,
სარდალიც ვიყავ, ჩემი ეზოდან...
ვებრძოდი დევებს, დრაკონებს, ვეფხვებს,
და ვიმარჯვებდი ისე ადვილად,
რომ არაბეთის განთქმული მეფეც,
პირს დააღებდა ჩემზე, ნამდვილად...
და ახლა როცა შენს სახეს ვუმზერ,
ნაკვთებს უზადოდ გამოკვეთილებს,
ვაგროვებ ჩემი ბავშვობის ფურცლებს,
რვეულებიდან ამოფხრეწილებს...
ვერ მეტყვი ასე რად ენანებათ,
ჩვენთვის ან ცრემლი, ან თანაგრძნობა,
სად გაიტაცეს, ნეტა, ქარებმა,
უსპეტაკესი ჩვენი ბავშვობა...

"ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?"

აღარავისი, არავისი აღარა მჯერა,
მე რეზერვში ვარ, სხვის საწოლებს გასდით ჭრაჭუნნი,
პროვინციელმა გაიმარჯვა ისევ ამჯერად,
ინტელიგენტი ისევ დადის გამოფატრული...
სოფელი უკვე მერამდენედ ისევ წალეკავს,

შენს ნამუშევარს, ნაცოდვილარს, ნალოლიავებს,
შენ თესავ მარტო, სხვა კი იმკის, იმკის და ლეწავს,
თუ რამ გადარჩა, უეჭველად დაილიავებს...
არ მინდა ტაში, არც დიდება და ჩინ-მედლები,
თუმც არც არავინ მოგაშავებს, თუ არ მოკვდები,
მე ისევ ქედებს, და ჩემს კლდეებს მივკედლები...
და თუნდაც წყალსაც წაუღია ყველა მგოსნები...
თუ საწყალი ხარ და სულყველას ხელში აკვდები,
მუხლებზე დგახარ, წელში, ერთი, ასად მოხრილი,
არ გაგიკვირდეს თუკი შენით აღვფრთოვანდებით,
და ნიჭიერნი ისევ დარჩნენ თვალგამოთხრილნი...
ასე, რომ ჩვენში, ძმაო, მხოლოდ ნიჭი არ კმარა,
თუკი გასურს მოხვდე პოეტების ამ მარაქაში,
თორემ დარჩები შენც ჩემსავით ლექსის ამარა,
რომ სამჯერ მაინც ამოგთხარონ და გფლან საფლავში..

ნუ დამკარგავ

დაგინახავ, სისხლი ჩქროლას
იწყებს როგორც ჩანჩქერი,
შენი მზერა მომეწონა,
სულის ფსკერზეც ჩამცქერი!
რა მჭირს შენი დასაცინი,
მაგრამ მაინც კარგი ხარ,
თმებგაშლილი, ფრთებგაშლილი,
გულის კოვზზე მაჩნიხარ...
არ დამალო, არ დაფარო,
ეგ მეტყველი თვალები,
თორემ ჟამი გასვლას ჩქარობს,
ჟამი შეუბრალები...
ნუ დამკარგავ, ნუ დამკარგავ,
დასაკარგი არც მე ვარ,
ნულარ ეძებ მე აქა ვარ,
ლამით ვინც გელანდება...
ნულარ ეძებ, ნულარ ეძებ,
მეზნას აზრი არა აქვს,
დამაწაფე შენს ცხელ მტევნებს,
მოვრჩეთ დავიდარაბას!!!

სდუმხარ, არ მემტერები...

ეს დღეებიც ღალატის,
ჩემს ნერვებზეც თამაშობს,
მე რასაც კი ვმაღავდი

შენ არ მალავ არასდროს...
თანაც ყველას, როგორც ჩანს,
სიყვარულში უტყდები,
მე კი მუდამ ბოლო წამს,
ვიგებ, ისიც თუ ვხვდები...
ვიგებ, როცა ყველაზე
მეტად მეპირფერები,
როცა ჩემს გინებაზე,
სდუმხარ, არ მემტერები...
არ განიცდი დილიდან
შემოტევას ყვავების,
არაფერზე ტირი და
აღარც მეკინკლავები...
აღარ იღებ გულიდან
სათქმელს როგორც იღებდი,
გამოხედვაც მტრული და,
საეჭვოდ იღიმები...

ნუ მელოდები

ნუ მელოდები, ნუ მელოდები,
არ მიყვარს როცა მელოდებიან,
მე მთელი ღამე ვნებებს ვებრძოდი,
შენგან ასე რომ შემომგზნებია...
მართლაც, ვინ იცის, ვის სად შეხვდები,
ვის გაუგზავნი ყვითელ ბარათებს,
რომელ ანკესზე წამოეგები,
ინტუიცია სად გიღალატებს...
ანდა, რა იცი, სად გადაუხვევ,
დასახულ მიზანს, როგორ ასცდები,
რა გაგახარებს, რა დაგამწუხრებს,
რომელ სიყვარულს შემოასკდები...
როგორ მომწონხარ, როგორ მიყვარხარ,
როგორ ვერა გრძნობ ჩემს სიახლოვეს,
მე, ალბათ, ზუსტად შენი ხნისა ვარ,
შემხვდი თუ არა, წლებმაც დამტოვეს...
ლაგამს ვღრღნი, როგორც ველზე მერანი,
გზაში მომისწრებს ალბათ ცისკარი...
მოვედი, გესმის ფლოქვთა თქერანი,
შემოვამტვრიე შენი ჭიშკარი...

მე და ჩემი ცხოვრება

ვებრძვი მე ამ ცხოვრებას,

ცხოვრება კი მე მებრძვის,
რომელი წინ მოკვდება,
ვერავინაც ვერ მეტყვის...
ცოტასა ჰყავს ეს ძალდი,
ვიცი, დამარცხებული,
მებრძვის, როგორც ვეშაპი,
ჩემზე გააფთრებული...
ხელს ავუკრავ, გამიფრენს,
დამდეგს, როგორც ყორანი...
მილაწუნებს, არ ვიმჩნევ,
გვაქვს ორმხრივი ბრძოლანი...
ვერც მე მივასიკვდილე,
ვერც მან წამომამოქა...
წელანაც დავიფრინე,
მაგრამ, მანაც დამცოფა...
ასეთია, როგორც ჩანს,
მუდამ ომის კანონი;
ის რამ გააბოროტა,
ან მე თვითონ რა მომდის?

იქნებ მიცდიდი? (ნანა ონიანს)

შენ ხომ ვერ მეტყვი, შენ ხომ არ გახსოვს,
როდესაც ცაში შემომეფეთე,
როგორც არასდროს, როგორც არასდროს,
მეც მოვალწიე მგონი მეცხრემდე...
იქნებ მიცდიდი, იქნებ მელოდი,
მაგრამ ამის თქმა ვერ გამიბედე,
ან შენც ნაწყენმა საქართველოთი,
მწუხარებისთვის ვერ გამიმეტე...
მე, მართლაც, ხშირად ვტოვებ ამ მიწას,
და თეთრ ბილიკებს ცისკენ მივყვები,
მიწას ვამძიმებ, ზეცა კი მიტანს,
ან, იქნებ, ზეცას უფრო ვჭირდები...
ვინ იცის, იქნებ, მეც ვარსკვლავი ვარ,
ამდენ ვარსკვლავში, ერთი მათგანი,
ვინც დედამიწას დასცქერს მაღლიდან
და გზაარეულთ გზა-კვალს ასწავლით!
ან იქნებ, მართლაც, როგორც ზღაპრებში,
ბედნიერება ბატის კვერცხშია,
და მეც დაბნეულს ამდენ ბატებში,
მართლაც ბატების კვერცხი მერჩია...
მახსოვს ვიპოვე, მაგრამ დავკარგე,
შენ რომ შემომხვდი, არ მქონდა ხელში?
ჰო, თუკი ცაში შემომადამდეს,

გამათევიანე შენს მშვიდ თვალებში...

როგორც კალო ნალეწი

იქით მიაჭენებენ ალბათ შენი მერნები,
სადაც დგანან პირისპირ საბრძოლველად ჯარები,
სადაც სიკვდილს ელიან შეწირული მხედრები,
და მშრალ მიწას ალბობენ სისხლის ნიაღვარები...
მე კი მივქრი სხვა მხარეს, ომი მე არ მეხება,
ჩემგან აღარ გამოვა არც მშვიდობის დესპანი,
მტერი გამწარებული ჩემს ცხენს უმსხვრევს ხერხემალს,
ალბათ ერთად უნდა ვზლო ყველა შეცოდებანი...
ვხედავ მკვდართა სულები ზეცად როგორ ადიან,
და ცაც ბიბლიასავით ორად გადახსნილია...
მიგელავენ მერნები, მიაღწევენ განთიადს,
სადაც შავი ზოლია და ვარდების ჭრილია...
ისევ ომში ჩამაბეს, ისევ მემუქრებიან,
მე კი მართლაც არ მინდა წვეთი სისხლი დავღვარო,
რაშებს გაცოფებულებს თითქოს ცეცხლის ფრთები აქვთ,
ვუხმობ ღმერთებს, მეომრებს რომ აბჯარი აჰყარონ...
როგორც კალო ნალეწი, მოფენილა ცხედრებით,
მიწა აშმორებული, მიწა უკიდევანო,
ვიცი, ვიცი, ძვირფასო, რომ იმ ქვეყნად შევხვდებით,
რათა შენი ტრფობანი სახადივით შემყარო...

მოვალ, რომ გექარიშხალო...

ისე გადის თებერვალი,
ყინვით, თოშით, ვაებით,
ამის დედაც, ამის კარგიც,
ამის ცივი ქარებიც...
ნუ ავყვებით, ნუ ჩავყვებით,
ჩვენ ჩვენი გზა ვეძებოთ,
გენატრები, მენატრები,
მინდა შემომეგებო!!!
მინდა ხალი გამიშალო
ჭრელი ვეფხვის ტყავების,
მოვალ, რომ გექარიშხალო,
შენც ნუ შეგებრალეები...
გამახვიე ცეცხლის ალში,
მაგიზგიზე, დამფერფლე,
მიყვარს ქერა თმებს რომ გაშლი
და ლურჯ თვალებს მაფეთებ...
მიყვარს, მიყვარს, როცა გარეთ,
თებერვალის ქარია,

შენ კი მკერდში შემიფარებ,
მკოცნი და გიხარია...
ამ ქარების, იმ ქარების,
იყოს კარში ლაწანი,
თუკი ასე გეყვარები,
ადიდებულ ზღვასავით!!!

შენ თავს მეცილებიან

შენს თავს მეცილებიან, შენს თავს მეცილებიან,
მე კი რომანტიკაში ვიყავ გადაჩეხილი,
კაცმაც რომ თქვას, რას დავდევ, ანგელოზებს ფრთებიანს,
ანდა, რას ველოდები, რომ ვერ დავსვი წერტილი...
თანაც, ვიცი, ცხოვრებას ისე ამირდამირევ,
ველარც გამოვაღწიო, იქნებ, ლაბირინთიდან...
მოვკვდები და შენს ტრფობას, ჯოჯოხეთში წავიღებ,
მერე, ნაღდად ეშმაკებს მოგიგზავნი იქიდან...
თუმცა, ვიცი და მჯერა, რომ ჩემი მზეც ამოვა,
ისე, როგორც ამოდის დამით ვარსკვლავთ კრებული...
შენ ხომ იცი უშენოდ რა სასტიკად მარტო ვარ,
ჰოდა, სული დაგეძებს, სული გაშმაგებული...

ამ ერთი დღით ჩემი ხდები

მინდა ხელი გადაგხვიო,
ვიცი, ვიცი, შენც რომ გინდა...
ამ ცხოვრებას ავახიოთ,
ეს ერთი დღე კალენდრიდან...
ერთად დავსხდეთ, ერთ სუფრასთან,
გამოვცალოთ თითო ჭიქა,
შენი სუნთქვა მომენატრა,
და მტევანი ერთი ციდა...
სანთელივით შენი სული,
ექვიანი შემოხედვა,
ზედ რომ ერთვის ამ ჩემს სურვილს,
ზღვასავით, რომ გადმოხეთქავს...
ყველაფერი მიატოვე,
ამ ერთი დღით ჩემი ხდები,
მოვისროლოთ სიმარტოვე,
დავალონოთ ჩვენი მტრები!!!

მინდა რომ ვიგიჟოთ

წამოდი, წამოდი, მინდა რომ ვიგიჟოთ,
გავექცეთ ამ ქაჯებს სულში რომ ძვრებიან...
დე სხვებმა იხოხონ, მე და შენ ვიფრინოთ,
იქ სადაც მთებია, ან ლურჯი ზღვებია...
წამოდი, წამოდი, ვიცეკვოთ უაზროდ,
ვიქნით ხელები, ფეხებიც ვიქნით;
წამოდი, მანსი გვაქვს, ერთხელაც მოვასწროთ,
სიგიჟის ბოდვანი ბოლომდე ვიწვნიოთ...
რომ სივრცეს გავმახოთ, სამყარო ჩვენია!
რომ ყველას გვეკუთვნის აქ ტკბობის უფლება!
წამოდი, ვიგიჟოთ როგორცა გვჩვევია,
რომ ხარბად ვისუნთქოთ ეს თავისუფლება!!!

სიცოცხლე მწარე გოზინაყია

მე შენში უფრო ვხედავ გართობას,
თხელი კაბა რომ ტანზე გასკდება;
შენ კი კვლავ ელი ბოლო გასროლას,
მთვარის ამოსვლას უკანასკნელად!
შენ ჩემში ეძებ უბრალოებას,
მე კი ყველაფერს ისევ ვართულებ;
მინდა ავუწყო ფეხი დროებას,
ის კი სიკვდილსაც აუფასურებს...
და მუდამ ვფიქრობ, მართლაც რა ყრია,
ან გაჩენაში, ანდა წასვლაში?
სიცოცხლე მწარე გოზინაყია,
სიკვდილი – მხოლოდ ბედის თამაში...
და ვიცი, ვიცი, რომ ჩვენც მოგვიწევს,
აღბათ, ოცნებაც უკანასკნელად,
არ ღირს სიკვდილი, ნუ გამომიწვევ,
გარშემო მყოფთა გასაოცებლად...

შენ რომ ჩემი სული გასურდა

შენი მწვანე თვალებიდან
მე ათასი ქალი მიმზერს;
შენ რომ თურმე გვყვარებივარ,
თუ არ მეტყვი, როგორ მივხვდე?
როგორ მივხვდე გულში რა გაქვს,
ან რითა გაქვს, ნეტა, სავსე,
ანდა, სათქმელს სად ინახავ,
ქვესკნელში თუ მეცხრე ცაზე...
სანადიროდ გამოვსულვარ,
ვეფხვს დავემებ ზოლებიანს,

შენ რომ ჩემი სული გასურდა,
არ გაგიმეორებია...
რა გავიგო, რა გავიგო,
თუკი ენას კბილებს აჭერ;
მითხარ, ჩემო მარგალიტო,
რა სასჯელი მომისაჯე?!

ენძელები თოვლში

სცივათ ენძელებს, სცივათ ენძელებს,
ზამთრის ყინვებში გაღვიძებულებს,
ან გადარჩენას როგორ შეძლებენ,
ვინ შეიკედლებთ ატირებულებს...
სუსხი აშინებთ, სიო აშინებთ,
კრთებიან კურდღლის გამოჩენაზე,
საცოდავებმა თავი გასწირეს,
ქვეყნად მოვიდნენ ადრე ყველაზე...
მათი ამოსვლა სულ მზის ბრალია,
ამოიტყუა თურმე მიწიდან,
ახლა კი მათთვის აღარ სცალია,
ღრუბლებში შეძვრა და მიიძინა...
რა ეშველებათ, რა ეშველებათ,
ღამით ქარები იცის ველებზე,
ალბათ, მოკვდება ღამე ენძელა,
მართლაც, მოკვდება ქარის ხელებზე...

რატომ მეგონა

შენს დანახვაზე ჯერაც მომდის ელეთ–მელეთი,
გადამავიწყდა ყველა სიტყვა შენთვის სათქმელი,
რატომ მეგონა, სიყვარულით შევაჩერებდი,
ზვავებს, დაძრულებს მწვერვალიდან, ვეფხვებს გაფრენილთ...
რატომ მეგონა, რომ გიყვარდი, რატომ მეგონა,
მე ხომ შენამდე საცალფეხო გზებით ვიარე,
მთებში მგლები და ავაზები მყავდნენ მეგობრად,
მაგრამ შენს გამო ანგელოზებს ჩავეზიარე.
შენ კი დამტოვე, წახვედი და არცკი მითხარი,
ისიც არ ვიცი, სად გეძებო თვალდახუჭულმა,
კი, ვიცი, ვიცი, ახდენილა ბევრი სიზმარი,
ახლაც, ამ დილას, გამაღვიძა შენმა ჩურჩულმა...
თუმცა, ჩემს სიზმრებს ასრულება არ უწერია,
რადგან სხვისი ხარ და საჩუქრებს ჩემგან არ ელი,
რა მოხდა, მერე, ჩემი სული თუ შიშველია,
ის შიშველია სიყვარულით, შენ კი არ შველი...

გეტყვი, მართლაც ლამაზი ხარ...

გეტყვი, მართლაც ლამაზი ხარ,
ვისთვის უღვთოდ, ვისთვის ისე,
შენს ლოყებზე სძინავს ცისკარს,
შენს ბაგეზე კი აისებს...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
შენს უბეში ბუდე მქონდეს,
ჩიტი ვიყო პაწაწინა,
აქეთ–იქით მიმოვქროდე.
შენ კი ჩემი ბარტყი იყო,
და მიცდიდე, სულ მიცდიდე,
რომ არასდროს დამივიწყო,
და ჩიტით გამიფრთხილდე...

რატომ ხარ მარტო

რატომ ხარ მარტო, რატომ ხარ მარტო,
მე ხომ ვიცი, რომ ბევრნი გეტრფიან,
თუ არ გამოჩნდა საშენო სატრფო,
ნუთუ არავინ მოგნატრებია?
თუ სიმარტოვე შემოგეჩვია
და იმედებთან იმან გაგყარა;
იქნებ მიზეზი მხოლოდ შენშია,
მაშ, მარტოობა რამ შეგაყვარა?
მეც დღეს ვარ, ალბათ, ხვალე გავქრები,
და გავიკეტავ წარსულის კარებს...
ხვალ, ალბათ, სულ სხვას შეუყვარდები,
შენ კი, არც იმას არ შეიყვარებ!

მეც ვერავინ შემცვლის

შენ რომ უცბად შემოგხედავ, იცი?
როგორც ტყვიამ გაიროს გულში;
ნაფლეთი ხარ ჩემი ყველა სიზმრის,
გაზაფხული ჩემი გრძელი მწუხრის...
რას შემატყობ, გრძნობებს ისე ვმალავ,
როგორც კარგად შენიღბული მტერი;
როგორც მოველ, ალბათ, ისე წავალ,
და სურვილი თან გამყვება შენი...
რადაც არის, არის შენში, ალბათ,
რაც ვერასდროს შევამჩნიე სხვებში;

ხარ ზეციდან ყვავილების ბარდნა,
და მყინვარი გახვეული ცეცხლში...
ვიცი, ვიცი, დაუძლეველს ვებრძვი,
ანგელოზებს არ ჰკოცნიან ვიცი...
მაგრამ, რა ვქნა, მეც ვერავინ შემცვლის,
მეც შენსავით ვარ ქართულის ჯიშის...

მენატრები

აღარ ვამხელ, აღარ ვამხელ,
არც ჩემს გრძნობებს, და არც სხვისას,
ვერაფრით ვერ გადავლახე,
ზღვარი შენი თვალებისა...
სადაც წავალ უკან დამდევს,
არ მცილდება ერთი წამით,
მშანთავს, მზღუდავს, მამსხვრევს, მანგრევს,
ყველგან მხვდება მათი კვალი...
ველზე, მთებში, ზღვაში, ტბაში,
ყველგან შენი თვალებია,
გამახვიეს ხანძრის ალში,
შენ რომ აგიალებია...
მივხვდი, სხვისი დავიწყება,
შენთვის, ალბათ, ადვილია,
მაგრამ, ყველაც გაგიჟდება,
ვისთანაც კი გაგივლია...
შენი ღირსი რომ არა ვარ,
ვხვდები, განა ვერა ვხვდები,
თუმცა, ლოდი ხომ არა ვარ,
კაცი ვარ და მენატრები...

ეს დროა ავი...

შევცდი, არცერთწამს თურმე უშენოდ,
ვეღარ ვძლებ, მართლაც, არ შემიძლია,
რომ დროც, შენს გამო, ასე უღმერთოდ
და უმიზეზოდ გაწელილია...
ისე, თავისით სხლტება ფიქრები,
რომ ვერც კი ვასწრებ ხელის ტაცებას;
არ მავიწყდები, არ მავიწყდები,
ნუ, ნუ მიყურებ, სულ აღმაცერად...
მე რასაც ვფიქრობ, იმასვე ვამბობ,
და არც სიცრუე არა მჩვევია,
ეს დროა ავი, ასე რომ ანჩხლობს,
ანდა, ცოდვათა განაჩენია...

სულ ტყუილია, სულ ტყუილია,
რომ გამუდმებით ომი მაქვს ბედთან,
და ის, რაც ჩემთვის განკუთვნილია,
სიკვდილის მერე თუ მოვა ჩემთან...
ერთს გთხოვ, არავის არ დაუჯერო,
ჩემი სიცოცხლე დღეს კარცერია,
მხოლოდ იმიტომ, რომ ვარ უშენოდ,
და რომ ჩემს დღეში ბევრზე-ბევრია...

საქართველოს (ტრელას დაკვეთა)

დაბადებული არ ვიყავ,
ჯერ თვალეზსაც ვერ ვახელდი,
ჩემთვის როდესაც გაბრწყინდა
შენი სპეტაკი სახელი.
ჩემს სულშიც დაბუდებულან,
არწივები და არჩვები,
ცად მთები აყუდებულან,
ძირს ისწრაფიან ჩანჩქერნი,
სწორედ აქ იბადებიან
ულამაზესი ქართველნი...

და მეორე ლექსი (ჩემი სტუდენტობისდროინდელი)

საქართველოს მთებს ადგას ნათელი
და ბრწყინავს ჩემი კავკასიონი...
ღმერთო, მაჩუქე ერთი სანთელი,
ერთი ქოხი და ერთიც
კანკელი,
რომ ვიყო მარად შენზედ მლოცველი
საქართველოსთვის,
საქართველოსთვის!!!

იყავი ჩემში

შავი შურით მშურს, უშავეს შურით,
ვინც დღეებს შენთან ერთად ატარებს...
ვინც იქნებ გიყვარს, ან თუნდაც უვლი...
ვინც შენთანაა და თავს გაყვარებს...
სულ ადვილია, სულ ადვილია,
როდესაც სულში ბრძოლა იწყება,
გული სისხლისგან თუ დაცლილია,
უბრალოდ, შენი გადავიწყება...

მაგრამ არა ღირს, იყავი ჩემში,
თეთრი ყვავილი იასამანის,
რადგან ვერასდროს ვერ გაგცვლი სხვებში,
შენ სუდარა ხარ ჩემი სამარის...

სული კი ენთოს

ვერ გაექცევი ამ სინამდვილეს,
სულ რომ უსწრაფეს მერნით აჭენო...
დღეებს აგირევეს, თვეებს აგირევეს,
რომ დაგამარცხოს და შეგაჩეროს...
რა დაგვრჩენია, რომ სულს მივუნდოთ,
თუნდ მტრისაც იყოს ეს ჩემი გვამი...
სული კი ენთოს, სული კი ენთოს,
როგორც მნათობი წყვდიადი ღამის...
რომ ყველას, ყველას, ვინც ცოცხალია,
თუნდ, ერთი სხივიც რომ მიაწვდინოს,
ჩვენთან არიან თუ არ არიან,
ვისაც სურს იყოს და იარწივოს!!!
რომ ყველას, თუნდაც სიკვდილის მერე,
გზას უნათებდეს ჩვენი სულები,
როგორც ტაძრების ზარები ჟღერენ,
უკვდავებაში გადასულები...

ჯოჯოხეთია ისეც ორივე

დამთავრდა, დავსვი ყველა წერტილი...
და გადავრაზე ყველა ჭიშკარი...
ხვეის წყალივით ვარ დაწრეტილი,
სულ დავივიწყე დასავიწყარი...
რა დამრჩა, ნუთუ, ოთხი ფიცარი,
ოთხი ლურსმანით კუბოდ შეკრული,
ოთხი წყრთა მიწა საფლავისათვის,
და ორი სიტყვა: აუ, ბედკრული...
თუ მივანებო ამ აზრებს თავი,
სისულეა ამისი რომა,
რომ ფიქრი ჩემი, ეს შავზე-შავი,
ტყუილად ელის მეორედ მოსვლას!
რა უნდა, რისთვის უნდა მოვიდეს,
ქრისტე, აქ თუკი ვერაფერს შეცვლის,
ჯოჯოხეთია ისეც ორივე,
აქაც და იქაც, მისთვის თუ ჩვენთვის...
და ამიტომაც, ჯობს, როგორც არის,
დავტოვო მიწა ტალახიანი,

არაფერია აქ საოცარი,
თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს და დაძრწის ქარი...
იქ კი, ცის იქით, სადაც ქარიშხლებს,
განრისხებული ღმერთები სწრთვნიან,
სადაც ხედნიან აპოკალიფსებს,
და ასწავლიან გრიგალებს გრიალს...
იქ, მოელვარე მნათობთა შორის,
სადაც მგლისფერი დაჰკრავთ აისებს,
გულს მოვიჯერებ ქარებთან ქროლით
და მხარსაც გავკრავ აპოკალიფსებს...

აჰაა, აი, გაიცინეთ!!!

მიმიღებ ასეთს, როგორიცა ვარ?
როგორიცა ვარ, ასეთს მიმიღებ?
დედას ვფიცავარ, დედას ვფიცავარ,
ამას არასდროს გადაგივიწყებ...
არ შეეცდები ჩემს შეცვლას სულაც?
სუფრებზე გრიალს არ ამიკრძალავ?
ან საქორწილოს არ მიფხრეწ სურათს?
არ დამაბრალებ ყოველდღე ღალატს?
არ გეყოლები მუდამ კონტროლში?
არ გააგრძელებ ჭკუის სწავლებას?
ან არ შემადგერენ თაგვის სოროში,
თუკი სხვა ვინმე შემიყვარდება?
არ გეყოლები წივილ–კივილში,
ან არ შემიყრი ჩხუბზე მეზობლებს?
ერთდამიძვეს თუთიყუშივით
მილიარდჯერ არ გამიმეორებ?
ნუთუ ვერ ხვდები, რას გეკითხები,
მაინტერესებს რაც ჩამოვთვალე,
თუკი ასეთი მართლაც იქნები,
ცოლი ყოფილხარ და გითხოვ ხვალვე...

სიცოცხლე

დამეთანხმები, რომ სიცოცხლე დიდი განძია,
და რომ ეს განძი ვერც ამოვხსნით რატომ გვაჩუქეს,
ამის ამოხსნა შორს სცილდება ჩვენს ფანტაზიას,
ღმერთსაც რომ ჰკითხო, ნაღდად ღმერთიც ვერ გიპასუხებს...
თუკი მოვდივართ არაფრიდან რაღას გვაწუხებს,
ისევ გადასვლა არაფერში ლიწინ–ლიწინით,
როდის იქნება, რა აზრი აქვს, უნდა დასრულდეს,
უნდა დასრულდეს ყოველივე მაინც სიკვდილით...

ჰოდა, არა სჯობს, დავტკბეთ, სანამ ზეცა ღიაა,
სანამ გვიმზერენ დამცინავად ქალთა თვალები,
იცი, სიცოცხლე ეს ლამაზი მელოდიია,
ანუ ხანმოკლე მიწიერი არდადეგები...

სადაც გედები გედებს ხვდებიან

როცა მზებრდება ყველაფერი და სულშიც რაღაც
წყდება თუ კვდება, ვერ ვიტყვი ზუსტად...
მოვდივარ შენთან და ვიცი ვნახავ,
რასაც ინახავ ასე სათუთად...
ბაღებში გაშლილ გვიან ყვავილებს,
ტბაზე მწუხრს ყოველ შეღამებისას,
მთვარეს, ჩემს მზერას თვალს რომ არიდებს,
ტყლამუნს ზეცაზე მტრედის ფრთებისას...
და თუკი, მართლაც, სხვის ბედის ვარსკვლავს,
შენი ვარსკვლავი შემყვარებია,
ეგებ ჯობს შენთან ტბის პირას გასვლა,
სადაც გედები გედებს ხვდებიან...
გავწვეთ ნავებში და რწევა–რწევით
ჩუმად ვიცუროთ ლელიანებში,
სანამ ამოვა მზე წელის თრევით,
სანამ ჩაგვხედავს დილა თვალებში...

თებერვალი

რაღაც გაგრძელდა ეს დრო ძალიან,
ასე მგონია, არც დასრულდება...
ისევ ის ცივი თებერვალია,
ერთ დროს ტყვიები რომ ზუზუნებდა...
თვეა თვეებში ყველაზე მოკლე,
მაგრამ ყინვებით ყველაზე გრძელი,
ასე მგონია მეც მაშინ მომკლეს,
რომ არ გასულა ჯერაც ის წელი...
რომ თებერვალი ისევ აცოცხლებს,
გულზე დაჩნეულ იმ ძველ ჭრილობას,
რომ კვლავ მოგვიქსევს თავის ღვარცოფებს,
რომლებიც დიდხანს ასე გვტკიოდა...
მოდი, ძვირფასო, ხელი დამადე,
მინდა გავუძლო ამ ცივ არტახებს,
ერთხელ ხომ მაინც უნდა დამთავრდეს,
თებერვლის სუსხი და სიპარტახე!!!

თუნდ დამახრჩოს

ჩემი სული დღეს ზღაპრული დარბაზია,
სადაც ჩვენი ყვავილები ანათებენ,
რალად გვინდა, მითხარ, მეტი ფანტაზია,
ჯობს ეს ღამე არასოდეს დაგვათენდეს...
ჩვენთვის კვნესის, ჩვენთვის კვნესის ვიოლინო,
და ჩვენს თავზე ვარსკვლავები ბზრიალებენ,
ეგ მტევნები, როგორც ქვევრში ქარვის ღვინო,
შხეფებს მაფრქვევს, თრობით მაღიზიანებენ...
შემომხვიე, შემომხვიე ეგ მკლავები,
მხრებზე თმები ტალღა–ტალღა მიიფინე,
გაანათე ვით ღამეში ვარსკვლავები,
იციმციმე, იციმციმე, იციმციმე...
მოდის, სანამ მიყურდება მელოდია,
მოდის, ვნება გაახელოს ერთმა კოცნამ,
ამბორები ჩვენი სევდის ესკორტია,
ულამაზეს სიყვარულის შესაგრძნობად...
ვიცი, ვიცი, ღმერთმა უწყის, ვერც გადავრჩე,
მაინც მინდა, ვიგრძნო მკერდში ღელვა ზღვების,
თუნდ დამახრჩოს შენმა უღვთო სილამაზემ,
და წამლეკოს სურნელებამ ქერა თმების...

დიდი ხანია მე შენი ტყვე ვარ

დიდი ხანია მე შენი ტყვე ვარ,
დავკარგე ნიჭი დროის შეგრძნების,
და არც არავინ არ მეკითხება,
რატომ მომწონხარ, რატომ გნებდები...
მითხარი, სულმა როგორ გაიგოს,
არდავიწყების სად გადის ზღვარი,
როგორ ამიხსნას დღემდე რა იყო,
სად იყო ცხადი და სად სიზმარი...
რად მინდა ტაში, აპლოდისმენტი,
თუ მას არ ახლავს შენი თითები,
თითქოს ზეციდან შენს ხმას ვისმენდი,
და მაცვიოდა მარგალიტები...
ახლა კი ამდენ კითხვის ნიშანში,
როგორ გავიგო რა უნდა ვთქვო?
მე მუდამ ვყავდი ღმერთებს მიზანში,
როგორც ერთ–ერთი საუკეთესო!!!
იცი, ხადახან ისე მწყურდები,
როგორც სწყურდება ძუძუ პატარებს,

და ეს გრძელდება დაუსრულებლივ,
როგორც ცის ლოცვა და სიანკარე...
კი, მართალია, დაბნეული ვარ,
რომ თავხედურად თვალებს გისწორებ,
შენ ხომ ოცნების დასასრულიდან,
მთლად დასაწყისში გადამისროლე!!!

მიყვარხარ, ისე, ისე სათუთად...

შენს დანახვაზე მეკვრება სუნთქვა,
თავზე მემხოზა, ზეცაც და ჭერიც,
მიყვარხარ, ისე, ისე სათუთად,
როგორც სიტყვები უკანასკნელი...
და ველოდები შენი ბაგიდან,
ბგერებს გადმომსკდარს ფრთების ფართხალით,
მართლა არ მომკლა, მართლა არ მომკლა,
მე ხომ სიცოცხლე ვერ მოვასწარი...
ისე ძნელია ამის გამხელა,
და, მითუმეტეს, ასე საქვეყნოდ,
წყალს წაუღია ყველა, სულყველა,
ვინმემ თუ იცის, რატომ ვარსებობთ?
და ხშირად, მართლაც მოულოდნელად,
რადგან ღვთის ნება უნდა ასრულდეს,
რად გვევლინება სიკვდილი მხსნელად,
ვის შეუძლია, ვინ მიპასუხებს!!!

ხან ქორი ვიყავ, ხანაც არწივი...

რად მომიწვიე, შენს ბაღნარებში,
რად მომიწვიე, რისთვის მეძებდი,
ვიყავი ჩემთვის ჩემს გრიგალებში,
ჩემი ცხოვრებით და იმედებით...
ავდევდი ქარებს, ავდევდი ნისლებს,
ნაპრალებს შორის ფრენას ვბედავდი,
და რასაც მთები ხედავდნენ სიზმრებს,
მეც სწორედ იმათ სიზმრებს ვხედავდი...
ხან ქორი ვიყავ, ხანაც არწივი,
მყინვარის თავზე მიყვარდა ფრენა,
ხანაც ვეფხვივით ველზე გაჭრილი,
შიშის ზარს ვცემდი ირემთა რემას...
შენ კი შერწყმული ვერცხლის აისებს,
სწორედ ისეთ დროს შემომეყარე,
როცა ვკარგავდი იმ სიხალისეს,
არწივები, რომ კლდეებს ჰყეფავენ...

ახლა რა, დავალ ამ შენს ბაღებში,
სად მსხმოიარე იდგა ხეხილი,
ნუ, ნუ მიყურებ ასე თვალებში...
ვერხვი ვარ ტოტებჩამოლეწილი...

ნუ დამპირდები

ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები,
რომ სულს მზითა და მთვარით ამივსებ,
მესმის, შენ ალბათ მეაპრილები,
მე კი ვიხრები თებერვალისკენ...
შენსკენ ხარობენ ვიცი ვარდები,
ჩემსკენ ჯერ ისევ ხმლებსა ფერავენ,
არ აკრეფილან მთებზე ჯანლები,
და მზეც ჯერ ზეცას ვერ აფერადებს...
გადამინახე ჩემი ნუგეში,
დამარცხებამდე გადამინახე,
მე ხომ ამ ველურ საუკუნეში,
ვიბრძოდი, მაგრამ ვერ დამინახეს...
ბევრს კი ჯერ ისევ ბრძოლის ჟინი აქვს,
გავსებული აქვთ სისხლით თვალები,
მათ არც სიკვდილის არ ეშინიათ,
ჯერ ისევ ჟღერენ მათი ზარები...
ჰოდა, არა ღირს, ნუ დამპირდები,
რომ სულს მზითა და მთვარით ამივსებ,
ჯერ არ დამცხრალა ზღვის ნაპირები,
ჯერ ისევ ებრძვის ქარებს ალვისხე...

მოდით ველად მარტო

გამახსენდა, გამახსენდა,
მოდით ველად მარტო,
მოდით თითქოს ღმერთმა
ჩამოგზავნა სადარბაზოდ...
გადაგეცვა ვარდის კაბა,
თავის იის მოსასხამით,,
ყვავილებში მოღელავდა,
უთეთრესი შენი ტანი,
თურმე თავი წამიგია,
რა შემხვდება შენს სანაცვლოდ?
გულის კარი დამრჩა ღია,
ხომ არ გინდა ჩაგისახლო?

მეც მიზეზს ვეძებ

შემოაღამდათ ვარსკვლავებს გზაში,
და ამიტომაც მოსჩანან ცაზე;
შენ კი ამდენხანს ბედის ძებნაში,
ხარ და, ვინ იცის, მიზანსაც ასცდე...
იცი, გვაშორებს, ნაღდად გვაშორებს,
მე და შენ, ალბათ, სინათლის წელი,
მინდა, რომ იყო ჩემს სიახლოვეს,
მაგრამ, ვგრძნობ, ისევ რაღაცას ელი...
ისე, გახსოვდეს, მეც მიზეზს ვეძებ,
მეც მიზეზს ვეძებ, რომ დაგივიწყო,
რამდენი რამე მოვიმიზეზე,
რომ დამენახე, რომ ჩემი იყო...
გაუშვი, დავრჩეთ ასე შორი-შორს,
მივეკედლები მე ომის ღმერთებს,
და ყველა მიზეზს ერთად მოგისპობ,
ჰო, ასე ვფიქრობ, თავს ვიიმედებ...
თავს ვიიმედებ, თუმცა, ვინ იცის,
სად წყდება ჩვენი შეხვედრის ბედი,
რომ ყველაფერი ხდება პირიქით,
მე შენ და შენ კი ეშმაკებს ეტრფი!!!
დაჭრილი გედი გამოდის ზღვიდან,
და ისევ, იცი, მიილტვის ცისკენ;
მე შენი ლურჯი თვალები მინდა,
თუმცა კი, ვიცი, ვეღარ მომიწრებ...

თვალს ვერ გაცილებ

ამ სილამაზემ ისე დამლალა,
თვალს ვერ გაცილებ, თვალს ვერ გაცილებ,
ყველა ვარსკვლავი უკვე ჩამქრალა,
შენ კი, როგორც ჩანს, კვლავ შემაცდინე...
კვლავ შემაცდინე, რადგან ყველაფერს,
შენით ვზომავ და შენით ვაფასებ,
გიყურებ ზეცის ჩამონგრევამდე,
როგორ ასხივებ, როგორ ხასხასებ...
გიყურებ, სანამ თვალი დაშრება,
სანამ სიკვდილთან მშვიდად ვპაექრობ,
ან საბოლოოდ გული გასკდება,
რომ ვარსკვლავებად ცაზე ავენთო...
ვიცი, აქ, ალბათ, არც მიწერია,
შენით ტკბობა და შენით ალერსი,
და ისიც მივხვდი, რისთვის კვდებიან,
რისთვის კვდებიან ქალის მკლავებში...

კოცნა (მარის დაბადების დღისთვის)

არ უწერიათ ვარსკვლავებს
ალბათ მიწაზე ჩამოსვლა,
რადგან აქ შენა გნახავენ,
გამოიწევენ საკოცნად,
შენ გული შეგიფართხალებს,
ისე ნაზად და საოცრად,
ააფახულებ წამწამებს,
ალბათ, სახეზეც დაგფოთლავს,
არც დღეს მჩუქნი და არც ღამეს,
ნუ შიშობ, კოცნა არ მოგკლავს...

რა სათუთი ხარ

რაც არ უნდა ვთქვა, რაც არ უნდა ვთქვა,
ალბათ, გამამხელს მაინც თვალები;
ასე მგონია თვალებს უყვარხარ,
გულს კი არაფრით არ ეკარები...
განა იმიტომ, რომ არ უნდიხარ,
ანდა რაიმე ნაკლი გიპოვა...
რა სათუთი ხარ, რა სათუთი ხარ,
თეთრად გაშლილი ალუბლის რტო ხარ...
და რომ შეგეხო, ვშიშობ, ძვირფასო,
არ შემრჩე ფოთლებშემომარცვული...
ამას სჯობს ისევ სხვამ გაგიტაცოს,
მე დამიტოვო მხოლოდ წარსული...
რომც გკითხო, ალბათ, პასუხს ვერ გამცემ,
რატომ მიდიან გაზაფხულები...
და ის ვინც გვიყვარს წრფელად ყველაზე
რჩებიან გულებგაკაწრულები...

მენანება

მენანება, მენანება, ჩვენი თავი მენანება,
რატომ გავჩნდით ასეთ დროში, ის არ არის ჩვენი ღირსი,
ისე მომწონს და მანცვიფრებს, შენი მკერდის ელვარება,
თუნდაც თავსაც გაწირავდი მაგ ზღაპრული თვალებისთვის...
შენ არ ჩანხარ, შენ არ ჩანხარ, თითქმის უკვე ორი დღეა,
ვისთვის ორი, მაგრამ ჩემთვის არის მთელი საუკუნე,
სული შენი ანგელოზთა მოხატული სამოთხეა,
სად გაფრინდი, ვისთანა ხარ, ან სურვილებს ვის უსრულებ...

შენ არ ჩანხარ, მაგრამ წამით ჩემ სარკმელზე ისახები,
როგორც ხატი ზეციური, როგორც სუთქვა ველის ქართა,
თმები მხრებზე დაფენილი, როგორც შუქი ცისარტყელის,
და რად გიკვირს თუ კი შენში, სწორედ სული შემიყვარდა...
მოდლი ერთად, ისევ ერთად, გადავსახლდეთ სულ სხვა დროში,
სად სულიერს და უსულოს, მართლაც, სუფთა ხელი მართავს,
წამო, თუნდა ზეცის იქით, სულ სხვა, უცხო სამყაროში,
რომ არავინ, სულ არავინ, იქ არ იყოს ჩვენ ორს გარდა...

მენანება 2

მენანება, მენანება,
აუ, ისე მენანება,
რალას მიდის, რალას ქრება,
სიყვარული თუკი ჩნდება...
რად აღმოვჩნდით ასეთ დროში,
თუ არა ვართ მისი ღირსი,
რად ვათენებ ღამეს ლოცვით,
რატომ გიწერ ლექსებს სისხლით...
რად მაოცებს დღემდე ასე,
შენი სულის ელვარება,
ან ანგელოზს რად გამსგავსებ,
აისებს რომ ემალება...
ისე მომწონს, ისე მომწონს,
მაგ გულმკერდზე თმების ჩრდილი,
ვით ბატკანი სააღდგომო,
შუბლზე კულულატკრეცილი...
შენ არ ჩანხარ, შენ არ ჩანხარ,
ორი დღეა, თითქმის, უკვე,
წვიმს და შენ ხომ პეპელა ხარ,
იქნებ წვიმით გაილუმპე...
ვიცი, ვიცი, დაიღალე,
ვეღარ დაფრენ სველი ფრთებით,
უსასრულო გახდა ღამე,
მე კი რიჟრაჟს ველოდები...
რომ აისის სხივებს ავყვე,
სხივი წამსვე გაგათბობდა,
ალბათ, სულაც, იქნებ, აქვე,
ნექტარსა სწოვ ყაყაჩოდან!!!

ეს შენს სილამაზეს

შენს გახსენებას ახლა მერჩია,

აღბათ, შავი ზღვა გადამეცურა...
გული ვერაფრით გადაგეჩვია,
თორემ მე ისევ ვარ ჩემებურად...
ეს დროც ტვინს ბურღავს, უკვე დილიდან,
იწყება რაღაც გლოვის ზარები,
ასე მგონია, რომ მოსჯილი მაქვს,
სულ ნერვის ფლეთა და კოშმარები...
კი, დღე არ გავა, ვუშვებ შეცდომას,
რატომღაც ყველგან ფეხი მისხლტება,
ისე ძნელია დღეს უშენობა,
არ შემიძლია გადავიწყება...
ასე მგონია, შუა ზღვაში ვარ,
და ყველა მხრიდან მიტევს ტალღები,
ჩემი ცხოვრება სულ თამაშია,
სულ ნაღვერდლებზე დავიარები...
შენ კი ასეთი ლამაზი რომ ხარ,
და ყოველ დილას ასე მაბრუნებ,
შენ, იცი, უკვე რამდენჯერ მოგკალ?
დაგწვი და ფერფლად მიმოგაბნიე?
ასეა, მითხარ, გველზე ლამაზი,
გველზე ლამაზი სხვა რამ არსება,
ან როგორ გააქვს მის კანს ხასხასი,
რა დიდებულად მიიზღაზნება...
მაგრამ, ძვირფასო, შხამით სავსეა,
მისი ორკაპა ენის ნესტარი,
შენი სიკვდილი უკვე გზაზეა,
და ჩემიც, ვიცი, სწორედ დღეს არი...
სიკვდილი დგება, როცა ხსოვნიდან,
ამოიშლება ყველა ძაფები,
მე დღეს სატანა შენს თავს მომიტანს,
და, აღბათ, ერთად დავიმარხებით...

ვინ შეაფასა

რაც იყო, იყო, წავიდა, მორჩა,
ყველანი ვგავართ ცის ეტლის მგზავრებს...
მოვედით, ზოგი მეფე აღმოჩნდა,
ზოგიც მას უნდა მონებად ჰყავდეს...
რამდენ დედოფალს, რამდენ მეჯლისში,
უტარებია დრო კოპებშეყრილს...
და თვით თავებიც გალიმებისთვის,
მოუკვეთიათ მასხარებისთვის...
ჰო, ყველაფერი გვყირჭდება ბოლოს,
მხოლოდ გიჟია თვითკმაყოფილი;

მზემ მთვარე უნდა დაიახლოვოს,
მთვარეს მოსწონდეს მისი პროფილი.
ასეა, სანამ მთვარე შეამჩნევს,
რომ მზესაცა აქვს თავის ლაქები;
და მალე მზეს ის გალიმებაზე,
აღარ შეხედავს იმ აღტაცებით...
აღარ შეხედავს, როგორც ვერ ვამჩნევთ,
მე და შენც ერთურთს დიდი ხანია,
და რეაქციაც გალიმებაზე,
ესაა, მართლაც სხვა რეაქცია...
თავისუფლება მხოლოდ შენშია
ვინც გინდა იყავ, მეფე, ყმა, მონა,
განა მეფობა უკეთესია?
ვინ შეაფასა, რამ აიწონა?

ტკივილი

ვფიქრობ, რა არის ეს ჩემი გული,
რატომ ჰგავს, ნეტა, სამშობლოს ასე...
რაღაც ტკივილი, სასტიკი, მგლური,
თითქოს ხელიდან ოცნებებს მტაცებს...
და მეც პირს ვაღებ, ყმუილი მინდა,
რომ გულს ზედიზედ ხვდება ტყვიები,
და მერე თითქოს იმ ტკივილიდან,
ჩნდებიან მთელი პლანტაციები ...
სად გაიქცევი, თუ ირგვლივ ყველგან,
ყველგან ტკივილის მთელი მთებია,
და იწვის სულიც ასე ნელ–ნელა,
უცრემლოდ, როგორც ომში კვდებიან...
იცი, მინახავს სულის ამოსვლა,
როგორ ცივდება მერე სხეული,
აღბათ ესაა მეორედ მოსვლა,
სამშობლო ორად გადამსხვრეული...

ბეთჰოვენის მე–9 სიმფონია

გაშმაგებული სამყაროს ვიქმნი,
გაცეცხლებული, გაცოფებული...
წავლეკავ ყველას, ვინც ხელს შემშიშლის,
ზევსი ვარ მტრებზე ამბოხებული...
ღმერთებო, ყველამ განახვინეთ კარნი,
დაველოდები აისს, ალიონს,
დარისხებულნი გრგვინავენ ზარნი,
მოვდივარ, უნდა შემოვამსხვრიო!!!

მოვდივარ, მომდევს მკვდართა ლაშქარი,
თქვენ რომ ცოცხლები ასე გასწირეთ,
ველარ გიშველით ვერა სანგარი,
ჩვენ მკვდრებიც შევცვლით თქვენს სინამდვილეს!!!
განახვნეთ კარნი, განახვნეთ ბჭენი,
ხალხთა სულები შემოგესიათ,
ბრალი გედებათ სიკვდილში რწმენის,
ბედნიერება თუ თქვენს ხელშია...
ვეძახი ზღვებს და ოკეანებს,
მოვუხმობ ქარებს აღვირ ახსნილებს,
უნდა დამნებდეთ, უნდა დამნებდეთ,
სანამ სამყაროს მთლად მიახრწნილებთ...
ომებში გიწვევთ, ყველას ვინც გვახრჩობთ,
ვინც ჩვენს სულებზე დღეს იარება...
განახვნეთ კარნი, რომ დაგვინახოთ,
ვერ გაექცევით ჩვენს მრისხანებას!!!

როდესაც ქალი იღებს იარაღს (თამარ გორგაძეს)

როდესაც ქალი იღებს იარაღს,
ნეტა, რას ფიქრობს, ან რასა ნატრობს?
მაგრამ შენ, ალბათ, ქალი კი არა,
ჯადოქარი ხარ, ტყვიებს რომ ადნობს...
რომ მერე ყველას, სულ ყველა ტყვიას,
მისცეს თავისი დანიშნულება,
გასროლილი კი უკვე აღს მიაქვს,
და რიტუალიც მისით სრულდება...
გინახავს ქარი თმაგაწეწილი,
ველზე მერნებს რომ მიერეკება,
ის მკერდზე კაბა შემოფლეთილი,
ბარიერის წინ ამაყად დგება!
და როცა ტყვია მიზნამდე აღწევს,
ჭიხვინებს ცხენი ყალყზე შემდგარი,
შენ ჩემი ერთი სიცოცხლე გმართებს,
მე ამ ცოდვებში არ მიძღვის ბრალი!!!

გაზაფხული ჩემს ხელშია

ვით დედოფალს ულამაზესს
ბაღებს მორთავს გაზაფხული ...
იჩახჩახებს მზე ცის თაღზე,
მთვარესავით გაზადრული...
შენ არ ელი ამ გაზაფხულს?
გარიჟრაჟზე მზის ამოსვლას?

ნუთუ არ გსურს, ნუთუ არ გსურს,
ჩემი ნახვა, ჩემი კოცნა...
რომ იცოდე, არა ვტყუი,
გაზაფხული ჩემს ხელშია,
მისი ყველა ნაკადული,
ჩემს ველ–მინდვრებს შეესია...
ნუ ჩურჩულებ, ნუ ჩურჩულებ,
გახსენ ბაგე, მითხარ რა გსურს...
გაგინათებ თუნდ უკუნეთს,
თუნდ გაჩუქებ ამ გაზაფხულს...
ოღონდ ჩემი უნდა იყო,
გაიშალო ჩემს წინ თმები,
ყველაფერი დამავიწყო,
გასკდეს გული მღელვარებით...
მზისფერ ველზე ყვავილები,
მოგვიქსოვენ ნატვრის ფარდაგს,
იცი, როგორ მეყვარები?
როგორც ძველად ჩვენს წინაპართ...

სიმართლე მარად

ახლა კი ვხვდები, პოეტი თურმე,
პოეტი მუდამ მარტოა ყველგან,
რადგან ვერავის გუნდრუკს ვერ უკმევს,
და რაცა ხდება იმასვე ხედავს...
არც არასოდეს, ჰო, არასოდეს,
არ პატიობენ პოეტებს, არა...
რადგან სიმართლეს უნდა ამბობდეს,
სიმართლე ყველგან, ყველგან და მარად...
კი შაბლონია ეს ყოველივე,
ასეა, მაგრამ ვერაფერს იტყვი;
ღმერთი შეცდომას ერს აშვებინებს,
ხოლო, პოეტი ზღავს თავის სისხლით!!!

მეც გაჩუქებ იასამანს... (მარინა სოსელიას)

მაშინ, როცა გაიშლება,
მეც გაჩუქებ იასამანს,
შემიფარებ თუკი შენთან,
დამავიწყებ რაც სულს ხრამავს...
დამავიწყებ, რაც გულს შიგნავს,
ამ ყველაფერს დამავიწყებ,
ამომათრევ მორევიდან,

მე რომ მთელი ძალით მითრევს...
ხედავ ქუჩებს, ყველას ერთად,
სევდის ფერი მოსდებია,
დილაც ისე ფრთხილად ფეთქავს,
დილას სუსხის ფოთლები აქვს...
მაგრამ თუკი გაიშლება,
მეც მოგიტან იასამანს,
რონ გავფანტო შენი სევდა,
დაგავიწყო რაც გულსა ჰკლავს...
თუ კი ისევ, როგორც შარშან,
დაახვავებს სურნელებას,
თუ გადარჩა, თუ გადარჩა,
ამ ყინვათა უმეცრებას...
ხედავ, მართლაც ველოდები
იასამნის ყვავილობას,
მომამშველე შენი ფრთები,
შენი სული, შენი ტრფობა...

შენთან ყოფნა მენატრება (მარი ბერძენას, დაბადების დღე ჰქონია და...)

რას ვზეიმობთ? დაბადებას?
თუ იმას, რომ წელსა ვკარგავთ?
შენთან ყოფნა მენატრება,
შენ კი ალბათ, სხვებთანა ხარ...
ვიცი, ალბათ, არა გჯერა,
არა გჯერა ამ სიტყვების,
მაგრამ ხშირად ბედისწერა,
სიურპრიზებს გზავნის ჩვენთვის!!!
როგორც ხედავ, ჯერაც ისევ,
თებერვალის ქარებია,
შენ ვერავინ დაგივიწყებს,
თუკი ვინმე გყვარებია...
მეც იმათში მიმათვალე,
ვინც შორიდან შენთვის იწვის,
ვინც შეაკვდა ამ გრიგალებს,
ამ ბავშვური ზღაპრებისთვის...
ისე მესმის, იცი, შენი,
რალაც მაინც გიხარია,
ვტკბები, ვტკბები, შენი ცქერით,
თუმცა, მგონი, სიზმარია...

რა გვიანია

რატომ მგონია, სულ ახალ-ახალ,

სულ ახალ-ახალს მიჩენ თავსატეხს,
რომ დავემსგავსე, მართლაც, უნახავს,
და უკანასკნელს ველი განაჩენს...
სულ მალე, ალბათ, გაზაფხულდება,
ალბათ, ბუნებაც გაიაპრილებს,
მე კი, ვქცეულვარ შენს მაყურებლად,
და არაფერიც აღარ მაკვირვებს...
აღარ მაკვირვებს, როგორ ეშვება,
ერთად მთებიდან ასი ჩანჩქერი,
ან ოცნებანი როგორ მემსხვრევა,
ამ ბოლოს ასე შემონაჩვევი...
აღარ მაკვირვებს მგელთა თარეში,
არც მზის ამოსვლა აღარ მაკვირვებს,
ასე მგონია ფსკერზე დავეშვი
და სიზმრებში ვცვლი ამ სინამდვილეს...
სიზმრებში სადაც არ ცოფდებიან
ზღვები, არც ლურჯი ოკეანენი,
და არც ეჭვები მაბობდებიან
ლიფსიტებივით მოფართხალენი...
სადაც მშვიდად ვარ და არ ვაწყდები,
როგორც ტუსადი ციხის ცივ კედლებს,
სადაც არ ფასობს ჩვენი განცდები,
და ისევ ვცოცხლობთ სიკვდილის შემდეგ...
მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებანია
და არავინ ჩანს ჯადოს ამხსნელი...
რა გვიანია, რა გვიანია,
და რა სასტიკი შენი სასჯელი!!!

ნუგეშის მეტს არას მოველი

ასე მგონია, შენი სული მეძახის თითქოს,
და ერთდროულად ათასობით შეკითხვას მისვამს,
შეკითხვებს მისვამს, და თან ჩემგან პასუხებს ითხოვს,
პასუხს, რომელსაც გავურბივარ, როგორც დარიშხანს...
რა გიპასუხო, გაზაფხულის ამ პირველ ღამეს,
რომლის შემოსვლას უკავშირებს ხალხი იმედებს,
მე კი, რატომღაც, სწორედ ახლა შემომეცალნენ,
ვინც კი ოდესღაც თითო სიტყვა გამოიმეტეს...
შენგან კი, შენგან, ნუგეშის მეტს არას მოველი,
იცი, ეს ღამეც, ეს ღამეც კი სევდისფერია,
მხოლოდ თვალები, ეგ თვალები დამათრობელი,
რატომ მგონია, რომ ღმერთებსაც მოერევინ...
მოდით, მაჩუქეთ, სიყვარულის თუნდაც ნაფლეთი,
შენ მე კი არა, გაზაფხულსაც თავბრუს დაასხამ,
გამოვიარე ყვავილების ოკეანეთი,

შენთვის, სულ შენთვის, შენ კი ჩემი მაინც არა გწამს!!!

მე ისევ ის ვარ

მე ისევ ის ვარ, დიდება მახლავს,
არა მცილდება არცერთი წამით,
ეს ჯადოსნური წრე უნდა გავხსნა,
მარადისობას შევავლო თვალი!
მე ისევ ის ვარ, ჩემ ბედის ვარსკვლავთ,
მე გავუმართლე ყველა იმედი,
იკაშკაშებენ ხვალ უფრო ნათლად,
და უფრო მეტი გამოსხივებით!!!
მე ისევ ის ვარ, არ ვიცვლი რწმენას,
თუმცა ჩემს გვერდით ბევრნი დაეცნენ...
მივალ, მივაფრენ ჩემს ფრთოსან მერანს,
გაუვალ გზებზე და ნაპრალებზე...
მე ისევ ის ვარ და ჩემს ქარიზმას,
ვერაფერს უზამს ელვა და მეხი...
მე გადმოგცქერით იმ მწვერვალიდან,
სადაც არავის დაუდგამს ფეხი!!!

საით გაფრინდნენ ჩემი მუზები...

სად გაქრნენ, რატომ შემომეფანტნენ,
საით გაფრინდნენ ჩემი მუზები...
ან ასე სწრაფად რად მომენატრნენ,
მუდამ ჩემს გვერდით მოფუტფუტენი....
გაფრინდნენ, ყველამ მარტო დამტოვეს,
გადაიყვარეს ჩემი ლექსები,
ერთიც არ დაფრენს ჩემს სიახლოვეს,
არ მესმის მათი ამოკვნესები...
მე კი მინდოდა, როგორ მინდოდა,
მეხარებინა ეს გაზაფხული,
სანამ იები ამოვიდოდა,
და სიყვარულსაც უდგია სული...
მაგრამ ვინ იცის, ვისთან გალობენ,
ვინ მოაწონათ თავი ოხერმა,
თავისი ქნარი ვის უწყალობეს,
რომ აღარ უნდათ ჩემსკენ მოხედვა...
გაზაფხულია, გაზაფხულია,
მარტო ვდგავარ და ზეცას ავცქერი,
წუხელ აქ მუზებს გადაუვლიათ,
და წაუღიათ ზამთრის ნამქერი...

რა მოხდა ცოტა გაგითამამდე

აქ რომ მნესტრავენ, აქ რომ მშხამავენ,
შენთან მოვრბივარ, სულს შენთან ვითქვამ...
რა მოხდა, ცოტა გაგითამამდე,
ყოველთვის არა, მხოლოდ ხანდისხან...
როგორც ყველა ზღვაც ეგ ზღვაც ლურჯია,
თუ როგორ ჰქვია? მგონი წითელი...
შენთვის გულმკერდი გადაუხსნია
და შენც ზღვასავით ხარ ფეხშიშველი...
არ დამაცლიან, არ დამაცლიან,
ხომ, ვიცი, ბედი აქაც მომაგნებს,
ამბობენ, რომ ზღვას გული წასვლია,
გული წასვლია, შენს თოთო კანზე...
წარმოიდგინე, მე რა დღეში ვარ,
თუ ზღვას ასეთი რამ ემართება,
ეკლებზე ვზივარ, ეკლებზე ვზივარ,
როცა ზღვა ვნებით შენს კანს აცხრება...
რა უძლოური ვარ, რა უძლოური ვარ,
ან სხვა ვინ არის ამ ზღვის მომრევი,
მოვწამლავ წყალს და ამ ზაფხულიდან,
კვლავ აგორდება ჩვენზე ჭორები...

გადახსენით, გადახსენით, თაღები.

ზოგი მხოლოდ მარგალიტებს აგროვებს,
მე ყველაფერს ერთად მივეხვეტები...
ჩემი დარდი, ჩემი დარდი არ გქონდეს,
მე სიკვდილსაც ხელგაშლილი შეეხვდები...
არ გეგონოს, რომ სიცოცხლე არ მიყვარს...
მე ხომ თითქმის ყველა წუთით ვტკბებოდი,
უთვალავჯერ გასკდა გული დარდისგან,
სიკვდილს ლამის კოცნით ვეგებებოდი...
ჰოდა, ისიც ჩაბოღმილი მტოვებდა.
მიჰყვებოდა უკან ჩემი ხარხარი...
როცა მთები ზვავენს მოაგორებდა,
როცა ველებს ედებოდა ხანძარი...
ახლაც ისევ აიშალნენ ჯანღები,
ქარიშხლები მიჰკაფავენ ალიონს,
მე კი სადმე სიკვდილს ჩავუსაფრდები,
და მაგისი სისხლი უნდა დავლიო!!!
არ გეგონოს ეს სიტყვების თამაში,
ან ხუმრობა მტრისგან შემოგდებული,
ბედისწერას ავყოლივარ კამათში,

ისიც მებრძვის მუდამ გაცეცხლებული...
გადახსენით, გადახსენით თაღები,
ზეცისაკენ სადაც ღმერთებს ელიან,
მიმაფრენენ ისევ ბედის ტალღები,
გზა მომეცით, გზა, ეს ჩემი წელია!!!

დავივიწყოთ

მინდა, იცი, დავივიწყოთ,
წყენა, გულისტკენანი,
და დღეიდან ისე ვიყოთ,
როგორც, თუნდაც, ყველანი...
გვალვიძებდეს გალობანი,
ამ ყვავების გარეშე;
გვიხაროდეს ყველა წამი,
არ მიბრუნდე ალერსზე...
რომ უბრალოდ მთელი დილა,
მხოლოდ გველიძებოდეს,
ყველა სიტყვა გვეთქვას ტკბილად,
აზრიც გვეტკბილებოდეს...
ჩვენს გარშემო იყოს მხოლოდ
თბილზე–თბილი განწყობა,
დავივიწყოთ, დავივიწყოთ,
ყველა წყენა რაც გვქონდა...

მინახავს ქალები (ირინა ტრეტიაკს)

მინახავს ქალები, მინახავს ქალები,
რომლებსაც ვუყვარვართ და ჩუმად იწვიან,
შენც, ვიცი, ვიცი, რომ ჩუმად გეყვარები,
იწვები, იწვები და ვერც შენ გითქვია...
რა უჭირს, ხან მეც კი ვერ ვამბობ ჩემ სათქმელს,
და ხშირად მდედრის წინ ბრინჯივით ვიბნევი...
მითხარი, მითხარი, რაც უნდა ღელავდე,
ჰო, თორემ, იცოდე, მეც გადავირევი...
ვინ იცის, ვინ იცის, რამდენჯერ გვიყვარდა,
რამდენი წავაგეთ ამ ჩვენი სიჩუმით,
არადა, რა ახლოს ვიყავით მიზანთან,
ვინ უწყის, ვინ უწყის, ვინ უწყის, ვინ უწყის...
გაბედე, გაბედე, არც ისე ძნელია,
ჩამხედო, ძვირფასო, გახელილ თვალებში,
ჩამხედე? კითხულობ, თუ შიგ რა წერია?
მაკოცე, მაკოცე, ვჩურჩულებ, არ გესმის?

შენ კი ცივ ნიავს არ აკარებდი

ვის, როდის, ანდა, სად შეგახვედრებს,
ბედი, ვისა აქვს ამის პასუხი...
ხან ტალღებივით კლდეებს გვახეთქებს,
ხან გვისვრის სადღაც გადაკარგულში...
ისეთ სიყვარულს გადაგავიწყებს,
უმისოდ წამსაც რომ ვერა სძლებდი...
თვალწინ დაგიწვავს ყველა ნატვრისხეს,
შენ კი ცივ ნიავს არ აკარებდი...
და ხმება, ხმება, ჩვენი ფესვები,
შენ რომ საკუთარ სისხლითა რწყავდი,
ერთსა გთხოვ, ჩემ სულს ნუ შეეხები,
შენ, კარგად იცი, როგორც მიყვარდი...

რისხვით მობრუნდა წელი ახალი (თამუნა ხელაძეს)

წელი არ ვიცი, შენ კი, რატომღაც,
შენი თვალებით დამამახსოვრდი,
ნუ დაიბუდებ, გთხოვ, ჩემს მახლობლად,
ვშიშობ, არ დამწვა ამ სიახლოვით...
მე რაც რამ მქონდა უკვე გავიღე,
გატყორცნილია ყველა ისარი,
თავის რიცხვი აქვს ყველა თარიღებს,
შენ კი, რატომღაც, გადამისწარი!
და როცა ჩემსკენ მობრუნდი რისხვით,
და გამიყარე შენი თვალები,
თვალები სავსე ცრემლით და სისხლით,
თანაც უსაზღვროდ სევდიანები...
მივხვდი, რომ სადღაც ზღვარს გადავედი,
რომ ყველა ნაღმი ერთად აფეთქდა,
რომ სევდიანი შენი თვალები,
ჩემი თვალების ბროლებს ამსხვრევდა...
ძვირფასო, განა რა შეუძლია,
სულს ამდენ გზებზე ნახეტიანებს,
თუ გული შხამით გავსებულია,
და სისხლს ვერ აწვდის ჩემს კაპილარებს...
იცი, რას ნიშნავს ასე ლოდინი?
ან უაზრო თვლა გასულ დამეთა?
როცა ცივია შენი ლოგინი,
და შიგ ვნება წევს ოკეანეთა...

მაპატიე (მაიკოს, ფერაძეს)

მაპატიე, თუკი რამე შემეშალა,

მე ხომ ხშირად, ხშირად ვუშვებ შეცდომებს,
მეც არ ვიცი, მეც არ ვიცი, რამ შემშალა...
წარამარა შენს სახელს ვიმეორებ!!!
სულ არ მიყვარს, სულ არ მიყვარს სინანული,
რას უშველი კაცი ცრემლის ღვარღვართ,
როგორც ჩიტებს, ჩიტებს უყვართ ჟრიამული,
ამყევი და შენც ჟრიამულს გასწავლი...
რა თქმა უნდა, მიყვარს ქალში სილამაზე,
მიყვარს, თუკი მთვარესავით ანათებს,
შენც ანათებ, შენც ანათებ ჩემს ცივ ცაზე,
და ჩემს მარტივ არსებობას ამართლებ...
შენც გრძნობ, შენც გრძნობ, დავმუნჯდი და ხმას ვერ ვიღებ,
შენ გგონია, რომ რაიმეს ვაჭარბებ?
შენ თუ არა, მაშინ, წავალ, სხვა გამიგებს,
და ჯანდაბას, თუკი თავსაც წავაგებ!!!

ის რაც დღეს გვიყვარს (მადონა თევზაძეს)

რაღაც უცნაურ, შორეული ტრფობით გეტრფოდი,
მოკრძალებისთვის, სინაზისთვის, საფაქიზისთვის,
გეტრფოდი, მაგრამ გულში მუდამ მენანებოდი,
შენც ხვდები, ალბათ, რომ, უბრალოდ, იყავი სხვისი...
შენც ხვდები, ალბათ, რომ ცხოვრება დომინოს პრინციპს,
გვეთამაშება, და დარდი დარდს უნდა აებას...
ის, რაც დღეს გვიყვარს, მოგვწონს, ანდა, უბრალოდ გვიღირს,
დაგვაიწყდება და ხსოვნაში ჩაიმარხება...
ვერ დააბრუნებ, ვერასოდეს წამის მეასედს,
ჩვენ ხომ ყველაფერს, სულ ყველაფერს ვკარგავთ თანდათან,
და რაც არ უნდა, რაც არ უნდა ძვირად შეფასდეს,
ის წარსულია, დრომ ჩაყლაპა, მორჩა, დამთავრდა...
მაგრამ არსებობს ბუნებაში რაღაც ძალები,
ნუ გელიმება, დამიჯერე, მართლა არსებობს...
ვიღაცას ერთხელ უეჭველად შეუყვარდები,
ვიღაცამ ერთხელ არ იქნება არ გაგაღმერთოს...
ეს მინდა, თორემ, მეც არ მჯერა ჩემი სიტყვების,
ოდნავ ვუყვარდეთ, გაღმერთება რაში გვჭირდება;
აი, მე შენი სამდღიანი დარდი ვიქნები,
ხოლო, შენ, ჩემი სიხარული და აღტკინება!!!

როცა მნახავ

დღეს გალობაც მესმის როგორც განგაში,
ველარ ვარჩევ, ველარ ვარჩევ სახეებს,

მე მიყურებს, ვხედავ, მთელი დარბაზი,
მკვდარი ვარ და სუდარაში მახვევენ...
მკვდარი ვარ და ველოდები რომელ კარს,
რომელ მხარეს გამიმძილებს განგება;
გებვეწები, საბოლოოდ მომეკარ,
ამდენ სევდას სული ვერ უმკლავდება...
ქარი კარგავს, ქარი კარგავს ნიავეს,
და ისინიც ჩვენს გარშემო დაძრწიან;
როცა მნახავ, როცა მნახავ, მიაძბე,
ჩემი გვამი რომელ ბორცვზე მარხია...
მომიყევი, როგორ უძლებს ქარიშხლებს,
წვიმებს, ყინვებს, მეწყერსა და ნიაღვრებს,
თუ დამშვიდდნენ მოსვენება აღირსეს,
მწუხარება შენი გაიზიარეს...
მომიყევი, მომიყევი რად იყო,
ეს ცხოვრება უსახური სიზმარი,
არასოდეს ვთამაშობდი ტრაგიკოსს,
თუმცა მუდამ ტრაგიკოსი ვიყავი...
ყველაფერი, ყველაფერი დამთავრდა,
ეს ქარები ქარიშხლობენ ღამეში,
ელვამ მყინვარს ყელი გამოაღადრა,
მე გრიგალი მიმასვენებს დამეხილს...

მეც მაოცებს

მეც მაოცებს, მეც მაოცებს ეს ცხოვრება,
რომ ჩნდებიან შენისთანა ლამაზები...
გაკოცებდი, მაგრამ აღარ მეკოცნება,
ძველი ჟინით, ძველებური გატაცებით...
შენ კი, ალბათ, ელოდები სიურპრიზებს,
ან უფლისწულს, ოქროსთმიანს, თეთრი რაშით;
ელოდები საცეკვაოდ ვინ გაგიწვევს,
ვინ აგყვება, ვინ აგყვება სიმღერაში...
ჩააქსოვე, ჩააქსოვე ყველაფერი,
შენი ეშხი, შენი სუნთქვა ყოველ ტაქტში,
გადახარე საკოცნელად ფრთხილად ყელი,
მგონი, კოცნაც დამავიწყდა ამ ღელვაში...
მელოდია სადღაც ცაში გაგვიტაცებს,
ნუ გაუშვებ, ნუ გაუშვებ შანსს ხელიდან,
მოკვდებოდი, კარგი, თუნდაც, არ გიყვარდე,
რომ სულ ერთხელ, ერთხელ მაინც გაგელიმა...

რაღაც საოცარ ულამაზეს სიმღერას ჰგავხარ

რაღაც საოცარ, ულამაზეს სიმღერას ჰგავხარ,

რომლის მოსმენა ძილშიაც კი არა მბეზრდება...
და როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს ეს გარდასახვა,
შენს დანახვაზე სანთელივით სულს რომ ედება.
შენ სევდაცა ხარ, სიხარულიც, დარდიც, იმედიც,
მე შენს სახეზე ამ ყველაფერს ერთად ვკითხულობ;
მე კი უბრალოდ, ჰო, უბრალოდ გეარწივები,
შენ კი სულ ასე, მინდა, მინდა, მეთაიგულო...
ო, როგორ მინდა თავი ჩავრგო შენს ყვავილებში,
როგორც ფუტკარმა შევაგროვო შენი ნექტარი,
შენი მტევნები სხმარტალებდნენ ჩემს ცხელ თითებში,
და შენი თაფლის სურნელებით ვიყო შემთვრალი...
მოდის, ძვირფასო, მოდის, ნულარ დავაგვიანებთ,
ნუ მიმატოვებ შენი ნდომით აგიზგიზებულს,
სანამ მოწყდება მთებს ზვავები და ჩამიტანენ,
სანამ ამ მხამებს გამოვცლიდე გალიცლიცებულს...

შენ, ალბათ, ხვდები...

შენ, ალბათ, ხვდები, როგორ ვიბრძვი საკუთარ თავთან,
ბუნერივით, უკვე, ალბათ, უნდა ხვდებოდე,
ასე მგონია, რომ ცხოვრებამ სილა გამაწნა,
მაქვს კი უფლება, თუნდ, უბრალოდ, მენატრებოდე...
რა უფლება მაქვს, შენზე ფიქრის, ანდა, ოცნების,
რომელსაც ლამის ველურივით გზებზე ვდარაჯობ;
ტანზე მაცვია სიყვარულის შესამოსელი,
შენ კი არ გინდა, რომ მესტუმრო და მითანაგრძნო...
გაძარცვული ვარ, ჩემს გრძნობებზე მიდის ქურდობა,
არ შემარჩინეს გრამი სისხლის, ძაფი ნერვების...
ნუ, ნუ მიყურებ, ასე რისხვით, ასე უნდობლად,
ხომ ხედავ, ვიბრძვი, ვიბრძვი, მაგრამ თავს ვერ ვერევი...

წადი, ქვეყანა დიდია (მ.წ.–ს)

ზოგს ფერიები სწყალობენ,
ზოგს კი ღმერთები, ალბათ,
ზოგნი ძირს დაფართხალობენ,
ზოგნიც ზეცაში აჰყავთ...
შენ როგორ ფიქრობ, სიცოცხლე,
სასჯელია თუ შვება?
მაშ, ყველას რატომ ვიცოდებთ,
ვინც კი მიდის და კვდება.
სიკვდილზე მიჯაჭვულნი ვართ
ღვთისგან დაწული ბაწრით;
ეს სევდაც ღმერთის გულიდან,

მოდის, თავზე რომ გვაწვიმს...
რა არის შენი მზითვენი,
რა საგანძური, ნეტა?
ქარს ვერ გამოეკიდები,
და ვერც დაამწყვდევ ვერსად...
წადი, ქვეყანა დიდია,
ემიე შენი ცალი,
ბედს მუდამ მხარზე ჰკიდია,
თავის არწივის ბრჭყალი...

სიყვარულს ცა გაუზზარავს

ჩემს სიცივეს, ჩემს სიცივეს,
მე ვერაფრით ველარ ვათბობ,
ხელის გულზე მთვარის სხივებს
ვუბერავ და ისე ვაქრობ...
განა, მთვარეს რა ძალა აქვს,
მე კი, აბა, ვინ რას მკითხავს...
სიყვარულს ცა გაუზზარავს,
და მომკვდარა ცა ელდისგან...
რასაც ვამბობ ყველაფერი
მეც ვიცი, რომ ზღაპრებია,
მე, უბრალოდ, ტვინსა ვშველი,
რაც ვერ გაუაზრებია...
როგორ გინდა, როგორ გინდა,
შენი მზერა ავიტანო...
მე ათასი ღმერთი მცდიდა,
მაგრამ ერთიც არა მწყალობს...
რა ბრიყვი ვარ, ამ მარყუქში,
თვითონ გავყავ ჩემით თავი,
თუმცა ვგრძნობდი, სადღაც, გულში,
შენ რომ ჩემი არ იყავი...

ამოსაცნობი რაღაა ქალში? (ეკა მაზნიაშვილს)

სულ ყველაფერი ირევა მაშინ,
გზები ერთმანეთს როცა ჰკარგავენ;
ამოსაცნობი რაღაა ქალში,
წავიდნენ, გაჰყვნენ, ათას ქარავნებს...
ვინ ატრიალებს სიყვარულის ღერძს,
მითხარ, ღმერთები ვის ენდობიან?
ანგელოზები ჰკვალავენ სივრცეს
როცა მიწაზე კაცებს ომი აქვთ...
მაგრამ, მითხარი, ამ ყველაფერთან,

შენი თვალები რა შუაშია,
რა შუაშია მათ სილურჯესთან,
ზღვებს რომ ფერებად აუტაციათ...
როგორ შორსა ხარ, როგორ შორსა ხარ,
მაგრამ სიშორით ვინ დაგიწუნებს...
მე შენი თავი ზღვებმა მომტაცა,
და მას, რაც გასურდა, ზღვა აგისრულებს...

როცა ნამდვილი სიყვარულის იყო დროება (მაიკოს, ფერაძეს) და ყველას, ძველებს და ახლებს, გილოცავთ გაზაფხულის დადგომააას!!!

არა, მგონია, ქარიშხლები ბუდობდნენ შენში,
მაგრამ მე მაინც, შენთან ყოფნას ვარჩევდი ამ დღეს...
გაზაფხულივით ჩამხედავდი ურცხვად თვალებში,
წაიკითხავდი უამრავი ქალების ანდერძს...
რომლებიც ბლომად დამიტოვეს ცხელი კოცნებით,
როცა ნამდვილი სიყვარულის იყო დროება,
კი, ბევრნი იყვნენ შენნაირი ანგელოზები,
და დამილოცეს მომავალი მათმა კოცნებმა...
ახლა კი როცა ღამეები ასე გამკრთალდა,
და ტრფობაც, ჩემი, იშვიათი გახდა სტუმარი,
ეგებ შენ შესძლო ჩემთან მოსვლა, ისე, ხანდახან,
რომ შემიკეცო სიყვარულის თავსასთუმალი...

მცირე ხნით შენი სული მათხოვე (მ.გ.–ს)

შენ ჩემთანა ხარ, შენს სიახლოვეს,
ისე ვგრძობ, როგორც ამ გულისძგერას...
მცირე ხნით შენი სული მათხოვე,
რომ მოვეფერო, როგორც პეპელას...
რომ შენი სულით გაბრწყინებულმა,
შენსავით პეპლის ფრთებით ვიფრინო,
ან როგორც თერგმა ადიდებულმა,
კლდეები რისხვით ჩამოვიგრგვინო...
თუ წახვალ, სული მე დამიტოვე,
მე შენზე მეტად გავუფრთხილდები...
წვიმა წამოვა, თოვლი ითოვებს,
ელვა მეწვევა თუ ქარიშხლები...
ჰო, შენ თუ წახვალ, ჩემთან ყოველთვის,
შენი ლამაზი სული იქნება,
და ჩემს ნაღვლიან საღამოებში,
შენი სხეული დამესისზმრება...

შენ იმედი როგორ მანდე (სოფიო გ-ს)

რატომ გვჯერა, რატომ გვჯერა,
ბედნიერი დღეებისა,
მზემ პირჯვარი დაიწერა,
ერთგულება ცას შეჰფიცა...
და მას მერე ერთგულია,
ცაზე მეტად არვინ უყვარს,
მთვარე დაღონებულია,
მოკვდა მთვარე, დაიღუპა...
შენ კი, შენ კი, ვისზე ფიქრობ,
ნეტა, ვისი გული გინდა?
ვის უნახავ, მაგ შენს სითბოს,
რომ ასხივებ თვალებიდან...
ნეტა, ვისი ერთგული ხარ,
ეს ვიცი, რომ ჩემი არა...
მე, უბრალოდ, ბედკრული ვარ,
ნაყოფიან-ფესვიანად...
წავალ, მთვარეს ვეჩვენები,
მას გავუყოფ დარდს და ნაღველს,
ვეტყვი, მე რომ შენთვის ვკვდები,
დარდები რომ გამიახლე...
ვეტყვი, ტრფობის ხე რომ დავრგე
და გაზაფხულს როგორ ჰგავდა...
შენ იმედი როგორ მანდე
და მე როგორ დამეკარგა...

ზღვა გაგრუჯავს ვით მულატკას

ზღვა გაგრუჯავს, ვით მულატკას
და პრიალებს შავი კანი,
ნუ მექცევი ასე მკაცრად,
ზღვა საოცრად წყნარი არი...
მაგრამ შენც ხომ კარგად იცი,
ამ სიმშვიდეს რაც მოჰყვება,
ზღვა ხომ თავის ტალღებისთვის
მსხვეპლს ითხოვს და მერე ცხრება...
და მეც მისგან გადამედო,
ეს სიმშვიდე დროებითი,
ჩემთან მოსვლა არ გაბედო,
მეც ზღვა ვარ და ჩუმად ვიცდი.
ვიცდი, სანამ გულუბრყვილო
ჩემი მსხვერპლი გამოჩნდება,
ვერსად წახვალ და ნურც ცდილობ,
ლოყას ვეძებ საკოცნელად...

რად მიყვარდები

ვერ გავაღვიძე შენში მე მხეცი,
რომ აგელოკა ჩემი ნატვრები,
და უმიზეზოდ თავს როცა მესხმი,
ვერ გეტყვი ასე რად მიყვარდები...
და თითქოს რაღაც ძვირფასს მართმევდნენ,
როდესაც ვიჭერ ნაღვლიან მზერას,
დღეები გადის და მიმათრევენ,
მეც სიკვდილისკენ, როგორც ჩვენ ყველას...
მითხარი, როდის ზეიმობს სული,
მითხარი, რაა, მისი წამალი...
საიდანა ვართ ქვეყნად მოსული,
როგორ გადავრჩე, ხომ ვერ მასწავლი...
ხომ ვერ მასწავლი, როგორ ვებრძოლო,
სევდას, მოხეტეილს მღვრიე ზღვასავით,
თუ რამ მაკავებს ერთი, შენ, მხოლოდ,
შენ შემრჩი ცოცხალ თილისმასავით...
ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რაც არასოდეს არ მიფიქრია,
მძინავს და ისე გადავიღალე,
გამოღვიძებაც არ შემძლია...

კაი, დამისხი ეგ შენი სევდა...

კაი, დამისხი, ეგ შენი სევდა,
ღვინის მაგიერ მაგ სევდას დავცლი,
დამისხი, სანამ არ გაივსება,
სანამ სიცოცხლეს ეს ზეცაც მაცლის...
თოვს შენს თვალებში და ღიმილს ფარავს,
თოვლს წამწამები დაუფარია;
მე შენს თვალებში მაგ თოვლს მივკვალავ,
ეს, შენ რომ უმზერ, ჩემი კვალია...
ვიცი, რომ ღრმაა შენი თვალები,
და იმდენ, იმდენ რამეს იტევენ,
ვერც გეტყვი, ასე რატომ დაგნებდი,
მე თუკი შევცდი, შენ მომიტევე!
შენ მაპატიე, შენ მაპატიე,
თუ ეს დღეები არა მწყალობენ...
ჰგავხარ ზამთარში ამოსულ იებს,
თოვლის ფიფქები რომ უგალობენ...
რას უგალობენ იებს ფიფქები,
ნუთუ არასდროს მოგისმენია?

იებსა ჰკითხე, თუ ვერ მიხვდები,
აღბათ, იები უფრო გეტყვიან...
მინდა გამიგო და ნურც დამძრახავ,
დღემდე თუ თვალით ვერ გენახვები,
გადამიყოლა ამ ნახანძრალმა
მე ვერ ჩავაქრე შენი ხანძრები!!!

ვერ გაგვტეხს მტერი

არ არის ძალა, არ არის ძალა,
დღეს არსად ჩვენი დამსამარები;
და დარეკავენ კვლავაც და კვლავაც
ჩვენი ტაძრების რწმენის ზარები!!!
და ჩვენ თუ გვტკივა, რაც ბევრს არ სტკივა,
რაც ბევრისათვის უცხო ხილია,
რა მოხდა, მაინც ასე ადვილად,
ვერ გაგვტეხს მტერი, არ მეშინია...
თითქოს მინდოდა სულ სხვა რამ მეთქვა,
რაც ვთქვი, ამის თქმას არ ვაპირებდი...
ანგელოზები მოფრინდნენ შენთან,
გითხრეს, ღმერთების დანაპირები?

ექვი

რას ითხოვდი, რას ითხოვდი,
რომ მოეცათ, ამის ნება?
მართლაც, ნეტა, რას იტყოდი,
რას ითხოვდი, მართლაც, ნეტა?
ჩემთან ყოფნას ისურვებდი,
თუ სულელურს, რამეს, ქალურს?
ქარს ნუ ჰყვები, ქარს ნუ ჰყვები,
ქარს ნუ ატან ჩემს სიყვარულს...
ღამის ვნებებს აჰყოლიხარ,
იწვის შენი სარეცელი,
გავიგე, რომ სხვა გყოლია,
წავალ, ჩუმად გაგეცლები...

ნუ გამაცეცხლებ

ნუ გამაცეცხლებ, ნუ გამაცეცხლებ,
ისედაც ცეცხლში ვარ გახვეული,
შენ ნაპერწკალი სადაც დათესე,
დღეს ალი დამრწის კვალარეული...

ქარს ვუცდი, რათა ჩემი სხეული,
ცაში წაილოს და ცაც გადასწვას...
ვიცი, არა ვარ შენი რჩეული,
რადგან რჩეულად შენ დღეს სულ სხვა გყავს...
დამთავრდა, აღარ ვემორჩილები,
მიწის კანონებს, და არც თემიდას,
და შენც ტყუილად ნუ შემიჩნდები,
მე დღეს ზვავებად მოვქუხ მთებიდან...
აღარ დავეძებ, შენს სილამაზეს,
წავშალე შენი ყველა სიზმარი,
როცა მინდოდა არ მითანაგრძნე,
ვერც ჩემი სული ამოიცანი...
ახლა შენც ხედავ, როგორ ივსება,
საყვედურებით ზეცის ტატნობი,
რომ ანთებული ზეცაც იწვება,
რომ ვერას შველის შენი ღვარცოფი...
ვიცი, კვდებიან ერთხელ ზვავებიც,
რომ ზოგჯერ ალბათ სულიც იწვება,
თურმე გაექცნენ ცას ვარსკვლავები,
სულ ტყუილადო, ცა იფიცება...

ზღვის ნაპირას გედი კვდება

შენ რომ გიმზერ, ლოცვასავით
სული ხდება გამჭვირვალე;
რას აშავებს, მითხარ, კრავი,
რას აშავებს, რატომ კლავენ?
ან თუნდაც მე, ყველგან ჭიშკარს,
მითხარ, რატომ მიკეტავენ;
სად წავიდა ვინც მე მიყვარს,
ნუთუ მასაც მომიკლავენ...
ნუთუ, ნუთუ, ნუთუ, ნუთუ,
არ მთავრდება შეკითხვები,
ალბათ, ისიც ჩემზე თუ სწუხს,
მეც ხომ მასზე სევდით ვკვდები...
სვავი ვარ და შენსკენ ვიწევ,
გარეთ ისევ ზამთარია,
აქ ვინც იყვნენ, სად წავიდნენ,
ხომ ვერ მეტყვი, სად არიან?
სად წავიდა მათი გზნება,
მათი დიდი სიყვარული,
ზღვის ნაპირას გედი კვდება,
და ამოსდის თითქოს სული...
გედი კვდება, გედი კვდება,
გედი კვდება თვალზე ცრემლით,

ზღვაზე ციდან ბინდი წვება,
ბინდი ღამის შავი ფრთები...
ამ ახალ წლებს თითქოს ძველი,
ძველი წლები გადაება,
შენ თვალები გქონდა სველი,
მეჭორავეს ვარსკვლავებმა...

ნუ მჩუქნი ვარდებს

ნუ მჩუქნი ვარდებს, ნუ მჩუქნი ვარდებს,
მე ხომ ვარდები საოცრად მიყვარს...
ვარდი შენს სურვილს ისევ მიახლებს,
იმ წლებს მიახლებს ჩემი რომ იყავ...
ასე მგონია ვარდებთან ერთად,
ის შეხვედრები ისევ ბრუნდება,
როცა ზამთრებიც, ძვირფასო შენთან,
მექცა უთეთრეს გაზაფხულებად...
ნუ მჩუქნი ვარდებს, მე მათ ხსოვნაში,
ძველი ნატვრები ამიწრიალეს,
არა მჭირდება ეს დისონანსი,
იმ წლებმა მკერდზე გადამიარეს...
გადამიარეს და დამიტოვეს,
თვალზე ცრემლი და გულზე ბზარები,
ვერ შევეგუე მე ამ სიშორეს,
ჯერაც ჩამესმის ხმა მატარებლის...
მე ჯერაც, ჯერაც, იმ ვარდებს ვთელავ,
უკან წართმევა რომ მოვინდომე...
ნუ მჩუქნი ვარდებს, მე მათ სახელად,
გაყრა დავარქვი და მოვისროლე...

არ დაიბადო

არ დაიბადო, არ დაიბადო,
აღარასოდეს საქართველოში...
თუ, მართლაც, გინდა, რომ გაგიმართლოს,
არ დაიბადო ახლა, ამ დროში...
არ დაიბადო მწერლად, პოეტად,
არც მხატვრად, არ ღირს, არ დაიბადო,
რომ არ შეგიპყროს შენც სასოებამ,
აქ შემოქმედად არ დაიბადო...
რომ არ ისმინო ბრიყვთა დაცინვა,
რომ სიგიჟემდე არ მიგიყვანონ,
რომ არ იხილო ცრემლი არწივთა
და გველად ყოფნა რომ არ ინატრო...

არ დაიბადო, არ დაიბადო,
აქ არასოდეს არ დაიბადო!!!

თუ შადიმნებმა მაცალეს

ბედის დაწყებულ სიმღერას,
ჩემი ხმით შევეშველები,
მართლაც, რამდენჯერ მიყელა,
მიგზავნა თავის მკვლელები...
ხმალი მქონდა და ვაწრთობდი,
ვცეკვავდი, როგორც შემფერდა,
ხანჯალი სისხლში ნაწობი
ბევრ ჩემ მტერს გადაემტერა...
მფლეთდნენ და მანაწილებდნენ,
მე კი კვლავ ფეხზე ვდგებოდი,
თუ გზაზე გადამისწრებდნენ,
ვეფხვივით ვეომებოდი...
ათასჯერ მომჭრეს მარჯვენა,
მკერდიდან შხამი მადინეს,
ვიწყებდი მტერთა განდევნას,
მაგრამ ვერ ვსპობდი შადიმნებს...
ჯერაც ხმაღს ვიქნევ მალ-მალე,
ჯერაც ომში ვარ ჩართული,
თუ შადიმნებმა მაცალეს,
მტრებს დაბდღვნის ჩემი ფრანგული!!!

არ ვიცი ხვალე რა მელოდება

ვერ შემოვსულვარ შენში ვერაფრით,
და ღამეც მებრძვის, როგორც ტოტემი,
ისევ დავეძებ შენს სულს კელაპტრით,
ისევ იმედით, ისევ ოცნებით...
საოცარია, არა მოქმედებს,
შენზე არც წლები, არც ეს ღვარცოფი...
მე კი ვერ გეტყვი რად მაშფოთებენ,
რაც კი რამ მიდის, ანდა, რაც მოდის...
რად მაშფოთებენ ასე ქარები,
სარკმლის რაფებს რომ ეხეთქებიან,
დღეს ქარიც ტირის სხვა მწუხარებით,
და თითქოს ქარსაც სისხლის ფრთები აქვს...
მე კი ამ ქარებს შენსკენ მოვყვები,
მეც ვეხეთქები შენს სულს ქარივით,
და საოცარი შენი ტოტემი,
მხრებით მიჭირავს მეც ტიტანივით...

იცვი, რას მივხვდი, ახლა უეცრად,
რომ დროს თვითონ დრო არ გააჩნია,
რომ ისიც ითხოვს ჩვენსავით შველას,
ისიც ჩვენსავით სულ ნატვრაშია...
მე კი, შენს გამო, ასე არეულს,
არ ვიცი, ხვალე რა მელოდება,
ვერ შევეგუე შფოთვებს დამეულს,
ვერ მოვკალ ჩემში შენზე ოცნება...

რა მოხდებოდა

რა მოხდებოდა, ეკითხათ ჩემთვის,
როდის მაწყობდა ქვეყნად გაჩენა...
რომ სულ სხვად, სულ სხვად მეცოცხლა შეცვლილს,
ჩემი სამშობლოს გადასარჩენად...
რომ არ მეხილა ეს სამარცხვინო,
წლები თავსლაფის, წლები ლაჩრობის...
მქონოდა ჩემი პური და ღვინო,
მეცხოვრა ჩემი გულით, კაცობით...
მქონოდა ჩემი ფარი და ხმალი,
ჩემი თოფი და ჩემი ჟაკანი,
მესვა თერგის და არაგვისწყალი,
მედევნა მტერი შიშით დამფრთხალი...
რომ მკიდებოდა ორივე ფეხზე,
აღმოსავლეთიც და დასავლეთიც,
მდგომოდა ქოხი კავკასის ქედზე
წინ საქართველოს გადასახედით...

გახსოვს ჩვენი სიყვარულის დილა

გახსოვს ჩვენი სიყვარულის დილა,
როგორ მყავდი აყვანილი ხელში,
ბაღში მწიფე ალუბლების წვიმა,
ბილიკები ყვავილების ცეცხლში...
წაბლისფერი თმები მწვანე მოლზე,
მოჟუჟუნე ორი შავი თვალი...
შენ სიტყვებით მიფასებდი კოცნებს,
მწველი, ტკბილი, თბილი, ცხელი, მთვრალი...
დაგვცინოდნენ ალუჩები მახსოვს,
ლეღვი ატმებს არ აცლიდა ბჭობას,
შენი ტუჩი ჩემს ტუჩებთან ახლოს,
აეტანა ქალწულებრივ თრთოლას...
როგორც შარბათს, როგორც ბადაგს დაგწვდი,
ტკბილი ყლუპი გადავიდა ყელში,

ატმებს სისხლი აუვარდათ თავში,
ლეღვმა თვალი აგვარიდა კვნესით!!!

როგორც ალუბლის გადამსკდარ ნაყოფს

შენა ხარ ჩემი მზეცა და მთვარეც,
და ვარსკვლავებიც ციდან რომ დაგვცქერს,
ვერც გეტყვი, ასე რად შეგიყვარე,
ასე უღმერთოდ რით გამიტაცე...
და ვკოცნი, ვკოცნი ბაგეს დანამულს,
როგორც ალუბლის გადამსკდარ ნაყოფს,
აღარაფერი ქვეყნად არა მსურს,
მხოლოდ სულ ასე გაგრძელდეს აწმყო...
რომ სრიალებდეს თლილი თითები,
ჩემს ტანზე როგორც სიძვის მალამო,
და ტრიალებდეს თავდავიწყებით,
ჩვენ ორს გარშემო მთელი სამყარო...
რადგან ტუჩები შენი მგონია,
დადუღებული მაჭრის ნექტარი...
და თუ ბუნებას აქვს ჰარმონია,
აღბათ, ნირვანა სწორედ ეს არი...
გაუჩენიხარ სიყვარულის ღმერთს,
და მოუციხარ ჩემთვის საჩუქრად,
ის ახლა ჩუმად შორიდან გვიმზერს,
და ეცინება, რომ თავს გავსულვართ...
რომ ყველა დილა შენში შეირწყა,
და სიყვარული თრთის ჩვენს გულებში,
ვგრძნობ, შენი მკერდის ყვავილებიდან
როგორ დის ვნება უსათუთესი...

ეგ სარკმლები შენი სულის (ქეთის, ბეჟანიშვილს)

გაახილე, გაახილე,
ეგ სარკმლები შენი სულის...
ვუმზერ ალვებს ტანაყრილებს
ვნებით როა დახუნძლული...
და სულ ფსკერზე, სადაც ჩემთვის,
ადგილი გაქვს შენახული,
როგორც თბილი ბუდე მერცხლის,
სანთელივით იწვის გული...
მეც მის გვერდით მოვკალათდი,
სულს ვუბერავ რომ არ ჩაქრეს,
წვეთავს სისხლი, როგორც თაფლი,
იწვის შენი სილამაზე...

იწვის იწვის სილამაზე,
მკრთალდება და იფერფლება...
სიცოცხლეში არ ვაფასებთ
და, მერე, კი, გული გვწყდება...
შენც ლამაზი სანთელი ხარ,
ჩემს ხატებთან დანთებული,
თუ შემთხვევით ჩამეძინა,
გამაღვიძებს შენი გული...
მინდა, მინდა, რომ ანათო,
როგორც სხივმა სარკმელიდან...
და შენც ტკბილი, ნაზი, სათნო,
გადმოდინხარ თვალებიდან...

მე მათ ავუგე ლექსად ტამარი (ია ბ-ს)

რა ვუთხრა ღმერთებს, როცა მკითხავენ,
რატომ ვუწერდი ამდენ ქალს ლექსებს...
ვეტყვი, რომ ვიცი, მომაკითხავენ,
აუცილებლად, სიკვდილის შემდეგ...
მიატოვებენ, ვიცი, სამოთხეს,
და ჯოჯოხეთშიც ჩამომყვებიან,
რადგან ამ ყვეყნად რაც უნდა მოხდეს,
უპირველესი მათთვის ლექსია...
გაეცინებათ, ვინ დაიჯერებს,
ვინ დაიჯერებს ასეთ ლაპარაკს?
მაგრამ, მე ვიცი, სიკვდილის მერე,
სიკვდილის მერე, ცაში რომ წავალ...
ყველა ისინი ვინც ჩემთან იყვნენ,
ვისაც ვჩუქნიდი ლექსებს სახსოვრად,
ვერცერთი ვეღარ გადამივიწყებს,
რადგან ყველანი მთვლიან ახლობლად...
და რაც უნდა თქვან, გადამაბრალონ,
ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი,
მე გავამდიდრე მათი სამყარო,
მე მათ ავუგე ლექსად ტამარი!!!

ყველაფერი ბლეფია (ს.გ.-ს)

ყველაფერი მომბეზრდა
ვიღებ წუთშესვენებას...
ყოველგვარი წოდება,
ნიჭი, აღზრდა, შეგნება...
ყველაფერი ბლეფია,
ყველაფერს მოესწრები,

სილამაზით შეგშლიან,
თუ ლამაზი ლექსებით...
რაა ფიქრის ნაყოფი,
სისხლი, რევოლუცია...
ვცოცხლობ მხოლოდ აწმყოთი,
და რაც ღმერთს მოუცია...
გარეთ შენი ღიმილით,
შიგნით მხოლოდ განგაშით,
სახლში განდეგილივით,
სხვაგან კი სიკაშკაშით...

შევსისხლხორცე რაც რამ მასწავლეს

მე, მართლაც, მიყვარს, ფრთებს რომ ასხამენ,
სწორედ მას, ვისაც ეკუთვნის ფრთები..
შევსისხლხორცე, რაც რამ მასწავლეს,
და ნასროლ ტყვიებს გულცივად ვხვდები...
და მიყვარს, მიყვარს აისბერგით,
რომ ვეხეთქები კლდოვან ნაპირებს,
მე პოეზიის ზღვაში თევზით,
ვცურავ და გასვლას არსად ვაპირებ...
და ველარავინ უკვე ვერ შემცვლის,
მე ჩემი გზა მაქვს, წმინდა, უვალი...
ჩემს უკან დარჩა ელვა და ცეცხლი,
ათასი შხამი და ნასუფრალი...
წინ კი, ზვიადი, მარადიული,
მთები ნისლიდან ფეხზე დგებიან,
მათი სიმაღლე მიყვარს ღვთიური,
მწვერვალებით რომ ცას ეხებიან...
ჩემი ადგილიც, ვიცი, იქ არის,
მე იქ ვერავინ ველარ მომწვდება,
იქ ნაპრალებში ღმუის გრიგალი,
და დასდევს ქარებს დასაკოცნელად!!!

რატომ ხარ მარტო

რატომ ხარ მარტო, რატომ ხარ მარტო,
შენ ხომ ეგ გული ჯერაც სავსე გაქვს,
სადაც, ვინ იცის, ვინ არ ბინადრობს,
თუ ერთი მიდის, სხვა არ სახლდება?
ნუთუ არავინ მართლა არა გყავს,
ვისზეც კრთები და თუნდაც ოცნებობ,
ნუთუ ყველანი გაჰყვნენ ქარავანს,
არავინ გითხრა: არ მაკოცებო?

ან იქნებ ვცდები, იქნებ სულ სხვა ხარ,
იქნებ ეს იყო მხოლოდ თამაში...
იქნებ გელოდნენ ბებერ მუხასთან,
ან მოლზე, სადმე, თხმელის ჭალაში...
იქნებ უყვარდი, სანთლებს გინთებდნენ,
და აღამებდნენ შენზე ლოცვაში,
იქნებ გიტარით ხელში გიმღერდნენ,
აივანის წინ, ქალწულობაში...
რად დარჩი მარტო, ასე ლამაზი,
ასე კეთილი და სასურველი,
რად გაჰყვა ქარებს ის მუხამბაზი,
შენი რომ იყო და დღემდე ელი...

კოცნა და ვარდი

შენ ვარდის ფურცლებს ჰკოცნიდი, მაშინ,
მე კი ნატვრები შენზე მარბევდნენ,
ვერ გამერჩია ცხადში მირაჟი,
რომელი რომელს აფერადებდნენ...
ვარდი შენს სახეს, თუ შენი სახე,
თეთრ ვარდს, შენსავით გაშლილს ჩემ ბადში,
იმ საოცარი ფერების მნახველს,
მინდოდა უხმოდ დამეკრა ტაში...
რა ლამაზია, ვიძახდი გულში,
რა ლამაზია, რა ლამაზია,
გამორჩეული ზღვა თაიგულში,
ჩემი თილისმაც ამ თეთრ ვარდშია...
ვუმზერდი ტუჩებს, ვარდის აღმური
რომ ედებოდა, როგორც ნაკვერჩხალს...
როგორ იყავი ასე ქალური,
გიყურებდი და თავბრუ დამესხა...
მერე კი, ვარდი გამომიწოდე,
მიტრიალდი და უხმოდ გაბრუნდი,
შენ გაიყოლე ჩემი სიცოცხლე...
დავეწოდე ვარდს და შენით გავბრუნდი...

შენ ჩემს გულამდე ისე დახვედი

რატომ გგონია, რომ ვტყუი რამეს,
ან რა აზრი აქვს ორმაგ თამაშებს,
მე მირჩევია სიმართლე მწარე,
სიცრუით ნაგებ ბროლის დარბაზებს...
მე მირჩევია ბოლომდე შევსვა,

ეს შხამით სავსე სიბრძნის ფიალა,
ამომადინოს თუნდ ესეც ცეცხლად,
ამ უწყამობის ორომტრიალმა...
და თუ ვერ გიხსნი, როგორც უხსნიან,
სიყვარულს ჩემზე გამოცდილები,
სამაგიეროდ ვარდებს გჩუქნიან,
ხელები შენსკენ გამოწვდილები...
სამაგიეროდ, მე არასოდეს,
არ წამომცდება ყალბი სიტყვები,
და მინდა, მინდა დამამახსოვრდეს,
მტრედვიით ხელში როგორ მიკვდები...
შენ ჩემს გულამდე ისე დახვედი,
რომ არ მიგრძვნია ერთი ტკივილიც...
კარგი ხარ, ავ თვალს არ ენახვები,
ვარდი ხარ მკერდზე ამოზრდილივით...

მიყვარდი, რაა აქ დასამალი...

ვხედავ, რომ რაღაც ისე არ ხდება,
როგორც მე მინდა, როგორც შენ გინდა,
რომ სიყვარულმაც იცის დამსხვრევა,
და გადმოფანტვაც მერე მკერდიდან...
შენც კარგად იცი, როგორ ვუარე,
რა სისათუთით ვუფრთხილდებოდი,
ყველა ჰოსა თუ ყველა უარებს,
თუ ორივეზე როგორ ვფრთხილდებოდი...
მიყვარდი, რაა აქ დასამალი,
როგორც ყაყაჩო ველზე გაშლილი,
შენ იყავ ჩემი თოვლის ტრამალი,
თეთრი მყინვარი ცამდე აწვდილი...
და თუ ვერ შევძელ შენი დაპყრობა,
განა იმიტომ, რომ არ მეწადა,
არა, ეტყობა, ბედი არ მქონდა,
ეს სიტკბოებაც რომ განმეცადა...

თეთრი ქურქი გემოსა

როგორც თეთრი ქალები,
თოვდა თებერვალები...
თეთრი ქურქი გემოსა,
შენზე მსურდა მელოცა...
შენს გახელილ თვალებზე
ფიფქებს მივუალერსე...
გთხოვ ნუ მომაჩერდები,

მათრობს შენი მტევნები...
ხედავ, მთვარემ მზის გამო,
თეთრი ხმალი ალესა,
რა ვქნა, როგორ გიწამო,
სულ რომ იქცე ალერსად...
თან მკოცნი და თან მაინც
თვალი სხვისკენ გაგექცა...

გაზაფხულს ველოდი

სადა ხარ, სადა ხარ, მითხარი, სადა ხარ?
მე შენთან შეხვედრა ვერაფრით გავბედე...
მოვკვდები, ძვირფასო, და შენ თუ დამმარხავ,
ან მიწას მომაცრი, სხვას არას დავეძებ...
გაზაფხულს ველოდი, თუმც, ზამთრის ქარებმა,
წელს ჩემი გეგმები პირწმინდად ჩაშალეს,
და როცა ჩაცხრება მისი მრისხანება,
ვიპოვი და სილას გავაწნავ ამ ქარებს...
ღამეა, ვგიჟდები, გაქრა იდილია,
ცამ შავი ფარდები ბოლომდე დაუშვა...
დღეს შენი დაკარგვა, სულ სხვა ტკივილია,
მძიმეა, თუ სხვები გპარავენ ნაქურდალს...

კვლავ მახრჩობენ ეჭვები

ნუთუ თავს ვერ გავიტან,
კვლავ მახრჩობენ ეჭვები,
შენ რომ ჩემთან არ გინდა,
შენ რომ ვეღარ შეგხვდები...
ან ეს თვალის ფრიალიც
შენს გამო არ დამჩემდა?
შენი ბაგე მცინარი
თულა გადამარჩენდა...
შენი სახე აისის
სხივის მახარობელი,
თვალნი შუქი მაისის,
გული გულთამპყრობელი...
თითქოს საუკუნეთა
შორის გამოვიჭყლიტე...
მეც წავალ ქალწულებთან,
შენ, შორიდან მიჭვრიტე...

ტრაბახიც ამას ჰქვია

მე არც ღამე ვარ, არც ალიონი,
მაგათ ჩემამდე ბევრი უკლიათ...
ყოველდღე დადის ეს მაყრიონი,
ჩემს აივანზე ბაკაბუკი აქვთ...
ღამეს გავაგდებ, დღე მესტუმრება,
დღე წავა, ღამე მორბის გიჟივით,
შავ თმებს გაიშლის და მემუქრება,
სამთავიანი გველუშაპივით...
როგორ დავაცხრო, როგორ დავაცხრო,
თეთრ სარეცელთა შავი ვნებანი,
მე ერთი ამდენ მამრთა სანაცვლოდ?
მაგრამ, არ მრჩება სხვა არჩევანი...
ღამეს მივყვები, დღე მელოდება,
არც იმას მინდა, რომ ვაწყენინო...
გთხოვთ, არ გამპუტოთ მანდილოსნებმა,
თვალს წყალი მინდა დავალევიანო...

სულ ზევით

სულ ზევით, სადაც ცის სანახებში,
ვნებანი ხეხილს შეჰფარებიან,
სად წმინდა წყლების ბროლის არხებში,
წვეთები მზისფერ კანზე სხლტებიან...
იქ, პირველყოფილ ცის სიშიშველში,
შენი სხეული მინდა ვიხილო,
როგორც ვენერა ჩანჩქერის ჩქერში
ან ბოტიჩელის ცოცხალი ტილო...
ღმერთი რომ ვიყო, ამ სიწმინდეში,
გაჩენის დღიდან სადაც გელოდი,
გაგაქვავებდი იებით ხელში,
რომ მეც მუდმივად ცას შევრჩენოდი...
სულ მალე, ალბათ, აპრილს ჭორფლივით,
ყვავილმა უნდა გამოაყაროს,
მაგ სახეს ერთხელ დაგიკოცნიდი,
და მერე თუნდაც გაქრეს სამყარო!!!

შენ დაიბადე

ამ დარდებს გულიც ამოვაყოლე,
უგულოდ დავრჩი, მორჩა, დამთავრდა...
შენ დაიბადე და მიმატოვე,
როგორც გასულმა ცივმა ზამთარმა...
თუმცა, კი იცი, რომ არ გემჩნევა,

ამ წლების კვალი არავითარი,
რომ ერთადერთი ზოგჯერ შემთხვევა,
ხდება ცხოვრების ნაღდი მიზანი...
შენ მაპატიე, თუკი დავკარგეთ,
ჩვენ ერთმანეთი და ვერ ვიპოვეთ...
რომ ვერ გიშლიდი ვარდის ფარდაგებს,
რომ შენი თხოვნა არ გავიგონე...
რომ მე, უბრალოდ, ვერ მოგილოცე,
რომ შენთან მოსვლა კვლავ ვერ გავბედე,
რომ ეგ ლოყები ვერ დაგიკოცნე,
რომ შენს მკერდს ჩემი ვერ შევაგებე!!!

ისე მწყურია ახლა სიმშვიდე

ისე მწყურია ახლა სიმშვიდე,
ისე მწყურია შენს გვერდით ყოფნა,
რა შორს მგონიხარ, სამყაროს კიდე,
მონაგონია შენს სიმორესთან...
თუმცა, მე მაინც შენს თვალებს ვეძებ,
შენს თვალებს ვეძებ სხვების თვალებში,
და შენს ხორბლისფერ და ფაფუკ მკერდზე,
ვპოულობ შენს გულს რაღაც წამებში...
გული, რომელიც არ მაწყენინებს,
ჩემთვის იბგერებს თუ დამჭირდება,
და ჩემს უწყინარ სევდის წერილებს,
გარდაქმნის ძვირფას შთაბეჭდილებად...
მოვდივარ, უნდა გნახო, არ ვიცი,
ვეღარ ვაკავებ ქარში იალქნებს...
ხედავ ალიონს? ეს ზეცა იწვის,
და ჩემს იმედებს მოაფრიალებს...
იმედებს, რაც რამ მე ბავშვობიდან,
ვაგე და ბედმა ლეწა, ანგრია...
ვერ ამოგშალე ჩემი ხსოვნიდან,
სხვამ იქ ვერასდროს შემოაღწია...
ვერ ამიხსნია, როგორც წარმართმა,
დრომ რად მიმუხთლა, როგორც მაცილმა...
როგორ არცერთი ტყვია არ ამცდა,
ყველა ჩემს მკერდში როგორ გაცივდა...
მოვალ, მოვრეკავ, ჩემი ხომალდი,
აფრააშლილი ღია ზღვაშია,
მე გული ისევ გავიფოლადე,
რადგან ის, მუდამ, შენს ძებნაშია..

ეს თამაშიც წავაგე

ნუ მთავაზობ, ნურაფერს, სიყვარულის სანაცვლოდ,
ან რა შეცვლის, მითხარი, მის იქით ხომ ხრამია,
ნუ მიგზავნი სურვილებს ასე უმისამართოდ,
რა შევცოდე ასეთი თუ მიყვარდი ძალიან...
მერე რა, თუ ლოდინში წლები გადის, რა მოხდა,
ასრულებულ სურვილებს, ბევრჯერ ნატვრა გერჩიოს,
იცო, სილამაზეში არის რაღაც გამოცდა,
ჩააბარებ, ვინ იცის, წლებიც წამოგეწიოს...
აღარ იყო ისეთი, დღეს რომ ასე ანათებ,
და სულ გაქრეს ღიმილი შენი სათნო სახიდან,
იქნებ სჯობდა ღალატი რასაც ვერ უღალატე,
როცა სულში სიცივე ხომკაკალას გაყრიდა...
რა ვქნა, ბევრს მირჩევინხარ, თუმც ვერ მოგისურვილე,
ეს თამაშიც წავაგე, თუმც, ვა ბანკზე წავედი,
რატომ რჩებათ ქვეყანა გულცივებს და გულგრილებს,
რად სწყდებიან ზეციდან ან ჩვენი ვარსკვლავები...

დილის იებს თეთრ მკერდზე ლურჯ სხივებად აისხამ

ზეცას შავი ზოლი აქვს, შენ კი თეთრად ანთიხარ,
და ქცეულან თვალეები შეკითხვების აკიდოდ,
მე თუ ვერ გიპასუხე, ვიცი, წახვალ, სხვას ჰკითხავ,
და თუ ჯვარზე გამაკრეს, ალბათ, არც შენ დამინდობ...
მთვარე ციდან ჩამოდის, შენ რომ გაგეთამაშოს,
მზის სხივებით მორთულხარ, დილის ნამით ნაბანი,
ვიცი, გადაგავიწყდი, არაფერი არ გახსოვს,
დაჭკნა შენი ტრფობისგან, ჩემი იასამანი...
დილის იებს თეთრ ყელზე ლურჯ მძივებად აისხამ,
ჩახსნილ მკერდზე ვარდებად გაზაფხული გასკდება,
მგონი, ზეცაც იწვება შენი სიმხურვალისგან,
და უზადო სხეულზე ელვა დაიკლაკნება...
სანამ შენთან დილაა და იშლება ვარდები,
ჩემსკენ ცა იქუფრება და დასეტყვას მიპირებს,
ხედავ, ჩამოიშალა ციდან შავი ფარდები,
ეს მე მოვკვდი, ძვირფასო, ნუთუ არც დამიტირებ!!!

შენც იცი, გველივით ქერქს რატომ იცვლიან,

დამთავრდა, დავუსვი ყველაფერს წერტილი,
ჩაინგრა ის ხიდი, რომელზეც ვიდექი,
მშრალია მდინარე, ტოტი დაწრეტილი,
ვერ ვამბობ ვერაფერს, ვერაფერს გპირდები...
არ მინდა, არა მსურს, მიმათრევს დინება,
ჰაერი სავსეა ნაწყენი თვალეებით...

სად გაქრა, რად ჩაქრა, ჩემი აღტკინება...
რამ, რამ გააშავა თეთრი მწვერვალები...
ხელები გამიკრეს, თვალები ამიკრეს,
და გილიოტინას შენ ემსახურები,
ხელი შემაშველე, ვერ ვადგამ ნაბიჯებს,
თუმც შიში არა მაქვს, არაფრის სრულებით...
ბრბო შენს მხარეზეა, ბრბოს უყვარს ჯალათი,
ემვება დანა და სხეული მძიმდება,
სულ წამით ჩუმდება წყეული ქალაქი,
და უცებ ხარხარი და შენი გინება...
ძირს, გზას რომ იკვალავს ეს ჩემი სისხლია,
გაუშვი, იდინოს, მას ვალი არ დარჩა...
შენც იცი, გველივით ქერქს რატომ იცვლიან,
თვით ქრისტეც ამისგან სიკვდილით გადარჩა!!!

ისე ვიღებთ დაბადების სასწაულს

ისე ვიღებთ დაბადების სასწაულს,
თითქოს წვლილი მიგვიძღვოდეს რამეში...
არცერთ მოკვდავს, არცერთ მოკვდავს არ ძალუმს,
გააჩინოს ვინმე ღმერთის გარეშე!
მაგრამ, მერე, მერე, როცა ვიზრდებით,
არტახებში თუ არტახთა გარეშე,
როცა გვიჯობს სინამდვილეს სიზმრები,
და ნაწყენი ვტოვებთ ღამის სარეცელს...
რად გვგონია, რომ დაგვტოვებს ღმერთებმა,
და ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყება...
ვუძლებთ ათას ჯანდაბას და ფეთებას,
ვეყიდით სხეულს, სულს, სამშობლოს, ღირსებას...
ამ ცოდვათა, ამ ცოდვათა სანაცვლოდ,
მაცხოვარი ჩვენს მაგიერ ჯვარს ეცვა...
ჩვენ კი დღემდე წმინდანებსა ვთამაშობთ,
და ვაღმერთებთ ხშირად მკვლელს და გარეწარს...
თავს ვიმართლებთ, თავს ვიმართლებთ ცოდვილნი,
ღმერთთან, ხატთან, სამყაროსთან, ყველასთან,
და ეშმაკთან მკლავებგადაჭდობილნი,
უსირცხვილოდ ვანთებთ ცოდვის კელაპტარს...
გვაგონდება? დაბადების სიწმინდე,
როცა დედა ჩვენს გაჩენას კოცნიდა...
და, რომ მართლაც ვინმე ცოდვებს გვითვლიდეს,
სიკეთეს ხომ ცოდვა გადასწონიდა...
სად წავიდა სასწაული ბავშვობის,
ის ხომ ყველას ღვთისგან გადმოგველოცა...
რამდენ რამეს, რამდენ რამეს დავთმობდი,
რომ ხატის წინ, კვლავ ბავშვივით მელოცა...

ვგრძნობ, ფეხქვეშ მიწა როგორ მეცლება...

როგორ გავღორდი, არ მყოფნის სივრცე,
არ მყოფნის სივრცე, ზეცას რომ ფარავს,
აღარ დავეძებ ჩემეულ სიტყვებს,
სიტყვებს, რომლებსაც სიკვდილი მპარავს...
არ ვიცი, როდის, სად, რას მივაგნებ,
ლამპრით, რომელიც ოდნავლა ბჟუტავს...
რადგან მზე ისე აღარ მინათებს
და დედამიწაც უკუღმა ბრუნავს...
მაგრამ, მე ვიცი, დღემდე მელიან,
ზვრები ქცეული ეკალ–ბარდებად,
ყანა, რომელიც გათელილია,
ბალი რომელიც ფეთქდა ვარდებად...
ვგრძნობ, ფეხქვეშ მიწა როგორ მეცლება,
ძირს როგორ უთხრის წყალი ჯებირებს,
რომ უგნურობა და უმეცრება,
ჩემს ინტელექტზეც გაიჯეჯილებს...
მე კი იმედით ასე მოწამლულს,
ვერ მივატოვებ, არ შემიძლია,
ზეცას, რძითა და ღვინით მონათლულს,
მიწას, რომელსაც ჩემი სისხლი აქვს...
თუნდ შეკრას პირი ათასმა მტერმა,
ათასი შხამით ჩემსკენ ილტვოდეს,
ზურგი მაქციოს ერმაც და ბერმაც,
არაფრად ღირდეს ჩემი სიცოცხლე...
და რომ სულ მტერმაც მოიალაფოს,
ეს სანახები ნაბადნარები...
სანამ მომკლავდნენ, გოჯსაც არ დავთმობ,
რომც ამომხადონ სული წამებით...

შემოდინხარ, როგორც ლოცვა...

შემომიჩნდი, როგორც დარდი,
რატომ უნდა დამემალა,
არ მეგონა თუ მიყვარდი,
მე ხომ შენთვის არ მეცალა...
და ვერც მივხვდი, ვინ იყავი,
ვინ იყავი ჩემთვის, მაშინ,
რად მომაყრდნე მხარზე თავი,
ან რად ჩარჩი ჩემს ხსოვნაში...
რად მგონია მუდამ როცა,

კარს ქარები აღიავებს,
შემოდინხარ, როგორც ლოცვა,
და მიკოცნი ნაიარევს...
იცი, იცი, ის რაც სულში,
ნაკბენივით გამჩენია,
როგორ ჩარჩა, შორს, წარსულში,
ზნარი როგორ გასჩენია...
სიყვარულმა, ალბათ, იცის,
ვის შეუჩნდეს და ვის არა,
როცა იწყებს თრობას სისხლი,
ჩემიანად, შენიანად...
ან ვარდები როცა იწყებს,
ყლორტის ყლორტზე გამოტანას,
და დაისიც ისევ ითრევს,
ზღვაში დაისს თავისთანას...
მითხარ, მითხარ, რა ბრალი მაქვს,
რით მოვთოკო გაზაფხული,
მთვარემ მზე რით გადარია,
რას ბუტბუტებს ნაკადული...
შენი სახე რატომ მაბნევს,
რატომ მიცქერ ასე მკაცრად,
რად მიბრუნებ უკან ვარდებს,
დარდიანად, ნაღვლიანად...
რა გავიგო, რა გავიგო,
როცა ბოლო წამებს ვითვლი...
ჩემი გული სხვასთან იყო,
გითხარ, რადგან ჩამაცივდი...

ვინც ამ აფთრებთან დათმო პარტია

ძნელია, როცა აღმართს ადგახარ,
აღმართს შენსას და მარადისობის,
თან ყველას უკვირს შენი გადახრა,
მიზეზი თრობის, მიზეზი ტკბობის...
შენ კი დროსთან და ბედთან შერწყმული,
შეცდომებს ყველას მშვიდად პატიობ,
და ებრძვი სივრცეს გააფთრებული,
რომ ზღვარი შენი ცამდე ასწიო...
მაგრამ წინ თუა ცივი კედელი,
უკან ათასი ხროვა მოგყვება,
რომ მათაც შეხვდეთ შესახვედრელი,
რომ გფლითონ, გხვრიპონ, როგორც ფოცხვრებმა...
მაგრამ ისინი, ვინც შენ გებრძვიან,
ვინც შენსკენ ზიზღით თითებს იშვერენ,

შენ ვერასოდეს ვერ შეგწვდებიან,
და ამიტომაც ტყვიებს გიშენენ!
დღემდე არასდროს, მართლაც არასდროს,
ასეთი ძალით არ მინატრია,
რომ ყველას, ყველას მსურს ვუთანაგრძნო,
ვინც ამ აფთრებთან დათმო პარტია!!!

ჰოო თუ არა, ჰოო თუ არა...

ბევრი ვეცადე, სულ გადავჯეგე,
რაც ბაღში იდგა ყველა გვირილა,
მართლაც, რა ვუთხარ, რა ვუთხარ, ჩემ ბედს,
რომ ერთხელ, ერთხელ არ გამიღიმა..
ჰო და არაზე სულ არა რჩება,
არა, სათქმელად ბევრად ადვილი,
შენ თავიდანვე ასე დაგჩემდა,
ჰოდა, ამას გრძნობს ალბათ ყვავილი...
ვზივარ, დავცქერი ამ ჩემს ნამუსრევს,
ბაღს თითქოს სეტყვამ გადაურა,,
შეგეკითხები და მიპასუხე,
ჰოო თუ არა, ჰოო თუ არა...
სულ რომ გავპუტო ყველა ყვავილი,
რაც კი ამ ქვეყნად სადმე ყვავილობს,
მე ბედი მაინც გვერდზე ჩამივლის,
რომ მერე შენთან გაიხალისოს...
არადა, მახსოვს, მახსოვს, ძვირფასო,
იყო დრო ტუჩზე ხელს გაფარებდი...
დღეს რომ ჰო ასე იაფად ფასობს,
იაფად ფასობს თვითონ ქალები...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
რომ ყვავილებზე ჯავრი ვიყარო...
რომ ხშირად სწორედ ასე იწყება,
გვირილა მეტყვის ვინ შევიყვარო...

ნეტა, რა ჰქვია ამ მონატრებას...

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,
რითაც მე ახლა თქვენ მენატრებით...
გინახავთ, სულთა გამყინვარება?
დუმს თქვენი სახე ვით მწვერვალები...
მე კი მგონია, რომ თავს მესხმიან,
და მონატრებას თქვენსას მტაცებენ;
რომ სული წყენას გადაეჩვია,

რომ თქვენს სიყვარულს არ შემარჩენენ...
 მარტოს ნუ მტოვებთ, ნუ მტოვებთ მარტოს,
 აქ კვლავ მეფობენ ზამთრის ქარები...
 დაწვრილებენ ჩემ სულთან ახლოს,
 მეკი სათოფეს არ ვეკარები...
 მაგრამ, გაუშვი, თოვლი ფარავდეს
 მიწას, უცვლიდეს ქურქებს სუსხიანს,
 ქარი ახლიდეს სარკმლებს დარაბებს,
 და ღვრილებდეს რაც შეუძლია...
 გაუშვი, ქროდეს, სანამ დაღლილი,
 სადმე, ველებზე მიესვენება,
 როგორც მერანი ფაფარაშლილი,
 ქვა-ლორღს მიჰკვალავს, მიეთქერება...
 გაუშვი, თავის თავზე აილოს,
 ბუნებამ ჩვენი მიეთ-მოეთი...
 და ღმერთმაც ცოტა ხარკი გაილოს,
 რომ ლექსს უწერდეს ვინმეს პოეტი...
 რომ იჯდეს, ბჭობდეს და ჩურჩულებდეს,
 ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ღმერთი...
 მუზა კი ჩუმად კარებს უღებდეს
 და აკვირვებდეს ღმერთს სიშიშვლეთი...
 ეს მე ვარ, მართლაც, ეს მე ვარ ღმერთი,
 მე თვითონ დროც კი მემორჩილება...
 მე სიყვარული მომქონდა თქვენთვის,
 მაგრამ არ გეყოთ, თქვენ, მოთმინება...
 იცით, ვვარვარებ, როგორც ვულკანი,
 საშინელია ყოფნა უთქვენოდ...
 მალე ზეცაში წავალ მუქარით,
 რომ ვნება მოვკლა, თავს კი ვუშველო!!!

მომილოცე

მომილოცე, გაზაფხულის მოსვლა,
 მომილოცე სიყვარულის დღეები,
 ქარიშხლები გადაივლის როცა,
 და ერთმანეთს ზღვის ნაპირას შევხვდებით...
 მიგვაცილებს პაემანთან ორივეს,
 აღტკინებულ თოლიათა ორკესტრი,
 სადაც თეთრი გემი უნდა მოვიდეს,
 გემი ჩვენი მომავალი ოცნების...
 რა დაითვლის, რა დაითვლის ზეიმებს,
 მე და შენ რომ ზღვაში უკვე გველიან,
 ველი გედებს შენგან გამოფრენილებს,
 ისე, როგორც პირველ კოცნას ელიან...
 იცი, რასაც ჩაიფიქრებ, მე მჯერა,

ყველაფერიც, ყველაფერიც სრულდება,
გელოდები, მე ხომ უკვე გემზე ვარ,
ხომ გამიმხელ, გული რას გეუბნება...
ხომ გამიმხელ თუ რა ტკბილად ნატრობდი,
ზამთრის მერე, ამ ჩვენს პირველ შეხვედრას;
ატამი ხარ, მწიფე, მზისგან ნაპობი,
და მზესავით ველი შენს მოფერებას...

სიზმარი

ასე მგონია, რომ ვესწრები სამყაროს შექმნას,
რომ ღმერთს ერთ ხმაში უგალობენ სირინოზები...
ვუცქერი მიწას, როგორც გული, როგორა ფეთქავს,
როგორ ლივლივებს ცის ნათელში ღმერთის ლოცვები...
ჯერ წყალი გაჩნდა, მერე მიწა, მერე ჰაერი,
ბოლოს კი ცეცხლმა მთელი მიწა ალით დაფარა...
ისიც ვიხილე, როგორ კლავდა აბელს კაენი,
და ვაშლიც, ევას გველმა ფრთხილად რომ შეაპარა...
ვიხილე ღმერთმა ხელის გულზე როგორ მოფშვნიტა
და მზის სხივები ყველა მხარეს როგორ მოფანტა...
ვიხილე მთვარე სიყვარულით მზეს რომ კოცნიდა,
და პაემანზე რომ წავიდა მუზა მოცარტთან...
ისიც ვიხილე, ღმერთმა ხელი რომ ჩაიქნია,
და ქარიშხლებმა ზეცას როგორ გადაუფრინეს...
ვნახე ლაშქრები ომის ველზე როგორ მიჰქრიან,
როგორ გაეკრა ქრისტე ჯვარზე, ვნახე, ვუცქირე...
და ვნახე ისიც, როგორ გაჩნდა დილით აისი,
მერე, კი, მგონი, გაზაფხულმა თვალიც ჩამიკრა...
ჰოდა, მადლობა მოვუხადე ცას სიზმარისთვის,
და ფეხაკრეფით გამოვედი ამ სიზმარიდან...

ამ ქვეყნად ყველა მოვსულვართ გავლით

გამივსე შხამით, გამივსე შხამით,
ეს თასი, სანამ გამსკდარა გული...
ამ ქვეყნად ყველა მოვსულვართ გავლით,
ყველას ერთი აქვს აქ აღსასრული...
ამას, უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია,
რა სიბრიყვეა, ცელით ხატავენ,
რომელი ცელი, არსებობს კია?
უნახავს ვინმეს? ვერცა ნახვენ...
როცა ის არის, ჩვენ არ ვარსებობთ,
როცა ჩვენა ვართ, ის არსად არის...
არ გამახსენო, არ გამახსენო,

რომ აღარ დარჩა რამ დასანანი...
როცა სიცოცხლე უფასურდება,
მაშინ სიკვდილიც არაფრად ფასობს,
ვერ ავიკრძალავ თავისუფლებას,
ყველა ჯალათმაც რომ იჯალათოს...
გრძელია ღამე და მეჩვენება,
რომ ვარსკვლავები ქრებიან ცაზე...
რომ ღამეული შენი მშვენება,
ისევ ანათებს ყველას ჯინაზე...
დრო გარბის, გარბის, არა ჩერდება,
და დროა, დროა ყველაზე ძვირი...
გინდა გიყიდო ბედნიერება?
ჰო, რა გგონია, კი არ დაგცინი...

ქარი ნიავს ემტერება (ი-ი.მ.-ს)

ემტერება, ემტერება, ქარი ნიავს ემტერება,
ნიავს მისგან შეშინებულს, შეუწყუჟავს მკერდთან ფრთები;
ქარი დაქრის, ქარი ღმუის, ქარი ეძებს ნიავს ყველგან,
უსტვენს, ბრაზობს, გადათელა თელიანი გამმაგებით...
დაქრის ძარღვებდაბერილი, თავზე ხელი აუღია,
გადარეულს, გაცოფებულს, არაფერი არა შველის,
თხილიანში ვერ მიაგნო, ნუშებისკენ გაუხვია
და ბზუილით გააბრუა, მთელი ტყე და სანახები...
ბოლოს მაინც ნახა, ნახა, როგორც ღრუბლის მკრთალი ფატა,
ყვავილებში, ლელიანთან, მარტოდმარტო, დავარდნილი,
იმ ქროლაში თურმე ფეხი მაცვლიანში გაებლანდა,
და მოწყვეტილ ყვავილს ჰგავდა, ნაღვლიანად თმაგამლილი...
შეკრთა ქარი, იქვე ჩაჯდა და ნელ-ნელა ჩაიჩუტა,
მას ნიავი ასე მკრთალი არასოდეს არ ენახა,
იმ წამიდან ქარის მკერდში რაღაც გრძნობამ ჩაიბუდა,
და რაც მოხდა, ყველაფერი, თურმე, ციდან მთვარემ ნახა...

არ ვიცი, არა, მართლაც, ვისი ხარ,

არ ვიცი, არა, მართლაც, ვისი ხარ,
რომელ ვარსკვლავებს ეპოტინები,
განა რა დარჩა ჩემი სისხლისგან,
ალბათ, ცოტაც და მთლად დავიცლები...
შენ კი არაფრად არ მიგაჩნია,
რომ დავრჩი, ასე, მხოლოდ თვალეზად,
რომ ჩემს გაზაფხულს ყავლი გასვლია
და ზამთრისაკენ მიემართება...
რომ სისასტიკის ვერცხლის მახვილი,

კარგა ხანია რაც ჩამიგია...
და ეს ტყვიებიც, შენგან დახლილი,
იმდენია, რომ ვერც დამითვლია...
რომ სული ჩემი, როგორც ბელურა,
ამ ცივ ზამთარში შემოგეკედლა...
რომ კარი მსურდა გამომეხურა,
მაგრამ არ მომცეს ნება მერცხლებმა...
მერცხლები, შენი ლურჯი თვალები,
ულამაზესნი, უჭკვიანესნი,
როგორც მთის წყარო ნაკამკამები,
მონათებულნი მერცხლის ალერსით...
იცი, კი, თუ რა დღეში მაგდებენ,
როცა შენ გხედავ, რა მემართება?
თავს ამურები დამტრიალებენ,
გავყრიდი, მაგრამ, რომ მებრალება...

როგორც გულს სისხლი

ზოგჯერ, როცა დრო უაზროდ გადის,
და მეც სხვებივით დინებას მივდევი,
როცა მთავრდება ჩემი კონტრაქტი,
და მუზაც ვიცი გადამივიწყებს...
ისე მჭირდება, ისე მჭირდება,
როგორც გულს სისხლი, ანდა, აორტა,
როგორ მეგონა ხელს ჩამკიდებდი,
და გამიყვანდი ამ სამყაროდან...
როგორ მეგონა, როგორც ნაკადულს,
ყვავილებს შორის გზას გამიკვლევდი,
რომ ასე მარტოს და გადაკარგულს,
ყველა ტკივილებს დამავიწყებდი...
მაგრამ ცივია ეგ შენი მზერა,
და შენს შეღებილ თმებს ფიფქი ათოვს,
იმდენს დავატრევ ჩემს ბედისწერას,
ვინ იცის, სადმეც კი დამეკარგოს...
შენ კი ამ თოვლში ისე აბიჯებ,
თითქოს ფიფქები გეცოდებიან,
თითქოს საცაა უნდა აფრინდე,
და ეგ ფიფქები შენი ფრთებია...
ჩვენ გავფრინდებით, როგორც მტრედები,
შორს, სადაც ლურჯი ვარსკვლავებია,
სადაც ჩნდებიან ეს ფანტელები
და ზამთრის მოსვლას ელოდებიან...

თან ულამაზეს ყვავილს მაგონებ

საოცარია, შევხვდით შემთხვევით,
მეგონე ციხე აულეხელი...
შენ კი მაჰკურე ცვარის წვეთები,
წვეთები ჩემი მაცოცხლებელი...
თან ულამაზეს ყვავილს მაგონებ,
თავბრუს რომ მახვევს თავის სურნელით...
მე სიხარულით გაგიბატონებ,
მოდის, დამადგი შენი უღელი...
თუმცა, კი, ვიცი, ვიცი, ძვირფასო,
რომ ბატონობა არ შეგიძლია,
მე კი გეტყვი, რომ კლდე ვარ ციცაბო,
რომ ჩემთან მუდამ ცივი ნისლია...
და მინდა, მინდა, მინდა დამიპყრო,
ფეხქვეშ გაგეგოს ჩემი მწვერვალი,
ჰო, მინდა, მინდა ჩემი ცა იყო,
გესროლა მეხი და მოგეკალი!!!

არწივი ვარ

არწივი ვარ, ვკრავ ირაოს,
რომ გავეკრა ლაჟვარდს ცაში;
თან ვუსმინო, როგორ გალობს,
ვარსკვლავები ათას ხმაში...
ვის ასხივებს მზე ამ დილას,
ან ღრუბლები ვის ჭორავენ,
მთვარეს გული რატომ სტკივა,
ზღვები საით მიგორავენ...
ზეცა ჩემი საუფლოა,
მაგრამ ქვევით, დამშრალ ხევში,
მატლებისთვის მიდის ბრძოლა
და ჭილყვავთა ხმები მესმის...
ჭილყვავების მე ის მიკვირს,
რომ სისწრაფით მრავლდებიან,
მძორის ხორციით, მძორის სისხლით,
რომ არწივებს თავს გვესხმიან...
და მცირდება ჩემი მოდგმა,
მოდგმა მხეცი არწივების,
და რომ ზეცაც რჩებათ ოხრად,
ვისაც იქით ვაწივლებდი...
ჰოდა, მიკვირს, მართლა, მიკვირს,
ვინ კვებავენ ამ ჭილყვავებს,
ისინი ხომ მატლებისთვის,

სადღაც დაბლა დაფრინავენ...

ბოღმა

ისევ სატანა მცდის
და არ მანებებს თავს...
შენთან შეხვედრა მღლის,
მაგრამ ვერ ვიტან სხვას...
მოდი, ნუ დამდეგ ბრალს,
ეს აბდაუბდაც მშლის,
თითქოს მაძრობდნენ ტყავს,
თითქოს მიღებდნენ სისხლს...
მომდეგ ვერა ვშლი კვალს,
მიჭირს გაგნება გზის,
მაინც ვერ ვიხდი ვალს,
დღემდე ვერცერთი თვის...
შენ რაც დარდები გკლავს,
მე ეგ სევდასა მგვრის,
ვერ გავატანე წყალს,
ბოღმა წყეული მტრის...

შენც ხომ ერთ–ერთი იმათგანი ხარ...

შენ რომ უჩემოდ აპრილს ხვდებოდი,
მე, ალბათ, მარტი მესიზმრებოდა,
შენ ოცი წლისაც არ იქნებოდი,
რომ გაგიცან და გული მწყდებოდა...
ასეა, ხშირად ჩვენს ცხოვრებაში,
აგვიანებენ გაზაფხულები,
და ილექება ჩვენს გონებაში,
ქალები, როგორც მზის ასულები...
შენც ხომ ერთ–ერთი იმათგანი ხარ,
ვინც ასე უყვართ ბედის რჩეულებს,
ვინც, სიყვარულის გზას ასწავლიან,
კაცებს თქვენს გამო გადარეულებს...
ესეც ბედია, ესეც ბედია,
რომ მარტი ვარ და მეაპრილები,
რომ თებერვალში მომნატრებია,
ტუჩები ტყუპად გახლეჩილები...
სულ მალე თოვლი დნობას დაიწყებს,
აყვირდებიან მთებში ხევები,
იცოდე თუკი მომინაკლისებ,
სადმე ზვავებში მივეხეთქები!!!

ვიცი, რომ გიყვარს ბევრი ფერება

ვიცი, რომ გიყვარს ბევრი ფერება,
მეც მიყვარს, მაგრამ ვერ გეფერები,
თითქოს დაკარგეს ჩემმა ხელებმა,
უნარი შენი სითბოს შეგრძნების...
თითქოს მხრაკავენ და მიმატებენ
ცეცხლს ნელა–ნელა ვიღაც ქაჯები,
და სანამ რამეს გავიაზრებდე,
დაღეჭილი აქვთ ჩემი აზრები...
დრო კი თავს მესხმის, როგორც ტირანი,
დღეებს მპარავს და ასე მაჩუმებს,
თორემ არა ვარ გაუცინარი,
რაც დამავალეს, იმ როლს ვასრულებ!!!
ხედავ, სასტიკი თებერვალია,
და მეც ვერაფერს ვერა გპირდები,
თან სულ მგონია, რომ სიზმარია,
და სხვების გამო მე ვიჭყლიტები...
და ვუმზერ, აწმყოს როგორ აყალბებს,
ის ვინც სიკეთეს უნდა თესავდეს,
განა არ მინდა, რომ რაღაც მწამდეს,
მაგრამ სავსე ვარ შხამით ყელამდე!!!

უნდა წამომყვე (ტ–ს)

რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს,
სულ რომ წაიღოს წყალმა თბილისი...
სადაც მე გეტყვი უნდა წამომყვე,
თუნდაც, იმ ჩვენი სიყვარულისთვის...
წაგიყვან, სადაც ცისფერ აუზებს,
წყლის ფერიები შეჭფარებიან,
და იქ იპოვი იმ სამკაულებს,
შენ, რომ საოცრად შეგყვარებია...
შენ მიგიღებენ როგორც დედოფალს,
ატმის ლოყებით და ოქროს თმებით,
მე კი ტრიუმფით როცა შემოვალ,
შემომანათებს შენი ატმები...
და გამარჯვებულს რომ შემომხედავ,
დატრიალდება შენს წინ დარბაზი;
ეს მე ჩაგიქრობ მაგ ამბოხებას,
ვნებად შენს გულში ზღვარს რომ გადადის...

როგორ მინდა

როგორ მინდა, როგორ მინდა,
სადმე იყო, ჩემთან ახლოს;
მიღიმოდე ისე ტკბილად,
თითქოს ბავშვი დამენახოს...
და მეც გთვლიდე სასწაულად,
სურნელებად წითელ ვარდთა,
ულამაზეს გაზაფხულად,
ჩვენ რომ ასე შეგვიყვარდა...
არა ვნანობ, არა ვნანობ,
ყველაფერი რომ დავკარგე,
ვეწაფები მე შენს წყაროს,
შენს ცხელ მკერდზე გამლილ ვარდებს...
უკეთესი რა ვინატრო,
მეცხრე ცაზე დავალ თითქოს,
და თუ შენი ცქერა მათრობს,
მინდა მუდამ მთვრალი ვიყო...
მაგრამ ვამჩნევ ჩაფერფლილან,
სულმთლად ჩემი კელაპტრები,
მგონი, მართლა, დავთვერი და,
მგონი, მართლა, მენატრები...

მოწყვეტილი გვირილა ხარ

მოწყვეტილი გვირილა ხარ,
ყველა კოცნას ითვლი ჩუმად,
როგორ გითხრა რად მიყვარხარ,
რომელ ალმა ჩამჩურჩულა...
თავიდანვე ლამაზებმა,
დამაბნიეს, დამაბრმავეს,
და ეს გულიც ხან გაჩერდა,
ხან კი ლამის აფართხალდეს...
მე გვირილა მინდა კიდევ?
და ფურცლებით შემოწმება?
შენი სახის გადამკიდემ
რომელ ქალთან ვპოვო შვება...
რომელ ქოხში, რომელ დროში,
სად ვეძებო ამას ვრჩევობ,
და დავდივარ ხელში ქოშით,
შენ, არა გსურს, რომ გაჩვენო?
რომ ოქროსფერ, ფრთოსან რაშზე,
შემომიჯდე ტანის რხევით,
და ავფრინდეთ იმ მწვერვალზე,
სადაც მხოლოდ ჩვენ ვიქნებით!!!

მე ამ ყველაფერს მძაფრად განვიცდი

მე ვაკვირდები, ვინ როგორ ბლევობს,
რა ადვილია ამის წაკითხვა,
სადაც ამდენი სიყალბე მეფობს,
მაგრამ არცერთი სიტყვით განვიცხვავ...
თუმც ჩემს კამათთან და ნაბოდვართან,
შენ არაფერი არ გესაქმება...
ასე მგონია ტალღა მოვარდა
და ჩემი სულიც ზღვას ემსგავსება...
მე ამ ყველაფერს მძაფრად განვიცდი,
ეს აღარ არის ზღვასთან თამაში,
როგორც სიმშვიდე ქარიშხლის წინ,
უკვე მომესმის ხმები განგაშის...
რა კარგი იყო, რა კარგი იყო,
როცა ვისხედით ორნი დარბაზში,
ლტოლვა ვნებაში გადაზრდილიყო,
და ამურების გვკლავდა პარპაში...
ეს ვიცი, ამდენს ველარ გავუძლებ,
თუმც სიკვდილამდე, ალბათ, შორია,
სულ ერთი, ერთი კოცნა მაჩუქე,
და აქ დამთავრდეს ეს ისტორია...

რა ერქვა ზღაპარს

რა ერქვა ზღაპარს, შენ რომ მიამბე,
ველარ ვიხსენებ, ახლა ვერაფრით...
ის მავიწყებდა ყველა სიავეს,
ჩემი თილისმა იყო ერთგვარი...
მახსენდებოდა ყოველ ცისმარე
და გამუდმებით თან დამყვებოდა,
ათას მეგობარს გავუზიარე,
მინდოდა, ყველა ჩაფიქრებოდა...
რა ერქვა ზღაპარს, თოვლის სამოსი,
თუ აღელვებულ ზღვების ხმაური?
სად გაქრა ცეცხლი იმ საღამოსი,
ჩვენ რომ დავარქვით დღესასწაული...
სად გაქრა თმები, შენ რომ იწნავდი,
რად დაჰკნა ვარდი, შენ, რომ გიყვარდა,
თუნდაც აზარტი, რითაც რისკავდი,
რად ჩაქრა, გაქრა და გაიფანტა...

როგორ გაბაცდა სადამოები,
ცისარტყელების რა იქნა ფერი?
რად ზიხარ მუდამ განმარტოებით,
და მივიწყებულ წარსულს გასცქერი...

თან წაიღე ყველა კოცნა

მე თუ მინდა შენთან ყოფნა,
შენ რად წახველ სხვასთან, ნეტა?
თან წაიღე ყველა კოცნა,
რაც კი შენთვის გამემეტა...
თან წაიღე იმედები,
რაც კი ზეცამ დამაბედა,
რად გაიყო ჩვენი გზები,
რად მიყვარდი, ასე, ნეტა...
ახლა, როცა შორსა ხარ და
შუა გვყოფენ ბევრი ზღვები,
შენი კოცნა, რომ არ დამრჩა,
იცი, ზოგჯერ მავიწყდები...

მზე თუ ჩაქრება

მზე თუ ჩაქრება, მე აგინთებთ, ნუ შეშინდებით...
მე ხომ პრომეთე გამოვიხსენ იმ კლდეებიდან,
ის არწივები დავიფრინე უბრალო ქვებით,
და შევაჩერე სისხლის დენა მისი მკერდიდან...
რად ხდება ასე, ეს ვერაფრით ვერ ამოვხსენი,
ვინც ცეცხლი მისცა ადამიანს რატომ ისჯება,
ან ღვთის სახელით რად იბრძვიან მახვილოსნები,
ან თვით კაცისკვლა, რატომ იქცა კაცთა თვისებად...
ან, კაცმა რომ თქვას, რას გაუგებ ჯუნგლის კანონებს,
თუნდ ღამის ცაზე ვარსკვლავები რად იწვებიან,
ან თუნდ მცირედი სიყვარული როგორ გვამონებს,
და რა ცოდოა, ვისაც სულაც არ ღირსებია...
თუ მზე ჩაქრება, მე აგინთებთ, ნუ შეშინდებით,
ახლა ხელს ავწევ და ღრუბლები გაიხსნებიან,
დე, გავიხაროთ მზის ხელახალ ამობრწყინებით,
გესმით, ფრინველნი მას ორკესტრის ხმებით ხვდებიან!!!

შენც შეცდომა ხარ

ისე არ მინდა და მეშინია,
ისე არ მინდა შენი დაკარგვა...
მე ვივლი, ალბათ, როგორც მივლია...
სულ შეცდომებით, ასე, გზადაგზა...
იქნებ, უბრალოდ, შენც შეცდომა ხარ,
ჩემს ბილიკებზე გამოჩენილი,
და ამ სამყაროს უსაზღვრობასთან,
განფენილი ხარ შენი თმებივით...
მე კი არც ვიცი, ვაარ თუ არა,
შენი ცხოვრების რამე ნაწილი...
როგორც მზე მთვარემ დაამწუხარა,
ცაზე რომ მოჩანს ამობარდნილი...
რად მეშინია, რად მეშინია,
რომ სამუდამოდ დამეკარგები,
ჩემი ცხოვრება შენს იდილიას,
ალბათ სწავს, როგორც სულს სწავს სანთლები...
არადა, რამდენ რამეს იტყვენ,
შენი თვალები, ასე მართლები...
ალბათ, შევხვდებით დიდი ხნის მერე,
თუ ახლაც ვცდები, არ მეთანხმები?

ცრემლები ალბათ ათასგვარია

მზე ჩადის, შენს მკერდს აელვარებულს,
როგორც წითელი ვარდის ფურცლები,
როგორც მიჯნური თავს შეყვარებულს,
ევლება შენი ცრემლის კურცხლები...
ცრემლები ალბათ ათასგვარია...
ცხელი, მდუღარე, ცივი, ყინული...
შენები, ალბათ, სევდის ბრალია,
ძუძუზე თეთრად გადათრთვილული...
ზიხარ, გასცქერი ცაში ვარსკვლავებს,
ზღვისპირას თითქოს სწრაფად დამდება...
შენსკენ სავალი გზა მოასწავლეს,
ვარსკვლავებს შენმა ბრილიანტებმა...
ჰოდა, ისინიც ცვივიან ციდან,
და შენს თეთრ კანზე ცისფრად სკდებიან,
მერე კი ისევ ასხმულნი მძივად,
შენს ბროლის გულ-მკერდს ეფაფრებიან...
ზღვა ეჭვიანობს, თავს ვერ იკავებს
და ტალღა-ტალღად თავზე გევლება,
შეშინებული დახუჭავ თვალებს
და ჩემს მაგიერ ზღვა გეფერება.

რა არის შენში, ნეტა, ასეთი...

რა არის შენში ნეტა ასეთი
რომ მაგნიტივით შენსკენ მიზიდავ,
ბევრი მინახავს მე ლამაზები,
ამ ზღვის აქეთ და ამ ზღვის იქითაც...
ბევრი მინახავს ეშხიანები,
ვისთანაც თავი მეფედ მიგრძენია,
თუმც ბევრის ქსელში ძალით გავები,
და ერთი ღამეც ვერ გამიძლია...
შენ კი, შენ, ალბათ, სულ სხვა ვინმე ხარ,
სულ სხვა აურით გარემოსილი,
მე მართლაც, შენი თავი მჭირდება,
და სამდღიანი მაწყობს ქორწილი...

ისევ რომანტიკა (ქეთის)

ჩემში რომანტიკაა ისევ ალბათ მთავარი,
სხვანაირად ამ დროსთვის რანაირად მომეველო,
უკეთესი ვერ ვნახე მე სხვა გამოსავალი,
სხვათაშორის, მინდოდა შენთანაც შემომეველო...
მაგრამ, როცა ასეთი კარგი ხარ და ლამაზი,
როცა თვითონ ვარდები შენთან არაფერია,
შენ რომ შეგეფერება, სად ვიპოვო დარბაზი,
შენთან მხოლოდ შეხვედრაც ჩემთვის საწნახელია...
მთვარესავით სავსე ხარ, ბადაგივით დამტკბარი,
არ გეგონოს, რომ, ისე, მხოლოდ მეფლირტავება...
გაუხედნავ კვიცივით ვარ შენს გამო დამფრთხალი,
ჩემო უსაყვარლესო, ჩემო ცეცხლისთვალეზავ...
დამიჯერე, ასეა, გზა არა მაქვს შენს იქით,
გზა, რომელიც სად მიდის, დღემდე ვერ გამიგია,
ახლაც წავეხეტები, ერთს კი შემოგიტვლიდი,
რაც შენთან განვიცადე, სხვასთან არ განმიცდია...

გადაჩეხვამდე ერთი წამია

საითაც წაველ, ყველგან გზას ავცდი,
გადაჩეხვამდე ერთი წამია,
ჩვენი შეხვედრა რჩება ძალაში,
თუ ჩვენ ორს შორის, სხვა მესამეა...
რა არის ძალა, კაცს რომ აქვავებს,
ან რომ გვაშინებს ასეთი ძალით?
ზეციდან ვინმე თუ გვითვალთვალეზს,

რატომ არ გვეტყვის, კარგი, დაწყნარდით!
ან ვინ აკავებს ცაში ვარსკვლავებს,
სწორად ვეშვები თუ თავდაყირა?
ხალხს ვერაფერი გამოვაპარე,
ფეხისწვერებზეც კი რომ დავდივარ...
რატომ ჰგონიათ სხვებს რომ ვიცინი,
თუ ეს სიცილი არის სიმწრისა,
მილაწუნებენ ლიწინ–ლიწინით,
აქეთ–იქიდან ამ სიცილისას...
აღარ მოძრაობს გამშრალა სისხლი,
აღარც გული სცემს კარგა ხანია,
და მეც მზადა ვარ ხარაკირისთვის,
აქ, სადღაც ძველი ნასახლარია...

ვით აისბერგი განრისხებულ ოკეანეში

სადმე, მივარდნილ, გადაკარგულ ადგილას დამსვით,
სადაც ვერავინ ვერ იქნება ჩემი მპოვნელი,
სადაც სიყვარულს გადავცვლიდი უბრალო ვარდში,
და დამატკობდა სურნელება დამათრობელი.
სადაც რიჟრაჟზე არ ატყდება ყვავთა ყრანტალი,
ძაღლთა გნისი, ყეფა–ლრენა, ლეკვთა წკავწკავი,
არ მეგონება უბედური არც ჩემი თავი,
არც მეზობელი, მეგობარი და ნათესავი...
სადაც ვერ ვნახავ, ამ უაზრო ქაჯურ ანგლობებს,
და არც მუქარებს არ მოვისმენ ყველა წვრილმანზე,
და არ მოვიხდი სხვების ნაცვლად ამდენ მაღლობებს,
და არც უეცრად ავფეთქდები შხამ ხასიათზე...
მოკლედ, რა მინდა, მე თვითონაც, მგონი, არ ვიცი...
ვერ გავაციე, ვულკანური სისხლი ძარღვებში,
მე აქ ყველაფერს, სულ ყველაფერს ისე განვიცდი,
ვით აისბერგი განრისხებულ ოკეანეში...

შენ ერთს შეგეძლო

საოცარია, შენს თვალებში გაჩენილ სხივებს
ჩემი თვალები როგორ ირეკლავს...
შენ ერთს შეგეძლო, შენ შეგეძლო გადაგერჩინე,
მაგრამ რატომღაც ცამ არ ინება...
სად არის ხიდი, შენთან რომ მოდის,
სად არის თოვლი, შენ რომ გათოვდა...
რა იქნა ღამე, რომ მპირდებოდი,
შენ სად გეძებო, რომელ მნათობთან...
გადააწითლებს, გადააწითლებს,

სევდის ნაპირებს ყაყაჩოები,
თუ არ გიყვარვარ, აღარ დამპირდე,
სხვასთან ვერ გავძელ, შენთან მოვედი...

1 აპრილი (თ.გ.– ს)

უკვე აპრილიც მოვიდა,
თავის იმედის ამარა,
მე შენთან ყოფნა მომინდა,
შენ თავი ზღამ შეგაყვარა...
ნეტა ვის ეაპრილები,
ვინ გჩუქნის გაშლილ ყვავილებს,
მაგ შენი ბროლის თითებით
მკერდის სარკმელი გამიღე...
ვიცი, დღეს სისულელეა,
აღმათ ტყუილზე კამათი,
მე გთვლიდი შენ ჩემს მშველელად,
შენ კი იმედიც წამართვი...

ანგელოზსა ჰგავდი

ნამდვილ ცოცხალ ანგელოზსა ჰგავდი,
თითქოს ფეხს არ აკარებდი მიწას,
დაგტოვე და მერე შენზე დარდი,
დამყვებოდა დიდხანს, დიდხანს, დიდხანს...
არაფერი, არაფერი მსურდა,
მართლაც შენი კარგად ყოფნის გარდა,
ისე ახლოს დაგინახე სულთან,
როგორც შენი სილამაზე მკლავდა...
დავცილდით და ჩვენ ორ შორის ისევ,
დრო ჩადგება, როგორც მონოლოგი,
მე უშენოდ აღარ მახალისებს,
ზღვის ტალღები სველ კენჭებს რომ ჰკოცნის...

ტკივილის მთები (ზაზა ხალვაშს)

გქონია განცდა, ტკივილის მთების?
ხშირად მქონია ასეთი განცდა...
მთებს გამოსხმიათ არწივის ფრთები,
და მძვინვარებით აწვდილან ცასთან...
თეთრი თოვლია მათი საბანი,

ცივი თვალებით იმზირებიან...
დგანან გვერდიგვერდ როგორც ტაძარნი,
და ამირანზე მითებს ჰყვებიან...
აქ ალბათ იყო ბევრი ჯახება,
რელიგიათა ომის ხანძარი,
აქ დღესაც ისმის გადამახება,
დედა სად არი, ნენა სად არი...
ცხელზე-ცხელია მთების ყინულნი,
როგორც უდედო ბავშვის ტირილი...
აქ ჩანჩქერებიც თავგანწირულნი,
მიწას ესხმიან ხანჯლის პირივით!
და მიაქვთ ხევებს დედის ცრემლები,
მიაქვთ ტკივილი და გოცება...
დგანან გვერდიგვერდ მთები თეთრები,
და ერთი ვაიც არ წამოსცდებათ!!!

ნეტა ასეთი მართლაც არ იყო

შენ მაპატიე, თუ შეგიძლია,
სევდა, რომელიც სულში შემოდის...
სულ ერთი წუთიც საკმარისია,
რალაც წამებიც კი უშენობის...
რომ დარდმა, ისე, ისე წამილოს,
როგორც მორევი ითრევს ლიფსიტებს,
ნეტა, ასეთი მართლაც არ იყო,
მიმზერ და თითქოს კედელს მიმჭყლიტე...
მითხარ, განა მე რა დავაშავე,
თუკი სიყვარულს ცეცხლის ფერი აქვს...
თუ ჩამოღვენთილს ციდან ვარსკვლავებს,
შენი სიზმრები ესიზმრებიან...
და რომ მეც ჩემ წილ ბედნიერებას,
მხოლოდ შენს გამო ვეპოტინები,
რომ გამაცოფეს შენმა მზერებმა,
რომ მწვავენ შენი ცხელი სხივები...
ვინ იცის, იქნებ ჯადოქარიც ხარ,
და მაგ საოცარ ნიღაბს ატარებ...
მე კი სურვილმა ბაგე ამიწვა,
და შენს დანაღმულ მკერდზე ვვარვარებ...

ყველაფერს წავშლი

როგორც დაფაზე, მახსოვრობიდან,
წავშლი ყველაფერს, ყველაფერს წავშლი...

თუ ჩემთან ყოფნა უკვე მოგწყინდა,
თუ კი არა აქვს არაფერს აზრი...
რა ხდება ქვეყნად, რა ხდება მეტყვი?
ერთი ვარსკვლავი მეორეს ბადებს,
და იქვე, იქვე, ღრუბლები სეტყვის,
იკრიბებიან ვარსკვლავთა თავზე...
მე შენთან უკვე არაფერს ვმაღავ,
არც მკეთებია, იცი, ნიღაბი,
შენ ამომხადე სული მთლიანად,
მთელი სისწრაფით, მთელი სიცხადით...
რაა სამყარო, ერთი გახედვა,
რად ჩნდება ქალი, ნუთუ, ნატვრისთვის?
როგორც მძვინვარე ვეფხვის გახედვნა,
შენ იყავ, ალბათ, გამონაკლისი...
რა გვიანია, რა გვიანია,
რა სისხლისფერი მოდის დაისი...
მთვარის სიკვდილი ღამის ბრალია,
ჩემი სიკვდილი კი არავისი...

ნუ განიცდი (მანანას ელიაშვილს)

ნუ განიცდი, შენ, ნურაფერს,
ნუ განიცდი, ნუ განიცდი...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
მათ ვინც ჩვენთვის ჩუმად იწვის...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
შეყვარებულს ჩვენზე თვალებს,
უკვე როცა ვეღარ ვასწრებთ,
ვეღარაფერს, ვეღარაფერს...
ხელი მომეც, შენს მხარს მინდა,
ორი წამით ჩამოვეყრდნო,
შენი სულის სანთლებიდან
შენი ცეცხლი გადმომედო...
ნუ განიცდი, ნუ განიცდი,
ჩემს პოვნას და ჩემს დაკარგვას...
მთვარე ვენებს გადაიხსნის,
ყოველ ღამეს თუ ვერ მნახავს...
ყოველ ღამეს, ყოველ ღამეს,
მთვარის შუქზე მოდი ჩემთან,
რომ ვუმზირო შენს მშვიდ თვალებს,
შენი ხელი მქონდეს მკერდთან...

როგორ დავძლიო ეს მწუხარება

ერთ დროს ამაყი როგორც მყინვარი,
დღეს ომის ველებს გავრიდებივარ...
ვერც მომავალი ამოვიცანი,
აწმყოსაც სულმთლად დავვიწყებივარ...
მახსოვს, არ გქონდა შუბლზე ხაზები,
გადაგდიოდა თითქოს ნათელი,
და იყო ალბათ შეუთავსები
დროსთან მჟღერადი შენი სახელი...
რა იყავ ჩემთვის, იქნებ თილისმა,
თუ გამოცანა გამოსაცნობი?
ის ყოველივე რად გაისრისა,
რასაც მე და შენ ერთად ვნატრობდით...
როგორ მოვიქცე, ვინ მიკარნახებს,
თუ ღმერთებს ჩვენთვის არა სცალიათ;
სანთელი ასე რატომ ცახცახებს,
გზა რატომ ველარ გამიკვალა...
როგორ არ მინდა სხვას მიეკედლო,
სხვას უნათებდნენ შენი თვალები;
შენ მაპატიე, თუკი ვერ შევძლო,
ვერ დავამარცხო ეს ტიტანები...
რომლებსაც სევდა და დარდი ჰქვია,
შენც იცი, რატომ, შენც იცი, რაზე...
რომ ყოველივე დროს უკან მიაქვს,
რასაც სიცოცხლე გვართმევს და გვადლევს...
ვინა ვარ, შენი ერთი წამწამი,
თუ თვალის ერთი დახამხამება?
ხომ ვერ მასწავლი, ხომ ვერ მასწავლი,
როგორ დავძლიო ეს მწუხარება!!!

ნეტა ვიცოდე

ჩემზე ოცნებას არავინ გიშლის,
მე შემომხედე, ცას რას უყურებ,
თუ შემიყვარდი, ცა ველარ გიხსნის,
ნეტა ვიცოდე რასა ჩურჩულებ...
ნეტა ვიცოდე, ნეტა ვიცოდე,
ვის სმენას ატკობ შენი გალობით,
შენს გულში ვინა დარბაისლობენ,
ან შენ ვისთვისა ნატრისთვალობდი...
ნეტა, ვიცოდე, ვინ გადაშალე,
ანდა, პირიქით, ვინ შეარჩიე,
ბედნიერება რაში გასცვალე,
მითხარი, ნუთუ, ვერ შეგამჩნიეს...

რომ აყვავებულ ალუბალს ჰგავხარ,
და სიყვარულის ალში გიზგიზებ,
და მიყვებიან ბავშვობის ზღაპარს
შენი თვალები კიდევ და კიდევ...
მიტხარი, რაა შენთვის მთავარი,
სულსა და ხორცში რომელს არჩევდი,
იქნებ ისაა გამოსავალი
საკუთარ თავზე თუკი მაღლდები.
ნეტა, სიყვარულს არ გიკრძალავდნენ?
თუ გქონდა მუდამ თავისუფლება,
უნდა იბრძოლო კუბოს კარამდე,
თუ გსურს ღმერთებთან გასაუბრება!!!

ოლონდ ინატრონ

შენ ყველაფერი გეკუთვნის ჩემგან,
გეკუთვნის, რაც კი რამ მაბადია...
რაც დამაბერტყა მაღლიდან ღმერთმა,
ამ ულამაზეს განთიადიდან...
გეკუთვნის ჩემი ველების ნამი,
გეკუთვნის მთების ჩრდილი, სიგრილე,
გეკუთვნის ყველა ძოწი და ლალი,
შაჰინ–შაჰები რასაც ითვლიდნენ...
გეკუთვნის ყველა ვარსკვლავი ცისა,
ყველა ყვავილი, რაც კი ამოვა,
ყველა სხივები, რაც მოდის მზისგან,
გეკუთვნის ჩემგან, ვიცი, სახსოვრად...
არ მენანება, არ მენანება,
შენთვის კოშკები და დარბაზები,
ოლონდ ინატრონ შენმა ბაგებმა,
ოლონდ ისურვონ რამე ასეთი...

შენს იქით ვერსად ვერ ვიხედები

შენს იქით ვერსად ვერ ვიხედები,
ისე შეცვალე ჩემი ცხოვრება,
მოვალ, მოვდელავ თეთრი მერნებით,
შენი ვნებების დასაოკებლად...
შენთვის გადავჭრი ყველა უდაბნოს,
და ჯოჯოხეთის ცეცხლშიც ჩავდგები,
და თუნდ ჩემს მერნებს არ გაუმართლოს,
შენსკენ გამოვწევ ვეფხვთა თანხლებით...
რადგან მეც თვითონ ვეფხვის გენი მაქვს,
მათი ძუძუ მაქვს ბევრჯერ ნაწოვი,

ჰოდა წამოვყრი იალაღიდან,
ვეფხვებს მზის გულზე მშვიდად გაწოლილთ...
მოვფრინავ შენსკენ, როგორც ალაღი,
და არ ელოდო ჩემგან დანდობას,
უკვე ხელში მაქვს შენი დალაღი,
შენი ტუჩების მატკობს მაჭრობა...
მოვქრივარ მთები ცეცხლში ეხვევა,
აალებულნი ცხენთა ფლოქვებით,
შენ სხვისი ხელი ვერ შეგეხება,
შენ უნდა მოკვდე ჩემი კოცნებით!!!

ჩემი ცხოვრება სულ თამაშია

რა მომწონს, ანდა, რა მიყვარს შენში?
აღბათ, სახეზე სწორი ნაკვთები...
ღიმილი, სითბო, და აღბათ ეშხი,
ეშხი, ნადვილად ხაზგასავლები...
როცა შხამიან ხასიათზე ვარ,
და ამ დროს უცბად შენ გამოჩნდები...
გამეღიმიება გაუაზრებლად,
და ვიწყებ ტკობას იმ საოცრებით...
რომელიც ყველა ლამაზ ქალშია,
და ჩვენ რომლითაც ცეცხლს გვიკიდებენ,
ჩემი ცხოვრება სულ თამაშია...
თუმც ვაგებ, რადგან სხვები იგებენ...

როგორც ქარი, როგორც ელვა

როგორც ვეფხვი ტაიგიდან,
როგორც ქარი, როგორც ელვა...
როგორც მეხი სუფთა ციდან,
და ვულკანის ამოხეთქვა...
ისე ვიგრძენ სული შენი,
ხელისგულზე როგორც ნამი,
აღბათ ისევ შენ მიშველი,
როგორც შველის სალოცავი...
ჯერ კი შეშლილ ქარსა ჰგავხარ,
ქარს ზღვის გულში ამოვარდნილს,
რომ მოდის და მოაქვს ტალღა,
და ღრიალებს გაქრობამდის...
რომ მოგთოკო, სად მაქვს ძალა,
ისევ ზვავებს უნდა ვენდო,
ან გავხდები მაწანწალა,
რომ შენს ფერხთით მკვდარი ვეგდო...

ტახტი

წააგე, ბრძოლა? რა მოხდა მერე,
არ აგებს ის, ვინც არასდროს იბრძვის...
იყო დრო, არა ხოცავდნენ მძევლებს,
არა სწყუროდათ იმათი სისხლი...
ან ვინ გაუგოს მეფეთა თამაშს,
იმათ სურვილებს და ამბიციებს,
ვინ უყვართ, მართლაც, ვის სცემენ თაყვანს,
ძვალ-რბილში ატანს მათი სიცივე!
დღემდე გრძელდება ტახტისთვის ომი,
ტახტი, რომელიც ხეა მარტოდენ...
რა მარტივია ომის კანონი,
გჭრიან, გიჭერენ, გკლავენ, გახრჩობენ...
რომ მერე ტახტზე წამოჯდეს ვიღაც,
და კანონს წერდეს აღტაცებული...
რომ მეფობამდე ვინც ახლდა, იმათ,
იმათ შეებას გაავებული...

გამომიწვიე (ნატო ნატალის)

ასე ზღაპრული რად მეჩვენები?
რად მეჩვენები ასე ლამაზი?
როგორც მზის გულზე ყურძნის მტევნები,
როგორც ოქროში, ბრწყინავს ალმასი...
გამომიწვიე, გამომიწვიე,
მხოლოდდამხოლოდ თუნდაც საცქერლად...
თითქოს აკვანი გადამირწიე
და შენი სახით მზე მომაჩერდა...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ დასკდებიან შურით ქალები,
სილამაზისთვის ვისაც ომი აქვთ,
როგორც იბრძოდნენ ამორძალები...
მნელია ასეთ ტანჯვას გავუძლო,
დღეს შენი სახით ჰყვავის მაისი,
თუმც ხანმოკლეა ჩვენი საწუთრო,
ვინ იცის, შევხვდეთ, მართლაც, რა იცი...

ეგ სილამაზე ზღვარგადასული

მე ვსუნთქავ შენით და გაზაფხულით,
და მჯერა, მჯერა ჯადოქრობისა,
დღეს ეს შენა ხარ ჩემი ავსული,

და გთხოვ, როგორმე ჯადო მომიხსნა...
ეგ სილამაზე ზღვარგადასული,
სასწაულივით გადამდებია,
ანათებ, როგორც მეფის ასული
სასახლეს ბროლის დარბაზებიანს...
და სანამ მართლაც ჩამსახლებიან,
მეც ამ სხეულში ბნელი ძალები,
სანამ შენს ჯადოს, ათასფრთებიანს,
მეშინია და ვერ ვეკარები...
მოდო, მიშველე, მოდი ამხსენი,
მაგ ფრთებმა ლამის ცა გააშავეს...
რატომ ჩნდებიან შენისთანები,
ჩემს გზაზე, განა რა დავაშავე...

შველა მინდა და ვერ ვშველი

ისეა ჩვენი დღეები გაჯერებული სისხლით,
ისეა გადაკვალებული ყველა დღე, ყველა წუთი...
ასე მგონია, რომ დღესაც ტყვიებს მიშენენ მიჯრით,
ღმერთი კი სადღაც ნასესხებ დღეებს და თვეებს მჩუქნის...
რაც ვფურცლე ისტორიანი, ყველგან ღალატი დამხვდა,
არ მიკვირს აღარაფერი, მინდა ხვალის დღე მწამდეს,
რომ დადენილი ზღვად ცრემლი, გმირებს საფლავში ჩაჰყვათ...
შველა მინდა და ვერ ვშველი, მე გამოცდაზე ჩამჭრეს!!!

ჭადარი ვარ

ჭადარი ვარ, ველს გავყურებ თვალუწვდენელს,
მარტო ვდგავარ, მარტოობამ დაღრღნა გული...
სეტყვა მსეტყვავს, მეც ცისაკენ ვიწვდი ხელებს,
ის კი მსეტყვავს, აღარა აქვს დასასრული...
თითქოს ყველამ, თითქოს ყველამ პირი შეკრა,
ელვა–მეხმა ტოტი–ტოტზე დამასხიპა...
ჭადარი ვარ, და ქარიშხლებს ვებრძვი კენტად,
ყველა ყლორტი მიღირს ლამის მამასისხლად...
ვერ მაჯობებს, ვერ წამაქცევს გრიგალები,
და ვერასდროს მიწიდან ვერ ამომძირკვავს...
ქარიშხლებშიც მუდამ ისე ვშრიალებდი,
მუდამ ისე ვშრიალებდი, შენ რომ გიყვარს...
დღეს თუ არა, ხვალ ხომ მაინც ამოიყრის,
სადმე ახლოს სხვა ჭადარი თავის ყლორტებს,
და რაც უნდა დავიღალო მის ლოდინში,
რომც კვკვდებოდე, მე მის შველას მაინც შევძლებ...
სეტყვა მსეტყვავს, მიშენს თავის ხოშკაკალას,

და გარშემო ქარიშხლები ღრიალებენ...
ჩემს წინ თითქოს დედამიწა ალებს ხახას,
და სატანა თავის ურდოს მიაგეღვებს...
მიწა დასკდა, ბობოქრობენ ნიაღვრები,
შიშველ ფესვზე ქვა და ღორღი მენარცხება...
იცი, ღრუბლებს ცისკენ რატომ მივარღვევდი?
აღბათ მხოლოდ, მხოლოდ შენთან შესახვედრად...

რატომ მაგონებ ყვევილებს ცისას

რატომ მაგონებ ყვევილებს ცისას,
აყვავებულ რტოს ქალწულის ხელში...
მაგონებ კრძალვით გამხელილ სიზმარს,
ნანახს ოდესღაც უმშვიდეს წლებში...
მაგონებ კლდეში გაჩენილ წყაროს,
და მონატრებულ დაისის ნიავს,
ტყეს, მთვარის შუქზე რომ სევდიანობს,
მთებს გადათოვლილს, მწვერვალს ნისლიანს...
ისე მოქმედებს შენი ნახატი,
როგორც უდაბნოს მზის მხურვალეობა,
რა ლამაზია, შენი ასაკი,
ნუ მკოცნი ასე შეუბრალებლად...

ვით ბავშვობის აიწონა–დაიწონა

ვაგეთ, ვაგეთ სიყვარულის ცათამბჯენი,
ხან სიცილით, ხან ცრემლებით, ხან ნუგეშით;
არ მიყვარდა, არ მიყვარდა ცრემლი შენი,
და ყოველთვის ცხელი კოცნით ვაყუჩებდი...
ვერ ვიხსენებ, სად და როდის გაიზარა,
საწყენია, საწყენია, რომ ვერ მივხვდი;
რად დაკარგა სიყვარულმა თავის ძალა,
ბედისწერამ რად დაგვსაჯა ოცნებისთვის...
ჩამოინგრა ცათამბჯენი, დაიშალა,
ყველა კოცნა ქარში მტვერმა გაიყოლა,
ჩაიშალა, ყველაფერი ჩაიშალა...
ვით ბავშვობის აიწონა–დაიწონა...

დავიღალე

დავიღალე ამ ლექსების მართონში,
ვეღარ ვუძლებ გამუდმებულ ბატალიებს...

შენც ამდენხანს, შენც ამდენხანს არ გამოჩნდი,
ვგრძნობ ჩემს მიმართ, რომ ჭორებმა გაგაციეს...
როგორ გინდა, როგორ გინდა აიტანო,
ამდენი რამ მოხვეული თავზე ძალად...
და მეც ვიბრძვი, ხშირად კიდევ ვქარიშხალობ,
და წალეკვით ვემუქრები ამ ბილწ ქალაქს...
სად წაუხვალ, სად წაუხვალ ამ სიყალბეს,
დასაცინად ყველა გზაზე ჩასაფრებულს,
ყველაფერზე, ყველაფერზე ვხუჭავ თვალებს
ვეღარ ვუმზერ ყოფას ფარსად გადაქცეულს...
მგონი მქონდა, მართლაც, მქონდა რაღაც ნიჭი,
ამ წლებში რომ ლამის ხელში შემომადნა,
ერთს კი გთხოვდი, რომ გზას ნულარ გადამიჭრი,
სანამ ჩემი ქარიშხლები ამოვარდა...

რად მიმეტებდი

რად მიმეტებდი, ნეტა,
როგორც ჯალათი მკაცრი;
იყო ნერვების ფლეთა
შენი სიტყვები ბასრი...
მე არავისი მმართვეს
განცდის არცერთი გრამი,
შენ კი დგახარ და მტაცებ,
დღეებს, დამალულს ღამით...
ჟანგი გაუჩნდათ სიზმრებს,
შენზე რომლებსაც ვხედავ,
და მეც უაზროდ ვიწყებ,
ძილში ჟანგების ხეხვას...
ხსოვნა შეადებს მწუხრის
წუთებს გაჟღენთილს ცრემლით,
იქნებ ტყუილად სწუხდი,
ბრალსაც ტყუილად მდებდი...
ისევ ამებნა თავგზა,
ისევ დამადე ვალი...
და მიმზერს, მიმზერს მკაცრად
შენი მსუსხავი თვალი...

თენდება დილა

სულ ცოტაც კიდევ, სულ ცოტაც, ცოტაც,
სულ ცოტაც, სანამ მზე აღმოხდების...
აღბათ ყველაფერს სჯობია მოცდა,
მოცდა და ხილვა ამ საოცრების...

ჯერ განათდება ოდნავ ცისკიდე,
და ალი წითლად წაეკიდება,
მერე ცისკარი გაარღვევს სივრცეს
და მზის სხივებზე დაეკიდება...
და სულ მალევე ჰორიზონტს ზღვებზე,
გადასწვდებიან სხივნი მზისანი,
გესმის, ფრინველთაც გალობით შესძრეს,
ბაღში ტოტები ალუბლისანი...
მთებში აჩქამდნენ ნაკადულები,
თავი აიღეს დილის იებმა,
ერთი—ერთმანეთს გადაწნულები,
დგანან ვაზები და ელიმებათ...
რატომ ტირიან მითხარ ვაზები,
ვის აცილებენ მათი ცრემლები?
თენდება დილა და დარბაზები,
ბრწყინავს სინათლით და ორკესტრებით...

სიყვარული დამთავრდა

სიყვარულმა არ იცის, შეცოდება, დანდობა,
სიყვარულმა არ იცის, არც დიდი, არც პატარა...
როცა შენთან მზე იყო, მე ფიფქები მათოვდა,
გაზაფხულმა შეგვრთო და შემოდგომამ გაგვყარა...
მოდის, მოდის ახალი, სულ ახალი თაობა...
აღარ უყვართ ჩვენსავით, ყველაფერი გაშიშვლდა,
მართლაც ისე დიდია, დღეს ჩვენს შორის სხვაობა,
სიყვარული დამთავრდა, ჩვენი კოცნა გაცივდა...
ხელი მომე, სადმე შორს, სადმე სულ შორს წავიდეთ,
სადაც ვერ მოგვწვდებიან აქაური დღეები;
არც შენ მითხრა რაიმე, არც მე არ დაგარიგებ,
და ერთმანეთს გავუთხოთ გაყინული ხელები...

არავინ ირგვლივ

არავინ ირგვლივ, ვერავის სიტყვას,
ვერ ეტყვი, რადგან შენთვის არ სცხელა...
გამირბის, როგორც გაურბის ტყვიას,
ყველა, მუზა რომ ჰქვია სახელად...
არ მრჩება წუთიც თავისმართლების,
ან რა გავიგო, მართლაც, რა ხდება...
რად ანათებენ სხვისი სანთლები,
ჩემი ხანძრები კი ინაცრება...
ნუთუ მზეც მხოლოდ სხვისთვის ანათებს,

ვეფიცებოდი მათ ერთგულებას,
მათ კი დამტოვეს და მილალატეს,
სულყველამ ერთად, ყველა მუზებმა...
იქნებ არ ღირდა, მართლაც არ ღირდა,
ყველა ერთად რომ შემოვიჩვიე,
რომ ჩემი სულის თეთრი ტაძრიდან,
ვუწვდიდი ტიტებს, ენძელებს, იებს...
მითხარით, ნუთუ, ნამდვილად შევცდი,
მე ხომ იმათი მართლაც მჯეროდა...
და მერამდენედ ლექსით დამეწყრილს,
იმათი თეთრი ფრთები მშველოდა...
როგორ ვისუნთქო უპოეზიოდ,
ან რა ვაკეთო ამ წყეულ დროში...
კი, მინდა, მინდა სულს მოვერიო,
სული, რომელიც სულს დაფავს მორგში...

მინდა ვიქცე ქარად

გული დამწყდებოდა, რომ შენს უნახავად,
ეს დღეც გასულიყო, ეს დღეც გამქრალიყო...
მინდა, მინდა, მინდა, მინდა ვიქცე ქარად,
და იქ ამოვვარდე, სადაც უნდა იყო...
მინდა აგიწეწო მხრებზე დაფენილი,
თმები წაბლისფერი, ქაფად, ჩანჩქერებად,
მწიფე ალუბლისფერ ფერში დაფერილი,
მიღირს ყველა ღამის თეთრად გათენებად...
როგორ ადვილია ჩემი შეტყუება,
შენი გაზაფხულის ღამის ბაღნარებში,
ჩემი ფოლადივით ხელი გეწყურება,
ჩემგან მოგზავნილი ქარის ნაალერსი...
შენსკენ ჩემი ხსოვნის გზები გამოვკვალე,
სად აღარ ვყოფილვარ, სად არ მიქროლია...
მოვუძღვი, მოვუძღვი, მოვუძღვი წინ ქარებს,
შენგან დაიწყება ჩემი ისტორია...

ვერ გიძალიანდები

დროა რთული ძალიან,
დროა ქართა თარეშის...
და თუ რამ მიხარია,
მხოლოდ შენი ალერსი...
თუკი რამე მაღელვებს,
თუკი რამეს ვერ ვწვდები,
ეგ ღიმილი ბაგეზე

და უარის კედლები...
რამდენ რამეს მალავენ,
მართლაც ქალის თვალები,
რას არ აგიკრძალავენ,
სულ წამით თუ დანებდი...
ახლაც გიმზერ და ვხვდები,
უხმოდ მამლევ ბრძანებას,
ვერ გიძალიანდები,
ვერც ვერვინ მეხმარება...
გარეთ უკვე ღამეა,
გარეთ ქარი თარეშობს,
მთვარე მგლოვიარეა,
თვალი ცრემლით აევსო...

მესროლე

მოდი, მესროლე, პირდაპირ გულში,
არ ამაცდინო, არ ამაცდინო!
მე ამ გასროლას ბავშვივით ვუცდი,
და მინდა, მინდა ხმა მოგაწვდინო!
მესროლე, როგორც ესვრიან მკვლევლებს,
რომლებიც სიკვდილს იმსახურებენ...
მე გავცოცხლდები სიკვდილის მერეც,
კუბოში ვწევარ, თავს ახურებენ...
ნუთუ არ ღირდა, ნუთუ არ ღირდა,
მოგეცა ჩემთვის სულ ორი წუთი,
მე ხომ სახურავს კუბოს ავხდი და,
და მაინც გეტყვი თუ რაზე ვწუხდი...
როგორ ვერ მიხვდი, ტყვიის მაგიერ,
მე კუპიდონის ველოდი ისარს,
შენ კი მომკალ და შარში გამხვიე,
აკი, ყოველთვის ვაცდენო მიზანს!?

როგორც ფიფქები მოფარფატენი

ისე ლამაზად ეშვები ციდან,
როგორც ფიფქები მოფარფატენი,
და მათოვს, მათოვს მე შენი მხრიდან,
ასი ათასი ფერის ფანტელი...
და ვიცი, ვიცი, გადაბარდნიან,
აქაურობას ჩვენზე ჭორებით,
რომ არც სიყვარულს არ დაგვაცლიან,
რადგან არც ქალაქს არ ვეცოდებით...
რატომ მაგონებ, რატომ მაგონებ,

ქედანს მელნისფერს, ცისკენ გაფრენილს
ვიცი, ვერ იტან ჩემს სიახლოვეს
რადგან ვერ იტან ბრჭყალებს მტაცებლის...
მაგრამ ერთხელაც, ალბათ, როდესაც,
შენც მოგბეზრდება მარტოს ფარფატი,
როცა აირჩევ შესამოსელად,
დედოფლის კაბას თავის ფატათი...
მაშინ გეწვევი, მართლა გეწვევი,
და შენი ქმარი ვინც უნდა იყოს,
სულ პირველ ცეკვას მე გეცეკვები,
და მოვწყვეტ პირველ ამბორის სიტკბოს!!!

დაფრენს, დაფრენს პეპელა

დაფრენს, დაფრენს პეპელა,
ყვავილების სტუმარი...
გაზაფხულის ველებმა
მისცეს თავსასთუმალი...
მისცეს რაც მას სწყურია,
უტკბილესი ნექტარი...
ყვავილს ყვითელგულიანს,
სწოვს უშხამო ნესტარი...
პეპლებს ქალებს გადარებთ,
ქალებს მოფარფატეებს,
ასე თავს რომ გვაყვარებთ,
კაცებს მომთაბარეებს...
სად არიან ნეტავი,
ყველა ჩემი პეპლები,
მახსოვს მათი ნექტარი,
ტკბილი, დაუყვედრები...
სად არიან ისინი,
ვინც ოდესღაც მიყვარდა,
ვინც მათბობდა სიცილით,
როცა სულში ყინავდა...
სად არიან, სად გაქრნენ,
რომელ ყვავილს სტუმრობენ,
თავი ვის შეაფარეს,
სადა მოგზაურობენ...
რა ლამაზი დრო იყო,
მახსოვს ბევრი კოცნები...
მართლაც, მკვდარიც რომ ვიყო,
ვიგონებ და ვცოცხლდები...

აბსტრაქცია

ვერ გამიგია, რატომ მიყვარდი,
რა იყო ჩვენში, ნეტა, საერთო...
შენ პეპელა ხარ, მე ლეოპარდი,
ჩვენ ორნი ერთად როგორ გავერთოთ...
შელობილია ცირკში არენა,
ჩემ წინ რგოლია აალებული,
შენ, შეგიძლია, რგოლში გაფრენა?
მე კი მივფრინავ გამალეებული...
თან კლოუნესაც მოდის ცილინდრით,
ხედავ? როგორი სავსე მკერდი აქვს?
მე ვერ მამშვიდებს მისი ღიმილი,
ის მკერდიანად გასაკვნიტია...
სულ მალე, ალბათ, პეპლებს ამოსხამს,
ის ხომ ხალხს უნდა ეფანტაზიოს,
მეც ველოდები იმის გამოსვლას,
მან კაცი ქალად უნდა აქციოს...
იცი, ვიბნევი, თქვენ რომ მოფრინავთ,
როგორ გიპოვო ამდენ პეპლებში,
გთხოვ, მაპატიო, მე ხომ როლში ვარ
და შოლტის გაწვნას ვუძლებ ბეჭებში...

აღდგომა

რა არის ჯვარცმა, რაა აღდგომა?
გზა არის ძნელი, თუ ჯვარზე გაკვრა?
ბრბოს თანადგომა, ბრბოს თანადგომა,
ბრბოს თანადგომა, განდგომის ნაცვლად...
მართლაც, რომელი უარესია,
გოლგოთის გზა თუ ხელში ლურსმნები?
ისრებს ესვრიან, ისრებს ესვრიან,
და მიზანს აღწევს ყველა ისრები...
გამოისყიდა ყველა ცოდვანი,
მან ის წამებით გამოისყიდა,
დღეს ცაში ადის ჩვენი ლოცვანი,
და, ალბათ, მიდის ზეცის იქითაც...
ის აღსდგა, აღსდგა, და ჭეშმარიტად,
ის სიყვარულის დიდი ღმერთია,
ეწამა, მერე ცაში ავიდა
და მე ქალწულის იქცა მესიად!!!

რა მინდა გთხოვო, წმინდა მარიამ

რა მინდა გთხოვო, რა მინდა გთხოვო,

რა მინდა გთხოვო, წმინდა მარიამ!!!
რომ დაიფარო ჩემი სამშობლო...
როცა ომი და ქარიშხალია...
რომ დაუბრუნო ძველი ღირსება,
რომ გადმოხედო და უთანაგრძნო,
თორემ გახუნდა მისი დიდება,
როგორც აროდეს, როგორც არასდროს...
ვიცი, ტანჯვაში ზოგჯერ ხსნა არის,
წამების მერე ზეცა იხსნება,
მაგრამ მგონია, რომ დღეს მთავარი,
ჩვენთვის მთავარი არის ღირსება...
რომ მომცე ძალა, თავი ავწიო,
მტერს დავახვედრო ფარი, მახვილი,
დამეცა? უკან ვერ გააღწიოს!
მას აქ სამარე დახვდეს გახსნილი...
ჩემი სამშობლო, ასე მდიდარი,
ხალხით, ბუნებით, განსაცდელშია,
კი, უცოდველი არავინ არი,
დღეს ბედი ჩვენი ღმერთის ხელშია!
ილოცე ჩვენთვის, ილოცე ჩვენთვის,
ილოცე ჩვენთვის, წმინდა მარიამ,
მე მჯერა, მათაც მიხედავს ღმერთი,
ვინც ბედის გამო სხვაგან არიან...
ილოცე მათთვის, ვინც აღარაა,
ვინც ბოლო ომში ტყვიამ იმსხვერპლა...
ყველა, ვინც ჩვენთვის სისხლი დაღვარა
და ვერ გავეწირავთ დასავიწყებლად...
მე მჯერა შენი, მე მჯერა შენი,
მჯერა სიკეთე იესოს დედის,
შენ საქართველოს მზესავით შვენი...
მე მიყვარს შენი შარავანდედი...

განა რაა სიყვარული

დარჩი ჩემთან, დარჩი ჩემთან,
სამუდამოდ ჩემთან დარჩი...
მინდა ვიქცე შენთვის ფერფლად,
მკერდზე ასე რად დამაჩნდი...
რად დამაჩნდი, როგორც ხატი,
როგორც ზეცა მოელვარე,
როგორც ღამის ათინათი,
სარკმელზე რომ ხატავს მთვარე...
განა რაა სიყვარული,
შიგადაშიგ გულის ძგერა,
ზოგჯერ ერთად სიარული,

თვალის–თვალში გაყრა, ცქერა...
ამ ყველაფერს ხშირად იცი,
სისულელეს ეძახიან...
თუმცა, ნეტა, რატომ, რისთვის?
სიყვარული თუკი ჰქვია...
როგორ მინდა შენ ამიხსნა,
შენ ამიხსნა ყველაფერი,
თეთრი მკერდი გადამიხსნა,
მე კი დავტკბე მისი ცქერით...

როგორ შემყვარებიხარ

როგორ შემყვარებიხარ, როგორ შემყვარებიხარ,
ისე, რომ ვერც გავიგე, თავისთავად, უბრალოდ...
ეს რა ცეცხლი გადმოდის მაგ შენი თვალებიდან,
ცეცხლი, მე რომ დამფერფლა და გამაქრო უკვალოდ...
შენი მზერა გულგრილად, მართლაც არ შემიძლია,
რადაც უნდა ვილონო, ჩემ თავს უნდა ვუშველო...
რაც შენ გნახე, მას მერე თავი ველარ მიცვნია,
უკვე იმის დარდი მაქვს, მთლად არ გამასულელო...
ყველგან სულ შენ მახსოვხარ, წამით არ მავიწყდები,
რაა ჩვენი სიცოცხლე, ერთი აბრიალება,
ვიცი, შენს ცხოვრებაში უადგილოდ ვიჭრები,
როგორც უცხო სხეული, რადაც გამყინვარება...
სიზმრად გნახე, ვარდებთან, ციდან ფიფქი ცვიოდა,
მხრებზე თმები გაშლილი, თავთავივით გეყარა,
თითქოს ზეცის ნათელი მკერდზე გადაგდიოდა,
მე კი ჩემი მეგონა, ეს უსაზღვრო ქვეყანა...
მცივა, შენ გელოდები, გარეთ ღამე იწვევა...
ცეცხლი სახლში შემოდის, მეპარება ნელ–ნელა...
აღბათ, ჩემი სიზმარი ახლა შენ გესიზმრება,
ატმების ყვავილობა და ბაღთა სურნელება...

შენ კი ღალატი არ მაპატიო

თუ მეგობრობა წმინდა გრძნობაა,
მაშინ, სიყვარულს, ნეტა, რა ჰქვია...
ვერ ამოვიცნობ, უაზრობაა,
ის ერთგულება და ღალატია...
ორივე ერთად, ორივე ერთად,
ისრებმა მკერდი უნდა გახიოს,
გიღალატო და მოვიდე შენთან,
შენ კი ღალატი არ მაპატიო...
აღელვებული დამხვდე ზღვასავით,

რომ შენი წყრომა ცასა სწვდებოდეს,
თან გამორბოდე ჩემსკენ ბრმასავით
და რისხვით კედლებს ეხეთქებოდე...
შენ შეგიძლია, შენ შეგიძლია,
რომ გული შენი ფერხთით დამიგდო,
დიახ, ქალებმა როგორც იციან,
ჩემიც მკერდიდან ამომარიდო...
მერე კი გული გულს შეახიო,
და დავრჩეთ, ასე, უგულოდ დავრჩეთ...
ბოლოს ცოდვებში ისე გამხვიო,
ვერასდიდებით ველარ გადავრჩე!!!

როგორ უნდა შეგიყვარდე? (ტ-ს)

ჯერ შენ მითხარ, ამ ჯოჯოხეთს,
თავი როგორ დავაღწიო...
შენ მანდ იღებ შენს მოლოცვებს,
მე აქ ქარებს როგორ ვდიო...
თუ ბედია, ბედი შეგვყრის,
ბედი გაგვყრის ისევ ალბათ,
კარგად ვუგებ მე შენს სკეპტიზმს,
ვინ გიჟდება უნახავად...
მაგრამ არის რაღაც მაინც ,
ნაპერწკალი რასაც ჰქვია,
სურვილები არ დაკარგვის
და იმედიც იწყებს ციალს...
მერამდენედ, მერამდენედ,
ვპოულობ და იქვე ვკარგავ,
ველარავინ შემაჩერებს,
შენსკენ მოვდეგ ზღვის ლურჯ ტალღას...

ტყუილად იმტვრევ, ძვირფასო თითებს

საოცრებაა, ჩემს მისტიკაში,
შენ გაბზარული ნოტით იჭრები,
ვით ჯადოქარი ბროლის მინაში,
ხელში დაშნით და ტუჩთან სისხლებით...
შენ არ მიიღებ, შენ არ მიიღებ,
მეკობრეების ყვითელ ხომალდებს,
ტყუილად იმტრევ, ძვირფასო, თითებს,
მოვდივარ, მალე კარს შემოვანგრევ!
ცა აირია საქარიშხალოდ,
მოაპობს ტალღებს ჩემი ხომალდი,
ეს მე ვარ, მე ვარ, მე ბედი მწყალობს,

ვერ შეაკავებ ქარს ამოვარდნილს...
მოვალ, მოვლელავ, უკან კი მთელი
მეკობრეების მომდევს არმია...
შენ ველარავინ ველარ გიშველის,
შენი მცველები ისე გარბიან!
უნდა დამნებდე, უნდა დააცხრო,
ეგ შენი მკერდი აზვირთებული...
გიმტყუნებს ხელი, შენ ვერ დამასწრობ,
თვითონ ბედია ჩემი ერთგული...
მე კარგად ვიცი, რომ ჩემნაირი
სტუმარი შენ ჯერ არა გწვევია,
და განრისხება როცა გაგივლის,
კარგად დაფიქრდი, რა გირჩევია...
ამ სასახლეში მშვიდი ცხოვრება,
თუ ნაომარი ბრილიანტები...
ფრთხილად, ძვირფასო, ხელი მოგტყდება,
დააგდე დაშნა, ნუ მეაფთრები...
ცოტა მინახავს, ძალიან ცოტა,
საკუთარ ბედზე გამარჯვებული,
მიწაზე ბევრი მატლი დაცოცავს,
შენც სწორედ, ალბათ, მატლებს ემდური...
ჰოდა, წამოდი, იქ, ზღვებზე სადაც,
არავინ იცის, რა გველოდება...
სადაც შტორმები ხომალდებს ყლაპავს,
სადაც მისტიკა ახრჩობს ოცნებას!!!

ავდივართ მზემდე

აკრიფა ღამემ თავის ვარსკვლავნი
და კვლავ ერთი დღით გადაიკარგა...
შენ შემოხვედი ჩემში ზღვასავით,
და ახლა ორნი ვდგავართ ცის კართან...
როგორ გგონია, კარს ვინ გაგვიღებს,
ვინ გახსნის ჩვენთვის ზეცის საუფლოს?
მზე მაღლა იწევს, მზე მაღლა იწევს,
უნდა რომ ზეცა დაისაკუთროს...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
შენი თვალების ცეცხლის ატანა,
მე უამრავი რამ განმიცდია,
მაგრამ არასდროს ჯერ ამისთანა...
ვისაც უნდოდეს ბედს ის დასჯერდეს,
მე კი ბედთანაც მიყვარს თამაში,
ავდივართ მზემდე, ავდივართ მზემდე,
რომ ვინებივროთ ზეცის კალთაში...

სადმე ხომ არ წამოგცდა

მიტხარი, სადმე ხომ არ წამოგცდა,
გახსოვს, მე და შენ რაზე შევთანხმდით?
რომ მეყვარები ვით მზის ამოსვლა,
თქმას კი ვერასდროს გაგიბედავდი...
და დღემდე, მართლაც, მხოლოდ მე ვიცი,
ამ შეთანხმების ყველა დეტალი,
ჩემს გაჩაღებულ კოცონზე ვიწვი,
სულ არაფერი მეთქვა, ნეტავი...
სულ არაფერი, სულ არაფერი,
სჯობდა, საერთოდ, რომ არ მენახე,
ეს სიყვარული არის კარცერი,
შენ რომლის კარსაც ვერ შემოაღებ!
იცი, აქამდე ყველას ვუგებდი,
ანდა, რა მქონდა მე დასამალი...
დღეს კი მხოლოდ შენ მესათუთები,
შემრჩი ყვავილად ჩემი სამარის...

ვზივარ ზღვის პირს გავცქერი

რალაც, იცი, ზღვასავით,
მთლად რომ გაირინდება...
სულის ამოსვლასავით,
შენი ნახვა მინდება...
ვზივარ, ზღვის პირს გავცქერი,
შენ ჩემს გვერდით არა ხარ,
რაც შენ გქონდა სათქმელი,
ის ზღვამ მელაპარაკა...
რად მგონია, რომ შენში,
ვნივთდები და ვინთქმები,
შენ კი თითქოს თითებში
თევზებივით მისხლტები...
ზღვაზე აფრააშლილი
მიმოდიან ნავები;
მე მიყვარხარ ბავშვივით,
შენ კი, სულ მედავები...
ჩუმად, ჩუმად, ზღვისპირმა
შენი ხმა არ გაიგოს...
ხედავ გედიც მიფრინავს,
თავი რომ გაგვარიდოს...
ასე რად შეიცვალე,
ასე რად მებუტები,
მკლავები გამიშალე,

გინდა, ჩაგეხუტები...

რა მაჩქარებს

რა მაჩქარებს არ ვიცი,
თითქოს ვიღაც მეწევა...
სულ ტყუილად განვიცდი,
ყველაფერიც ესწრება...
ყველაფერიც ესწრება,
ჩაიფიქრე, რაც გასურდეს,
რაც კი რამ ჩვენ გვეხება,
უნდა, უნდა ასრულდეს...
ეს წითელი ვარდები,
შენთვის დამიკრეფია,
შენს მკერდს ბაგით ვაკვდები,
მიკვირს, ისე თეთრია...
მიკვირს, მიკვირს, ჩემ გვერდით,
შენ რომ ხარ და არსებობ...
ვტკბები ბედნიერებით,
ამ წუთების გარშემო...
ალბათ, ეს თუ მაშინებს,
დროს ვერ გადაურჩები,
რომ ვარდს უნდა გასცვივდეს,
მისი თეთრი ფურცლები...
მე კი მუდამ მოცლილმა,
სულ რომ ვკეცო ქუჩები,
მაინც შენსკენ მოვფრინავ,
მაინც შენთან ვბრუნდები..

ანუ ცოლ-ქმარი

რალაც უფრო მეტი,
უფრო მეტი მინდა,
რალაც უფრო სუფთა,
რალაც უფრო წმინდა...
ვხატე, ვხატე რამდენი,
შენს დახატვას ვცდილობდი...
ცრემლის ჩამონადენი,
ჩამოგწმინდე ტილოთი...
მაგრამ ვერა გავაწყე,
შენნი თვალნი ტიროდნენ,
ასე ნატკენს და ნაწყენს,
გთავაზობდი პირობებს...
რომ არ შევიგინები,

არც ვიყვირებ არასდროს,
ასე ჩუმი ვიქნები,
რომც დამკლა და დამახრჩო...
წვეთს არ დავლევ, არ მოვწევ,
უცბად არ ავვარდები,
აქ პატარა სამოთხეს,
შეგიქმნი და გავქრები...
მაგრამ ის კი არ ვიცი,
გამომივა თუ არა...
რაო? უკვე ჩამიშვი?
დაგავიწყდა მუქარაააა??????????

სულ აკრძალულ ზონაში ვარ

მე რომელი რომეო ვარ,
შენს სიყვარულს ვეპოტინო,
ისიც ვიცი, რომ შენ მომკლავ,
რადგან ჩემსას მაინც ვცდილობ...
საბოლოოდ ვიცი, ვიცი,
რომ ამ თამაშს მე წავაგებ,
ეს ხელი კი სულ თავისით,
სულ თავისით მოდის მაქეთ...
სულ აკრძალულ ზონაში ვარ,
სულ ასეა, რაც კი გავჩნდი,
მიკვირს, როგორ მოაღწია,
სულმა დღემდის თუ შენამდის...
გამუდმებით ჩამჩურჩულებს
ყურში ჩემი ორეული,
რომ რომეოს როლს ვასრულებ,
ორ გვარს შორის მომწყვდეული...
არ გაბედო, არ გაბედო,
აკრძალული ხილის კრეფა,
გველს არ ენდო, გველს არ ენდო,
თორემ ღმერთი შემოგწყრება...
მე კი მაინც იქით მივალ,
სადაც შავი მორევია...
სული ისეც ცაში ფრინავს,
სიყვარული მორევია...

ქედებმა მკერდი მოიღიავეს

ქედებმა მკერდი მოიღიავეს,
გაზაფხულია, გაზაფხულია...
მართლაც, რა დალევს ქვეყნად სიამეს,

თუკი გინდა და თუკი გწყურია...
რა დალევს ჩვენში მზეთუნახავებს,
ვინ დაუღლიოს მზეებს სხივები,
დაინახავ და გაგაკანკალებს,
ქალია? დევებს შეეცილები...
დილის ალმური ველებს ედება,
თოთო ბატკნები დედებს ეძებენ,
როგორც დაღლილი ქალის ვედრება,
ნისლი მიცოცავს ციხის კედლებზე...
და ვისმენ, ვისმენ მინდვრის არიას,
მზის გულზე ჭრიჭი გააქვთ ჭრიჭინებს...
მე კი არ ვიცი, რა მიხარია,
მოდის ზაფხული და მოჭრიჭინებს...
ეს ველი, მგონი, ჩემი ველია,
აქ ერთ დროს პირველ ქალსა ვკოცნიდი...
ჩემი წარსული ისე ჭრელია,
როგორც ეს გველი კანგამოცვლილი...
რა მექნა თუკი დავბადებულვარ,
ამ ჩემს ცოდვიან საქართველოში,
თუ მგლები მყავდა მუდამ მეგზურად,
და არა შველი ან ანგელოზი...
რა მექნა თუკი ზეცა ჩვენს ქალებს,
ვარდის სურნელის ფერით ამკობდა,
რომ სიყვარულით ვხვევდი მეც მკლავებს,
მათ სილამაზეს და უმანკობას!!!

როცა ნამძნარში თოვლი აიღებს

როცა ნამძნარში თოვლი აიღებს,
და წიწვებს ცრემლი შემოაკლდება,
მე და შენ ტყეში ერთად გავიდეთ,
ვნახოთ ფრინველთა გადმოსახლება...
ვნახოთ ბუდეებს სად იკეთებენ,
როჭო, წიწკანა თუ ბოლოცეცხლა,
გამოღვიძებას როგორ იწყებენ,
მიწის ყვავილნი, თუნდ იისებრთა...
და მოვუსმინოთ ტყის მელოდიას,
ღვთიურ მუსიკას, მზესთან ნაზავში,
ნაკადულები როგორ მორბიან,
რაზე გალობენ გვრიტი და შაშვი...
არ დაგეზაროს, მინდა გამომყვე,
იქნებ დაბრუნდეს ბავშვობა ჩვენი...
როცა ვიბანდით ხელ-პირს წყაროზე,
და იქვე სძოვდა ნუკრი და შველი...

საქართველოს (ტ–ს დაკვეთით. თავის ლაზარეს უნდა ათქმევინოს)

მე მინდა გითხრა რაღაც ისეთი,
რაც ჯერ არ უთქვამს შენთვის არავის,
მინდა მჯეროდეს შენი სიკეთის,
შენი აწმყოსი და მომავალის...
მინდა მჯეროდეს, მინდა მჯეროდეს,
ხალხის, რომელიც შენი მკვიდრია,
მე ყველა ლექსი საქართველოზე,
პირდაპირ გულზე ამომიზრდია...
როგორ მოვძებნო, როგორ ვიპოვო,
რამე ახალი, რამე უთქმელი,
ერთს ვიტყვი მხოლოდ,
რომ შენთვის ვცოცხლობ,
მიყვარხარ, მწამხარ და გეუბნები...

შენს მეტს არავის

არ მინდა შენი ოცნებები რომ შევაშფოთო,
და ამიტომაც, ამიტომაც არ გიწერ ლექსებს...
თუმცა სხეულში რაღაც ვნება ისე ღვარცოფობს,
მხოლოდ აქა იქ თუ ვაგროვებ გრძნობის ნაფლეთებს...
ადრე, შენც იცი, არსებობდა სახრჩობელები,
კოცონზე დაწვა და ათასი უბედურება...
დღეს ჩემს სიყვარულს ვერ უძლებენ ჩემი კედლები,
მწვავენ კოცონზე, მაგრამ მსხნელი არ მეგულება...
დღეს უკვე გრძნობებს აღარავინ აღარ აგროვებს,
ვერ გააჩუქებ, არც მყიდველი არა არსებობს...
მე ვიცხოვრებდი, ვიცხოვრებდი შენს სიახლოვეს,
და იმ ჩემს ბინას დავარქმევდი გრძნობის სამეფოს...
და გული მწყდება, რომ შენს ნაცვლად სხვა იდედოფლებს,
ჩემი სახლ–კარის ულამაზეს ვარდის ბაღებში,
ერთს გეტყვი მხოლოდ, მილიარდი გულიც რომ მქონდეს,
შენ მეტს არავის ეღირსება მათი ალერსი...

როგორ სჯობს

როგორ სჯობს, მართლაც, ხშირად რომ ვხვდებით,
თუ, ასე, მხოლოდ ხანგამოშვებით?
როგორ გგონია, რით ვგავართ, ფრთებით?
თუ ერთმანეთზე, ფიქრით, ლოცვებით...
გადამირჩინე, ღმერთს ვეხვეწები,
რომ მარად ჰქონდეს ფრენის სურვილი...

გაშალე ფრთები, გაშალე ფრთები,
ზეცაა შენთვის დღეს განკუთვნილი!
ვერა, ვერ ვიტან, არ მინდა გნახო,
ფრთადაშვებული და მოწყენილი,
წამოდი, ყველა ზღვა გადავლახოთ,
მწვერვალებს ავცდეთ არწივებივით...
გაჩნდი? მაშ, დატკბი, განა ღირს ჭმუნვა,
რომ ამაოა ქვეყნად ყოველი,
ფუჭია ხორცზე და სულზე ზრუნვა,
რომ აქ ნურაფერ კარგს ნუ მოელი...
არა, ძვირფასო, არ დაუჯერო,
მას, ვინც გებრძვის და სტიმულს გიკარგავს,
ქვეყნად არსებობს ათასი მდელო,
ღმერთი რომ თავის ხელით გვიქარგავს...
ღმერთიც, ვინ იცის, ერთი კი არა,
არის ათასი, ასი ათასი...
მართლაც, ვინ იცის, ვინ დაითვალა,
ჩემი ღმერთები, თუნდ შენი მსგავსი...
სუფთა ხარ, დილის წყაროს წყალივით,
შველის ნუკრივით ხარ უცოდველი,
ნაზი ხარ, როგორც ღამის ყვავილი,
როგორც ატმის რტო ჯერ უფოთლელი...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ გაგიტაცონ უცხო ქარებმა,
თუ წვეთს ბადაგი შენი ბაგიდან,
დამალევიწე, ნუ გენანება...

როგორ სჯობს

როგორ სჯობს, მართლაც, ხშირად რომ ვხვდებით,
თუ, ასე, მხოლოდ ხანგამომშვებით?
როგორ გგონია, რით ვგავართ, ფრთებით?
თუ ერთმანეთზე, ფიქრით, ლოცვებით...
გადაგარჩინოს, ღმერთს ვეხვეწები,
რომ მარად ფრენის სურვილი გქონდეს,
გაშალე ფრთები, გაშალე ფრთები,
რომ აფრენისას ბავშვივით თრთოდე.
ვერა, ვერ ვიტან, არ მინდა გნახო,
ფრთადაშვებული და მოწყენილი,
წამოდი, ყველა ზღვა გადავლახოთ,
ვნახოთ გედები გადმოფრენილი...
არ დაუჯერო, არ დაუჯერო,
რომ ყვავილები აღარა ხარობს,
ქვეყნად არსებობს ათასი მდელო,
და მილიარდჯერ მეტი სამყარო..

ღმერთიც, ვინ იცის, ერთი კი არა,
არის ასი და ასჯერ ათასი...
მართლაც, მითხარი, ვინმემ დათვალა?
ჩემი ღმერთები, თან შენი მსგავსი...

როგორ არ მინდა

სუფთა ხარ, დილის წყაროს წყალივით,
შველის ნუკრივით ხარ უცოდველი,
ნაზი ხარ, როგორც ღამის ყვავილი,
როგორც ატმის რტო ჯერ უფოთლელი...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ გაგიტაცონ უცხო ქარებმა,
თუ წვეთს ბადაგი შენი ბაგიდან,
დამალევინე, რად გენანება...

მუდამ ვმარცხდები

როგორც ოდესღაც ნამდვილ ომებში,
ჯარებს უძლოდნენ მთავარსარდლები,
იმ ზეციური გასხივოსნებით,
შენსკენ ვილტვი და მუდამ ვმარცხდები...
მუდამ ვმარცხდები, მაგრამ ტკბილია,
ეს დამარცხება, როგორც შარბათი...
რალაც ნირვანა თუ იდილია,
რადგან შენს გამო თავსა ვკარგავდი...
რა დარჩა ჩემგან, ალბათ მახვილი,
ერთ დროს ომში რომ სისხლით ელავდა...
დამარცხებული და გადაღლილი
ვდგები და ვიწყებ ბრძოლას ხელახლა...
მიყვარხარ, რადგან ჯერ არასოდეს
არ განმიცდია გრძნობა ასეთი...
მოვკვდები? მინდა დაგამახსოვრდეს,
ჩემი ბრძოლების მეათასედი...
ვიბრძოდი, არა დიდებისათვის,
და არც სახელის გამო ვირძოდი;
ვიბრძოდი შენი თვალებისათვის,
რადგან მეგონა გამოგიცნობდი...
ალბათ, დაგღალა ჩემმა ომებმა,
მე კი არ მინდა სიცივე ვიგრძნო,
სანამ სიკვდილი მეამბოროება...
სანამ ვარსებობ და შენზე ვფიქრობ...

თვით უკვდავებაც განაჩენია

როცა ყველაზე მეტად მჭირდები,
მაშინ მიდიხარ და მეკარგები...
ნუ მაკვირდები, ნუ მაკვირდები,
არ გაჩენილა ჩემი გამგები...
მართლაც, რა არის კმაყოფილება,
ტაში, განცხრომა, ლხინი, ქეიფი...
ან მხიარული განწყობილება,
ცეკვა, სიმღერა, კოცნები, ფლირტი...
მე ხშირად ვფიქრობ, მართლაც, რა ხდება,
რას აკეთებენ ცაში ღმერთები?
რის წყურვილი აქვთ, რა ენატრებათ?
ტვინს ვიჭყლეტ, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები...
მოსაწყენია, მოსაწყენია,
ყველა ფლირტი და ყველა გართობა,
თვით უკვდავებაც განაჩენია,
მილიარდჯერ სჯობს ყოფნა–არყოფნა...
და ვიცი, ვიცი, ადვილად ხვდები,
გულს რა მიკლავს და რაზე ვცოფდები...
ელვის სისწრაფით მაკლდება წლები,
და მიკვირს, შენ რომ არ გეცოდები...

მესიყვარულე (ტ–ს)

რატომ მგონია, რომ რის თქმაც გინდა,
რატომღაც იმას არ მეუბნები...
ხშირად ვინახავთ ჩვენს სათქმელს დიდხანს,
რომ არ დავწყვიტოთ ერთურთს გულები...
მე კი ვერ ვხვდები, თუ რას ინახავ,
რა გაქვს ასეთი ჩემთვის სათქმელი...
რომ გულმა გული თუ დაინახა,
აენტებიან როგორც სანთლები...
რომ მერე დიდხანს, დიდხანს იწვოდნენ,
სურვილთა ალში გახვეულები...
ასე მგონია ცაში გვისროდნენ,
ვნებანი მუდამ დამთხვეულები...
დავბადებულვართ სიყვარულისთვის,
ჩვენ კი ყველაფერს ძალით ვართულებთ...
ცეცხლში ჩავდგები შენი გულისთვის,
მესიყვარულე, მესიყვარულე!!!

გაგებუტები

როცა დროებით ჩემთან ბრუნდები,
შენ, ხომ არ იცი, თუ რას განვიცდი...
როგორც კატორღელს ახსნან ხუნდები,
როგორც ზამთარში დადგეს მისი...
მერე ჩემს ირგვლივ ცეკვას იწყებენ,
ედემის ბაღის ანგელოზები,
არ გივიწყებენ, არ გივიწყებენ,
ჩემი ფიქრები, ჩემი ლოცვები...
და მესიზმრება როგორ გჩუქნიან,
ღრუბლები ფრთებს და სხივები ფერებს,
კი, ვიცი, ვიცი, სასწაულია,
სასწაულია, მაგრამ ვიჯერებ...
რომ გაზაფხულად ხარ ჩასახული,
როცა ბულბული ვარდზე გალობდა,
და მერე ქალად გარდასახული,
თითქოს მესტუმრე სხვა სამყაროდან...
ნუ წახვალ ნურსად, ნუ წახვალ ნურსად,
გულში ვიკლავ და ვერ გეუბნები...
მე ხომ, ძვირფასო, დღეს შენით ვსუნთქავ,
თუ ისევ წახვალ, გაგებუტები...

ნატიფი ხელოვნება, იოლი გზა მტრების შეძენის (უისლერი)

დაკეტილია ყველა გზები და მისასვლელი,
ჩახერგილია ყველა მთა და უღელტეხილი,
და მითვალთვალებს, მითვალთვალებს ყველგან მტაცებლის,
თვალეები, სისხლით ავსებული და დამეხილი...
არადა, მტრობას არავისთან არ ვაპირებდი,
ჩემი ბუნება ამ სიძულვილს ვერ ეგუება,
მაგრამ ღრჭიალი როცა მესმის მხეცთა კბილების,
მეც მხეცი ვხდები და მსურს მტრების განადგურება...
სქელი კანი მაქვს, ვერ გამკრავენ მე კბილს ადვილად,
ან განა დამრჩა უჭრილობო თუნდაც მტკაველი?
ამდენ ღალატში სისხლისაგან ბევრჯერ დავცლილვარ,
და წამოვმდგარვარ ვით ღელვისას ოკეანენი...
მართლაც ასეა, ამ დროებამ სისხლი გამიშრო,
მტრებს ვინა ჩივის, ახლობლებიც ყველა შემომწყრა...
თუმც, არ მგონია, რომ ჩემს გარდა სხვამაც დაიპყროს,
ის მწვერვალები, ჩვენ რომლებმაც დაგვამეგობრა...

შენ ჩემი სისხლის ბედისწერა ხარ

შენ ჩემთანა ხარ და მომეჩვენა,
რომ საგულედან გული ამოხტა,

როგორ სჩვევია ამ გულს შეჩვევა,
არადა, მართლაც, განა რა მოხდა...
შენ ჩემთანა ხარ ულამაზესი,
და ღვთაებრივი ცეცხლით მოსილი...
სულ მუდამ, მუდამ შენი ხმა მესმის,
მეც შენს ნოტებზე ვარ აწყობილი...
მეც ხომ იქა ვარ, სადაც შენა ხარ,
და გხედავ, გხედავ, გხედავ ყოველთვის...
შენ ჩემი სისხლის ბედისწერა ხარ,
გარიჟრაჟიც და უდაბნოეთიც...
რა მოხდა თუ დღეს ჩემი არა ხარ,
და ჩვენს სიყვარულს წეწავს ქარები...
სიკვდილის მერე ხომ მაინც გნახავ,
ან თუნდაც ასე ხომ მეყვარები...
ვხედავ შენს ღიმილს, ვხედავ შენს თვალებს,
ვხედავ შენს ბაგეს, როგორ იპობა...
რომ სიყვარული სიყვარულს ბადებს,
რომ ჭიშკარს გიღებს მარადისობა...
მოგყვები, სადაც არ უნდა ქროდე,
რომელ ვარსკვლავსაც უნდა სტუმრობდე,
რომ გიხაროდეს და ბედი გქონდეს,
რომ მარად ასე ვარდისფურცლობდე...

რა მემართება

რა მემართება, ყოველ ნახვისას,
ასე მგონია პირველად გნახე...
და სხივი შენი მკერდის ბალისა,
როგორც ყოველთვის, კვლავ თავბრუს მახვევს...
შეჩვეული ხარ, ვიცი, ჩემ სიტყვებს,
და არაფერი აღარ გაღელვებს...
ასე მწვერვალი აცოცხლებს სივრცეს,
და გაოცებას იწვევს მნახველზე...
შენც მწვერვალი ხარ, ჩემი მწვერვალი,
რომლის დაპყრობას ამაოდ ვცდილობ,
იცი, ჯადოქრებს გადავეწანი,
და ჯადოქრობით თუ ამოგიცნობ...
როგორ გავექცე, როგორ გავექცე,
ჭორებს შენს გამო აგორებულებს,
მე შენ გეძებდი სხვა ვარსკვლავებზე,
ზვავეებს ჩავდევი დაგორებულებს...
ასეთი ჟინით და გაცეცხლებით,
ალბათ ომებშიც კი არ მიდიან,
მე შენ გეძებდი, მე შენ გეძებდი...
სადაც ათასი ბეწვის ხიდია...

და რომ მეგონა გადავიარე,
აღმოჩნდა, თურმე, ყულფზე ვკიდივარ,
მე შენ მიყვარდი და გალიარე,
შენ კი ვერც მიხვდი რანაირი ვარ...

შენც გაზაფხულის ყვავილს მოჰგავხარ

რით ველარ დაცხრა ეს გაზაფხული,
ისევ ცხრაპირად ჰყვავის ატმები,
როგორც ხომალდი ზღვაში გასული,
შენი გულისკენ მოვემართები...
სულ ამერია ყველა დღეები,
და წლებიც შენთვის რომ გავაჩუქე...
თუ სადმე კლდეებს შევეხეთქები,
ჩემი ნატვრები შენ შეაქუჩე...
ნატვრები შენთვის რომ ვაგროვებდი
და გპირდებოდი მათ ასრულებას,
როცა შენს გამო ნაპირს ვტოვებდი,
არ მოველოდი აქ დაბრუნებას...
ნუთუ ძნელია, ნუთუ ძნელია,
უარყო ვინც კი დღემდე გიყვარდა,
და თუ გემები დაბრუნდებიან
შენ მომეგებო ნაპირის ნაცვლად...
რომ დამახვედრო მზე და ცისკარი,
და არ გაკვირდე ზღვა თუ აღელდა...
თუ გამოცვივდა გემზე ვინც არი
და ყველა შენ თუ შემოგაჩერდა...
შენც გაზაფხულის ყვავილს მოჰგავხარ,
შენსკენ მოცურავს ჩემი გემები...
შენი მონა ვარ, შენი მონა ვარ,
არ დამიმსხვრიო ეს იმედეები...

რამდენ ქარებს ჩაუვლია

მართალია, ყველა, ყველა,
ერთმანეთის ვხედავთ ანფასს...
ვერ შეამჩნევ, მართლაც, ვერა,
ჩვენ ზურგს უკან თოვლს და ზამთარს...
ჩვენ ზურგს უკან, ჩვენ ზურგს უკან,
რამდენ ქარებს ჩაუვლია...
დროს, სამყაროს ჭირისუფალს,
ჩვენი ჭირი წაუღია...
და ირწევა დედამიწა
სამ ვეშაპის ზურგზე მდგარი...

სულში მუდამ წვიმა ცრის და
გულში მუდამ სუსხი არი...

არ დაიჯერო

არ დაიჯერო, რომ დედამიწას,
ოდესმე ელის არმაგედონი...
მას სიყვარულის აურა იცავს,
ვერას დააკლებს ცეცხლის დემონი...
ან დღემდე, მითხარ, ვინ დაგვზოგავდა,
უნდა გამქრალნი ვიყოთ უკლებლივ...
შენ კიდევ გჯერა ამ ჯადოქართა?
მათი ზღაპრული სასწაულების?
მე კი მგონია, რომ რაც დრო გავა,
ცა დამშვიდდება, ქარი ჩადგება,
ზეციდან მიწის დასალოცავად,
ღვთის ანგელოზი ჩამობრძანდება...
და ყოველივე ისევ ვარდებად,
იქცევა, როგორც იყო წარსულში...
მზეს მთვარე ისევ შეუყვარდება,
ან ვინ აჯობებს მზეს სიყვარულში...
გარეთ გამოდი, გამოდი გარეთ,
ჩამქრალ ვულკანებს გაულვიძიათ...
გახედე ზეცას, როგორ ბრიალებს,
ან ჩემზე ნუთუ არ გიფიქრია...

მთელი ღამე როცა თოვდა

მეც შენსავით მცივა, ქარმა,
შენზე ჭორი მომიტანა...
არაფერი არ დამალა,
ყველაფერი მომიკაკლა...
როგორ გიცნეს ვარსკვლავებმა,
სხვის მკლავებში შეყუჟული...
ღამემ როგორ გადაღება,
შავად შენი თეთრი გული...
კავკასიის ჰორიზონტი
სვავებს როგორ მასპინძლობდა...
როგორ მოტყდა წიფელს ტოტი,
მთელი ღამე როცა თოვდა...
არ მეძინა, დაისის მზეს,
ვიდექ, შურით გავყურებდი...
იმ ღრუბლებმა დამივიწყეს,
დამცინოდნენ სხვა ღრუბლები...

შორს ქოხებში შუქი ენთო,
ალბათ კერაც ჰქონდათ თბილი,
მე კი ისევ უიმედოდ
ვიდექ გულმკერდ დაფლეთილი...
ვიდექ, ვიდექ ასე მარტო,
შორს დაისი აფერადდა,
ქარი ქროდა კვლავ უტაქტოდ,
ხან თოვდა და ხან ელავდა...

შენი ნახვა ისე მინდა

შენი ნახვა ისე მინდა
თევზს ხმელეთზე როგორც წყალი...
ისევ გნახე წუხელ სიზმრად,
როგორც ზღვაში ნატრისთვალი...
თან ჩვენს შორის თითქოს თეთრმა
ანგელოზმა გაიარა,
გელოდები იცის ღმერთმა,
მოდი, მოდი, კარგი, კმარა...
მოდი, როცა ყაყაჩოებს,
დაუწითლებს ლოყებს ქარი,
როცა ატმის დაღლილ რტოებს,
დააჩნდება ქერქზე ბზარი...
ან რა არის გასაკვირი,
მე თუ შენი ნახვა მინდა,
გადაივლის ეს აპრილიც,
როგორც ქორი ქარაფიდან...
შენ კი, შენ კი სხვას რომ შერჩე,
როგორც ალვას მოლალური,
როგორც დაშნა ბროლის მკერდზე,
გადაჭრილი ორად გული...
სად წავიდე, მაშინ, ვისთან,
ამ ქარსა და ქარაშოტში,
გამოხეთქა ვენა სისხლმა
რაც წახვედი, რაც დაგშორდი...
ვის ბრძანებას ელოდები,
რომელ ღმერთებს მიეც ფიცი,
მომამშველე შენი ფრთები,
თუნდაც მხოლოდ იმედისთვის...

როგორც ლამაზი თეთრი ყვავილი

როგორც ლამაზი თეთრი ყვავილი

გაიფურჩქნება და გახსნის ფურცლებს,
ყვავილი ღამით გამოტანილი,
უულამაზესს გაჩუქებს წუთებს...
ასე შემომხვდი და გამაქვავე,
გიმზერდი, მაგრამ არა მჯეროდა,
რომ მისწორებდი თვალებში თვალებს,
რომ ეგ თვალები მე მიცქეროდა...
ასე ზამთარმა იცის უეცრად,
დილა დაგხვდება თეთრ სამოსელში,
და სულიც უცებ თავისუფლდება,
ამ სისუფთავით და საოცრებით...
როგორ გემებდი, როგორ გემებდი,
რა არეული გზებით მივლია,
აღბათ, ბავშვობით თუ უმეცრებით,
სულ ყველა წლები წყალში მისვრია...
სად მე და სად შენ, გზაგასაყართან
ვდგავარ და, თითქოს, ტყვიებს მიშენენ,
მე ამომშალა სხვა მისამართმა,
სხვასთან იყავ და შენ ვერ მიშველე...
შენ ვერ მიშველე, ბედს დაენანა,
რომ შევხვედროდით, ადრე, სულ ადრე...
ჰოდა, მიმღერე, მიმღერე წყნარად,
რომ შეგიყვარდი და მოგენატრე...

მე შენ მიყვარდი

ნეტა, სად გაქრა ის იმპულსები,
შენი სხეული რომ ღვრიდა უხვად...
დღეს კი დაღლილი და მიუჩვევი,
ჩემს გვერდით ყოფნას სტირი და სწუხარ...
იქნებ ამ გრძელი ღამის ბრალია,
მიწას რომ მკერდზე შემოხვევია,
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,
როგორც ნიავი უყვარს ვერხვიანს...
როგორც მზეს უყვარს თავის სხივები,
ღრუბლებს წვიმა და ქვევრებს მაჭარი...
მოხვალ და ცრემლად დამეწვიმები,
კანზე კრიალებ ვით მინანქარი...
როგორ ვერაფრით გამომიგლოვე,
არც გიყვარვარ და არც გემეტები,
ამდენი სევდა სად დაიგროვე,
ცეცხლივით მწვავენ შენი ცრემლები...

ისევ მირჩევენ დუმილს

რამდენ სიყალბეს ადევს,
უზარმაზარი ფასი...
რამდენ სიბრიყვეს, რამდენს,
ჩემს წინ გადასცეს თასი...
მართლაც, როდემდე ვფიქრობ,
რა დააშავა ხალხმა,
ის ველარ არჩევს თვითონ,
ნამდვილ ტყუილს და მართალს...
მოვა, შენი დროც მოვა,
ისევ მირჩევენ დუმილს,
მოვა ყინვად და თოვლად
და კვლავ მოძებნის უღირსს...
შენ ნუ გაივლებ წყენას,
მე თუ შეცდომებს ვუშვებ,
თუ ვერ ვერევი ყველას,
ვინც მიბრაგუნებს მუშტებს...
თან მიმათრევენ თითქოს,
ჩუმად უფსკრულის პირას,
მართლაც დასრულდეს მიჯობს
გამომიყვანონ წირვა...
რატომ, როგორ და რისთვის,
აზრი არა აქვს კითხვებს,
ჩემი ჯალათი სისხლით
დგას და ილოკავს თითებს...

მოვკვდი

მოვკვდი, სული საზღვრებს გასცდა,
ვგრძნობ, თუ როგორ გმორდები...
ნუ განიცდი ასე მძაფრად,
ასეც ნუ დაღონდები...
მილიონჯერ გიმეორე,
გადაყრილი სიტყვები,
მოდის, მოდის, მოდის, თორემ,
არ გამოგეკიდები...
ახლა უკვე გვიანია,
მინდვრებს ცეცხლი ედება,
მე რაც მტკივა რის ბრალია
აღარც ეს გამეგება...
და არც მინდა მოვიხედო,
ვერ გხედავენ თვალები...
მივალ სადაც ღამე მეფობს,
და დედოფლობს ქარები...

უკვე ჩემთვის წარსულია
სიმულვილის ზღაპარი,
იმ ხომალდებს ჩაუვლია
მე რომ ვერ მივასწარი...
და სიცოცხლეს ჭრელი ფრთებით
თითქოს ყელში გადამცდა...
ვგრძნობ თანდათან როგორ ვქრები,
სული როგორ გაბაცდა...

რა გაუძლებს ამ ტკივილებს

ნუთუ ჩემი სიყვარული დამალული,
არასოდეს, არასოდეს გაბრწყინდება...
თუ ეს არის, თუ ეს არის დასასრული,
რომლის შემდეგ ყველაფერი გვავიწყდება...
რა გაუძლებს, რა გაუძლებს ამ ტკივილებს...
სხეულს რომ ხდის, სხეულს რომ ხდის გამჭვირვალეს,
მე ყველაფერს შენს თვალებთან ვაიგივებ
და ისინი არასოდეს გამწირავენ...
ოცნებებით მეც კომპები ამიგია,
შიგ დაფრინავს მოფარფატე შენი სული..
წამიგია, ყვავილები წამიგია,
მაგ ბალიდან ჩემს ბალებში გადმოსული...
ალვის ტოტებს, ალვის ტოტებს შევწვდენივარ,
ზღვების ფსკერზე მარგალიტებს დავემებდი,
მტრის ლაშქარი ჩემზე ამიმხედრებია,
და შევბმივარ ყველას ერთად გამეტებით...
ასე იყო, შენ კი, შენ კი დამაჩოქე,
იცი, თითქოს, უკანასკნელ სასჯელს ვიხდი...
ვიცი, შენი სილამაზე გამაცოფებს,
მომკალ, მაგრამ არ მწყენია, რომ ვერ მიხვდი...

შენ ვერ დამიშლი მე შენით სუნთქვას

მინდა იცოდე, ჩემს არსებობას,
მხოლოდ შენს მერე გაუჩნდა აზრი...
შენ ვერ დამიშლი ოცნებით ტკბობას,
თუ შენში ვხედავ ცხოვრების საზრისს...
შენ ვერ დამიშლი მე შენით სუნთქვას,
წამშილი, მომსპობ თუ მოხვალ და მომკლავ...
მგონია, ხელი ამიკარ სუფრას
და ამიკრძალე უბრალო ლოცვა...
ისიც არ ვიცი, რას ფიქრობ ჩემზე,
იცი, კი რამე ჩემი განცდების...

რომ შემეყვარდი და სიკვდილს ვეძებ,
რომ ტალღებით კლდეებს ვასკდები...
რომ სიყვარული მოდის და მიდის,
ზოგს ავსებს, ზოგსაც ბოლომდე ფიტავს,
მადლობა, ვნების ოკეანისთვის,
მადლობა, შენგან ნაჩუქარ სიზმარს...
ნუ განმიკითხავ, ნუ განმიკითხავ,
უგუნურებას ვერაფრით შეცვლი,
ასეა, თუკი უსაზღვროდ გიყვარს...
დაუფიქრებლად თვით სიკვდილს ესვრი!

ეს სიცოცხლეა

ეს სიცოცხლეა, რა ხშირად ვამბობთ,
ეს სიცოცხლეა, მართლაც, ასეთი,
ვწუხვარ შენს გამო, ვწუხვარ შენს გამო,
კი, მინდა, მაგრამ ვერ გემსგავსები...
შენ მყარად დგახარ დედამიწაზე,
მე კი ყოველ წამს ფეხქვეშ მეცლება...
თითქოს ეშმაკი მომდევდეს კვალზე,
და მზარავს, მზარავს მასთან შეხება...
ეს სიცოცხლეა მართლაც ასეთი,
ვით საწყაული აღუვსებელი...
ვიცი, ვერაფერს ვერც მე ვასწრებდი,
და ვერც მე შევძელ შეუძლებელი...
მე შენი დილის გარიჟრაჟი ვარ,
შენ შეგიძლია ჩამეზიარო...
მე დილა ვიყავ და გარდავცვლილვარ,
შენ კი ღამე ხარ და ნაღვლიანობ...

მადლობელი ვარ

დაბრუნებულხარ, როგორც ზღაპრებში,
მთები იხსნიან თავის პირბადეს...
ნეტა, რა ყრია ასეთ წასვლებში,
შენ ხომ არც იცი, რა განვიცადე...
შენ ხომ არ იცი, შენ ხომ არ იცი,
როგორ მეცხოები სულზე მალამოდ...
მადლობელი ვარ ყველა განცდისთვის,
არ მიღალატო, არ მიღალატო...
მე შენს თეთრ ფიქრებს დავდევენებივარ,
მივალ, მივეყვები უგრძეს მარათონს,
ვგრძნობ, ვიღაც შენს თავს მართმევს ხელიდან...
არ მიღალატო, არ მიღალატო...

არ შემიძლია, არ შემიძლია,
რომ ყველაფრისთვის ასე ვიბძოლო,
ეს ნაკადული ჩემი სისხლია,
ეს ველი ჩემი სევდის სიმბოლო...
შენ კი მსუბუქი თოვლის ფიფქივით,
ისიც არ იცი სად დაეცემი,
მე კი სულსწრაფი შენი ფიქრით,
მაინც გპოულობ, მაინც გეწევი...
თუმც ვერ გავიგე, რას გაურბიხარ,
ცაში ვარსკვლავებს ეპოტინები,
რომელ სამყაროს სასწაული ხარ,
სულს იებივით რომ ეფინები...

მე შენ მიყვარდი

ნეტა, სად გაქრა ის იმპულსები,
შენი სხეული რომ ღვრიდა უხვად...
დღეს კი დაღლილი და მიუჩვევი,
ჩემს გვერდით ყოფნას სტირი და სწუხარ...
იქნებ ამ გრძელი ღამის ბრალია,
მიწას რომ მკერდზე შემოხვევია,
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,
როგორც ნიავი უყვარს ვერხვიანს...
როგორც მზეს უყვარს თავის სხივები,
ღრუბლებს წვიმა და ქვევრებს მაჭარი...
მოხვალ და ცრემლად დამეწვიმები,
მე კი ვერცერთხელ ვერ გაგასწარი...
როგორ ვერაფრით გამომიგლოვე,
არც გიყვარვარ და არც გემეტები,
ამდენი სევდა სად დაიგროვე,
ცეცხლივით მწვავენ შენი ცრემლები...